კვირის პალიტრა

მზე

N30(163) 24/VII.-30/VII.2003.

ფასი 60 თ.

1168
2003

საოცარი მზერა ვიბრძენი, ვიდაც ბიჭი კოცნის თვალებით შეიმოსებოდა

ეს ყოვლისშემძლე თვალები

რა შეეფარებოდა ოდვად ვირჯვრის გადასახვა?

„ფირცეს" ნეკრი ირინა პანიაშვილი მამაკაც პოლიციელებს ეპეკლუცება

სასიძო — თემურ ხვიბლიანს სიყვარულის არ ეშინია

ბაკურიანის გართობისა და დასვენების ჯადოსნურ სამყაროს 2003 წლიდან შეემატა ახალი, ულამაზესი

სასტუმრო „მელისი“

ტყის პირას

თითოეული ნომერი აღჭურვილია აბაზანა-ტუალეტით, ტელევიზორით, ფოიეში მინი ბარი, სასიამოვნო მუსიკა.
და რაც მთავარია, სუფთა ჰაერზე გაღვივებულ მადას პროფესიონალი მზარეულების მიერ მომზადებული უგემრიელესი, ეკოლოგიურად სუფთა, ქართული და ევროპული კერძები დაგიცხრობთ.
ეს ყველაფერი 20$-ად.

2003

მოგესალმებთ

გაატარეთ ცხელი ზაფხული სიგრილეში

მის: თბილისი, უზნაძის ქ. № 113ბ; ☎ 94-23-55;
ბაკურიანი, აღმაშენებლის ქ. 55; ☎ 899-20-59-42 ; 899-24-86-86

 კვირის პალიტრა
ვზა
№30 (163)
24 - 30 ივლისი 2003
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
მეორადი პროფესიები 3
ერთი კითხვა 4
სასიძო
● „ოთხი წელია, ეს ადამიანი მიყვარს...“ 6
● „სურათი გამოგზავნოს, მაგრამ სხვისი კი არა – თავისი...“ 7
შეამოწმეთ თქვენი ცოდნა
ტესტი ერუდიციაზე 8
თემა
„ბლახა წარბი“, „მასონური მგზერა“ და უძირო თვალები 9
კრიმინალი
● ექვსჯერ ნასამართლევ მელქაძეს პროკურატურა ამჯერად ცოლ-ქმრის მკვლელობაში ადანაშაულებს 12
● თემურ შაშიაშვილის ოჯახის დატერორებისთვის ყურაშვილი განაჩენს ელის 14
გამოხმაურება
ლაგარეს ბებია მისი დედის სიკვდილში დამნაშავე არ არის 15
გზავნილები
„მინდა ვაუწყო მთელ ქვეყანას, რომ უბედნიერესი ადამიანი ვარ...“ 16
ცხოვრება
„უცხო ადამიანთან საუბარი შედარებით ადვილია...“ 18
ქალი საჭესთან
„მამაკაც პოლიციელებს ვეკეკლუცები ხოლმე და ისინიც ჭკუაზე არ არიან...“ 20
ტესტი
ერთგული მკითხველი 21
როგორ ვისვენებთ
„ერთი მთა ამოვიჩემე, იქ მივდიოდი და ხვლიკებს ვიჭერდი ხოლმე...“ 22
ანომალია
ტრანსსექსუალები მრავლდებიან თუ უბრალოდ აღარ იმალებიან? 23
ანტიდეპრესანტი
ინფორმაციულ-მემეცნებითი კოლაჟი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 24
სპეცსამსახური
რამდენს უხდიან კაცს, რომელმაც პრეზიდენტისკენ გასროლილ ტყვიას მკერდი უნდა შეუშვიროს!.. 26
იუმორესკა
ჭირვეული კაცის მორჯულება 29

„ბლახა წარბი“, „მასონური მზერა“ და უძირო თვალები



თინას თურმე დედამთილი ხშირად ეუბნებოდა: ბავშვი მაშინ იწყებს ტირილს, როცა შენ მიაჩერდები, ნუ იცი ასეთი დაქინებული ყურებაო. ცხადია, თინას არ უნდოდა ამის დაჯერება. მაგრამ ერთ დღეს გადაწყვიტა, შვილს დაჰკვირვებოდა...

9

„ერთი მთა ამოვიჩემე, იქ მივდიოდი და ხვლიკებს ვიჭერდი ხოლმე...“

გინდოდა, გეთქვა – ბავშვობაშიო, არა?! – მე ხომ ახლაც ახალგაზრდა ვარ *(იცინის)*... ე.ი. ბავშვობაში როგორ ვისვენებდი, ხომ? თითქმის ყოველ ზაფხულს, ბათუმში მივდიოდით. „ინტურისტში“ იყო ბარი და ყოველ საღამოს, დისკოთეკა იმართებოდა.

22

ექვსჯერ ნასამართლევ მელქაძეს პროკურატურა ამჯერად ცოლ-ქმრის მკვლელობაში ადანაშაულებს

მოუსვენრობა ეტყობოდა. მკითხა: შენი შვილი თუ გიყვარსო? გამეცინა და ვუპასუხე: რა თქმა უნდა-მეთქი, შემდეგ კი დაამატა: დედაშენი შემთხვევით შემომაკვდა. ფული მინდოდა, მან კი არ მომცა, ზედმეტი მომივიდა და დავახრჩვეო. გაოგნებული, ფეხზე წამოვვარდი.

12

რამდენს უხდიან კაცს, რომელმაც პრეზიდენტისკენ გასროლილ ტყვიას მკერდი უნდა შეუშვიროს!..

ჩვეულებისამებრ, დამუშავებულ იქნა მონაკვეთი, მოულოდნელად, სნაიპერმა შენიშნა, რომ ერთ-ერთი სარკმლიდან, ვიღაც დროდადრო გამოყოფდა რაღაც შავ საგანს, რომელიც ძალიან ჰგავდა იარაღის ლულას. ოპერატიულმა სამსახურმა გადაამოწმა აღნიშნული ბინა და აღმოჩნდა, რომ სარკმელთან იდგა ბავშვი.

26

კადრს მიღმა

ზაზა ურუშაძე: „ქართული ტელესერიალები არ ჰგავს „საპნის ოპერებს“ 30

პრობლემა

დიეტა ყველას ინდივიდუალურად უნდა დაენიშნოს! 32

ტაქარი

რა შემთხვევაში ჩაგვეთვლება ცოდვად პირჯვრის გადასახვა? 34

სამრეკლო

24 წლის მნათე მღვდლობისთვის ემზადება 35

მოგონება

„ზვიად სვანს“ უწოლებდნენ, მაგრამ მის ბუნებაში იმერული ხასიათი ჭარბობდა...“ 36

ვარსკვლავი

შენონ დოერტის ქმრის სიშმაგე ჰგვრის ბედნიერებას 39

ბომონდი 41

რომანი

რუსუდან ბერიძე. დაგვიანებული რეისი მოსკოვი-თბილისი (გაგრძელება) 42

საკლუბო ფეხბურთის გრანდები

„მანჩესტერ იუნაიტედი“ – გზა NEM TON HEATH -დან სერ ალექსის იმპერიამდე 46

სკანდალი

„ლეიკერსის“ მესვეურები შოკში არიან... 49

ავტო 50

მოგზაურის დღიურები

ბიძია ჯო – არაორდინარული პატიმარი ანუ ისევ ამერიკის ციხეში... 51

საკითხავი ქალებისათვის 54

ჯანმრთელობა

- თუთია – საჭირო მინერალი 56
- კითხვა-პასუხი 57
- დიასახლისის კუთხე 58

იუმორი 59

ჰოროსკოპი

კვირის (28 ივლისი–3 აგვისტო) ასტროლოგიური პროგნოზი 60

სკანვორდი 61

ცხოველთა სამყარო 62

ტესტი

თქვენ და ტანსაცმელი 63

კალეიდოსკოპი

ჭრელ-ჭრელი ამბები 64

„ამამაკაც პოლიციელებს ვეკეკლუცები ხოლმე და ისინიც ჭკუაზე არ არიან...“



წითელზე გაიარეო, – მიმტკიცებდა და თან საბუთების წართმევით დამემუქრა. კარგი, გადავიხდი, მაგრამ 5-დოლარიანი მაქვს და უკანა გზაზე მოგცემ-მეთქი, – ვუთხარი. – არა, კაცო, – ჩვენ თვითონ გადაგიხურდავებთ, რა სისულელეაო?! მართლაც, წავიდა, ლარები მოიტანა.

20

ბიძია ჯო – არაორდინარული პატიმარი ანუ ისევ ამერიკის ციხეში...

ჯო რვაჯერ იყო ნასამართლევი და ერთი ამდენჯერ, თავდებით გამომშვებული. ამის შესახებ თავდაპირველად რომ მითხრა, კეთილ მიუნჰაუზენად ჩავთვალე, მაგრამ მერე უკვე დავრწმუნდი, რომ მოხუც ზანგს ტყუილების თქმა არ უყვარდა! ისიც ჰყოფნიდა, რომ სწორედ პროფესიონალური მატყუარობისთვის იჯდა...

51

ზოშასავით მოხეტიალე შენონ დოერტის ქმრის სიშმაგე ჰგვრის ბედნიერებას

ჰოლივუდურ „ჭორიკანად“ მონათლულ ჟურნალ Variety-ში გამოქვეყნდა შენონ დოერტის ინტერვიუ, რომელმაც ბომბის აფეთქების ეფექტი მოახდინა და წლის სკანდალადაც კი აღიარეს. ცნობილი გახდა გადაღების თანმდევი ბინძური ამბები.

39

დაგვიანებული რეისი მოსკოვი-თბილისი

თავისუფალი ხელი გამეტებით მოიქნია და გიგოლას პირდაპირ სახეში სთხლიშა.

გიგოლა წამით გაშეშდა და დეას გაოგნებულმა შეხედა. შემდეგ თმაში ხელი წაავლო და ის იყო, მთელი ძალითაც უნდა მოექაჩა, რომ კარზე ზარის ხმა გაისმა.

42

გარეკანზე: გიორგი ჟორჟოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

მეორადი პროფესიები



ადამიანი რომ იბადება, რომელიმე პროფესიის ნიჭი აუცილებლად დაჰყვება: ზოგს შენება გამოუვა, ზოგს – ნგრევა, ზოგს გინება, ზოგსაც – ასრულება; ზოგს ფიზიკური ძალა, ზოგს – გრძელი ენა და მოკლე ჭკუა, მაგრამ კონკრეტულად რისი ნიჭია ეს, არც მშობლებმა იციან და არც თვითონ ბავშვმა. ამიტომ დააწანწალებენ საცოდავი მშობლები შვილებს ხან სპორტზე და ხან ცეკვაზე; ხან უცხო ენებზე, ხანაც – მუსიკაზე. ბოლოს და ბოლოს, დაკაცდება ეს ბავშვი და არაფრის ნიჭი რომ არ აღმოაჩნდება, ისევ პოლიტიკაში მიდის, რადგან ეს სფერო ჯერ ვერგახსნილი ტალანტების ნამდვილი „ნავსაყუდელია“.

ჩვენც ვირჩევთ ამ არშემდგარ გენიოსებს საკრებულოებში, პარლამენტში, კანცელარიაში, ვამტკიცებთ მინისტრებად, სახმინისტრებად... ჰოდა, იწყება ყველანაირი შესაძლებლობების დემონსტრირება და ამ არეულობაში ხდება სწორედ ნამდვილი ნიჭის გამოვლენა.

ამიტომ აღმოჩნდა, რომ პოლიტიკაში, ვინც არ უნდა იყოს, ის არის, ხოლო ვინც უნდა იყოს, ის სად არის – ეშმაკმა უწყის. გაუჭირდათ პოლიტიკოსებს პოლიტიკოსობა, ნიჭი კი, რეალიზებას ითხოვს. ბევრმა უკვე იპოვა მეორადი პროფესია და შეითავსა კიდეც. მაგალითად: იმერეთის გუბერნატორმა ყველას დაასწრო და უკვე მუშაობს შეთავსებით, ენერგოკომპანიაში მორიგე დისპეტჩერად. რავა, ვერ ივარგა თუ?!. ხომ ნახეთ ტელევიზორში, რავარ პასუხებს იძლეოდა ტელეფონით?! ნამდვილი პროფესიონალი „ელექტრიკია“ – ინდიკატორიც არ სჭირდება, ენით არჩევს „ფაზა-ნულს“...



მეორენი, ჩვენი „ნაციონალი“ ვარსკვლავბიჭუნები აღმოჩნდნენ და ექიმდიეტოლოგობას მიჰყვეს ხელი, გამოუვიდათ კიდეც. ხომ ხედავთ, როგორ შეიფერთხა დავითაშვილი, რაც შიმშილობა დაიწყო გილიგაშვილის კაბინეტში?! ადრე ტელევიზორში არ ეტეოდა და ახლა ისე გახდა, რომ მიკროფონის მიღმა აღარც ჩანს. ჩვენც ვუჭერთ მხარს მათ შიმშილობას, ოღონდ, ოჯახებში ვშიმშილობთ.

გნებავთ, ქვემო ქართლის „პრეზიდენტსკი“ რწმუნებული ავიღოთ, რომელმაც პროფესიების შეთავსებაში ყველა რეკორდი მოხსნა: როგორ დაუკავშირა ძირითად სპეციალობას – მებოცვრეობას პოლიტიკა! ამას ლინგვისტობაც დაუმატა და აზერბაიჯანული და სომხური ენების სწავლის წყალობით ისეთი ახალი „პოლიტიკურად მოაზროვნე კურდღლის“ ჯიშები გამოიყვანა, რომლებიც ტაშსაც უკრავენ, კმაყოფილებიც არიან და არჩევნებშიც იმას აძლევენ ხმას, ვისზეც თვითონ „სელექციონერი“ მიუთითებს.

ბრწყინვალე მაგალითი გვიჩვენეს ჩვენმა სახელოვანმა სპორტსმენებმაც. ლევან თედიაშვილის მსგავსად, გიორგი კანდელაკმაც და ნონა გაფრინდაშვილმაც პოლიტიკისკენ აიღეს გეზი. პოლიტიკურ წრეებშიც აშკარად იგრძნეს მათი საჭიროება, რადგან ჩვენი პოლიტ-ელიტა გამჭრიახობაშიც მოიკოჭლებს და ვაჟკაცობაშიც.

აი, პიონერები მეორადი პროფესიების მიგნებისა! მაგრამ დანარჩენებსაც ხომ უნდათ შველა – სადამდე უნდა იყვნენ პოლიტიკაში? ამიტომ, ჩემს პროვოკატორულ მოვალეობად მივიჩნიე, დავაჩქარო მათი „თვითგამორკვევის“ პროცესი და ის პროფესიები შევთავაზო ჩვენს „პოლიტგრანდებს“, რომელშიც გაცილებით მეტ წარმატებას მიაღწევენ, ვიდრე დღევანდელ საქმიანობაში.

მოდით, გენპროკურორით დავიწყოთ: ნამდვილი ჯენტლმენია, კეთილი, პატიოსანი – ჰუმანიზმის განსახიერებაა, პირდაპირ... არავის უნახავს ჯერ მაგის დაჭერილი კაცი. ისეთი მშვიდი და ბუნჩულაა, რომ საბავშვო ბაღის გამგეობა ზედგამოჭრილი იქნებოდა მისთვის. მოადგილედ თავდაცვის მინისტრს მოისვამდა და ხან „ომობანას“ ითამაშებდნენ ბავშვებთან, ხანაც „დაჭერობანას“ (მაინც სეკვესტრში მოხვდნენ და მეტი რა საქმე აქვთ?!).

იუსტიციის მინისტრისთვისაც აუცილებელია მეორადი პროფესია და პატიმრების გაქცევის სიხშირეს თუ გავითვალისწინებთ, მარკშაიდერობა მისთვის ნამდვილად მისწრებაა, ციხეკოლონიების დათვალიერებისას ზუსტად რომ იგრძნოს ფეხქვეშ გრუნტის მდგომარეობა და იმ ადგილას შეაქანოს მარჯვნიდან (ან მარცხნიდან), სადაც მორიგი გვირაბის თხრა მიმდინარეობს.

თუ არ ვცდები, არც შინაგან საქმეთა მინისტრი ეტევა ერთადერთ ამპლუაში: მისი მომხიბლავი გარეგნობის შემყურენი, „ეცემიან“ ქალები. ჰოდა, ნამდვილად არ წააგებს არც თვითონ და არც პოლიციის სისტემა, თუ საკუთარ მონაცემებს სწორად გამოიყენებს და პოდიუმზე შედგამს ფეხს. დარწმუნებული ვარ, სილამაზის ნებისმიერ კონკურსს, თუ არ მოიგებს, „ნიჩიათი“ მაინც დაამთავრებს. ამ საქმიანობას დიდი ფულიც მოაქვს და პოპულარობაც. ქვეშევრდომებიც მიჰბაძავენ და ხშირ-ხშირად მოაწყობენ „შს-ფართებს“ და „პოლიც-დეფილეებს“.

არც ბატონი სახელმწიფო მინისტრი მემეტება მხოლოდ პოლიტიკური საქმიანობისათვის და საერთოდ – მე მგონი, არაა მისი მოწოდება პოლიტიკა. ფოტომოდელობა მინდა შევთავაზო. ტოპ-მოდელობასაც ვურჩევდი, მაგრამ მიხრა-მოხრა აქვს ცოტა ტლანქი... სამაგიეროდ, სტატიკურ კადრებში „გლოჯავს“. ჯერ ღიმილი აქვს ისეთი, რომ მარტო კბილის პასტების რეკლამირებით გახდება უფრო ცნობილი და საყვარელი, ვიდრე ახლაა. ბიუჯეტისთვისაც ასე აჯობებდა...

P.S. აბიტურიენტი გასაუბრებაზე:

– რა გიყვართ ყველაზე მეტად?
– ცირკი მიყვარს.
– სად აბარებთ?
– სამედიცინოზე.
– რა უნდა გამოხვიდეთ?
– ეკონომისტი.
– სად იმუშავებთ?
– პარლამენტში.
– რატომ?
– ხომ გითხარით, ცირკი მიყვარს-მეთქი...

პროვოკატორი

„ალორძინების“ დეპუტაცია საგრძნობლად შეთხელდება“

— „გაერთიანებული დემოკრატები“ უახლოეს მომავალში, ალბათ არჩევანის წინაშე დადგებით — ან ნინო ბურჯანაძის ახალი პარტია, ან „ნაციონალები“: გავრცელებული ინფორმაციით, მიხეილ სააკაშვილი და ზურაბ ჟვანია სიების ფორმირებაზე ვერ თანხმდებიან. აქედან გამომდინარე, ალბათ ბურჯანაძეზე შეაჩერებთ არჩევანს, არა?

ედვარდ სურმანიძე, *პარლამენტარი:*

— ჟვანიას და საკაშვილს სიებთან დაკავშირებით არანაირი პრობლემა არა აქვთ. თუმცა, ვაღიარებ, რომ საერთო სიის პროექტს ალბათ დიდი და სერიოზული მუშაობა დასჭირდება. ჩვენს სიაში წარმოდგენილნი იქნებიან, როგორც ეროვნული უმცირესობები, ასევე რეგიონები. თანაც, ისეთი ადამიანები უნდა შეირჩნენ, რომლებიც გაერთიანებაში შესული ყველა პარტიისთვის მისაღები იქნება. ოპოზიციის გაერთიანებასთან დაკავშირებით ნინო ბურჯანაძესთან დიალოგი კვლავ მიმდინარეობს. შეხვედრები თითქმის ყოველდღე იმართება. რაც შეეხება ჩვენი არჩევანის საკითხს, თქვენ მიერ დასახელებული დილემის წინაშე არ დავდგებით. ნინო ბურჯანაძეს ჯერ საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია, ცალკე პარტიას შექმნის თუ გაერთიანებულ ოპოზიციას ჩაუდგება სათავეში. წინასაარჩევნო პერიოდში, „აღორძინების“ მხრიდან ხშირად ისმის „გაერთიანებული დემოკრატების“, „ახლებისა“ და „ნაციონალების“ მისამართით გამოთქმული ბრალდება, რომ ჩვენ ისევ შევარდნაძეს „ჩავეხუტებით“. ამას არასოდეს გავაკეთებთ. ასეთი ბრალდება იაფფასიან კამპანიას ემსახურება და ოპოზიციის დისკრედიტაციას ისახავს მიზნად; ამის მიზეზიც გასაგებია. „აღორძინებას“ დღეს ძალიან უჭირს და თუ ბეიკერისეული ვარიანტი განხორციელდება, დარწმუნდებით, რომ აჭარის ავტონომიაში ადრე 100%-ით გამარჯვებული „აღორძინების“ დეპუტაცია საგრძნობლად შეთხელდება და იმის მესამედსაც ვერ მოიყვანს პარლამენტში, რამდენიც ახლა ჰყავს. ■

„ოპოზიცია სერიოზულად ხუმრობს...“

— როგორც ოპოზიცია აცხადებს, სახელისუფლებო ბლოკს არჩევნებში შვიდპროცენტიანი ბარიერის გადალახვაც კი გაუჭირდება. თქვენ პარლამენტში რამდენი კაცის გაყვანის იმედი გაქვთ?

გელა კვარაცხელია, *პარლამენტარი, სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენელი:*

— ოპოზიცია, როცა ამას ამბობს, სერიოზულად ხუმრობს. ასეთ ხმებს ძირითადად, ის პოლიტიკური პარტიები ავრცელებენ, რომლებსაც თავად აქვთ სერიოზული პრობლემები შვიდპროცენტიანი ბარიერის გადალახვის თვალსაზრისით. ჩვენ ვფიქრობთ, რომ პარლამენტში დაახლოებით 120 კაცს გავიყვანთ. ჯერჯერობით, პარტიულ სიაში ადგილი არავის აქვს გარანტირებული. თუმცა, არიან ისეთი ადამიანებიც, რომელთა სიაში შეყვანაც არანაირად არ დადგება კითხვის ნიშნის ქვეშ. ის ადამიანები, რომლებიც სახელისუფლებო ბლოკში არიან, გრძნობენ, რომ სიაში ადგილი დამსახურებისამებრ უნდა მოიპოვონ და ამისათვის გარკვეული შრომა უნდა გასწიონ. ამიტომ ვაცხადებ: პარტიული სიის ფორმირება, რაც შეიძლება გვიან უნდა მოხდეს. ვფიქრობ, ამის წინააღმდეგი არავინ იქნება, რადგან ბლოკში ერთიანი გუნდის შეგრძნება სუფევს. ■

„ბათუმი „ვა-ბანკზე“ მიდის...“

— ასლან აბაშიძემ მთავრობა გადააყენა, შვილის მეგობრები დააპატიმრა, შვილს კი — გიორგი აბაშიძეს, ბათუმის მერის თანამდებობიდან მოხსნით დაემუქრა. რა კომენტარს გაუკეთებთ ამ ფაქტს?

რამაზ საყვარელიძე, *პოლიტოლოგი:*



— ვეჭვობ, რომ ასლან აბაშიძის მხრიდან მთავრობის გადაყენება მხოლოდ ბიუჯეტის შეუსრულებლობით იყოს გამოწვეული. საბიუჯეტო კრიზისი შეიძლება, შექმნა დაჯგუფებათა დაპირისპირებამ. უფრო ზუსტი ანალიზის გაკეთება შეუძლებელია, რადგან ამ რეგიონში მიმდინარე პროცესები არ არის გამჭვირვალე. რაც შეეხება შვილის მეგობრების დაპატიმრებას — ის თავის ახლობლებსაც არ მისცემს საშუალებას, რომ იმ არეალიდან გავიდნენ, რომელსაც თვითონ აკონტროლებს. აბაშიძე იმ დონის თავისუფლებას არავის მისცემს, რომ მასთან შეუთანხმებლად მიიღონ გადაწყვეტილებები, თანაც ისეთი, რომელიც, მისი აზრით, აჭარას სასიკეთოდ არ წაადგება.

სოსო ცინცაძე, *პოლიტოლოგი:*

— ...რაც შეეხება მუქარას შვილისადმი — არა მგონია, აბაშიძემ შვილი გაწიროს. თუმცა, არც ისაა გამორიცხული, რომ მან გიორგი აბაშიძე თანამდებობიდან გაათავისუფლოს. თანაც, ნუ დაგავიწყდებათ, რომ ეს ყველაფერი არჩევნების წინ ხდება. ეს ძალზე მომგებიანი სვლაა წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვის თვალსაზრისით. არჩევნებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის არმონაწილეობა, ცენტრალური ხელისუფლებისათვის ომის გამოცხადებას ნიშნავს. აჭარა ცდილობს, სანამ შევარდნაძე სუსტია, ისარგებლოს ამით და მაქსიმალურად გააფართოოს თავისი უფლებები. ეს უფლებები მერე, სხვა ავტონომიებზეც გავრცელდება და ამის შედეგმა შეიძლება შორს წაგვიყვანოს. ეს ძალიან საშიში ტენდენციაა. ბათუმი „ვა-ბანკზე“ მიდის. რისი იმედით და ვისთან შეთანხმებით — ეს სულ სხვა საკითხია... ■

„თავდაცვის სამინისტროში ჩატარდეს საკადრო წმენდა!“

— ვრცელდება ინფორმაცია, რომ ამერიკა საქართველოს შეიარაღებულ ძალებს დახმარებას შეუწყვეტს იმ მიზეზით, რომ დახმარებისთვის გათვალისწინებული თანხა არამიზნობრივად იხარჯება. რა ინფორმაციას ფლობთ ამასთან დაკავშირებით?

ირაკლი გათიაშვილი, *პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე:*



— ამერიკელების მიერ დახმარებისთვის გამოყოფილი თანხის სოლიდური ნაწილი მართლაც, არამიზნობრივად იხარჯება. ამ საკითხის შესწავლით დაინტერესებულია თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტი და ძალიან მალე, ამასთან დაკავშირებით სერიოზულ დოკუმენტს შევიმუშავებთ და მაგიდაზე დავდებთ. იქ ასახული იქნება, თუ როგორ იხარჯება თანხები არა მარტო თავდაცვის სამინისტროში, არამედ სხვა ძალოვან უწყებებშიც. საუბარი იქნება მატერიალური ბაზის სახსრების განიავებასა და სხვა სამართალდარღვევებზე, რომელსაც თავდაცვის სამინისტროში აქვს ადგილი. მე ეს საკითხი შევისწავლე, ისევ და ისევ დასახელებული უწყებების ხელმძღვანელობისთვის და მოვითხოვ, რომ მათ დროულად გამოასწორონ შექმნილი მდგომარეობა. მოვითხოვ იმასაც, რომ თავდაცვის სამინისტროში დაუყოვნებლივ ჩატარდეს „წმენდა“ და გატარდეს საკადრო ცვლილებები. უკვე რამდენიმე წელია, საერთაშორისო ორგანიზაციებიც იმავე საკითხს სვამენ — გათავისუფლდეს თავდაცვის სამინისტრო იმ სიმსივნისა და ავადმყოფობისაგან, რაც ამ უწყებაში წლების განმავლობაში დამკვიდრდა. თუ ვის ეკუთვნის სამინისტროში ამ მდგომარეობის შექმნაში ლომის წილი, ეს ჩვენ მიერ შედგენილ დოკუმენტში იქნება დასახელებული. ამჯერად, ჩვენ საკმაოდ სერიოზული მასალა ჩაგვივარდა ხელთ და ამ ფაქტს რეაგირების გარეშე არ დავტოვებთ. ■

„ბაზარზე პურპროდუქტების ხელოვნური დეფიციტია შექმნილი“

— პურპროდუქტების გაძვირებასთან დაკავშირებით პარლამენტში თქვენი გამოსვლა ბევრმა ანზორ ბურჯანაძის წინააღმდეგ მიმართულ განცხადებად აღიქვა. ეს არასწორი ინტერპრეტაციის შედეგია თუ სწორად გაგებული მინიშნება?

ირალი გოგავა, *პარლამენტარი:*

— ამ ფაქტს მართლაც, ჩემი ნათქვამის არასწორი ინტერპრეტაციით ვხსნი. პრეტენზია მხოლოდ სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინააღმდეგ მაქვს. არ მესმის, რატომ აღელდა პარლამენტის თავმჯდომარე, როდესაც პურის გაძვირების გამო პურპროდუქტების კორპორაცია ვახსენე. ბაზარზე პურპროდუქტების ხელოვნური დეფიციტია შექმნილი, რის გამოც პური ძვირდება. სოფლის მეურნეობის სამინისტრო ვალდებულია, დაარეგულიროს პურის ფასი, სახელმწიფო პოლიტიკა აგრარულ სფეროში; უზრუნველყოს ხორბლის აუცილებელი მარაგის შემოტანა ქვეყანაში, რასაც ეს უწყება არ აკეთებს.

ანზორ ბურჯანაძე, *„საქართველოს პურპროდუქტების კომპანიის“ ხელმძღვანელი:*

— პურპროდუქტების სახელმწიფო კორპორაცია, რომლის ხელმძღვანელიც ვიყავი, 1996 წელს გაუქმდა და ბაზარზე ხორბლის თავისუფალი ფასები დაწესდა. ამის შემდეგ, კერძო სააქციო საზოგადოება ჩამოვაყალიბე, რომლის სახელწოდებაა „საქართველოს პურპროდუქტების კომპანია“. ვერ გამიგია, რომელ კომპანიას ედავება ბატონი ირაკლი გოგავა. ხუთი წელია, რაც ხორბალი საერთოდ აღარ შემოგვაქვს და არც ქვეყნის შიგნით ვმონაწილეობთ ხორბლის ბიზნესში. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ხელისუფლების ხელშეწყობით ხორბლის ბიზნესში კონტრაბანდა ყვავის და თუ ამ კონტრაბანდაში არ ხარ ჩაბმული, პურპროდუქტების ბიზნესის წარმოებას აზრი ეკარგება. ■

„ვინც პურს ხელოვნურად გააძვირებს, ბიზნესიდან ავტომატურად „გავარდება“...“

— პარლამენტის თავმჯდომარის მამასთან ალიანსსა და ზურაბ ჟვანიას წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსებაში გადანაშაულებენ. რა კომენტარს გაუკეთებდით ამ ბრალდებებს?

დავით კირვალიძე, *სოფლის მეურნეობის მინისტრი:*

— ასეთ აბსურდულ განცხადებაზე რა კომენტარის გაკეთება შეიძლება?! ერთს ვიტყვი მხოლოდ: ზოგიერთების ფანტაზიები მართლაც რომ უკიდეგანოა. თუ რაიმე ფაქტი აქვთ ხელთ — მაგიდაზე დადონ. ვინც ოდნავ მაინც ერკვევა ეკონომიკაში, მიხვდება, რომ სამინისტროს და კორპორაციას ძალიანაც რომ მოენდომებინათ, მათზე არ იყო დამოკიდებული პურზე ფასის გაზრდა. ის, ვინც პურს ხელოვნურად გააძვირებს, კონკურენციას ვერ გაუძლებს და ბიზნესიდან ავტომატურად „გავარდება“. მოსახლეობას შეშფოთების საფუძველი არა აქვს, რადგან პურის ფასი რეალურად არ გაზრდილა. იყო მცირეოდენი რყევა. 7 ძირითადი მოხმარების კატეგორიის პურიდან, მხოლოდ 2 სახეობაზე მოიმატა ფასმა 3-4 თეთრით და ისიც — არა ყველგან. მხოლოდ ზოგიერთი იმ საწარმოს პროდუქციის ფასმა მოიმატა, რომელიც პურს 25-30 თეთრად ყიდდა. ამას კი თავისი მიზეზები აქვს. ■

ფრაზა გენიალური

სულელს სულელი მაქებარი არ დაელევა.

ნიკოლა ბუალო

„ოთხი წელია, ეს ადამიანი მიყვარს...“

შეგახსენებთ, რომ ჩვენი წინა ნომრის სასიძო — ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსი არმაზ თავაძე გახლდათ. რედაქციამდე მოსული „მესიჯებით“, წერილებითა და სატელეფონო ზარებით თუ ვიმსჯელებთ და ჩემს „ხანუმურ“ გამოცდილებასაც ენდობით, დამერწმუნებით, რომ სახელმწიფო მოხელეებიც საკმაო პოპულარობით სარგებლობენ ახალგაზრდა გოგონებს შორის. ჰოდა, უამრავი თაყვანისმცემელი შეეხმიანა არმაზს. წერილი საბერძნეთიდანაც კი მივიღეთ. მოგეხსენებათ, ჩვენი „სასიძო“ ძალზე მოუცლელია, ამიტომ არჩევანი კი გააკეთა, მაგრამ შეხვედრა ჯერჯერობით ვერ მოხერხდა. თუმცა, უახლოეს მომავალში ეს მოხდება და პაემნის შესახებ დაწვრილებით ინფორმაციასაც მოგაწვდით. ახლა კი „სასიძოს“ სახელზე შემოსულ წერილებს გადავხედავთ და ბოლოს, ბატონი არმაზის კომენტარსაც გაგაცნობთ.

მარი ჯაფარიძე

ეკა, 20 წლის:

„გამიხარდა, „სასიძოდ“ არმაზი რომ მიგიწვევიათ. ოთხი წელია, ეს ადამიანი მიყვარს. მე მასთან შეხება მაქვს სამსახურებრივად. მართალია, თანამშრომელი არა ვარ, მაგრამ ამ დაწესებულებასთან ურთიერთობა დროგამოშვებით მიწევს ხოლმე. ვერასოდეს ვერ გავბედე, მისთვის გამემხილა, რომ უზომოდ მომწონს. გთხოვთ, შემახვედროთ“.

ილონა, 20 წლის:

„არმაზი ძალიან მომწონს. მე 20 წლის ვარ. მეც მწვანე თვალები მაქვს და საკმაოდ კარგი გოგონაც ვარ. იქნებ, ბედმა გამიღიმოს?!“

თამუნა, 17 წლის:

„არმაზის ინტერვიუდან ჩანს, რომ ძალიან კარგი პიროვნებაა, ზომიერი. მეც ასეთი ვარ. სწორედ ამიტომ მომეწონა, ყოველთვის ვკითხულობდი მის ინტერვიუებს და უფრო და უფრო მომწონდა. არმაზის გამოხმაურების იმედი არ მაქვს, მაგრამ უბრალოდ, მინდა, ბედნიერება ვუსურვო. მისი კეთილისმსურველი ვარ და ვუსურვებ წინსვლას“.

საკმაოდ საინტერესო ზარი შემოვიდა ჟურნალის ნომრის გამოსვლისთანავე, დილის 10 საათზე. დაწვრილებით გადმოგცემთ ჩვენი საუბრის შინაარსს:

— არ მჯერა, რომ არმაზი ისეთი პიროვნებაა, როგორც ამას თქვენ აღწერთ და თავად ლაპარაკობს...

— **რატომ?**

— მე ხშირად წამიკითხავს მისი ინტერვიუ და ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობდა: ქალებს მობილურებივით ვიცვლიო... თქვენ კი გინდათ თქვათ, რომ ის ასეთი კარგია?

— **თქვენს კოორდინატებს ხომ არ დამიტოვებდით?**

— არა, არა, მე მასზე გათხოვება არ მსურს. უბრალოდ, ჩემი აზრი გითხარით. ისეთი ქმარი არ მინდა, სულ ქალებში რომ ივლის...

— **ცოლს რომ მოიყვანს, მერე ალბათ აღარ ივლის. იქნებ, არჩევანი სწორედ თქვენზე შეაჩეროს და თქვენც ადექით და „მოარჯულეთ“...**

— მოსარჯულებელი და მექალთანე რომაა, იმიტომ ვამბობ უარს. არ მინდა, ბატონო, არმაზზე გათხოვება და რას გადამეკიდეთ?

არადა, სულაც არ გადავეკიდე. კი, ბატონო — არ გინდათ და არც გაძალებთ, მსურველი ბევრია... აი, ერთ-ერთი მათგანი.

— ალო, „ხანუმა“ ხართ?

— **არა, მარი გახლავართ.**

— აბა, ამ ხალხს რომ მაჭანკლობთ?

— **ვმაჭანკლობ, მაგრამ მაინც მარი ვარ...**

— ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, ვინ ხართ. მე არმაზი მინდა...

— **გინდოდათ გეთქვათ, რომ არმაზის გაცნობა გინდათ?**

— არა, გაცნობა კი არა — თვითონ არმაზი მინდა, უფრო სწორად, მჭირდება. ახლა მკითხავთ, რისთვისო?

— **რა თქმა უნდა...**

— რისთვის და გავიცნობ, შევხედავ, მერე ცოლად გავყვები...

— **იქნებ მას არ მოსწონხართ?**

— მას ვინ ჰკითხავს? ნუ გამაგიჟეთ — მე თუ მომეწონება, არმაზი კი არა, კობა დავითაშვილი, მამუკა ონაშვილი და გიორგი კანდელაკი, ერთად აღებულები ვერ მომერევიან, მაგ გამხდარ და გალეულ ბიჭს ვერ მოვუგრეხ კისერს?!.. თუ არ გამაცნობთ, ჯერ თქვენ მოგივლით, მერე კი — მას...

როგორც ხედავთ, უკვე გვემუქრებიან კიდეც — „ხანუმასაც“ და „სასიძოსაც“, ამიტომ, ყოველი შემთხვევისთვის, რედაქტორთან ამ ქალბატონის ნომერს დავტოვებ: რა იცი, რა ხდება... მკითხველს კი, კიდევ რამდენიმე „მესიჯს“ შევთავაზებ.

„ვა, შენ რა კარგი ბიჭი ყოფილხარ! ამდენ ხანს სად იმალებოდი? შე დალოცვილო, მანამ გამოჩენილიყავი, სანამ ათენში წამოვიდოდი სამუშაოდ. შენც ოჯახი გექნებოდა და მეც აღარ გადავიკარგებოდი უცხოეთში...“

„დილით რომ გავიღვიძე, გული მიგრძნობდა, რომ ჩემს ცხოვრებაში რაღაც შეიცვლებოდა. „გზას“ ყოველ ხუთშაბათს მოუთმენლად ველი ხოლმე. იმ დილით, ჟურნალის საყიდლად რომ გავედი, მაშინვე „სასიძოს“ გვერდი გადავშალე და არმაზის ინტერვიუ წავიკითხე. ავკრიბე „მესიჯი“ და მინდოდა, მარისთან გადამეგზავნა. ტექსტი ასეთი იყო: „მიყვარხართ, იშვიათი სასიძო ხართ. ძალიან მომწონხართ, ბედნიერი ვიქნები, თუ გაგიცნობთ“. აღმოჩნდა, რომ ნომრის აკრების დროს, ერთი ციფრი შემეშალა და „მესიჯი“ სხვაგან გავგზავნე. უცოლო, ახალგაზრდა მამაკაცი აღმოჩნდა. ერთმანეთს უკვე შევხვდით და მგონი... დიდი მადლობა არმაზს, მარის და „გზას “.

ახლა კი, არმაზ თავაძის კომენტარს შემოგთავაზებთ:

— ნამდვილად არ მეგონა, ამდენი გოგონა თუ გამომეხმაურებოდა. საინტერესო ყოფილა თქვენი რესპონდენტობა. მესიამოვნა, ამდენი თბილი გზავნილი რომ წავიკითხე. დიდი მადლობა ყველა ამ ადამიანს! გეფიცებით, მათი მისამართები რომ ვიცოდე, ყველას თითო თაიგულს ვუძღვნიდი საჩუქრად... აუცილებლად დავუკავშირდები ერთ-ერთ გოგონას და ჩვენი შეხვედრის შესახებ ინფორმაციასაც მოგაწვდით. ■

გული მიგრძნობს, ჩვენს დღევანდელ „სასიძოს“ უამრავი თაყვანისმცემელი გამოეხმაურება. მართალია, ის ჯერ 21 წლისაა, მაგრამ ტინეიჯერებს შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს და უამრავი გულშემატკივარი და ფანი ჰყავს... მაშ ასე, არჩევანი ამჯერად, ჯგუფ „საუნდის“ წევრზე — თემო ხვიბლიანზე შევაჩერეთ. თუმცა, სადედამთილო — ქალბატონი ლიაც არანაკლებ დაინტერესებულია შვილის ბედით...

"სურათი გამოგზავნოს, მაგრამ სხვისი კი არა - თავისი..."

მარი ჯაფარიძე

— თემო, ჩვენი პირველი კითხვა უკვე ტრადიციულია — ზოდიაქოს რომელ ნიშანს მიეკუთვნები?

— ჰოროსკოპით მერწყული ვარ. დავიბადე 1982 წელს, მაგრამ დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ ასტროლოგიას, რადგან, ვფიქრობ, მაინცდამაინც არ ამართლებს. ბევრ ადამიანს ვიცნობ, ერთი ნიშნის ქვეშ რომ არიან დაბადებულნი, მაგრამ აბსოლუტურად განსხვავებული ხასიათები აქვთ.

— ქალბატონო ლია, როგორი ბავშვი იყო თემო?

— ძალიან თბილი. ის თავის ასაკთან შედარებით, უფრო მეტად განვითარებული ბავშვი იყო ყოველთვის. 4 წლის ასაკში საკმაოდ კარგად თამაშობდა ჭადრაკს, თავისზე უფროსებსაც კი უგებდა. არასოდეს უთამაშია სათამაშოებით. ყოველთვის უყვარდა ჩხირკედელაობა. აპარატურას დაშლიდა, ააწყობდა და ამით ერთობოდა.

— სიმღერის ნიჭი ბავშვობიდან ჰქონდა?

— თავდაპირველად, თემო კარატეში ვარჯიშობდა. საკმაო წარმატებასაც მიაღწია. ყოველი წარმატების შემდეგ, საჩუქრად მისთვის მუსიკალურ ინსტრუმენტს ვყიდულობდით. ასე ისწავლა დაკვრა სხვადასხვა ინსტრუმენტზე. რომელ სიმღერასაც მოისმენდა, თავისით ააწყობდა და მღეროდა... ეს ერთი შვილი მყავს და ყველანაირად ვუწყობდი ხელს.

— თემო, გამოდის, დედის ნებიერა ხარ?

— არა, ნებიერა არა ვარ. საერთოდ, დამჯერი შვილი ვარ, მაგრამ თუ რაიმეს დავაშავებ (ეს იშვიათად ხდება), საყვედურებსაც ვღებულობ, წინათ კი მსჯიდნენ კიდეც.

თემოს ვინც ეყვარება, მას მივიღებ რძლად

— ახლა?

— ახლა უკვე აღარ ვაშავებ არაფერს და რატომ უნდა დამსაჯონ?!

— ქალბატონო ლია, როგორ ფიქრობთ — უკვე დროა, რომ თემომ ცოლი მოიყვანოს, თუ ჯერ ადრეა?

— ეს ჩემი გადასაწყვეტი არ არის. თუ თემო ჩათვლის, რომ უნდა დაოჯახდეს, მე წინააღმდეგი არ ვიქნები.

— თემო, შენ რას ფიქრობ ამ საკითხთან დაკავშირებით?

— ახლა, ჩემი თვითმიზანი, ოჯახის შექმნა ნამდვილად არ არის, მაგრამ თუ სიყვარული მეწვევა, უკან არ დავიხევ...

— როგორ იქცევი, როცა შეყვარებული ხარ?

— სიმართლე რომ გითხრათ, ამ საკითხში დიდი გამოცდილებით ვერ დავიკვეხნი, რადგან მხოლოდ გატაცებული თუ ვიყავი ამა თუ იმ გოგონათი და სერიოზული, ნამდვილი სიყვარული ჯერ არ მწვევია...

— თუ ყოფილა შემთხვევა, რომ მოწადინებული ყოფილხარ, მაგრამ ქალის გული ვერ დაგიპყრია?

— არა, ასეთი შემთხვევა არ მახსოვს. ყოველთვის ვაღწევდი იმას, რასაც ჩავიფიქრებდი.

— ქალბატონო ლია, თქვენ თუ გიმხელდათ ხოლმე თავის სასიყვარულო ამბებს?

— კი, მიამბობდა ხოლმე.

თემო:

— არა, ჩემს პირადულზე არასოდეს ვსაუბრობ ხოლმე მშობლებთან, რადგან მერიდება.

— ქალბატონო ლია, თქვენ თუ ერევით თემოს პირად ცხოვრებაში? მაგალითად, თქვენთვის არასასურველ სარძლოს თუ მოაყვანინებთ შინ?

— მე თავს უფლებას არ მივცემ, რომ ამაში ჩავერიო. თემოს ვინც ეყვარება, მას მივიღებ რძლად. თუ შეცდომას დაუშვებს, რჩევას მივცემ, მაგრამ კატეგორიულობას არ გამოვიჩენთ და არ მოვთხოვთ მორჩილებას...

— როგორ რძალს ისურვებდით?

— ჩემი შვილის შესაფერისს. კარგი, პატიოსანი ოჯახის შვილს...

— თემო, შენ როგორი გოგონები მოგწონს?

— რაღაც კონკრეტული კრიტერიუმებით არ ვსაზღვრავ ქალის ავკარგიანობას. ვთქვათ, შეიძლება იყოს ქერა, მაღალი, ცისფერთვალება, თუმცა, საშუალო სიმაღლის, შავგვრემანი გოგონაც მომეწონება... მთავარია, კარგად გამოიყურებოდეს. მომწონს თავდაჭერილი, სერიოზული, კარგი მოსაუბრე და ინტელექტუალი გოგონები...

— თემო, შენხელა ბიჭებს, უმეტესწილად, ასაკით უფროსი ქალები მოსწონთ ხოლმე. შენ თუ ანიჭებ მნიშვნელობას ასაკობრივ სხვაობას სასიყვარულო ურთიერთობებში?

— არა. თუ შემიყვარდება, ასაკს მნიშვნელობას არ მივანიჭებ...

ტესტი ერუდიციაზე

1. რა მაქსიმალური სიჩქარის განვითარება შეუძლია კენგურუს?



ა) 20 კმ/სთ-ის;
ბ) 105 კმ/სთ-ის;
გ) 60 კმ/სთ-ის.

2. ნიკოლოზ გარათაშვილი წერდა: „პატიოსან მტერთა შორის მოციქული...“

ა) უფალია;
ბ) არის ტყვია;
გ) ნამუსია.

3. რა სახელწოდებით იყო ცნობილი სოფი ლორენსა და ჯინა ლოლობრიჯიდას შორის „გაჩაღებული ომი“?

ა) „ბიუსტების ომით“;
ბ) „მზეთუნახავთა ომით“;
გ) „იტალიის სახის ომით“.

4. რა საშიშროება ელოდა რამდენიმე წლის წინ ცნობილ ამერიკელ მომღერალ შერის?

ა) თანდათან მელოტდებოდა;
ბ) უზომოდ სუქდებოდა;
გ) ხმას კარგავდა.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

— როგორი გაბრაზება იცი, გინება ხომ არ გჩვევია?

— საერთოდ, გვიან ვბრაზდები, რადგან შესაძლოა, გვიან მივხვდე, რომ მაწყენინეს, მაგრამ თუ გავბრაზდი, მტრისას... მაშინ კი ვამართლებ ჩემს გენს: მოგეხსენებათ, სვანი ვარ და გაბრაზებაც სვანურად ვიცი. გინება კი, მაინცდამაინც არ მიყვარს... თუ გამაბრაზა, შესაძლოა, ახლო მეგობარიც კი დავკარგო.

— შენი რჩეულის ჩაცმულობაში თუ შეიტან კორექტივებს? მოკლე კაბის ჩაცმის უფლებას თუ მისცემ?

— საერთოდ, მინიქვედაბოლოში გამოწყობილი გოგონები მომწონს — თუ, რა თქმა უნდა, კარგი ფეხები აქვთ, მაგრამ, ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს. მომწონს თავისუფლად, გამომწვევად ჩაცმული ქალები. არ მიყვარს ჯინსითა და ბოტასებით მოსიარულე გოგონები. უპირატესობას კლასიკურ ჩაცმულობას ან საღამოს კაბას ვანიჭებ.

— როგორი სიმთვრალე გჩვევია?

— საერთოდ, კარგად ვიტან სასმელს. სასმელი კარგ, მხიარულ განწყობაზე მაყენებს, მაგრამ დედის გარდა, ვერავინ ხვდება ხოლმე, რომ ნასვამი ვარ.

ქალბატონი ლია:

— ამ დროს, თვალები უჟუჟუნებს ხოლმე და ყველას გვეფერება..

— თქვენ ხშირად ეფერებით ხოლმე შვილს?

— როცა პატარა იყო, უფრო ვახერხებდი მოფერებას — ახლა გაიზარდა და აღარ მაძლევს უფლებას, რომ ბავშვივით მოვექცე და მივეფერო...

— თემო, რატომ არ აძლევ დედას მოფერების უფლებას? არ გიყვარს, როცა შენ მიმართ სითბოს გამოხატავენ?

— მე თვითონ ნაკლებად გამოვხატავ სითბოს, მაგრამ სხვა რომ მეფერება, ძალიან მომწონს, დედა რომ მეფერება, ესეც მომწონს, მაგრამ მერიდება ხოლმე.

— თაყვანისმცემელი გოგონები თუ გაწუხებენ?

— კი, ბევრი მირეკავს. ბევრიც მობილურზე უამრავ ზარს გამოუშვებს ხოლმე და მერე, როცა დავრეკავ, მეუბნება: შენი გაცნობა მინდაო. არ გაგეცინებათ? გამოდის, მე თვითონ უნდა დავურეკო, რომ მან გამიცნოს!.. ხშირად, კართან ყვავილების თაიგულიც მხვდება ხოლმე ან რაღაც საჩუქარი. ჩვენი ბინის კარი აჭრელებული იყო წარწერებით — მიყვარხარ, მომწონხარ, ვგიჟდებიო; ორი დღის წინ შევდებეთ ხელახლა. აი, ასეთი ფანების მწამს!.. სულ ინტერესი მკლავს — ნეტავ, ვინ იყო, სიურპრიზი რომ მომიმზადა-მეთქი...

— ქალბატონო ლია, თემო ხშირად გსაყვედურობთ ხოლმე, დედისერთობის გამო?

— არა, არასდროს უთქვამს საყვედური. პირიქით, ხშირად უთქვამს ხოლმე: და ან ძმა რომ მყავდეს და რაიმე წამოსტკივდეს, ხომ ძალიან ვიდარდებდიო?

— თემო, როგორ ფიქრობ — შენ რამდენი შვილი უნდა გყავდეს?

— ვეცდები, ჩემს მშობლებს მივბაძო...

— დედასა და მეუღლეს შორის უთანხმოება რომ წარმოიქმნას, შენ ვის მიემხრობი?

— ღმერთმა ნუ ქნას, რომ ასე მოხდეს, მაგრამ თუ მაინც ასე იქნება, ისე მოვაგვარებ სიტუაციას, რომ ერთი მხარეც და მეორეც კმაყოფილი დარჩეს. ისინი ხომ ჩემი უსაყვარლესი ადამიანები იქნებიან?

— წინასწარ ვიცი, რომ უამრავი გოგონა გამოგეხმაურება. ზოგიერთი მათგანი მხოლოდ წერილს გვიგზავნის ხოლმე, ზოგი სურათსაც დაურთავს. რა პრინციპით შეარჩევ გოგონას შესახვედრად?

— ჯობს, სურათი გამოგზავნოს, მაგრამ სხვისი კი არა — თავისი: როდესაც შეხვედრაზე მივალ და იმ გოგონას ვერ ვიცნობ, რომელსაც სურათით ავირჩევ, ახლოსაც არ გავეკარები. თუ არა და გავიცნობ და შემდეგ მასზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორ განვითარდება ჩვენი ურთიერთობა...

თემო ხვიბლიანთან შეხვედრის მსურველებს შეუძლიათ დამირეკონ ტელეფონით 8(77) 45.68.61. სცადეთ ბედი — იქნებ გაგიმართლოთ?

■

თუ სიყვარული მეწვევა, უკან არ დავიხევ...

რამდენიმე წლის წინ, მეგობარმა თავისი ბებიის პირადი არქივიდან წერილი მომიტანა. წერილი ფრონტიდან იყო გამოგზავნილი. დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ჯარისკაცის ხელით დაწერილმა გაცრეცილმა სამკუთხა ბარათმა.



„ჰლიეჩე ცეესიშ“ ზ „masonuri mzera“ და უკანრიგ თვალები



ლელა ჭანკოტაძე

„...ნინა, გენაცვალე, არ დამიჯერებ, მაგრამ შენი თვალები, ჩემთვის მუდამ საოცნებო და საყვარელი, ახლა ჯარისკაცულ ცხოვრებას მიადვილებს, ხიფათს მარიდებს და ცხადია, იმედითაც მავსებს. გუშინ საოცარი რამ მოხდა. არ ვიცი, დამიჯერებ თუ არა. მე კი მართლა დამფრთხალი ვარ და ცოტათი დაბნეულიც. ორ რუს ჯარისკაცთან ერთად სანგრიდან ამოვედი და გზის დათვალიერება დავიწყე. ეს ჩვეულებრივი სამხედრო დავალებაა. ჯერ გზას დავათვალიერებთ, შევამოწმებთ, სადმე ნაღმი ხომ არ არის და ამის შემდეგ მივიწევთ წინ, სრული შემადგენლობით. როგორც კი სანგრიდან ამოვძვერი, მაშინვე უსიამოვნო შეგრძნება დამეუფლა. ნინა, გენაცვალე, გთხოვ, დამიჯერო! დაჟინებული მზერა ვიგრძენი. მომეჩვენა, თითქოს შენი დიდრონი შავი თვალები მომჩერებოდა. მცირე მანძილი რომ გავიარე, გველნაკბენივით შევჩერდი. ჩემგან მარჯვნივ მკაფიოდ დავინახე ქალის ლანდი. იმ ლანდს შენი თვალები ჰქონდა. ეს წამში მოხდა. თუმცა, ეს მცირე დროც საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ის ორი რუსი ჯარისკაცი ჩემზე წინ წასულიყო. მოულოდნელად აფეთქების ხმა გაისმა. ნაღმზე აფეთქდნენ. ახლა ხომ მიხვდი, რატომ მოგწერე – შენი თვალები ხიფათს მარიდებს-მეთქი“...

შეუძლია თუ არა ადამიანის თვალებს, სხვა ადამიანს მხსნელად მოევლინოს? ამ კითხვით პარაფსიქოლოგ **ლარისა ქარაიას** *მივმართეთ.*

– ხშირად მეკითხებიან, შეიძლება თუ არა თვალებით განისაზღვროს ადამიანის ბუნება? რა თქმა უნდა, შეიძლება. თვალები არა მარტო სულის სარკეა, არამედ ყოვლისშემძლეცაა. თვალით შეგიძლია შეაღწიო სხვა ადამიანის ბიოველში და მართო იგი. მქონდა ურთიერთობა რამდენიმე ადამიანთან, რომლის თვალები დამანგრეველ ძალას ატარებდა.

— რას გულისხმობთ?

– უამრავი ადამიანი დილით, როცა საქმეზე მიიჩქარის, ცდილობს, არ შეხვდეს ისეთ ადამიანს, რომელსაც ცუდი თვალი აქვს. ყველას ჰყავს ასეთი მეზობელი, მეგობარი ან ოჯახის წევრი. მაგალითად, ორთაჭალაში ცხოვრობს ქალი, რომელსაც მთელი მოსახლეობა ემალება. თუ ვინმე საქმიან შეხვედრაზე მიდის და გზაში ამ ქალს გადაეყრება, მან უკვე იცის, რომ შეხვედრა ჩაიშლება ან წარუმატებელი აღმოჩნდება. ასეთი ავი თვალის მქონე ადამიანები ცოტანი როდი არიან.

— როგორ შეიძლება მათგან თავის დაცვა?

– აუცილებელია ლოცვები და აურის გაწმენდა. ავი თვალი განსაკუთრებით იოლად მოქმედებს ისეთ ადამიანზე, რომელსაც აურა დაბინძურებული აქვს. ე.წ. „მასონური მზერა“ სწორედ იმ ადამიანებს აქვთ, ვისაც დაბადებიდან ავი თვალი ჰქონდათ. ავი თვალის მქონე ადამიანს სპეციალური ვარჯიშებით და მაგიით შეუძლია მიაღწიოს იმას, რომ გამოიმუშაოს „მასონური მზერა“. ამგვარი მზერით შეიძლება გავლენა მოახდინო ადამიანებზე და აიძულო ისინი, გაიზიარონ შენი აზრი, შეგიყვარონ და ამ სიყვარულით დაიმორჩილო. „მასონური მზერა“ როცა პოლიტიკოსს აქვს, ცხადია, ის წარმატებას აღწევს. მისთვის იოლია მუდმივი ზემოქმედების ქვეშ ადამიანების მოქცევა. თანაც, „მასონური მზერა“ თავის ძალას ტელეეკრანის მიღმაც არ კარგავს. ე.ი. ადამიანები ამ მზერის ძალას განიცდიან ტელევიზორის ყურების დროსაც კი. თუ ადამიანს უნდა, რომ თავი დაიცვას, მან ყოველთვის უნდა ატაროს ჯვარი.

— გარეგნულად თუ შეიძლება იმის გარკვევა, თუ როგორი თვალი აქვს ადამიანს?

– ამას გარეგნულად ვერ შეამჩნევთ. უფრო ხშირად, ჭრელთვალა ადამიანებს აქვთ ცუდი თვალი. თუმცა, „მასონური მზერა“ ძირითადად, თაფლისფერთვალა ადამიანებს აქვთ. ცუდი თვალი ქვეცნობიერად უნდა იგრძნოთ, რადგან როგორც კი ასეთი თვალის მქონე ადამიანი შეგხვდებათ, აფორიაქდებით და უსიამოვნო შეგრძნება დაგეუფლებათ.

ია ნემსაძე, *ფსიქოლოგი:*

– როცა პაციენტს ვესაუბრები, განსაკუთრებულ ყურადღებას მის თვალებს ვანიჭებ. ჩემი პაციენტების თვალები თავიდან, სევდითა და დარდითაა სავსე, ჰგავს იმ ოკეანეს, რომელზეც ნისლი ჩამოწვა. მკურნალობის დასრულებას და მის შედეგს ძირითადად, თვალების საშუალებით ვსაზღვრავ. თვალები გამოცოცხლდება და მე თითქოს ორი მანათობელი შუქურა

მომჩერებია... რომ დააკვირდეთ ფსიქიკურად დაავადებული ადამიანების თვალებს, გულში ტკივილს იგრძნობთ. მათი არსება გამოწურული, გამოფიტული და უძლური რომ არის, ეს მათ თვალებში ჩანს.

— როგორ ფიქრობთ — არსებობს ავი თვალი?

— ბებიისგან გამიგონია: იმ ქალს, როგორი ცუდი თვალი აქვსო, — ამიტომ ამ ფაქტის უარყოფა არ შემიძლია. მაგრამ ჩვენ, ფსიქოლოგები, ცხადია, თვალის ასეთ განსაზღვრებას არ ვცნობთ. უბრალოდ, ადამიანებს აქვთ უნიკალური უნარი, რაღაც გამოიგონონ, დაიჯერონ და ამ რაღაცით თავი დაიავადონ. მე მყოლია პაციენტები, რომლებიც მიამბობდნენ ნაცნობის, მეზობლის ან თანამშრომლის შესახებ, რომელიც თითქოს მათთვის სასიცოცხლო ენერგიის წართმევის უნარით გამოირჩეოდა. ეს მხოლოდ ცრურწმენაა. თუმცა, ჩემი პაციენტები მარცხს და ხიფათს ეყრებოდნენ, როცა ასეთი ამოჩემებული ადამიანი ხვდებოდათ. სამწუხაროდ, ჩვენს საზოგადოებაში ჯანსაღი ფსიქიკის დეფიციტი იგრძნობა. საკუთარი წარუმატებლობა სხვის თვალს ამიტომაც გვინდა დავაბრალოთ.

ნატაშა სკოროხოდოვა, *ნათელმხილველი:*

— ხშირად გაიგონებთ ფრაზებს: ავი თვალი, თვალნაცემი, გათვალული და ა.შ. ზოგიერთი ადამიანი სკეპტიკურად არის განწყობილი — მათ ავიწყდებათ, რომ განსაზღვრება — ცუდი თვალი — ჩვენი წინაპრებისგან მოდის. ზოგიერთ ადამიანს ისეთი თვალი აქვს, რომელიც სხვა ადამიანს აყენებს ზიანს. ასეთი თვალები ხშირად ჭროღაა, ღია ფერისაა და უსიამოვნო განცდას იწვევს. წლების წინ, ჩემთან მოვიდა ახალგაზრდა ქალი, რომელმაც შემომჩივლა: ავი თვალი მაქვს — საკმარისია, ჩემს შვილს შევხედო, დავაკვირდე და ვთქვა: დედა გენაცვალოს, რა კარგი მყავხარ-მეთქი! — რომ ბავშვი მაშინვე ავად ხდება; ამას რომ მივხვდი, გული საშინლად მეტკინა; მაგრამ რა ვქნა? — ჩემი ბრალი არ არის, ასეთი რომ ვარ, განა ჩემი შვილი სხვა დედებზე ნაკლებად მიყვარსო?! — ეს იშვიათი შემთხვევა არ არის. სამწუხაროდ, ბევრ დედას შეუძლია საკუთარი შვილი გათვალოს. მაგალითად: ოზურგეთიდან ჩამოვიდა ძალიან სათნო ქალბატონი. ისეთი სანდომიანი სახე ჰქონდა, ვერ იფიქრებდით, რომ მას ვინმესთვის ზიანის მიყენება შეეძლო. როგორც კი მარტონი დავრჩით, შემომჩივლა: ვიტანჯები, მთელი ცხოვრების მანძილზე გულს მიკლავს იმის წარმოდგენაც კი, რომ ერთადერთ ქალიშვილს ცხოვრებას ვურთულებო. იმ ქალს გაუთხოვარი ქალიშვილი ჰყავდა. საკმარისი იყო, შვილს ვინმე შეჰყვარებოდა და დედას ეთქვა — ძალიან კარგი წყვილი ხართო, — რომ სიყვარული ქრებოდა და წყვილს შორის განხეთქილება ჩნდებოდა...

— როგორ მივიდა ის ქალი იმ დასკვნამდე, რომ შვილს თვალით ცხოვრებას უნგრევდა? ალბათ ამის გაცნობიერება რთული იქნება.

— იმ ქალს პირობითად თინა დავარქვათ. თინას თურმე დედამთილი ხშირად ეუბნებოდა: ბავშვი მაშინ იწყებს ტირილს, როცა შენ მიაჩერდები, ნუ იცი ასეთი დაჟინებული ყურებაო. ცხადია, თინას არ უნდოდა ამის დაჯერება. მაგრამ ერთ დღეს გადაწყვიტა, შვილს დაჰკვირვებოდა. მიდიოდა მის საწოლთან და მძინარეს უყურებდა, ბავშვი მაშინვე ტირილს იწყებდა. როცა გაიზარდა, თუ თინა იტყოდა: ნახეთ, ჩემი გოგო, წვიმა-წყალივით წინ წამოვიდაო, — ბავშვი აუცილებლად ავად გახდებოდა... თინას მსგავსი დედა უამრავია. ასეთი რამ დიდი სიყვარულის შედეგია. ეს უმეტესად, იმ ქალებს ემართებათ, რომლებსაც ჰგონიათ, რომ მათი შვილი ყველა ბავშვზე უკეთესია.

— გამოსავალი თუ არსებობს?

— გამოსავალი ძალიან მარტივია: ასეთმა ქალებმა ხშირად უნდა წაიკითხონ „დედის ლოცვა". მორწმუნე ადამიანს არ შეიძლება, ავი თვალი ჰქონდეს. მოხუცმა ადამიანებმა იციან, რომ არა მარტო ავი თვალი, არამედ „გლახა წარბიც" არსებობს. მე ვიცნობ არაჩვეულებრივ მამაკაცს, რომელმაც თავის დას წარბი მოჰპარსა. როგორც კი და იტყოდა: „გლახა წარბი" მითამაშებსო, — მაშინვე, ოჯახში რაიმე უბედურება ხდებოდა. ამ ოჯახის საქმე უკან-უკან მიდიოდა. ხოლო როცა ათი წლის ლოდინის შემდეგ, ამ კაცის ცოლი დაფეხმძიმდა, დამ კი თქვა: „გლახა წარბი" მითამაშებსო, — ძმამ დასვა და წარბი მოჰპარსა... განსაკუთრებით სოფლელი ქალები აქცევენ დიდ ყურადღებას თვალის თამაშს. როცა იტყვიან: თვალი მითამაშებსო, — ეს ნიშნავს, რომ რაღაც ცუდი მოხდება. თუმცა, ბევრი ამბობს: თუ მარჯვენა თვალი მითამაშებს — სიხარულია, თუ მარცხენა — ცრემლიო. ერთხელ, გამწარებულმა ქალმა დახმარება მთხოვა. მითხრა: თვალი რომ ამითამაშდება, შიშით ვკვდები, მგონია, რომ ვიღაც მოკვდება, როგორ შეიძლება ეს შიში დავძლიოო?! მე ვუპასუხე: თვალმა თქვა, — მე შენი უამრავი საიდუმლო ვიცი, რომელსაც არავის ვუმხელ, მე კი, ერთ საიდუმლოს განდობ, წინასწარ განიშნებ ცუდი ამბავის მოახლოებას და შენ ამის შესახებ ყველას ეუბნებიო. და დავძინე: თუ გაჩუმდები და ხმამაღლა არ იტყვი, რომ „ცუდი თვალი" გითამაშებს, ცუდი არაფერი მოხდება-მეთქი. იმ ქალმა დაიჯერა ჩემი რჩევა. რამდენიმე წლის შემდეგ მესტუმრა და მითხრა: თვალი საერთოდ აღარ მითამაშებს, ხოლო თუ ამითამაშდება, უკვე ვიცი, რომ ცუდი არაფერი მოხდებაო. ასე რომ, რწმენას დიდი მნიშვნელობა აქვს.

მამა ვახტანგი, *ივერიის ღვთისმშობლის ტაძრის მოძღვარი:*

— ავი თვალი, რა თქმა უნდა, არსებობს. თანაც მას დიდი უარყოფითი ძალა აქვს. ავ თვალს შეუძლია, პატიოსან ადამიანს სწორი გზიდან გადაახვევინოს, ცხოვრება გაურთულოს, უბედურება მოუტანოს.

— ავ თვალს მორწმუნე ადამიანზეც შეუძლია მოახდინოს ზემოქმედება?

— დიახ. სამწუხაროდ, ასეა. თუმცა მორწმუნეს მტკიცე საფრად რწმენა აქვს, ის მაინც შეიძლება მოხვდეს როგორც ავი თვალის, ასევე ავი ზრახვის გავლენის ქვეშ. არა მარტო ავმა თვალმა, არამედ გულში გაჩენილმა ბოროტმა ფიქრმაც შეიძლება ავნოს ადამიანს.

— როგორ შეიძლება, რომ ამისგან თავი დავიცვათ?

— ღვთის სახლში უნდა ვპოვოთ ხსნა. მხოლოდ ლოცვებს შეუძლია, ადამიანი ავი თვალისგან იხსნას. არ დაგავიწყდეთ, რომ ავი თვალი მორწმუნე, ღვთის მოშიშ ადამიანსაც შეიძლება ჰქონდეს. ის ღმერთს უნდა შეევედროს პატიებას — უფალი ყოვლისშემძლეა, მას დაეხმარება იმაში, რომ თვალი განიწმინდოს.

ამბავი, რომელიც მანანა ნებიერიძემ მომიყვა, ერთი შეხედვით ბანალურია, მაგრამ მას საოცარი დასასრული აქვს. მანანა თბილისელია. მან სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი დაამთავრა. ჯერ თელავში მუშაობდა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად, შემდეგ — ახალციხეში. ახლა ერთ-ერთ პრესტიჟულ კომერციულ ინსტიტუტში კითხულობს ლექციებს.



მანანა ნეგიერიძე:

— დიდი ხნის განმავლობაში მინდოდა თქვენთან დაკავშირება. ჩემი ამბავი მსურდა, მომეთხრო, მაგრამ გამბედაობა არ მყოფნიდა. არ ვიცი, ის სტუდენტები, რომლებიც ყოველდღიურად თვალებში შემომყურებენ, გამიგებენ თუ არა. მე ყველას პატიება უნდა ვთხოვო. თხრობას იმით დავიწყებ, თუ როგორ გავიცანი კოტე ბახტაძე. ერთ დღეს, უნივერსიტეტის წინ მაღალი, გამხდარი ყმაწვილი დავინახე. სხვებისგან არაფრით გამოირჩეოდა, მაგრამ მის თვალებს რომ შევხედე, ავკანკალდი: ასეთი ლამაზი და უძირო თვალები არასდროს მინახავს. სწორედ ის საოცარი თვალები გახდა იმის მიზეზი, რომ კოტესთან მივსულიყავი და გავცნობოდი. მოხდა ისე, რომ მას შევუყვარდი, მეც მიყვარდა. მის თვალებში სიწმინდეს, სისპეტაკეს და უზომო სიყვარულს ვხედავდი. კოტე რაიონიდან იყო ჩამოსული და ისტორიის ფაკულტეტზე სწავლობდა, მე კი მეცხრეკლასელი ვიყავი. ცხადია, მშობლები ჩვენი სიყვარულის წინააღმდეგ წავიდნენ. მამა განრისხდა, დამემუქრა: მაგ ყალთაბანდს თუ არ დაივიწყებ, იცოდე, მოვკლავო.

— მამას შეეძლო მუქარის შესრულება?

— დიახ. მამაჩემი ნაციხარი იყო და ძალიან მძიმე ხასიათი ჰქონდა. ოჯახში ყველას გვეშინოდა მისი. მაგრამ უზომოდ ვიყავი შეყვარებული და უკან დახევას არ ვაპირებდი. ზაფხულში სოფელში წავედით მე, ჩემი ძმა და დედა. კოტემ ჩამომაკითხა, ბინა იქირავა. ჩვენ თითქმის სულ ერთად ვიყავით, რადგან დედა სრულ თავისუფლებას მაძლევდა. შემეძლო, საათობით მემზირა კოტეს თვალებისთვის. კოტე რომ მომაჩერდებოდა, ყველაფერზე მზად ვიყავი, მისთვის უარის თქმა არაფერზე შემეძლო. ამიტომაც დავნებდი... თბილისში რომ დავბრუნდი, თავს ცუდად ვგრძნობდი. დედას რომ ავუხსენი, რაც მაწუხებდა, გაფითრდა. დეიდაჩემი გინეკოლოგი იყო. დედამ მაშინვე მასთან წამიყვანა. ფეხმძიმედ ვიყავი. ეს ფეხმძიმობა ჩემთვის უბედურებად იქცა.

— კოტეს არ გაუმხილეთ, ფეხმძიმედ რომ იყავით?

— როგორც კი ვუთხარი, მაშინვე ხელი მტაცა და გურიაში თავის ნათესავებთან წამიყვანა. ჩემს სახლში კი დარეკა და თქვა: მანანა ცოლად შევირთეო. მამა განრისხდა, რვა დღე გვეძებდა. ვიმალებოდით. ბოლოს, მაინც გვიპოვა. ახლაც თვალწინ მიდგას კოტეს განწირული სახე, მამაჩემს რომ ვუთხარი — ძალით წამომიყვანა-მეთქი.

— სიმართლე რატომ არ უთხარით?

— შემეშინდა, არ მოვეკალი.

— კოტე რომ მოეკლა?

— იქ მილიციელებიც იყვნენ. ისინი არ მისცემდნენ კოტეს მოკვლის საშუალებას, რადგან კოტე დააპატიმრეს. მას სამი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. თანაც, მამა დამემუქრა: სახლში თუ არ წამოხვალ, დედაშენს თავს მოვაჭრიო... ჩემი გაგება მხოლოდ იმათ შეუძლიათ, ვისაც ასეთი მამა ჰყავდა. თქვენ არ იცით, როგორი დათრგუნვილია ბავშვი, რომლის თვალწინაც დედამისს სცემენ. ხშირად ყოფილა შემთხვევა, როცა მამა დედას წიხლით სცემდა, დედა ყვიროდა: მიშველეთო! — მე და ჩემი ძმა კი, გარეთ გავრბოდით და მეზობლებს ვეძახდით... ამის გახსენება ჩემთვის ძალიან ძნელია. სწორედ მამაჩემის გამო ვთქვი შვილზე უარი. მან ვერ გაიგო, ფეხმძიმედ რომ ვიყავი, რადგან ორსულობის ბოლო თვეები დეიდის სახლში გავატარე. დეიდამ მამშობიარა. მას დედაჩემი ეხმარებოდა. ეს ყველაფერი დეიდაჩემის აგარაკზე, წყნეთში მოხდა. როგორც კი ვიმშობიარე, მაშინვე მამისეულ სახლში დავბრუნდი.

— ახალშობილს რა ბედი ეწია?

— არასდროს მიკითხავს, სად წაიყვანეს ჩემი ბიჭი. ოღონდ მამაჩემს არაფერი გაეგო და მზად ვიყავი, მისი არსებობა სამუდამოდ დამევიწყებინა. მაშინ თხუთმეტი წლის ვიყავი, შეშინებული, დამფრთხალი ბავშვი მხოლოდ საკუთარი თავის გადარჩენაზე ვფიქრობდი.

— კოტეს ალარ შეხვედრიხართ?

— კოტე ციხეში მოკლეს. პატიმრობის მეორე წელს, ის თავის საკანში გაგუდული იპოვეს. მისი სიკვდილით დასრულდა ჩემი სიყვარული. სკოლა რომ დავამთავრე და სტუდენტი გავხდი, ჩემს ჯგუფელ ბიჭს შევუყვარდი. მამას ის მოეწონა. მინდა, ჩემი სიძე გახდესო, — თქვა. ეს ჩემთვის საშინელება იყო. თუ გავთხოვდებოდი, სიმართლე გამოაშკარავდებოდა. იძულებული გავხდი, იმ ბიჭისთვის თავი შემეძულებინა. მაგრამ არაფერი გამომივიდა. ბოლოს, ყველაფერი დაწვრილებით ვუამბე. მეგონა გამიგებდა. მოვტყუვდი. მან მთელ ბიჭებს გააგებინა ჩემი ამბავი. ამას ისიც დაერთო, რომ მამაჩემი დაიჭირეს. რვა წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. მე უპატრონოდ დავრჩი. ჩემი ამბავი მთელმა უნივერსიტეტმა შეიტყო. გამწარებულმა თვითმკვლელობა ვცადე. ამის გამო უმეტესობას შევეცოდე. სიბრალულმა და თანაგრძნობამ ბევრი მეგობარი შემძინა. თუმცა, ვერავის შეყვარება ვეღარ შევძელი. ამასობაში, ოცდახუთი წელი გავიდა. შარშან, ლექციების შემდეგ. ერთ-ერთი სტუდენტი მოვიდა და მითხრა: პატივცემულო, ჩვენს ჯგუფელს დედა გარდაეცვალა, თქვენც ხომ არ წამობრძანდებით სამძიმრის სათქმელადო? დავთანხმდი და წავყევი. ეს შემთხვევა საბედისწერო აღმოჩნდა.

— რატომ?

— როგორც კი იმ ოთახში შევედით, სადაც მიცვალებული იყო დასვენებული, საოცარი მზერა ვიგრძენი. თითქოს დენმა დამარტყა, ისე შევკრთი. ოთახში ვიღაც ბიჭი იდგა და კოტეს თვალებით შემომყურებდა. ის ბიჭი ჩემი და კოტეს შვილი იყო. მაშინვე ჩემს სტუდენტს ვკითხე: ვინ არის-მეთქი? — ჩემი ბიძაშვილია, ნაშვილებია; ნეტავ, დედამისი მაჩვენა, ასეთ შვილს რომ შეელიაო... — ატიკტიკდა ჩემი სტუდენტი. იმ ბიჭისთვის ლევანი დაურქმევიათ.

— მასთან დაახლოება არ გიცდიათ?

— არა. მე მასზე უარი ვთქვი. საკუთარი თავი რომ გადამერჩინა, ის მივატოვე, ბედის ანაბარა მივაგდე. მამის შიშის გამო, მისი შეყვარებაც კი ვერ შევძელი. რა უფლება მქონდა, რომ მივსულიყავი და მეთქვა — დედაშენი ვარ, გთხოვ, მაპატიო და შემიყვარო-მეთქი?! უბრალოდ, მე ის ვიცანი. თავისი მამიკოს თვალებით ვიცანი. უძირო, ცისფერი თვალებით... ეს ამბავი მხოლოდ იმიტომ მოგიყევით, რომ ლევანის მშობლები თუ წაიკითხავენ, გაიგონ, როგორი წარსული აქვს მათ შვილს, რომ მათი ერთადერთი ვაჟი დიდი სიყვარულის ნაყოფია. ვერასდროს ვერ გავბედავ, ლევანს პატიება ვთხოვო, რადგან მე ვერ შევძელი მამაჩემისთვის მეპატიებინა ის, რაც გამიკეთა. მის დაკრძალვაზეც კი არ მივსულვარ, რადგან მიმაჩნია, რომ ჩემი ყველა უბედურების მიზეზი მამაჩემია...

■

ექვსჯერ ნასამართლევ მელქაძეს პროკურატურა ამჯერად ცოლ-ქმრის მკვლელობაში აღანაშაულებს

„განსასჯელის ვერსიით, მშობლები საკუთარმა ძალიშვილმა გამოასალმა სიცოცხლეს“

2002 წლის 24 ნოემბერს, თბილისში, ნინოშვილის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ სახლში, მოკლული ცოლ-ქმრის გვამები იპოვეს. გარდაცვლილებს თავსა და სხეულის სხვა ნაწილებში მრავალი დაზიანება ჰქონდათ მიყენებული. ქმარი — 76 წლის მიხეილ მაისურაძე გახლდათ, ხოლო ცოლი — 66 წლის ლილი ქადეიშვილი. საქმის მასალების თანახმად, მკვლელობა გიორგობა დღეს — 23 ნოემბერს მოხდა. ცოლ-ქმრის გარდა, იმ დროს, შინ მათი ქალიშვილი — თამარ მაისურაძე და ნათესავი — ვლადიმერ მელქაძე იმყოფებოდნენ...

ნინოშვილის ქუჩის №30-ში, კერძო სახლში მცხოვრები მაისურაძეების ოჯახი 5 წევრისაგან შედგებოდა. ლილი ქადეიშვილი და მიხეილ მაისურაძე მეორე სართულზე ცხოვრობდნენ, ხოლო მათი ქალიშვილი – თამარი თავის ქმარ-შვილთან – ჯიმშერ და მიხეილ მჟავანაძეებთან ერთად – მესამეზე. პირველ სართულზე ბუხრიანი დარბაზი და მაღაზია იყო განთავსებული.

ქუთაისელი ვლადიმერ მელქაძე ჯიმშერ მჟავანაძის მამიდაშვილი გახლდათ. 2002 წლის 17 ნოემბერს, ის მამიდაშვილს თბილისში ესტუმრა, ორი დღით დარჩა, შემდეგ კი კვლავ ქუთაისში გაემგზავრა. სამ დღეში – 21 ნოემბერს, სრულიად მოულოდნელად, ისევ მივიდა აღნიშნულ ოჯახში. თამარ მაისურაძეს ამჯერად, მისი სტუმრობა გაუკვირდა. ვლადიმერ მელქაძემ ნათესავებს აუხსნა: რუსთავის კოლონიაში მაქვს საქმე, ბინის შეძენასთან დაკავშირებით ერთი პატიმარი მყავს სანახავიო. მიუხედავად ამისა, მომდევნო დღეებში, მაისურაძეების სახლიდან იგი არსად წასულა.

როგორც გამოძიების მასალებშია აღნიშნული, მთელი ამ ხნის განმავლობაში, მელქაძე თამარ მაისურაძის მშობლების მიმართ განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა. თამარს მათი ცხოვრების წესსა და ფინანსურ მდგომარეობაზე ეკითხებოდა. მისგან შეიტყო, რომ მიხეილ მაისურაძემ ძველი სახლი გაყიდა, აღებული თანხა კი საქმეში ჩადო. ისიც გაიგო, რომ მაისურაძეს, ამის გარდა, შემოსავლიანი სამსახურიც ჰქონდა, ბოლო დღეებში მან სიძეს – ჯიმშერ მჟავანაძეს თურმე ახალი ავტომობილის შეძენა შესთავაზა.

ორი დღის შემდეგ, მიხეილ მაისურაძე და ლილი ქადეიშვილი საკუთარ სახლში მოკლულები იპოვეს. ბინიდან 5.000 ლარამდე ღირებულების ძვირფასეულობა იყო გატაცებული.

მომხდარის შესახებ ოჯახის წევრებს პოლიციისთვის მაშინვე არ უცნობებიათ. დანაშაულის თაობაზე სამართალდამცავებმა მხოლოდ მეორე დღეს – 24 ნოემბერს შეიტყვეს. დაზარალებულმა მათ განუცხადა, რომ მკვლელობები ვლადიმერ მელქაძემ ჩაიდინა. ამ ინფორმაციის საფუძველზე მელქაძე დააკავეს. დანაშაული მან თავიდანვე კატეგორიულად უარყო, გამოძიებას, პროტესტის ნიშნად (როგორც თავად აღნიშნავს), ჩვენება არ მისცა და დუმილის უფლება გამოიყენა.

პროკურატურამ მელქაძეს ორი ადამიანის მკვლელობის (დამამძიმებელ გარემოებებში) ბრალდება წაუყენა. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით ამჟამად, სასამართლო განხილვა მიმდინარეობს და განსასჯელი ჯერჯერობით, დამნაშავედ ცნობილი არ არის, თუმცა, როგორც გაირკვა, მისთვის ეს პირველი ბრალდება არ ყოფილა – მელქაძე ექვსჯერ იყო ნასამართლევი. პირველად, იგი 1982 წელს, ქუთაისის ავტოქარხნის რაიონის სასამართლომ გაასამართლა და 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. იქიდან მოყოლებული, მელქაძე სხვადასხვა დანაშაულისთვის, უმეტესად – ქურდობა-ყაჩაღობისთვის იხდიდა სასჯელს. 2000 წელს, მცხეთის სასამართლომ მას 10 წლით პატიმრობა მიუსაჯა. მრავალი წლის მანძილზე ციხეში ცხოვრებამ ვლადიმერ მელქაძე დაასნეულა – იგი ტუბერკულოზით დაავადდა და 2002 წელს, თბილისის საოლქო სასამართლომ მისი პატიმრობიდან გათავისუფლების გადაწყვეტილება მიიღო. მოსამართლეებმა, სამედიცინო დოკუმენტების საფუძველზე, მელქაძეს დარჩენილი სასჯელის მოხდა გამოჯანმრთელებამდე გადაუვადეს.

ვლადიმერ მელქაძე ციხიდან გათავისუფლდა, თუმცა, გამოძიების მასალებით თუ ვიმსჯელებთ, ავადმყოფობას მისთვის მორიგი, მძიმე დანაშაულის ჩადენაში ხელი არ შეუშლია. ცოლ-ქმრის მკვლელობის გამო, იგი ისევ საპყრობილეში აღმოჩნდა.

სასამართლოში ვლადიმერ მელქაძემ მაისურაძეების ოჯახში ჩადენილი დანაშაულის შესახებ ჩვენების მიცემა გადაწყვიტა, თუმცა, მკვლელობები არც ამჯერად აღიარა. მისი თქმით, 2002 წლის 23 ნოემბერს, მაისურაძეების სახლიდან დილით გავიდა და საღამომდე არ დაბრუნებულა. „როცა იქ მივედი, უკვე ყველაფერი მომხდარი იყო. არაფერი ვიცოდი. მთელი დღე მეგობარ ქალთან გავატარე. მის ვინაობას კი ვერ გავამხელ“, – აღნიშნა მელქაძემ. როგორც განსასჯელი ხსნის, თამარ მაისურაძეს მელქაძის დადანაშაულება ხელს აძლევს, რადგან მისი ვალი მართებს და დიდი ხანია, მის ჩამოშორებას აპირებს.

დაზარალებული ამ ყველაფერს უარყოფს. მის ჩვენებას პროკურატურაც უჭერს მხარს და როგორც საბრალდებო დასკვნაშია აღნიშნული, გამოძიებით მოპოვებული მტკიცებულებები სწორედ მელქაძის ბრალეულობას ადასტურებს.

საბრალდებო დასკვნის თანახმად, დანაშაული ასეთ ვითარებაში მოხდა: 2002 წლის 23 ნოემბერს, ვლადიმერ მელქაძე დილიდან იმყოფებოდა მაისურაძეების სახლში და განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ხელსაყრელ მომენტს ელოდებოდა. შინ იყო თამარ მაისურაძეც. დაახლოებით 12 საათისთვის, მეორე სართულზე, მშობლებთან ჩავიდა. ორივე ასაუზმა, რის შემდეგაც მამამისი – მიხეილ მაისურაძე საქმეების მოსაგვარებლად სახლიდან გავიდა. მისი მეუღლე – ლილი ქადეიშვილი დიაბეტით გახლდათ დაავადებული, იმ დღესაც დაბალი წნევა ჰქონდა და თავს ცუდად გრძნობდა. თამარი პერიოდულად ჩადიოდა მეორე სართულზე, დედის ჯანმრთელობის მდგომარეობის გასარკვევად. დღის 3 საათზე, ის თავის ბინაში იმყოფებოდა და საინფორმაციო ტელეგადაცემას უყურებდა. სწორედ ამ დროს, ვლადიმერ მელქაძემ შესაფერისი მომენტი იხელთა, შეუმჩნევლად გავიდა თამარის ბინიდან და ამ უკანასკნელის მშობლების ბინაში შევიდა. ქონების მისაკუთრების მიზნით, მან ავადმყოფ ლილი ქადეიშვილს, გამოძიებით დაუდგენელი ბლაგვი საგნით თავის არეში სასიკვდილო დაზიანებები მიაყენა. ქადეიშვილი ადგილზევე გარდაიცვალა.

საინფორმაციო გადაცემა რომ დასრულდა, თამარ მაისურაძემ კვლავ გადაწყვიტა დედის მონახულება. მასთან ჩავიდა, მაგრამ ბინაში შესასვლელი კარი დაკეტილი დახვდა. ისევ შინ აბრუნდა და დედასთან დაკავშირება ტელეფონით სცადა. ყურმილს არავინ იღებდა. თამარმა იფიქრა, რომ დედამისს ჩაეძინა და ქვემოთ აღარ ჩასულა.

მკვლელობის შემდეგ, დაახლოებით 5 საათზე, მასთან მელქაძე მივიდა და უთხრა: ფული მჭირდება, ვეცადე, დედაშენი მეიძულებინა, ეთქვა, სად ინახავდა ფულს, მაგრამ მისგან ვერაფერი შევიტყვე და შემთხვევით ხელში შემომაკვდაო. ამ

სიტყვებს მან მუქარაც მოაყოლა: იცოდე, არაფერი თქვა, რამე არ წამოგცდეს, თორემ ჯერ შენს შვილს მოვკლავ, მერე კი, შენ და შენს ქმარსაც დაგხოცავთო.

გაოგნებული და შეშინებული თამარ მაისურაძე შეეცადა, მომხდარის შესახებ დეიდაშვილისთვის შეეტყობინებინა. ჩუმად დარეკა კიდეც, მაგრამ ლაპარაკი დაიწყო თუ არა, ოთახში მელქაძე შევიდა, ყურმილი ხელიდან გამოსტაცა და ტელეფონიც გამორთო. მალე შინ თამარ მაისურაძის შვილი – მიშიკო დაბრუნდა. თამარმა ვერც მისთვის და ვერც ქმრისთვის ვერ გაბედა რამის თქმა, რადგან მელქაძის მუქარის რეალურობაში უკვე დარწმუნებული იყო. დაახლოებით 9 საათისთვის, მელქაძე კვლავ მეორე სართულზე ავიდა, ბინაში შევიდა და გადაწყვიტა, იქ მიხეილ მაისურაძის მოსვლას დალოდებოდა. ეს უკანასკნელი შინ დაახლოებით ათის თხუთმეტ წუთზე დაბრუნდა. ბინაში შევიდა თუ არა, მელქაძე მას მაშინვე დაესხა თავს, ჯერ რაღაც საგანი ჩაარტყა თავში, შემდეგ კი ტანის არეში არაერთი მძიმე დაზიანება მიაყენა. მიხეილ მაისურაძე ადგილზევე გარდაიცვალა, მელქაძემ კი ბინის ჩხრეკას მიჰყო ხელი. მხოლოდ ძვირად ღირებულ სამკაულებს მიაგნო, ყველაფერი აიღო და კვლავ თამართან ავიდა. უთხრა: ახლახან, მამაშენიც მოვკალიო და ისევ დაემუქრა: არავის არაფერი გაუმხილოო. ამის შემდეგ, სააბაზანოში შევიდა, გასისხლიანებული წინდები გარეცხა, თუმცა, შემთხვევით, ელექტროჩამრთველზე სისხლის კვალი დატოვა. გადაწყვიტა, არსად წასულიყო და მთელი ღამე, თამარ მაისურაძის ბინაში გაეტარებინა; ქალზე ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ახდენდა, აშინებდა, ემუქრებოდა. ერთხანს, მისი შვილის – მიშიკოს საძინებელშიც შევიდა და მთელი ღამის განმავლობაში ფხიზლობდა. ამასობაში, მუქარა ნაწილობრივ შეცვალა: თამარს უთხრა, რომ თუ პოლიციაში დარეკავდა და მომხდარის შესახებ შეატყობინებდა, პროკურატურაში მას საკუთარ თანამონაწილედ დაასახელებდა. ვიტყვი, რომ საკუთარი მშობლების მკვლელობაში მონაწილეობდი, მე მეხმარებოდი, ამიტომ ჯობს, დანაშაულთან დაკავშირებით ჭკვიანური ვერსია მოიფიქრო, მაგალითად ის, რომ მშობლები ყაჩაღური თავდასხმის დროს უცნობმა პირებმა მოგიკლესო, – გამოძიების ვერსიით, ასე იმუქრებოდა ვლადიმერ მელქაძე. მიუხედავად ამისა, თამარ მაისურაძემ იგი მაინც გათქვა.

2002 წლის 18 დეკემბერს, მელქაძეზე ძებნა გამოცხადდა. იმავე დღეს, ის წყალტუბოს რაიონის შს საქალაქო განყოფილების თანამშრომლებმა სხვა დანაშაულის გამო (მოქალაქე ა. ბაბუნაშვილის ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმის ფაქტზე) დააკავეს. ბრალდების თანახმად, დაპატიმრების შემდეგ, მელქაძე ციხიდან სისტემატურად ურეკავდა თამარ მაისურაძეს, ასევე ამ უკანასკნელის ნათესავებს და მისი მამხილებელი ჩვენების შეცვლას მოითხოვდა. მისი მოთხოვნა არ შესრულდა.

თამარ მაისურაძე:

„2002 წლის გაზაფხული იყო, როცა ჩემს ქმარს თავისმა ბიძაშვილმა – ვლადიმერ მელქაძემ ციხიდან დაურეკა. ტუბერკულოზით იყო დაავადებული და ამის გამო, ვადაზე ადრე სურდა გათავისუფლება. ეს საქმე საოლქო სასამართლოში მოსამართლე მაისურაძეს უნდა განეხილა და ვალერის (ვლადიმერ მელქაძე) აინტერესებდა, ჩემი ნათესავი ხომ არ იყო მოსამართლე. შემდეგ, ადვოკატის მომსახურებისთვის გვთხოვა 200 ლარი. მეუღლემ მთხოვა, ეს თანხა ადვოკატისთვის გადამეცა და ასეც მოვიქეცი. ოჯახის წევრებთან ერთად სასამართლო პროცესსაც დავესწარი. იმავე დღეს, ვალერი ავადმყოფობის გამო პატიმრობიდან გაათავისუფლეს.

2002 წლის ნოემბერში, მოსამართლის თანაშემწემ დამირეკა და მთხოვა, სასწრაფოდ დავკავშირებოდი ვალერის, რადგან სასამართლოში მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობები არ ჰქონიათ წარდგენილი და თუ შესაბამის დოკუმენტებს არ მიიტანდა, მასზე ძებნა გამოცხადდებოდა. მაშინვე დავრეკე სოფელ დღნორისაში (წყალტუბოს რაიონი), ვალერის დისა და სიძის სახლში. ვიცოდი, რომ ვალერი იქ იყო სტუმრად და ვესაუბრე კიდეც. 17 ნოემბერს, თბილისში ჩამოვიდა, შემდეგ, 21-შიც, მოულოდნელად მოვიდა, რამაც გამაკვირვა. საერთოდ, მისი სტუმრობა არ მსიამოვნებდა, რადგან ნაცხარი იყო და თან, ტუბერკულოზით დაავადებული. ჩემი მეუღლე დილიდან საღამომდე სამსახურში იყო, შვილი – ინსტიტუტში და ამის გამო, ფაქტობრივად, მარტოს მიწევდა ვალერისთან ერთად ყოფნა სახლში. ეს ჩემთვის სასიამოვნო არ ყოფილა, მაგრამ ვცდილობდი, არ შემემჩნია. სხვადასხვა თემაზე ვსაუბრობდით. ვალერი საკმაოდ ხშირად მეკითხებოდა ჩემი მშობლების შესახებ, მეც გულახდილად ვუყვებოდი...

23 ნოემბერს, დილით, დაახლოებით 11 საათისთვის, ჩემი მეუღლე ჩვეულებრივად, სამსახურში წავიდა. მიშიკო მეგობართან ერთად კომპიუტერის დისკების საყიდლად იყო წასული. შინ მხოლოდ მე და ვალერი დავრჩით. იმ დილით შევიტყვე, რომ დედაჩემი შეუძლოდ გახდა. პერიოდულად ვაკითხავდი და წნევას ვუზომავდი, ექიმსაც დავურეკე კონსულტაციისთვის. ვალერი რამდენჯერმე შემეკითხა: როგორ არის დედაშენი, წევს თუ არაო? ცოტა ხანში მითხრა: გოგოლის ქუჩაზე უნდა წავიდეო, თუმცა, ვისთან ან რა საქმეზე, არ დაუკონკრეტებია. მისი წასვლის შემდეგ, სამსაათიან „კურიერს“ ვუყურე. მთელი ამ ხნის განმავლობაში, ვალერი არ დაბრუნებულა. შევნიშნე, რომ შესასვლელში მისი ფეხსაცმელი ეწყო. ძალიან გამიკვირდა, თუ სად უნდა წასულიყო ამდენი ხნით ოთახის ჩუსტებით. დაახლოებით 5 საათი იქნებოდა, როცა მოვიდა. ფეხზე დავაკვირდი; ჩემი მეუღლის ლურჯი, ოთახის ჩუსტები ეცვა. ჯერ სააბაზანოში შევიდა, შემდეგ მისაღებ ოთახში დაჯდა, დამიძახა და მითხრა – შენთან სალაპარაკო მაქვსო. მოუსვენრობა ეტყობოდა. მკითხა: შენი შვილი თუ გიყვარსო? გამეცინა და ვუპასუხე: რა თქმა უნდა, მიყვარს, მხოლოდ მისი კეთილდღეობისთვის ვცხოვრობ-მეთქი. მაშინ მითხრა: თუ გიყვარს და მისი კარგად ყოფნა გინდა, რასაც ახლა გეტყვი, მშვიდად მოისმინე, ხმას არ აუწიო და ყვირილი არ დაიწყოო. შემდეგ კი დაამატა: დედაშენი შემთხვევით შემომაკვდაო. თავდაპირველად, ვერ გავარკვიე, რა მითხრა. ისევ გამიმეორა: დედაშენი შემთხვევით შემომაკვდაო. მაშინ ვიყვირე: ვალერი, რას ამბობ, გამაგებინე, რას ამბობ-მეთქი? ამიხსნა: ფული მინდოდა, მან კი არ მომცა, ზედმეტი მომივიდა და დავაჩრჩვეო. გაოგნებული, ფეხზე წამოვვარდი და ვუყვირე: იქნებ ცოცხალია, რაიმე ვუშველოთ-მეთქი! სახლიდან გასვლაც დავაპირე, მაგრამ ვალერიმ ძალით დამსვა და

გამიმეორა: დედაშენი უკვე მკვდარია, აღარაფერი ეშველება და ახლა, შენი შვილის სიცოცხლეზე იფიქრეო. ცოტა ხანში დაამატა: წარმოიდგინე სასწორი, რომლის ერთ მხარეს მკვდარი დედაშენია, მეორე მხარეს – შენი შვილის სიცოცხლე, რომელს აირჩევ? თამრიკო, ხომ იცი, რომ მე ამის გამკეთებელი ვარ, ხმა არ ამოიღო, არავისთან არაფერი დაგცდეს, თორემ, შენს შვილთან ერთად, შენც და შენი ქმარიც მოკვდებითო...

ძალიან შეშინებული და თავზარდაცემული ვიყავი, ვერ გადამეწყვიტა, როგორ მოვქცეულიყავი. ვტიროდი, ვალერი კი გამუდმებით მემუქრებოდა და მარწმუნებდა, რომ მუქარას აასრულებდა. ცოტა ხნის შემდეგ, ოთახში ჩუმად შესვლა და იქ ტელეფონის შეტანა მოვახერხე. ჩემს დეიდაშვილს – მანანას დავურეკე, რადგან მეტი ვერაფერი მოვიფიქრე. ყურმილი დეიდაჩემმა აიღო. სწორედ ამ მომენტში, ოთახში ვალერი შემოვიდა და თავზე დამადგა. ვცდილობდი, დეიდაჩემი როგორმე მიმეხვედრებინა, გასაჭირში რომ ვიყავი. ვუთხარი: მამაჩემმა ძალით წაიყვანა დედა რაჭაში, დედა თავს ცუდად გრძნობდა და წასვლა არ უნდოდა, რაიმე უბედურება არ შეემთხვეს, თავს მოვიკლავ-მეთქი, – და სწორედ ამ დროს, ვალერიმ ტელეფონი გამითიშა. რამდენიმე ხანში, მიშიკოც მოვიდა. ძალიან მეშინოდა. ვცდილობდი, ის ვალერისთან მარტო არ დამეტოვებინა.

შოკურ მდგომარეობაში ვიყავი. ვალერი, როგორც კი დროს იხელთებდა, მემუქრებოდა, ამბობდა: ამდენი დაავადების გამო, ცხოვრებაში დასაკარგი აღარაფერი მაქვს და ამიტომაც, ყველაფრის ჩამდენი ვარ; ერთი ადამიანის მკვლელობისთვის იმდენს მომისჯიან, რომ ციხიდან ცოცხალი ვეღარ გამოვალ. ასე რომ, სულერთია – შენს შვილსაც თუ მოვკლავ, ამით არაფერი შეიცვლებაო.

ერთი შვილი ადრე გარდამეცვალა და ამიტომ, მთელი ცხოვრება მიშიკოზე მქონდა აგებული. ვალერიმაც იცოდა, რომ მას თვალისჩინივით ვუფრთხილდებოდი...

საღამოს, შინ ჩემი მეუღლე დაბრუნდა. გაცივებული იყო, გრიპი ჰქონდა და მისაღებ ოთახში დაწვა. ცოტა ხანში, მამაჩემმაც დარეკა, შევეკითხე – სად ხარმეთქი? მან მიპასუხა: დიღომში ვიყავი და შინ მალე დავბრუნდებიო. მოუთმენლად ველოდი მის დაბრუნებას, რადგან იმედი მქონდა, რომ შინ როცა მოვიდოდა, დედაჩემის გვამს აღმოაჩენდა და აურზაურს ატეხდა. ველოდებოდი ისეთ მომენტს, როცა შესაძლებლობა მექნებოდა, ვალერი მკვლელობაში მემხილა.

საღამოს 9 საათისთვის, ჩემი მეგობარი – ხათუნა სისაური მოვიდა. რამდენიმე წუთში, მიშიკოც გავიდა შინიდან. შემდეგ შევნიშნე, რომ ვალერიც ჩუმად წავიდა ბინიდან. შეშინებულმა ქუჩაში გავიხედე. ჩემი შვილი ბიჭებთან ერთად იდგა. ახლომახლო ვალერი რომ ვერ დავინახე, დავმშვიდდი. არავისთვის არაფერი მითქვამს. ვალერი რომ დაბრუნდა, მითხრა: შენი მშობლებიდან არც ერთი აღარ არის ცოცხალიო... სააბაზანოში შევედი და იქ ვიტირე, მაგრამ შიშის გამო, თავი ხელში ავიყვანე, შევეცადე, არავის არაფერი შეემჩნია. მისაღებ ოთახში, მეუღლის თხოვნით, სუფრა გავშალე. ჯიმმი (ჯიმშერ მეკავანაძე. – ავტ.) და ვალერიმ რამდენიმე ჭიქა არაყი დალიეს, მეზობლებიც გვესტუმრნენ... მეორე დილით, ვალერიმ განაცხადა – რუსთავში მივდივარო. ჩემი მეუღლე და ის სახლიდან ერთად გავიდნენ. იმავე წუთს, მივტრიალდი და ჯერ დეიდაშვილს, შემდეგ კი, მაზლს დავურეკე და ორივეს, მშობლების მკვლელობის შესახებ ვუთხარი, თუმცა, ვალერი არ მიხსენებია. ჩემმა მაზლმა ჯიმის დაურეკა. პოლიციაში წავედით და მაშინ, პოლიციის თანამშრომლებს სრული სიმართლე ვუთხარი“.

ნადეჟდა ბეგიაშვილი, დაზარალებულის ადვოკატი:

„განსასჯელი დანაშაულს არ აღიარებს და რა თქმა უნდა, არც დაზარალებულის – თამარ მაისურაძის ჩვენებას ადასტურებს. სასამართლოში, ჩვენების მიცემისას აღნიშნა, რომ არ იცის, მკვლელობა ვინ ჩაიდინა, მაგრამ როგორც ჩვენთვისაა ცნობილი, მას სურს, დანაშაული თამარს გადააბრალოს. განსასჯელის მხარის ვერსიით, თამარ მაისურაძემ, პირადი მიზნების მისაღწევად, საკუთარი ხელით გამოასალმა მშობლები სიცოცხლეს. ამის დაჯერება წარმოუდგენელია. ვლადიმერ მელქაძის, რეციდივისტის მიერ ჩადენილ დანაშაულში კი, ეჭვი არავის შეეპარება. გამოძიებით მოპოვებული ყველა მტკიცებულება მის საწინააღმდეგოდ მეტყველებს“.

განსასჯელი და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატი, პირიქით, აცხადებენ, რომ საქმეში მისი ბრალეულობის დამადასტურებელი არანაირი მტკიცებულება არ მოიპოვება. მათი თქმით, გამოძიება არაობიექტურადაა ჩატარებული. განსასჯელის ადვოკატმა კომენტარსა და საქმის დეტალების შესახებ საუბარზე უარი გვითხრა, მხოლოდ ეს აღნიშნა: მელქაძე არაფერ შუაშია, ყველამ კარგად იცის, მკვლელი ვინც არისო.

სასამართლო სხდომებზე ამჟამად, მოწმეთა დაკითხვები მიმდინარეობს. ბრალის დადასტურების შემთხვევაში, მელქაძეს სამუდამო პატიმრობა ემუქრება. ■

თემურ შაშიაშვილის ოჯახის დატერორებისთვის ყურაშვილი განაჩენს ელის

უზენაესი სასამართლოს წინაშე ცაგერელი ზურაბ ყურაშვილი წარდგა. იგი სწორედ იმ გახმაურებული ფაქტის გამო გაასამართლეს, რომელიც 2002 წლის 31 დეკემბერს, იმერეთის რეგიონში პრეზიდენტის რწმუნებულის, თემურ შაშიაშვილის ოჯახში მოხდა. ახალი წლის ღამეს, შაშიაშვილის საცხოვრებელ ბინაში დარეკეს და ოჯახის წევრებს იქ დამონტაჟებული ბომბის შესახებ აუწყეს.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, ყველაფერი ქალაქში ელექტროენერგიის გამორთვის გამო მოხდა. პროკურატურის ინფორმაციით, ქუთაისში ბიძასთან – ივანე გენებაშვილთან სტუმრად მყოფმა, ზურაბ ყურაშვილმა გუბერნატორის დატერორება გადაწყვიტა. დენის გამორთვით განაწყენებულმა, ტელეფონის ნომრების ცნობარი აიღო, იქ შაშიაშვილის სახლის ტელეფონის ნომერი იპოვა და დარეკა. ყურმილი თემურ შაშიაშვილის მეუღლემ – დეა მჭედლიშვილმა აიღო. ყურაშვილმა მას უთხრა, რომ თუკი ქალაქს დაუყოვნებლივ არ მიაწვდიდნენ დენს, მათ სახლში მის მიერვე დამონტაჟებულ ბომბს ააფეთქებდა.

ოჯახის წევრებმა მაშინვე მიმართეს უშიშროების სამსახურს. შემთხვევის ადგილას მისულმა თანამშრომლებმა შეამოწმეს ბინა, სათავსები, მაგრამ ასაფეთქებელი ნივთიერება ვერსად იპოვეს. პროკურატურის ინფორმაციით, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებებით (კერძოდ, „ახალი ქსელებიდან“ ამოღებული ნომრების მეშვეობით) გაირკვა, რომ შაშიაშვილის ოჯახში ივანე გენებაშვილის ბინიდან იყო დარეკილი. დადგინდა ისიც, რომ დეა მჭედლიშვილს ზურაბ ყურაშვილი ელაპარაკებოდა. ის მაშინვე დააკავეს. პროკურატურამ მას სისხლის სამართლის კოდექსის 331-ე მუხლი (ტერორიზმის შესახებ ცრუშეტყობინება) წაუყენა. ყურაშვილმა დაკავებისთანავე აღიარა, რომ შაშიაშვილების ოჯახში მართლაც მან დარეკა, თუმცა, სასამართლოში ყველაფერი უარყო. ამჟამად ის განაჩენს ელის. სახელმწიფო ბრალმდებელმა კი, სასჯელის ზომად ყურაშვილისთვის 1 წლით თავისუფლების აღკვეთა (პირობით, გამოსაცდელ ვადად – 2 წელი) მოითხოვა. ■

ლაზარეს ბებია მისი დედის სიკვდილში დამნაშავე არ არის

(„გზა“, №29, „რძალ-დედამთილი – ურთიერთობის საშიში ზღვარი“)

ჟურნალ „გზის“ წინა ნომერში გამოქვეყნებულ წერილს — „რძალ-დედამთილი — ურთიერთობის საშიში ზღვარი“ — გამოხმაურება მოჰყვა. შეგახსენებთ: წერილში საუბარი იყო ტრაგედიაზე, რომელიც მრავალი წლის წინ, ბაგებში დატრიალდა — ქმრის და დედამთილისგან უარყოფილი ირინა, მეცხრე სართულიდან გადმოხტა და სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

ნანა ქიბიშაური

მართალია, ყველანაირად შევეცადეთ, კორექტულები ვყოფილიყავით და მასალაში გვარებიც არ დაგვისახელებია, მაგრამ რედაქციაში დაგვირეკეს ადამიანებმა, რომლებმაც გვითხრეს, რომ ისინი იცნობდნენ აღნიშნულ ოჯახს და იცნეს იგი ჩვენს ნამბობში. ბათუმიდან გამოგვეხმაურნენ ირინას მეუღლის, გელას ნათესავებიც. გამოგვიგზავნეს ირინას შვილის – ლაზარეს ფოტოსურათები და ამ ამბავთან დაკავშირებით თავიანთი პოზიციის დაფიქსირებაც გვთხოვეს.

ქნი ჯულიეტა მეუღლესთან, ქალიშვილ ირინასთან (შუაში), რძალ თეასთან (მარცხნივ და შვილიშვილებთან ერთად (მარჯვნივ – ლაზარე)

ირინა მესხი, *ლაზარეს ბებია:*

– ჩემს ოჯახს მთელი ბათუმი იცნობს. ჩემი ოჯახის ტრაგედიის კიდევ ერთხელ საქვეყნოდ გახმაურებამ ასე მგონია, დედა (*დალუპული ირინას დედამთილი. – ავტ.*) ხელახლა მომიკლა. ლაზარეს ბებია, რომელმაც ობლად დარჩენილი ბავშვი ბათუმში ჩამოიყვანა და მას მზრუნველობას არ აკლებდა, 5 თვეა, რაც გარდაიცვალა. ჩემს ძმისშვილს ახლა დედობილი (გელას მეორე ცოლი) თეა ზრდის, საკუთარი სამი შვილისგან არ ასხვავებს და მის მიმართ მართლაც, დედობრივ მზრუნველობას იჩენს. ლაზარე ბათუმის ერთ-ერთ საუკეთესო კოლეჯში სწავლობს, ყველას უყვარს და თითით საჩვენებელი ბავშვია. ირინას მეგობრის მონათხრობში არის უზუსტობები. ამიტომ გვაინტერესებს, ვინ იყო ის ადამიანი, რომელმაც ჩვენი ოჯახის შესახებ გიამბოთ? ირინას მხოლოდ ერთი მეგობარი ჰყავდა და ისიც გერმანიაშია ამჟამად.

ლაზარე ნახევარძმასთან ერთად

რუსუდან გურგენიძე, *ნათესავი:*

– როდესაც ირინას თვითმკვლელობის ამბავი შევიტყვეთ, ყველამ, ვინც მას ვიცნობდით, ძალიან განვიცადეთ. ამ დროს, მე გელას ოჯახში ვიყავი და ვიცი, თუ როგორ მოდიოდა ხალხი სამძიმრის სათქმელად და როგორ განიცადა ეს ამბავი ჯულიეტამ – ირინას დედამთილმა. ირინას მანამდეც, რამდენჯერმე ჰქონდა თვითმკვლელობის მცდელობა. ის მართლაც უნიჭიერესი მხატვარი იყო, მაგრამ ამავე დროს, იმდენად დეპრესიული ადამიანი გახლდათ, რომ გელას ოჯახის წევრებისთვის მართლაც, ძნელი იყო მასთან ურთიერთობა. ირინა დიდი დოზით იღებდა დამამშვიდებელ საშუალებებს: ის ავად იყო და ასე მგონია, ბათუმში, ქმრის სახლში რომ დარჩენილიყო, მაინც ასე დაამთავრებდა სიცოცხლეს. როდესაც ცოლ-ქმარს შორის ურთიერთობა დასრულდა, ის ყველას ეხვეწებოდა: „შემარიგეთ გელასთან, მიყვარს გელა!“ – მაგრამ მათი თანაცხოვრება, მთელი რიგი მიზეზების გამო, ველარ შედგებოდა. მიზეზების დასახელებისგან თავს შევიკავებთ, იმიტომ, რომ ის მაინც ლაზარეს დედა იყო და ბავშვს ვცემთ პატივს. ირინა გელას პორტრეტებს ხატავდა და ამბობდა, რომ ის მისი ერთადერთი მუზა იყო – მუზა, რომლის გარეშეც არც მის სიცოცხლეს და არც მის შემოქმედებას აზრი არ ჰქონდა. „გზაში“ გამოქვეყნებული წერილი მთავრდება ირინას მეგობრის სიტყვებით: ლაზარე როცა გაიზრდება, თვითონ უნდა გადაწყვიტოს, აპატიოს თუ არა ბებიას ის, რომ მან თავისი სიტყვებითა და ქცევით, გულგრილობითა და ამპარტავნებით, მისი ლამაზი დედიკოს სიცოცხლე შეიწირა“. ეს რომ წავიკითხე, გული მომიკვდა. ჯულიეტას, შვილიშვილზე დიდი ამაგი აქვს და ამ სიტყვებს ნამდვილად არ იმსახურებს. ამიტომ გთხოვთ, გამოაქვეყნოთ ჩვენი პოზიციაც და თქვენმა მკითხველმა შეიტყოს, რომ ლაზარეს ბებია მისი დედის სიკვდილში დამნაშავე არ არის. ირინა დეპრესიამ იმსხვერპლა. ჯულიეტა კი, ბოლო ამოსუნთქვამდე შვილებისა და შვილიშვილებისათვის თავდადებული დედა და ბებია გახლდათ. ■



„მინდა ვაუწყო მთელ ქვეყანას, რომ უგულწიერესი აღამიანი ვარ...“

მარი ხაფარიძე

„ბიჭები რატომ არ ამბობენ იმას, რასაც ფიქრობენ?“ — ასე იწყებს თავის გზავნილს ლალი, ჩვენი ერთ-ერთი მკითხველი. ჩვენ, ქალები ვამბობთ კი, იმას, რასაც ვფიქრობთ?.. ჩვენი რუბრიკის „მესიჯების“ მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლები ხშირად, სწორედ რომ ჩვენი საშუალებით ამხელენ ხოლმე სიმართლეს. ან, უკვე მხილებულნი, ბოდიშის მოხდით ცდილობენ შეცდომის გამოსწორებას. ამაზე — მოგვიანებით. ახლა კი, კვლავ გოგას დავუბრუნდეთ, რომელიც ფოთიდან გვიკავშირდებოდა. მკითხველს შევახსენებ, რომ გოგა ფეხმძიმე შეყვარებულს ეძებდა, რომელიც მამამ გადამალა. ჩვენი საშუალებით მან თავის სოფოს მიაგნო და ამ თვის ბოლოს, ქორწილსაც გვპირდებიან... გოგას გამოეხმაურა ლიზი, რომელიც შეყვარებულისგან შვილს ელოდება და ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი, დაქორწინდებიან თუ არა ისინი. ამის შემდეგ, გოგასგან კიდევ ერთი გზავნილი მივიღეთ: „მარი, კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას იმისთვის, რომ მე დღეს ასეთი ბედნიერი ვარ. ლიზის თანავუგრძნობ. თუ სურვილი აქვს, მე შემიძლია მას ფინანსური და სულიერი თანადგომა გავუწიო. გთხოვთ, გამოაქვეყნოთ ჩემი გზავნილი. ლიზი თუ გამოგეხმაურათ, მას ჩემი ტელეფონის ნომერი მიეცით. ან დამირეკოს, ან „მესიჯი“ გამომიგზავნოს. წინასწარ დიდ მადლობას გიხდით“. მერწმუნეთ, საკმაოდ სასიამოვნო გრძნობა დამეუფლა, როდესაც ეს გზავნილი მივიღე. ჩვენი მკითხველები ერთმანეთის მიმართ მზრუნველობას იჩენენ და თუ ლიზი მოისურვებს, შესაძლოა, ისინი დამეგობრდნენ კიდეც.

ახლა კი, ახალ გზავნილებს გადავხედოთ:

„გამარჯობა, მარი. წავიკითხე თქვენი რუბრიკა და გადავწყვიტე, მოგწეროთ. ერთი გოგონა მიყვარს. მას ვერო ჰქვია. ის უბრალოდ, ნაცნობად მთვლის. მე კი უზომოდ მიყვარს. სულ მის დიდრონ, შავ თვალებზე ვფიქრობ. პირისპირ საუბარს ვერ ვუბედავ. გადავწყვიტე, თქვენი საშუალებით გავუმხილო. მისი რეაქციის კი ძალიან მეშინია. უარს ვერ გადავიტან. ვერო, მიყვარხარ. მე ის ბიჭი ვარ, რომელმაც ყვავილები მოგართვა და რომ მკითხე, ვისგან არის თაიგულიო, გიპასუხე — რა ვიცი-მეთქი. ეს მე ვიყავი. სიმართლის თქმა ვერ გავბედე. ახლა კი ვბედავ და გეუბნები, რომ უზომოდ მიყვარხარ. ჩემი გზავნილის გამოქვეყნების შემდეგ დავურეკავ და მერე, აუცილებლად შევატყობინებთ, რას მივიღებ პასუხად. გმადლობთ. დათო, 19 წლის“.

„— მარი, გამბედაობა მოვიკრიბე და მინდა გითხრათ, რომ ჩემი საყვარელი ადამიანი, რომელიც სიყვარულს მიმტკიცებდა, მისთვის „სიცოცხლე“ ვიყავი და ერთობლივ ბედნიერებაზე მესაუბრებოდა, ცოლშვილიანი აღმოჩნდა. დღემდე ვერ გავიგე, ასე რატომ გამიმეტა. საშინლად ვიტანჯები. თუ ცოლი ჰყავდა, ჩემს მშობლებს ჩემს სიყვარულში რატომ გამოუტყდა?! „ნატო, ერთი წამით შენს თვალებში ჩამახედა და მერე, სიამოვნებით დავასრულებ სიცოცხლეს“, — ეს ნიკას სიტყვებია, რომელსაც მე მეუბნებოდა. ჩვენს ურთიერთობას უკვე წერტილი დავუსვი, რადგან მე მას ოჯახს ვერ დავუნგრევ. გული მერევა, როცა წარმოვიდგენ, როგორ მიკოცნიდა ხელებს სხვისი ქმარი და მეუბნებოდა — ჩემო პატარავ, არ მიმატოვო, შემიბრალე, ჩემო ფისუნია, იფიქრე ჩვენს მომავალზეო. საინტერესოა, როგორ აპირებდა ჩემს გაბედნიერებას ცოლშვილიანი კაცი? ახლა ვხვდები, რატომ ჩქარობდა ჩემს წაყვანას საზღვარგარეთ. ბრმად რომ გავყოლოდი, ალბათ რამდენიმე თვეში მოვბეზრდებოდი და უცხო ქვეყანაში მიმატოვებდა. საბედნიეროდ, ყველაფერი დროულად გავიგე და მის დაგებულ მახეში არ გავები.

— როგორ შეიტყვეთ, რომ მას ოჯახი ჰყავდა?

— ჩემმა მშობლებმა ჩვენი ურთიერთობის შესახებ პირველივე დღიდან იცოდნენ. მათ ახლობლისგან შეიტყვეს და მეც გამიმხილეს.

— როგორი რეაქცია გქონდათ?

— ლამის გავგიჟდი. ვტიროდი. მერე დავურეკე და ყველაფერი პირში მივახალე. ხმას არ იღებდა. რომ ვკითხე — თავს რატომ არ იმართლებ-მეთქი? — მიპასუხა — არც ვაპირებო. თვითონაც ტიროდა — სიყვარულის ფასს გვიან გაიგებო. მისი ხმის გაგონება აღარ მინდოდა, ამიტომ ტელეფონი გავთიშე. ასე დავშორდით ერთმანეთს. საკუთარ თავზე მეტად, მისი ცოლ-შვილი მებრალება: მათ ჯერ არ იციან, რომ ასეთი ნაძირალა ქმარი და მამა ჰყავთ. მინდა, ნიკას ვუთხრა, რომ მძულს. მიხედე ოჯახს, რომლის ფასიც, სამწუხაროდ, არ იცი. იმედია, ჩემი ნაჩუქარი ხატები გონებას გაგინათებს. ნურც მეუღლეს და ნურც სხვა, ჩემნაირ პატიოსან გოგონებს გაუმწარებ სიცოცხლეს. ყველა გოგონას კი, მინდა ვუთხრა: ნუ ენდობიან მამაკაცებს და მშობლებს არასოდეს არაფერი დაუმალონ. დიდი მადლობა, რომ ყურადღებით მომისმინეთ. ნატო, 20 წლის“.

ჩემო ლალი, ამის წაკითხვის შემდეგ კიდევ გაგიჩნდება კითხვა, რატომ არ ამბობენ ბიჭები იმას, რასაც ფიქრობენ? გრძნობებით თამაში ყოველთვის დიდი გულისტკივილით მთავრდება. იქნებ, ჯობს, თავიდანვე გავამხილოთ ჩანაფიქრი? რაც შეეხება შემდეგ გზავნილს, ის ლიზის ეკუთვნის და თავად დარწმუნდებით, თუ ბედისწერამ როგორ რთულ მდგომარეობაში ჩაგდო:

„გამარჯობა, მარი. მინდა, ყველას ვუამბო ჩემი ამბავი. ცხოვრებამ საკმაო ტან-

ჯვა მომივლინა. ორი წლის წინ, დაქალმა მიშკა გამაცნო. მე ის პირველივე ნახვით შემიყვარდა. იმ წუთში ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს მთელი ცხოვრება ვიცნობდი. ის ჩემზე 5 წლით უფროსია. მასაც შევუყვარდი. ჩვენზე ბედნიერი წყვილი ქვეყნად არ გვეგულებოდა. ერთ დღეს, ცოლობა მთხოვა. დიდი სიხარულით დავთანხმდი. ჩვენმა მშობლებმა ჩვენი სიყვარულის შესახებ იცოდნენ, ამის შემდეგ კი, ისინი ერთმანეთს გავაცანით. მაშინ ვიგრძენი თავი ყველაზე უბედურ ადამიანად: მიშკა ჩემი ნახევარძმა აღმოჩნდა – მამით ერთნი ვყოფილვართ. რა თქმა უნდა, ერთმანეთს დავშორდით, მაგრამ მე ის დღესაც მიყვარს და ეს გრძნობა მტანჯავს. წინასწარ გიხდით მადლობას...“

დამეთანხმებით, ეს მართლაც იშვიათი შემთხვევაა და ამის გამო კომენტარისგან თავს შევიკავებთ...

ახლა კი ჩვეულებისამებრ, მოკლე გზავნილებს გაგაცნობთ:

„მომწონს ახალი რუბრიკა „გზაში“. მშვენიერია. იკას მინდა ვუთხრა მეასეჯერ: მე ასე ჯერ არავინ მყვარებია. მენატრები. თათია (თავად მიხვდება სიტყვათა წყობით, რომ მე ვარ). გმადლობთ“.

„მარი, ძალიან კარგი გოგო ხარ. შენს წერილებში ძალზე ადამიანური მიდგომა ჩანს ყველას მიმართ. მინდა, მივმართო ჩემს ქმარს, გიოს, რომელიც რუსთავის პირველ ზონაში იხდის სასჯელს: გიო, მიყვარხარ და მთელი სიცოცხლე ერთგულად დაგელოდები. გკოცნი. მიყვარხარ. შენი მაკა“.

„მინდა, თქვენი საშუალებით ყველამ გაიგოს, რომ მახო ძალიან მიყვარს. ახლა გაბუტულები ვართ და ეს ჩემი ბრალია. უზომოდ მიყვარხარ, მახო. მინდა, ბედნიერი იყო, რა თქმა უნდა, ჩემთან ერთად. გისურვებ მალე გათავისუფლებას. მიყვარხარ. ნანა“.

„მარი, თქვენი რუბრიკა შეუდარებელია. „გზის“ საშუალებით მინდა გაიგოს ურწმუნო „თომამ“, რომ უსაშველოდ მიყვარს! კობა, მენატრები. გმადლობ, მარი, რომ არსებობთ. მზია“.

„ჩემს სიცოცხლეს, ნატუჩის: ძალიან, ძალიან მიყვარხარ, ჩემო ძვირფასო და აღარ ვიცი, რა გავაკეთო, რომ შემიყვარო. მაგ შენს სტილისტს არ უყვარხარ... დათო“.

„ჩემს მეგობარს ახლა ძალიან უჭირს და მინდა, კიდევ ერთხელ იგრძნოს ჩემი თანადგომა. „ბურთი“, მინდა გითხრა, რომ ძალიან მიყვარხარ. ვიცი, გული გატკინეს, მაგრამ ღმერთი დაგეხმარება. არ ინერვიულო. შენი ტკივილი მტკივა. ჩემი იმედი გქონდეს. სალო“.

„მინდა ვუთხრა მუხრანელ, მწვანეთვალება შიოს, რომ მე ის ძალიან მომწონს და მიზიდავს. შიო, მიპასუხე, მოგწონვარ? (იცი, ვინც ვარ) ნაცნობი უცნობი“.

ახლა, კიდევ ერთი გზავნილი, რომელიც, ისევ და ისევ სიყვარულით გამოწვეულმა გულისტკივილმა გამოაგზავნინა ავტორს:

„მიჭირს ამ თემაზე საუბარი, მაგრამ მინდა, ყველამ გაიგოს, რა შეუძლია მამაკაცს. სამი წლის წინ, სამსახურში, გასაცნობად მომაკითხა მამაჩემის ნაცნობმა პიროვნებამ. გაგიკვირდებათ, მაგრამ საჩუქრად, პირველი შეხვედრისას, სანთებელა და „მაგთის“ ჟურნალი მომიტანა. არ დავმალავ, რომ ერთი შეხედვით არ მომეწონა. შემდეგ თავისი ლამაზი სიტყვებით თავი შემაყვარა. სამი წლის განმავლობაში გრძელდებოდა ჩვენი ურთიერთობა (ფიზიკურ ურთიერთობას არ ვგულისხმობ). უზომოდ მიყვარდა. ხუთი თვის წინ დაიწყო რაღაც უცნაური ქმედებები. მობილურზე რომ ვურეკავდი, ტელეფონს თიშავდა. სახლის ტელეფონი არ მუშაობდა. ერთი სიტყვით, ვერანაირად ვერ დავუკავშირდი. ერთი თვის წინ, როგორც იქნა, მივაღწიე იმას, რომ ჩემს ზარს უპასუხა და ახალი ამბავიც მამცნო – ცოლი მოვიყვანე, თანაც – უკვე კარგა ხანიაო. შემომთავაზა, მეგობრებად დავრჩენილიყავით. სასაცილო არ არის? როგორ ვიმეგობრებ მასთან, ვინც ასე მიყვარდა და ასე უნამუსოდ მომექცა? ელა. 31 წლის“.

კიდევ რამდენიმე მოკლე გზავნილი:

„მინდა ვაუწყო მთელ ქვეყანას, რომ უბედნიერესი ადამიანი ვარ. ცოლობა შემომთავაზა მან, ვინც ქვეყანას მირჩევნია. ლადო! თანახმა ვარ და ვაცხადებ ყველას გასაგონად – ვფიცავ, ვიყო შენი ერთგული და მორჩილი. შენი – სიხარულით გადარეული ელისო“.

„მამა, ვიცი, ძალიან გატკინე გული, რომ შენს დაუკითხავად გავთხოვდი და ცოლად გავყევი ბესოს. მაპატიე და შემირიგდი. მე ხომ ის სიცოცხლეზე მეტად მიყვარს. შენ კი, ჩემი სიცოცხლესავით მიყვარხარ. შენი ბაია“.

„ზურა! მადლობას გიხდი იმისთვის, რომ ძალიან დიდი და კარგი როლი ითამაშე ჩემი და ლევანის ურთიერთობაში. ერთ-ერთი დამაკავშირებელი რგოლი ხარ დღემდე და ამიტომ მიყვარხარ. შენ ერთადერთი ხარ, ვინც ჩვენი საიდუმლო სიყვარულის შესახებ იცის და ისიც, როგორ მიყვარს ჩემი „დათვი“. ჩემი დაუვიწყარი მეგობარი ხარ. მარი“.

საბერძნეთიდან კი, ასეთი გზავნილი მივიღე:

„გამარჯობა, მარი. ორი შვილის დედა ვარ. მე და ჩემი ქმარი საბერძნეთში ვართ. ის უკვე წელიწადი და 4 თვეა, აქ არის, მე კი – 8 თვეა. ახლობელმა, გასათხოვარმა გოგომ თავგზა ისე აუბნია, რომ 13 წლის ოჯახი დაგვინგრია... ნუნუ“.

ამჯერად, მხოლოდ ამ გზავნილს გავაცნობთ. ნუნუმ საბერძნეთიდან დამირეკა და ჩვენს საუბარს დაწვრილებით „გზის“ მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ. მრავლადაა ისეთი გზავნილი, რომელიც კერძოდ „გზას“, რუბრიკას და მე მეხება. დიდი მადლობა მათ ავტორებს. ერთ-ერთი გზავნილი ასეთი შინაარსისაა:

„უკვე მივეჩვიე, რომ ყველა ნომერში „გზავნილები“ უნდა წავიკითხო. იდეის ავტორს – მადლობა, რედაქციას – სიყვარული ჩვენგან. ჩაფიძეების მრავალრიცხოვანი ოჯახი“.

სასიამოვნოა, როდესაც მკითხველი სითბოს გამოხატავს ჩვენ მიმართ. გისურვებთ, რომ სასიხარულო გზავნილები მოჭარბებულიყოს „გზაში“. დაგვირეკეთ ან გამოგვიგზავნეთ „მესიჯი“ ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61. შეძლებისდაგვარად ვეცდებით, თანადგომა გაგიწიოთ და თქვენი ხმა სასურველ ადამიანს მივაწვდინოთ... ■

„ყველა ერთმანეთს სიყვარული შეგვიერთებს ერთად...“

ჩემს მობილურზე შემდეგი შინაარსის გზავნილი მოვიდა: „მინდა, ჩემი ამბავი მოგიყვეთ. იქნებ რაიმე გვირჩიოთ მე და ჩემს შეყვარებულს. ერთმანეთი ძალიან გვიყვარს, მაგრამ ბევრი რამ გვიშლის ხელს, იმისთვის, რომ ერთად ვიყოთ. ის გათხოვილია და ჰყავს 2 შვილი. თანაც, ჩემზე უფროსია 6 წლით. ერთი რამ ცხადია, მას ვერაფრის გულისთვის ვერ დავთმობ. ყველაფერი ჩემი ბრალია. დათო 21 წლის“. გადავწყვიტე, დათოს (რესპონდენტთა სახელები შეცვლილია) შევხვედროდი და გავსაუბრებოდი. აი, რა მიამბო მან:

მარი ხაფარიძე

— მე და ანამ ერთმანეთი სამსახურში გავიცანით ორი წლის წინ. პირველად ამ გოგოს რომ შევხედე, მივხვდი, რომ ძალიან კარგი ადამიანი იყო და იმასაც მაშინვე მივხვდი, რომ გულში ჩამივარდა. მისი ამბავი გავიკითხე და მითხრეს: ქმარი ჰყავს, თავი დაანებე, მასთან არაფერი გამოგივა, პატიოსანი და ოჯახის ერთგული ქალიაო. მიუხედავად იმისა, რომ დარწმუნებული ვიყავი, ის ჩემი არასოდეს გახდებოდა, უზომოდ შემიყვარდა. ლანდივით თან დავდევდი, თუმცა, არ ვაწუხებდი. ერთი წლის შემდეგ, სიყვარულში გამოვუტყდი. ცივად მიპასუხა: არც იფიქრო, მეორედ ამ საკითხზე დამელაპარაკოო. ჩემს თავს ვეწინააღმდეგებოდი, ვცდილობდი, გულიდან ამომეგდო, მაგრამ არაფერი გამომდიოდა. სწორედ ამ პერიოდში, ის ქმარს გაეყარა. აღმოჩნდა, რომ ოჯახში დიდი პრობლემა ჰქონდა. თითქოს იმედი მომეცა, მაგრამ ახლოსაც არ მიკარებდა. იმდენი გავაკეთე, ისეთი სითბო და ყურადღება გამოვიჩინე მის მიმართ, რომ მასაც გრძნობა გაუჩნდა. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა ეს გავიგე.

— დღეს როგორი ურთიერთობა აქვს მეუღლესთან?

— ის ოფიციალურად განქორწინებული არ არის, მაგრამ მეუღლესთან აღარ ცხოვრობს.

— ფიზიკური კონტაქტი გაქვთ მასთან?

— არა. მიუხედავად იმისა, რომ ორ წელიწადზე მეტია, ერთმანეთი გვიყვარს, ჩვენ შორის სექსი არ არის. ამაზე არც ვფიქრობ. ჩემთვის მთავარია, ის ჩემ გვერდით იყოს, ვხედავდე, ვესაუბრებოდე...

— როდემდე აპირებთ ასეთი ურთიერთობის გაგრძელებას?

— ვიდრე პრობლემებს არ მოვაგვარებ. ამჟამად უმუშევარი ვარ. ნებისმიერ სამუშაოზე თანახმა ვარ, დღესა და ღამეს გავასწორებ, ფიზიკურად დავიტვირთები, ოღონდ იმის საშუალება მქონდეს, რომ ანა და მისი შვილები ვარჩინო და არაფერი მოვაკლო.

— მის შვილებს იცნობთ?

— დიახ, ვიცნობ. სასეირნოდ რომ გამოჰყავს ხოლმე, ვითომ შემთხვევით ვხვდები და ერთად ვასეირნებთ. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ბავშვებს თავი შევაყვარო. არავის გულისთვის არ დავთმობ ჩემს ანას. ერთადერთი, რამაც შეიძლება მასთან ოჯახის შექმნაზე ხელი ამაღებინოს, მისი შვილებია: თუ ისინი ისე კარგად ვერ იგრძნობენ თავს ჩემთან, როგორც მათ სჭირდებათ, ან მომავალში დედას უსაყვედურებენ იმის გამო, რომ თავისზე 6 წლით უმცროს მამაკაცთან მეორე ოჯახი შექმნა, ასეთ შემთხვევაში დათმობაზე წავალ. ეს ჩემთვის მომაკვდინებელი გადაწყვეტილება იქნება, მაგრამ ბავშვების კარგად ყოფნისთვის ამასაც გავაკეთებ. ანა თავს იდანაშაულებს, — ალბათ მე მოგექეცი ისე, რომ თავი შეგაყვარეო, მაგრამ ეს ასე არ არის. ჩვენს სიყვარულში ერთადერთი დამნაშავე მე ვარ.

— თქვენი ასაკის გასათხოვარი გოგონები არ გიზიდავენ?

— იცით, რა? ჩემთვის, მის გარდა, არავინ არსებობს. ასე მგონია, რომ ყველა უბრალოდ, ადამიანია, ის კი — ქალი. ახლა თბილისში არ არის, შვილებთან ერთად დასასვენებლადაა წასული. უზომოდ მენატრება, თუმცა, მხოლოდ ერთი კვირაა, არ მინახავს. საღამოობით, მანქანით გამოვდივარ და ქალაქს წრეებს ვურტყამ, მისი სახლის ქვემოთ ვჩერდები და ჩაბნელებულ ფანჯრებს შევყურებ. ვიცი, რომ შინ არ არის, მაგრამ მაინც ვრეკავ მასთან სახლში და ტელეფონის ზუმერს ვუსმენ...

— თქვენმა ოჯახმა თუ იცის თქვენი სიყვარულის შესახებ?

— დიახ. მყავს და და ძმა. დედამაც იცის. დიდ წინააღმდეგობას ვაწყდები მათი მხრიდან. მუდამ მედავებიან და ათასგვარ დაბრკოლებას მიქმნიან. მაგრამ ყველას გასაგონად ვაცხადებ: ანას არავითარ შემთხვევაში არ დავთმობ. ჩემს ცხოვრებაში ყველას თავისი ადგილი აქვს. ოჯახის წევრები უზომოდ მიყვარს, მაგრამ ჩემს პირად ცხოვრებაში ჩარევის უფლებას არავის მივცემ...

— რატომ გაგიჩნდათ სურვილი, პირისპირ გამსაუბრებოდით?

— თქვენს რუბრიკას — „გზავნილები“ ყოველთვის ვადევნებ თვალყურს. აშკარად იგრძნობა თბილი და ადამიანური დამოკიდებულება. რატომღაც, გულის გადაშლა მომინდა. თანაც, უცხო ადამიანთან საუბარი შედარებით ადვილია... მთელი ორი საათია, ვსაუბრობთ და მასზე რომ გიამბობთ, ასე მგონია, სადღაც აქვე, ახლოსაა და მისი მონატრების გრძნობას ვიკლავ. მინდა, მანაც წაიკითხოს და კიდევ ერთხელ დარწმუნდეს, რომ უზომოდ მიყვარს. ხშირად მითქვამს ხოლმე მისთვის: მინდა, მთელი ქვეყნის გასაგონად ვიყვირო, რომ მიყვარხარ-მეთქი და ახლა სწორედ ასე ვიქცევი — მიყვარხარ, ჩემო სიცოცხლევ, შენ ყველაზე, ყველაზე, ყველაზე ლამაზი ხარ მსოფლიოში!

■

სიახლე „ტრიუმფისაგან“
„ელიტა“ ელიტარული გემოვნებისათვის

კომპანია „ტრიუმფის“ უპირველესი მიზანი, მისი დაარსების დღიდან ყოველთვის იყო არის და იქნება მომხმარებლისათვის მაღალხარისხოვანი პროდუქციის მიწოდება.

აღნიშნულის გათვალისწინებითა და ქვეყანაში არსებული კონკურენციის პირობებში როდესაც სამომხმარებლო ბაზარი გაჯერებულია იმპორტული და სამწუხაროდ ხშირ შემთხვევაში ფალსიფიცირებული, კონტრაბანდული პროდუქციით, კომპანია „ტრიუმფმა“ მომხმარებელს მოუმზადა სასიამოვნო სიურპრიზი, არაყი „ელიტა“-ს სახით, რომელიც დამზადებულია საერთაშორისო სტანდარტების დონეზე, სპეციალური ტექნოლოგიით. ხორბლის ლუქსის კლასის უმაღლესი ხარისხის სპირტისაგან და მთის წყაროს წყლებისგან. დახვეწილი გემო, შესანიშნავი არომატი და რაც მთავარია ხარისხი. სპეციალისტებმა ის ხორბლის ცრემლებად მონათლეს.

იმედია არაყი „ელიტა“ თავის დახვეწილი დიზაინით და რაც მთავარია უმაღლესი ხარისხით არ დატოვებს გულგრილს „ცეცხლოვანი წყლის“ მოყვარულებს და თავის ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს როგორც საქართველოში ისე მის ფარგლებს გარეთ.
გასინჯეთ, იქნებ ეს არის ის, რაც თქვენ ასე გსურდათ.

მაშ სიმწარე გვაშოროს და სიტკბო მოგვცეს ღმერთმა!

ჯგუფ „ფორტეს“ წევრს ირინა კახნიაშვილს შავი ფერის „ოპელ კადეტი“ ჰყავს. ირინა მანქანაში თურმე ისე მყუდროდ გრძნობს თავს, როგორც საკუთარ სახლში. თვითონ ამბობს, რომ ძალიან ყურადღებიანია და მანქანას ძალიან უფრთხილდება. ალბათ ამიტომ შემოგვჩივლა: ახლა, ცოტა დაზიანებულია, ერთ ადგილას „გაშპაკლეს“ და ხელოსნამდე ველარ მივაღწიე, რომ შევაღებინოო — ორი დღე მაინც უნდა მის გაშრობასო. ირინა კი უკვე, იმდენად შეჩვეულია მანქანით მგზავრობას, რომ ორი დღეც ეძნელება მასთან განშორება...

„მამაკაც პოლიციელებს ვეკეკლუცები ხოლმე და ისინიც ჭკუაზე არ არიან...“

ნინო ჯავახიშვილი

— ირინა, „ოპელ-კადეტი“ შენთვის პირველი მანქანაა?

— რაც თავი მახსოვს, სულ მანქანაზე ვოცნებობდი და მამაჩემს ვემუდარებოდი: მამა, ხომ ნამდვილად მიყიდი მანქანას? ხომ დამსვამ საჭესთან-მეთქი? — როგორ არ დაგსვამ? — ოღონდ, შენ მანქანა იყიდეო, — მპასუხობდა ხოლმე მამაჩემი... მოსკოვში რომ ვცხოვრობდი, იქ გარკვეული თანხა მოვაგროვე თუ არა, მაშინვე თბილისში დავრეკე და ოჯახის წევრებს ვახარე: ჩამოვალ თუ არა, მანქანას ვიყიდი-მეთქი. ასეც მოვიქეცი. მამა და მეგობრები გამომყვნენ ბაზრობაზე და იმ თანხაში, რაც მქონდა, ყველაზე მისაღები ვარიანტი, ეს მანქანა აღმოჩნდა. შარშანწინ ვიყიდე, თებერვლის ბოლოს. მართვაც ამ მანქანაზე ვისწავლე.

— ხომ არ გაგიჭირდა?

— მამაჩემს სულ ვეხვეწებოდი: რა იქნება — წამიყვანე შენი მანქანით და მართვა მასწავლე-მეთქი!.. — როცა დავრწმუნდები, რომ უკვე შეგიძლია ავტომანქანის ყიდვა, მაშინ ან მე გასწავლი ან კურსებზე მიგიყვანო, — მეუბნებოდა. მაინც თვითონ მოუხდა ჩემი მასწავლებლის ამპლუაში ყოფნა. სხვათა შორის, ძალიან ადვილად ავუღე ალღო, თუმცა ერთხანს, მაინც ვერიდებოდი საჭესთან დაჯდომას ისე, თუ გვერდით ვინმე არ იჯდა. მერე მივხვდი — თუ არ გავრისკე და მარტომ არ გავიარე ქალაქში, ვერასდროს მივუჯდები საჭეს დამოუკიდებლად-მეთქი. მოკლედ, გავრისკე და გავედი ქალაქში მარტო. ცოტა კი ვინერვიულე, მაგრამ შინ მშვიდობიანად დავბრუნდი.

— შეჯახება ხომ არ მოგსვლია?

— არასდროს. ღმერთმა დამიფაროს! ერთადერთი „უბედური“ შემთხვევა ის იყო, რომ თავიდან, როცა მანქანის მართვას ვსწავლობდი, ისეთ უზარმაზარ ორმოში „ჩავხტი“, რომ ორივე საბურავი გამისკდა... მამა მოვიდა და მანქანა სახელოსნოში წაიყვანა.

— თვითონ ალბათ არ გეხერხება მანქანის შეკეთება...

— რომ არ მოგატყუო, ავტომანქანის არაფერი გამეგება. ყოველ ფეხის გადადგმაზე სახელოსნოა და პრობლემა არ არის... თან, ხშირად არც მაწვალებს — „კარგ ფორმაშია“, თუმცა რომ ვიყიდე, უკვე 7-8 წლის იყო.

— საგზაო პოლიციელებთან როგორი ურთიერთობა გაქვს?

— პოლიციელები ხშირად მაჩერებენ. ორჯერ, მართვის მოწმობაც კი ჩამომართვეს. მახსოვს, ერთი პოლიციელი მიმტკიცებდა: გინდა თუ არა, „წითელზე“ გაიარეო, არადა, მართალი ვიყავი. იმას კი არ ვამბობ, ძალიან წესიერი მძღოლი ვარ და მოძრაობის წესებს არასდროს ვარღვევ-მეთქი, მაგრამ მაშინ დამნაშავე ნამდვილად არ ვიყავი. ხშირად მცნობენ ან უბრალოდ, როგორც ქალს, ზედმეტად არ მეჯინებიან და მიშვებენ. უმეტესად, სიჩქარის გადაჭარბების გამო მაჩერებენ ხოლმე.

— ეი. სისწრაფე გყვარებია. კი, მაგრამ არ გეშინია?

— გიჟივით არ დავაქროლებ მანქანას. ეტყობა, პოლიციელები იმისთვის, რომ გაგაჩერონ, ყველანაირ მიზეზს იყენებენ. ერთხელ პოლიციელმა გამაჩერა და რომ გაიგო, ვინც ვიყავი, მთხოვა: შინდისში ვცხოვრობ და თუ შეგიძლიათ, იქაურებისთვის კონცერტი ჩაატარეთ, თან — უმიკროფონოდ, ფონოგრამის გარეშე იმღერეთო... — მოლად მარტო დოლზე ნუ „დაგვსვამთ“ და გიტარაზე — კი, ბატონო, დიდი სიამოვნებით ვიმღერებ-მეთქი, — დავპირდი. მაშინ, თქვენი კოორდინატები მომეციოთ. „არტ-იმედში“ ახალი გაერთიანებულები ვიყავით. ჩემი მენეჯერის კოორდინატებს მოგცემთ და მას შეუთანხმდით, ოღონდ ახლა გამიშვით და აუცილებლად ჩამოვალთ-მეთქი, — ვუთხარი. რა თქმა უნდა, არანაირი კონცერტი არ ჩაგვიტარებია შინდისში. ასე იმიტომ მოვიქეცი, რომ პოლიციელი თავიდან მომეშორებინა. აბა, იმის თავი სად მქონდა, ჩემთვის რომ ერეკა?!.

— როდესაც პოლიციელი განიშნებს — გააჩერეო, — ყოველთვის ემორჩილები ხოლმე?

— სხვათა შორის — კი და ამის გამო ყველა მეჩხუბება: რა არის, გოგო, მოხალისე ხომ არა ხარ, ჯოხის ყოველ დაქნევაზე რომ აჩერებ მანქანასო?! აი, პოლიციელ ქალებთან კი არაფერი „ჭრის“: რამდენჯერმე გამაჩერეს და ფულის გადა-

პოლიციელები იმისთვის, რომ გაგაჩერონ, ყველანაირ მიზეზს იყენებენ

ხდა მომიწია. ამიტომ ვერიდები მათთან ურთიერთობას. ვიცი, რომ ფანჯრის მინა უნდა ჩამოვწიო და გაღიმებული მივესალმო... მოკლედ, პოლიციელ მამაკაცებს ვეკეკლუცები ხოლმე და ისინიც ჭკუაზე არ არიან... ლესელიძის ქუჩიდან რომ ამოდიხარ, იქ რამდენიმე შუქნიშანია და ერთხელ დავიბენი – ვეღარ გავერკვეე, რომელს უნდა დავმორჩილებოდი. როგორც კი მივხვდი – მგონი მოძრაობის წესები დავარღვიე-მეთქი, – მაშინვე ინსპექტორისკენ ავიღე გეზი, მანქანა გავაჩერე და ვთხოვე: ვერ გავიგე, რომელზე უნდა გავიარო და რომელზე – არა, იქნებ ამიხსნათ, მეორედაც ასე რომ არ მოვიქცე-მეთქი. ლამის ორი საათი, დიდი სიამოვნებით მიხსნიდა, როგორ უნდა მემოძრავა იმ მონაკვეთზე, ბოლოს, მადლობა გადავუხადე: მეორედ აღარ დავარღვევ და თქვენც აღარ გამაჩერებთ-მეთქი. ისე ეწყინა ეს ამბავი... რას ამბობთ? გეხვეწებით – კიდევ დაარღვიეთ რომ კვლავ გაგაჩეროთ, თუ არა და, ისე მაინც გააჩერეთ ხოლმე და გამარჯობა მითხარითო...

— **ავტოინსპექტორებს ფული არასდროს წაურთმევიათ შენთვის?**

– როგორ არა? – ორჯერ თუ სამჯერ იყო ასეთი შემთხვევაც. ვაკეში, ერთ-ერთ სილამაზის სალონში მივდიოდი. დოლარები მქონდა და გადახურდავება ვერ მოვასწარი. ვიფიქრე, იქვე სადმე გადავახურდავებ-მეთქი. გამაჩერა პოლიციელმა: წითელზე გაიარეო, – მიმტკიცებდა და თან საბუთების წართმევით დამემუქრა. კარგი, გადავიხდი, მაგრამ 5-დოლარიანი მაქვს და უკანა გზაზე მოგცემ-მეთქი. – ვუთხარი. – არა, კაცო, – ჩვენ თვითონ გადაგიხურდავებთ, რა სისულელეაო?! – გამიიოლა საქმე. მართლაც, წავიდა, ლარები მოიტანა, თავისი წილი აიღო, მერე, რაც დარჩა, საგულდაგულოდ გადათვალა და მეც მთხოვა: ახლა შენც გადათვალე – ხომ არ მოგატყუეთო..

— **ძალიან წესიერი და პატიოსანი პოლიციელი კი შეგხვედრია...**

– *(იცინის)* აბა?!. თან, ასეთი პატიოსანი პოლიციელები რატომღაც სულ მე მხვდებიან ხოლმე... ერთ ამბავსაც გავიხსენებ. მანქანა ახალი ნაყიდი მყავდა, მაგრამ მთელი ორი თვე „ტეხასმოტრის“ გარეშე ვიარე, ვერა და ვერ მოვახერხე ამ პრობლემის მოგვარება. პოლიციელები რომ მაჩერებდნენ, ვიტყუებოდი: იცით, რა, სულ ორი დღეა, რაც საჭესთან ვზიავარ, მანქანა გუშინწინ ვიყიდე და დღესხვალ გავაკეთებ-მეთქი. ერთხელაც, გამაჩერა თუ არა პოლიციელმა, მაშინვე ახსნა-განმარტება დავუწყე: იცით, მანქანა ორი დღის წინ ვიყიდე და... მაგრამ აღარც დამამთავრებინა: გაჩერდი, გაჩერდი, ორი კვირის წინ, საბურთალოზე გაგაჩერე და მაშინაც ასე მითხარი, მეორედ აღარ დაგინახოს ჩემმა თვალებმა, თორემ, პირდაპირ მანქანას ჩამოგართმევ, – მართვის მოწმობაზე აღარ არის ლაპარაკიო...

— **მანქანის მოვლა თუ გიყვარს?**

– თვითონ არ ვრეცხავ, მაგრამ ავტოსამრეცხაოში ხშირად მიმყავს. მსიამოვნებს სუფთა, გაკრიალებულ მანქანაში ჯდომა. მანქანის ინტერიერს ერთადერთი სათამაშო ამშვენებს – მეგობრის ნაჩუქარია და ძალიან მიყვარს.

— **ალბათ მანქანით უბრალოდ სეირნობა გიყვარს, არა?**

– მანქანა ჩემთვის არის კომფორტის საშუალება (მეხმარება საქმეების მოგვარებაში) და არა ფუფუნების საგანი. მანქანით აქეთ-იქით უაზრო ხეტიალი არ მიყვარს. ჩემი დაქალები სულ მეხვეწებიან: ქალაქში ერთხელ მაინც გაგვასეირნეო. ერთხელ, როგორღაც დამითანხმეს, მაგრამ ისეთი სისწრაფით მოვატარე ქალაქი, რომ თვალის დახამხამებაში შინ ვიყავით. აუჰ, რა მაგარი პატივი გვეციო... – სიცილით მეუბნებოდნენ.

— **„ფორტეს“ სიმღერებს თუ უსმენ ხოლმე მანქანაში?**

– როდესაც სიმღერა ახალი ჩაწერილი გვაქვს, მაშინ ხშირად ვუსმენ... საერთოდ, მიყვარს მანქანაში მუსიკის მოსმენა.

— **ახლო მომავალში მანქანის გამოცვლას ხომ არ აპირებ?**

– უკეთესი მანქანა, რა თქმა უნდა, მინდა, გეგმაში მაქვს, მაგრამ ეს როდის იქნება, არ ვიცი. ძალიან მომწონს ჯიპები, მაგრამ ალბათ ამდენს ვერ შევწვდები. არადა, თუ იყიდი, ბარემ, ძალიან მაგარი უნდა იყიდო. ასეა, არა? ძალიან მიყვარს ჩემი მანქანა და როცა სხვას ვიყიდი, ამას მამაჩემს ვაჩუქებ. მისი მანქანა უკვე საკმაოდ „ასაკოვანია“ და ამიტომაც დავპირდი: როგორც კი ახალ მანქანას ვიყიდი, „ოპელი“ შენი იქნებამეთქი. ვიცი, გაუხარდება... ■

ერთგული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. რა ერქვა კონსტანტინე გამსახურდიას ქალიშვილს?

ა) ქეთინო;
ბ) თამარი;
გ) თინათინი.

2. რომელი ფრაქციის წარმომადგენელი იყო კოლორიტული პარლამენტარი ვახტანგ გოჭორიშვილი?

ა) „აღორძინების“;
ბ) „XXI საუკუნის“;
გ) „მაჟორიტარების“.

3. ვის ამსგავსებენ ტელეჟურნალისტ ნელი კობიაშვილს?

ა) ჯეინ ფონდას;
ბ) ტატიანა მიტკოვას;
გ) ბარბარა უოლტერსს.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

ეკა კვალიაშვილს და მის მეუღლეს ჯერჯერობით ვერ გადაუწყვეტიათ, თუ რომელ ქალაქში წავლენ დასასვენებლად. ის კი დანამდვილებით იციან, რომ აუცილებლად ზღვაზე გაემგზავრებიან და კარგ დროსაც გაატარებენ. ეკას ძალიან უყვარს ზღვა და გარუჯვა, თუმცა, ზღვისა და პლაჟის გარეშეც, მეგობრებთან ერთად მშვენივრად ახერხებს ხოლმე გართობას.

„ერთი მთა ამოვიჩემე, იქ მივდიოდი და ხვლიკებს ვიჭერდი ხოლმე...“

ნინო ჯავახიშვილი

— ზღვა ძალიან მიყვარს, ოღონდ მაშინ, როცა გამჭვირვალე, სუფთა და წყნარია. რა თქმა უნდა, ყოველთვის მეგობრებთან ერთად მივდივარ დასასვენებლად. ახლაც ნელ-ნელა ვაგროვებ იმ ადამიანებს, რომლებიც ძალიან მიყვარს, მსიამოვნებს მათთან ერთად დასვენება და ვიცი, რომ კარგად გავერთობი.

— ვინ არიან ეს ადამიანები?

— მიყვარს ჩემს მამიდაშვილთან — ნატუკა გულისაშვილთან ერთად დასასვენებლად წასვლა. ძალიან კარგი გოგოა. რაც არ უნდა უჭირდეს, ცუდ ხასიათზე მყოფს ვერ ნახავ. სასწაული იუმორი აქვს. ჩემს მეუღლეზე ხომ, აღარაფერს ვამბობ. ბესო გართობის თავიდათავია. ნატუკას სახლი აქვს საგარეჯოში და იქ რომ ჩავდივართ, ზღვისა და პლაჟის გარეშეც მშვენივრად ვატარებთ ხოლმე დროს.

— საერთოდ, კარგად ცურავთ?

— კი, ოღონდ მაინცდამაინც ღრმად არ შევდივარ ხოლმე ზღვაში. ზღვის ნდობა არ შეიძლება — რაც არ უნდა წყნარი იყოს, მაინც მოულოდნელობებით არის სავსე. შარშან ბათუმში ვისვენებდით მე, ბესო და ჩემი გოგონა. მე და ბესო შეზღონგებზე წამოწოლილები ვირუჯებოდით. უცებ, ერთი დიდი ტალღა წამოვიდა, ჩვენ წინ ვიღაცების ქოლგა წააქცია, თავზე გადაგვიარა და ყველა ნივთიც მოგვტაცა. კიდევ კარგი, ჩემი შვილიც ჩვენ გვერდით იყო, თორემ ალბათ მასაც მოგვტაცებდა...

— დასვენების დროს, რაიმე კურიოზული ამბავი ხომ არ გადაგხდენიათ თავს?

— ვცდილობ, განსაკუთრებული შემთხვევებისგან თავი დავიზღვიო, მით უმეტეს, როცა ჩემ გვერდით შვილია.

— ახალგაზრდობაში როგორ ერთობოდით ხოლმე?

— გინდოდა, გეთქვა — ბავშვობაშიო, არა?! — მე ხომ ახლაც ახალგაზრდა ვარ *(იცინის)*... ე.ი. ბავშვობაში როგორ ვისვენებდი, ხომ? თითქმის ყოველ ზაფხულს, ბათუმში მივდიოდით. „ინტურისტში“ იყო ბარი და ყოველ საღამოს, დისკოთეკა იმართებოდა. ადგილის დასაკავებლად კი, უკვე 6 საათიდან ვისხედით ხოლმე ფოიეში, რადგან ძალიან ბევრი ხალხი გროვდებოდა... ჩვეულებრივი ტინეიჯერი ვიყავი, ცეკვა ძალიან მიყვარდა და ლამის დილამდე ვცეკვავდი ხოლმე. არ ვიცი, როგორ არ ვიღლებოდით ან როგორ არ გვბეზრდებოდა ყოველდღე ერთი და იგივე, მაგრამ ალბათ ერთად ყოფნა გვიხაროდა. მახსოვს, მაშინ განსაკუთრებით პოპულარული იყო სიმღერა „ფელიჩიტა“, იტალიური დუეტის — ალბანო და რომინა პაუერების შესრულებით. კარგი დრო იყო, ზღვიდან პირდაპირ ბარში გავრბოდით, თან გზადაგზა, მაკიაჟს ვიკეთებდით და ერთ ამბავში ვიყავით. პლაჟზე კი, „ჯოკერს“ ან ბურთს ვთამაშობდით ხოლმე.

— აზარტული ხართ?

— მიყვარს „ჯოკერი“. ახლა უკვე აღარც კი მახსოვს — აღარ მიტაცებს. ვერ ვიტყვი, ძალიან აზარტული ვარ-მეთქი. მაგალითად, ნარდის და დომინოს თამაში საერთოდ არ ვიცი.

— საკურორტო რომანებზე რას იტყვით? საინტერესო არაფერი გახსენდებათ?

— სერიოზული საკურორტო რომანი არასდროს მქონია. შეიძლება ვინმეს მოვწონდი კიდეც, მაგრამ მე ყველასთან დამშური ურთიერთობა მქონდა...

— მთაში არასდროს წასულხართ დასასვენებლად?

— გურიაში ერთი ულამაზესი სოფელია — ვერძისწყარო, ირგვლივ მთები აკრავს. ჩემი ბიძაშვილი ცხოვრობდა იქ და ბავშვობაში ხშირად დავდიოდი. სოფლელი და ქალაქელი ბავშვები ერთმანეთთან ვმეგობრობდით და როცა გაიგებდნენ, რომ ჩასვლას ვაპირებდით, ავტობუსის გაჩერებაზე გველოდებოდნენ ხოლმე. ის წლები ძალიან ლამაზ მოგონებად დამრჩა. ოჯახიდან გაგვატანდნენ ხოლმე საგზალს და მივდიოდით ტყეში, სიგრილეში, ნაკადულის პირას. თავი ზღაპარში მეგონა. ასეთი პიკნიკების შემდეგ, საღამოობით სოფლის კლუბში მივდიოდით, მაგრამ ფილმის საყურებლად კი არა — უფრო საჭორაოდ.

— მაშინ სოფლის კლუბებში ყველაზე ხშირად, ინდური ფილმები გადიოდა...

— საგარეჯოში ვისვენებდით, ნატუკასთან. ერთ საღამოს, კინოში წასვლა გადავწყვიტეთ. ინდური ფილმი გადიოდა. ხომ იცით, რაც ხდება ინდურ ფილმებში — რა სასწაული სიყვარულია ნაჩვენები, როგორი ამაღელვებელი ამბები არის ხოლმე აღწერილი. ჰოდა, გოგოები წამოვედით იქიდან თვალცრემლიანები... ბავშვობას არაფერი შეედრება. ახტაჯანა ბავშვი ვიყავი, გარაჟების სახურავებზე ძრომიალი მიყვარდა. ერთხელ ბებიამ ფასანაურში წაგვიყვანა მე და ჩემი ძმა. ერთი მთა ამოვიჩემე, იქ მივდიოდი და ხვლიკებს ვიჭერდი ხოლმე. უშიშარი ვიყავი, მომწონდა მთაში ხეტიალი, ძრომიალი. წინააღმდეგობების დაძლევა მსიამოვნებდა. არაჩვეულებრივი დრო იყო... განსაკუთრებულად თბილად მახსენდება ერთი თბილისური საღამო: ვერაზე, ჩვენი მეგობრის ოჯახში მთელი ღამე ქეიფში გავატარეთ. 20-მდე კაცი ვიქნებოდით. იქიდან რომ წამოვედით, უცებ ერთმა სიმღერა დაიწყო — „ჩემი თბილისის საღამო“... ავყევით ყველა, გავშალეთ ხმებში და იცით, რა მოხდა? ყველა სახლის ფანჯარა გაიღო და აქეთ-იქიდან გვეპატიჟებოდნენ: თქვენ, გენაცვალეთ, მოდით, რა, ჩვენთან ამოდით და აქ გააგრძელეთო!.. ახლა ქუჩაში რიჟრაჟზე რომ დაიწყო სიმღერა, ხალხი ალბათ ლანძღვა-გინებით გაგიმასპინძლდება... ■

მე და ბესო შეზღონგებზე წამოწოლილები ვირუჯებოდით. უცებ, ერთი დიდი ტალღა წამოვიდა...

„რა არის ქალი, რა არსებაა? ადამიანი? რაღა თქმა უნდა! თუ — ჯოჯოხეთი და სამოთხე ერთად?!“ ეს სიტყვები შალვა დადიანს ეკუთვნის. სწორედ ეს ფრაზა ამეკვიატა თამუნასთან (ყველა რესპონდენტის სახელი შეცვლილია) მიმავალს. საგანგებოდ გამოწყობილი ქართველი ტრანსსექსუალი ღიმილით შემომეგება. ცოტა უხერხულადაც ვიგრძენი თავი, რადგან პირველად ვიჯექი ასეთ ადამიანთან პირისპირ. ის პირველია იმ სამ ტრანსსექსუალს შორის, რომლის ამბის გამოტანა ჟურნალის ფურცლებზე გადავწყვიტეთ.

ტრანსსექსუალები

მრავლდებიან თუ უბრალოდ, აღარ იმალებიან?

მაია კახიძე
ემა გელოვანი

— რამდენი წლისა ხარ?

— ნოემბერში 28 შემისრულდება.

— მიამბე შენი ოჯახის შესახებ!

— დიდი სურვილი არა მაქვს, რადგან ჩემი ოჯახი, ფაქტობრივად, აღარ არსებობს. დედა გათხოვილია და მოზდოკში ცხოვრობს. როგორც გავიგე, ბედნიერია. სწორედ მის გამო ვიქეცი მამის „კუთვნილებად“. დედასთან გაყრის შემდეგ, მამაჩემი მალე ისევ დაქორწინდა. მაგრამ სულ რაღაც ექვს თვეში, ტრაგიკულად დაიღუპა — სანაპიროზე მანქანა დაეჯახა. დამრჩა დედინაცვალი და მისი ნათესავების „მთელი არმია“. თითქმის ორი წელი, თვრამეტი წლის ასაკიდან, დილიდან დაღამებამდე სასამართლოში დავძრწოდი. როგორც იქნა, ბინა გაიყიდა და ჩემი წილი მივიღე. რატომ ერგო ჩემს დედინაცვალს უამრავი რამ მამაჩემის ქონებიდან, ჩემთვის გაუგებარია. მაგრამ ოღონდ აღარასოდეს მენახა, ამისთვის ყველაფერზე ვიყავი თანახმა... მოკლედ, დიდი ორომტრიალის შემდეგ ავიკარი გუდა-ნაბადი და მოსკოვს გავემგზავრე.

— მოსკოვში გადაწყვიტე ცხოვრების წესისა და სქესის შეცვლა?

— რა შუაშია მოსკოვი? მე ბავშვობიდანვე მომწონდა გოგონებთან თამაში, მეგობრობა. დედაჩემს ძალიან უყვარდა უცხოური თოჯინები (ალბათ ჩემს მაგივრობას უწევდა) და ხშირად ყიდულობდა. ჩემს ბავშვობაში გერმანული სათამაშოები იყო მოდაში, დედა გადამყიდველებისგან ყიდულობდა. მახსოვს, ერთ თოჯინაში 25 მანეთი გადაიხადა. ჩემთვისაც ყიდულობდნენ მანქანებსა და ბურთებს, მაგრამ ვიხელთებდი თუ არა დროს, მაინც ჩემს ჭკუაზე ვერთობოდი — თოჯინებთან.

— რამდენი წელია, რაც დედა არ გინახავს?

— 12-13 წელია. არცა მაქვს სურვილი. მე დედა არა მყავს — ის მაშინ მომიკვდა, როცა მიმატოვა და სხვა კაცს გაჰყვა...

— ქალთან თუ გქონია სქესობრივი კავშირი?

— რა თქმა უნდა, მაგრამ ეს 9-10 წლის წინ იყო.

— სქესის შეცვლა ხომ დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული?..

— მთავარია სურვილი და ფული. მოსკოვში რამდენიმე წელი კაზინოში ვიმუშავე, საყვარელიც მყავდა, კარგად მიხდიდა და მივლიდა კიდეც.

— ესე იგი, შენი საყვარელი — მამაკაცია, ხომ?

— დიახ, მამაკაცია. ოღონდ, დღეს სხვა მიყვარს.

— რას აპირებ მომავალში?

— გათხოვებას. ჩემი საქმრო 41 წლისაა, თბილი, ლამაზი და მოსიყვარული ადამიანია.

— იცის შენი წარსულის ამბავი?

— რა მაქვს დასამალი? მას ისეთი ვუყვარვარ, როგორიც ვარ.

— რა გრძნობა დაგეუფლა ოპერაციის შემდეგ?

— ერთადერთი, რაც მთრგუნავდა — სარკეში ჩახედვა იყო და ესეც — მხოლოდ თავიდან. თანაც, მე ხომ უკვე რამდენიმე ოპერაცია გავიკეთე?! ჯერ ნახევრად მამაკაცი ვარ, ნახევრად — ქალი.

— ბოლო ოპერაციის შემდეგ რამდენ ხანში შეიძლება სქესობრივი კავშირი?

— ერთი წლის განმავლობაში არ შეიძლება, კატეგორიულად კრძალავენ ექიმები.

— გამოდის, რომ ჯერ ბისექსუალი ხარ და სქესობრივი კავშირი ქალთანაც შეგიძლია და მამაკაცთანაც...

— ქალები არ მაღელვებენ, მათთან მხოლოდ ვმეგობრობ. მოსკოვში დაქალები ტომაჩკას მეძახიან.

— თბილისში, დარწმუნებული ვარ, დედინაცვლის სანახავად არ ჩამოხვიდოდი...

— რასაკვირველია, არა. ბინა ვიყიდე. აი, პასპორტთან დაკავშირებით კი, დიდი პრობლემა გამიჩნდა. სადმე რომ მივემგზავრები, ბიჭურად ვიცვამ და ეს ძალიან მტანჯავს, ბიჭის ტანსაცმელში თავს საშინლად ვგრძნობ. რა ვქნა, საბუთებში ჯერაც მამრობითი სქესი მიწერია. არ მესმის, რატომ არ უნდა მქონდეს უფლება, ვინც მინდა, ის ვიყო, როგორც მსურს, ისე ვიცხოვრო?! ამ დღეებში ადვოკატს ავიყვან, ოფიციალური სამედიცინო საბუთიც მაქვს და ალბათ, ბოლოს და ბოლოს, ავიღებ პასპორტს.

— ვერ გავიგე: აქ გათხოვდები, აქ გადაიხდი ქორწილს თუ?..

— მოსკოვში — იქ სულ სხვანაირად ვგრძნობ თავს.

— მერედა, რად გინდა თბილისში ბინა, მოქალაქეობა, პასპორტი და ა.შ.?

— მე სულით ისეთივე ქართველი ვარ, როგორიც თქვენ, ოღონდ, ბიჭად დაბადებულს, ნაზი ცხოვრება მომწონს; მინდა, ისევე მეალერსონ, როგორც ქალს, ყვავილები

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა ღვალი

უბის წიგნაკიდან:

1. სიმელოტეს სამედიცინო ენაზე ალოპეცია ეწოდება.

2. მშვილდოსნობის ხელოვნებას იაპონიაში ბუიჯუცუ ჰქვია.

3. მარცვლოვანი ვაშლი (granatum malum) – ასე ეძახდნენ ძველი რომაელები ბროწეულს.

4. ოპერა „ზაზა“ რუჯერო ლეონკავალოს დაწერილია, ოპერა „ლელა“ – რევაზ ლაღიძისა.

5. მედეა ჩახავა, გივი ბერიკაშვილი და კონსტანტინე გამსახურდია ერთ დღეს, 15 მაისს არიან დაბადებულები.

6. შარლ მორის ტალეირანი იღებდა ქრთამს ყველასგან, ვისაც კი მისი დახმარება ესაჭიროებოდა.

7. სირიაჩქონი სოფელია სენაკის რაიონში, სიქანაანი – სოფელი დუშეთის რაიონში, სკორმეთი – სოფელი მესტიის რაიონში.

8. სიკვდილი ამ ქვეყანაში ნაციონალურ ღირსშესანიშნაობად არის ქცეული, – ამბობდა ფედერიკო გარსია ლორკა ესპანეთისა და კორიდის შესახებ.

9. რუსეთის ვერხოიანსკის რაიონი ტემპერატურის ცვალებადობის ამპლიტუდის მიხედვით რეკორდულია მთელ მსოფლიოში: აქ ზამთარში – -77 გრადუსია, ზაფხულში კი – +39,6.

10. პოლიანები, სევერიანები, დრევლიანები, კრივიჩები, ულიჩები, ხორვატები, რადიმიჩები, დრეგოვიჩები, ვიატიჩები – ეს სლავურ ტომთა ჩამონათვალია.

11. ადამიანის ძვალი, კუმშვადობის თვალსაზრისით, 4-5-ჯერ უფრო მტკიცეა, ვიდრე რკინაბეტონი, ჭიმვადობის თვალსაზრისით კი – მუხაზე უფრო გამძლე. მას შეუძლია არცთუ ისე დიდი, მაგრამ მრავალწლიანი დატვირთვის გაძლება.

12. ტენოჩტიტლანი აცტეკების სახელმწიფოს დედაქალაქი იყო. 1521 წელს, ესპანელებმა მთლიანად დაანგრიეს ეს ქალაქი და მის ნანგრევებზე ქალაქი მეხიკო დააარსეს.

13. ღვინისა და არყის გამყიდველ ვაჭარს სირაჯი ერქვა. სირაჯები ღვინოს სოფლად შემოდგომით ყიდულობდნენ, ახალდაწურულ ღვინოს კი იბევებდნენ და ქვევრს ბეჭედს დაარტყამდნენ ხოლმე.

14. თურმანიძეები უძველესი დროიდან, სახალხო მკურნალთა ცნობილი საგვარეულოა. წარმოშობით ზემო იმერეთის სოფელ შორაპნიდან არიან. ისინი განსაკუთრებული წესით დამზადებული მალამოთი მკურნალობენ ინფიცირებულ ჭრილობებს, კანის ზოგიერთ დაავადებას, დამწვრობას და მკურნალობენ ტკბილეული, სუნამო მომართვან... განა ეს დანაშაულია? მე და ჩემი მომავალი ქმარი ხშირად ჩამოვალთ ხოლმე საქართველოში.

— სასმელს თუ სვამ?

– ოპერაციის შემდეგ ბევრს ვსვამდი – ტკივილს მიყუჩებდა. ახლა კარგად ვარ და თითქმის არ ვსვამ.

— ძველი მეგობრები მოინახულე?

– არა, სურვილიც არა მაქვს. სულ სხვა უბანში შევიძინე ბინა. თუმცა, ვერც მცნობენ: რამდენჯერმე მოვკარი თვალი ზოგიერთს...

— გეშინია აღიარო, რომ ტრანსსექსუალი ხარ და ბიჭად დაბადებული, ქალის ტანსაცმელში გამოწყობილი, მაკიაჟით და სამკაულებით დაიარები?

– მაისში ჩამოვედი თბილისში. რომ მეშინოდეს ან ვინმესი მერიდებოდეს, ბინასაც არ ვიყიდდი. მე ჩემი ქვეყნის შვილი ვარ და როცა დრო მოვა, აქ მოვკვდები...

— შვილზე არასოდეს გიფიქრია?

– როგორ არა? მაგრამ მე სრულიად შევცვალე ჩემი ცხოვრება. ხომ ხედავთ, რამდენი ობოლი ბავშვია (მეც ხომ არ მყავს მშობლები)?! მე და ჩემი მომავალი მეუღლე ვადიმი აუცილებლად ვიშვილებთ პატარას და გეფიცებით, არასოდეს მივატოვებ. ძალიან მინდა, დედობა ვიგრძნო – ეს ხომ მშვენიერია!..

— ერთ „არამშვენიერ“ დღეს, შენი ბისექსუალ-ტრანსსექსუალობის შესახებ რომ შეიტყობს ნაშვილები, რას იზამ?

– იმ პერიოდისთვის, საქართველოშიც შეიცვლება ბევრი რამ...

— იქნებ, ბოლოს, ნამდვილი სახელი მაინც მითხრა...

– არა, საკმარისად ვისაუბრეთ...

მეორე შემთხვევა – საპირისპიროა: გოგონად დაბადებული ახალგაზრდა აცხადებს – ბაღრი დამიძახეთო. მის შესახებ დედამ გვიამბო, რომელსაც ღაპაღუპით სცვიოდა ცრემლები...

– თბილისში, სამგორის რაიონში ვცხოვრობ. მეუღლე ციროზით დამეღუპა, დავრჩი 8 წლის ბავშვთან ერთად, პატარა ოთახში. ცოტა ხანს მეგობრები და ახლობლები მეხმარებოდნენ. მერე კი, მოვიკრიბე ძალ-ღონე და მუშაობა დავიწყე. რაც შემეძლო, არაფერს ვაკლებდი ჩემს ირმას, არ მინდოდა, ობლობა ეგრძნო. სკოლაშიც კარგად სწავლობდა, თამაშობდა ამხანაგებთან, არასოდეს შემიმჩნევია რაიმე განსაკუთრებული. მერე ხატვით დაინტერესდა. ჩვენი პატარა ბინა აღარ ჰყოფნიდა და მეგობრებთან მოუხშირა სიარულს. ამაშიც ვერაფერს ვხედავდი ცუდს, რადგან მეგონა, ცხოვრების მიზანი უკვე იპოვა-მეთქი. მახარებდა მისი ნიჭიერება და ხშირად წარმოვიდგენდი ხოლმე აკადემიის სტუდენტად. მის მეგობრებზე აუგის თქმა არ შემიძლია, მაგრამ ფაქტია, რომ ჩემი გოგონა ნელ-ნელა შეიცვალა. უფრო სიტყვაძუნწი, უხეში გახდა, გამირბოდა და საკუთარ თავში იკეტებოდა. კაბებიდან, ზოგი მეგობრებს აჩუქა, ზოგსაც ფუნჯის გასაწმენდად იყენებდა... ახლა ხომ სკოლებში ფორმები აღარ აცვიათ და ჯინსის შარვალს აღარ იხდიდა... შარშან დაამთავრა საშუალო სკოლა და გამოსაშვებ ბანკეტზეც კი შარვლით წავიდა. სექტემბრიდან, შინ გვიან მოსვლას მოუხშირა, რამდენჯერმე ღამითაც არ დაბრუნებულა...

— არ ეცადეთ, გასაუბრებოდით, გეკითხათ — რა ხდებოდა მის თავს?

– როგორ არ ვცადე, რა ხერხს აღარ მივმართე, მაგრამ სრულიად უმართავი გახდა, დოლარებიც ვუპოვე. ჩემია ეს ფულიო, – წარბიც არ შეუხრია. როგორ, რანაირად ახერხებს 17 წლის გოგო დოლარების შეგროვებას? მოკვდი ამდენი ნერვიულობით, თუმცა, უარესი თურმე წინ მელოდა. ერთი თვის წინ გამომიცხადა: ამიერიდან, ბაღრი დამიძახე, თორემ, საერთოდ წავალ სახლიდანო. ფულს თურმე ოპერაციისთვის აგროვებს – ჩემს შვილს ბიჭად უნდა გადაქცევა! ეს რა ღვთის რისხვაა ჩემს თავს?! რა გზას დავადგე, როგორ ვიხსნა ჩემი გოგონა ამ საშინელებისაგან?! ამას წინათ კი, კედლებზე დიდი ასოებით დააწერა „ბაღრი“ – ასე უფრო ადვილად დაიმახსოვრებო... ერთი გზაღა დამრჩენია – ცეცხლს წავუკიდებ მძინარეს და მასთან ერთად მეც დავიწვები. იმ ქვეყნად მამამისს ისეთს მივუყვან, როგორიც დამიტოვა. ვიდრე პირში სული მიდგას, ჩემი შვილი ბიჭი არ გახდება...

მესამე ამბის პერსონაჟი ქართველი არ არის, მაგრამ ჩვენს ქვეყანასთან კავშირი აქვს, თანაც მისი თავგადასავალი საკმაოდ თავისებურ შემთხვევას წარმოადგენს – განსაკუთრებით იმითაა საინტერესო, რომ სქესის შეცვლა საბოლოოდ, სხვისი კარნახით გადაწყვიტა... როგორც თავად, ახლა უკვე ქალბატონი – 29 წლის თურქი შერიფე ამბობს, ეს ნაბიჯი სიყვარულმა გადაადგმევინა. კიდევ უფრო უცნაური ის არის, რომ გადაწყვეტილებას საკუთარი მატერიალური მდგომარეობის საგრძნობლად გაუმჯობესების(!) მიზეზითაც ხსნის. შერიფე თბილისში სტუმრად ჩამოვიდა თავის ქართველ მეგობარ გოგონასთან. მისი მასპინძელი წლების წინ, თურქეთში მუშაობდა და იქ

გაუცნიათ ერთმანეთი. დიდი მეგობრობის მიუხედავად, ჩვენი რესპონდენტის მასპინძელმა საკუთარი ვინაობის გამხელა არ ისურვა და გვთხოვა ფოტოსურათზე მისი სახე დაგვეფარა.

— შერიფე, როგორი ბიჭი იყავი?

— ღარიბ ოჯახში დავიბადე, ბავშვობიდან მტვირთავად მიწევდა მუშაობა, ხოლო როდესაც ცოტა წამოვიზარდე, „ცისფერების სადგომზე“ ვდგებოდი და მდიდარ ბიძებს ვემსახურებოდი... მამაკაცები ყოველთვის მიზიდავდნენ. თუ ქუჩაში კარგი აღნაგობის მამაკაცს დავინახავდი, აუცილებლად ვცდილობდი, შევხებოდი. ბევრი ამ საქციელს აგრესიულად ხვდებოდა. იცი, ყოველთვის მშურდა მეძავი ქალების, მაგრამ სქესის შეცვლა კოლოსალურ თანხებთან არის დაკავშირებული და ამაზე არც მიფიქრია. თურქეთში ძალიან ბევრი „ცისფერია“. ისინი ყველა ღონეს ხმარობენ, რომ პლასტიკური ოპერაციისთვის საჭირო თანხა მოაგროვონ. სტამბოლში ასეთი „გოგონებისთვის“ საგანგებო პარკები არსებობს. ერთი შეხედვით ძნელია, ისინი სხვა თანამედროვე ქალებისგან განასხვავო; ხშირ შემთხვევაში, მაღლები და კარგი აღნაგობისანი არიან და მხოლოდ ბოხი ხმის გაგონების შემდეგ შეიძლება მიხვდე, რომ ისინი ოდესღაც კაცები იყვნენ. პროსტიტუცია ჩვენში კანონითაა აკრძალული, ამიტომ ხშირად ეწყობა პოლიციის რეიდი მათ დასაკავებლად, მაგრამ ასეთი ქალბატონები დიდი აგრესიულობით გამოირჩევიან და ყოველთვის თან დააქვთ ცივი იარაღი...

— შენ როგორ გახდი ქალი?

— ჩემი მომავალი მეუღლე ჯერ კიდევ მაშინ გავიცანი, როდესაც ბიჭი ვიყავი; ის ჩემი კლიენტი იყო — პატარა ბიჭები უყვარდა. ჩემზე ბევრად უფროსია, მალე სამოცი წელი შეუსრულდება. ჰყავდა ცოლი და ორი ვაჟი. შემეძლო შენთვის მისი სახელიც მეთქვა, მაგრამ საკმაოდ სოლიდური ბიზნესმენია, საკუთარი სასტუმროების ქსელი აქვს სტამბოლში, ანტალიასა და ანკარაში, ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ ქართველი ბიზნესმენებიდან ვინმე მიხვდეს, თუ ვისზეა საუბარი. საკმაოდ ხანგრძლივი ურთიერთობა გვქონდა და თვითონ შემომთავაზა, სქესი შეეცვალა და დამპირდა, რომ ცოლად მოგიყვანდა. უამრავი ფული გადაიხადა და თურქეთის საუკეთესო კლინიკებში გამიკეთეს ოპერაციები. ექიმებს რამდენიმე თვე დასჭირდათ იმისათვის, რომ თავი სრულყოფილ ქალად მეგრძნო. ერთადერთი, რასაც ვერ აღწევენ, ეს ფეხის ზომის შეცვლაა, მაგრამ მე გოლიათი არასოდეს ვყოფილვარ, ხოლო ხმას რაც შეეხება — ვცდილობ, უცხო საზოგადოებაში ჩვეულებრივზე ნაზად ვილაპარაკო. წარბები გადამიჭიმეს, აი, ხელის მტევანიც კი შეცვლილი მაქვს, ტუჩების კორექტირება კი არ დამჭირვებია...

— ყოფილი მტვირთავი ახლა რას საქმიანობს?

— ამ კაცმა დანაპირები შეასრულა — ცოლად შემირთო. ძალიან ვუყვარვარ და მანებივრებს, ყველაფერი მაქვს, რაც მინდა. პირველ მეუღლესთან და შვილებთან ურთიერთობა კვლავაც აქვს, მაგრამ არ ვიცი, ჩემ შესახებ რა იციან. დღის მანძილზე შინ მიწევს ყოფნა. საერთოდ, თურქეთში არ არის მიღებული, რომ გათხოვილმა ქალმა ქუჩაში მარტომ იაროს, ამიტომ მე და ჩემი მეუღლე ერთად გავდივართ ხოლმე შინიდან საღამოობით. მას შემდეგ, რაც ქალად ვიქეცი, ჩემმა ოჯახმა და ნათესავებმა ზურგი შემაქციეს, მაგრამ ჩემი ახლანდელი მდგომარეობით მაინც ბედნიერი ვარ. მე და ჩემი მეუღლე უკვე რვა წელია ერთად ვართ. არ ვიცი, რამდენ ხანს გაგრძელდება ჩვენი ურთიერთობა, მაგრამ ვიცი, რომ რაც არ უნდა მოხდეს, მტვირთავად მაინც აღარასოდეს მომიწევს მუშაობა... ■



ახლა უკვე ქალბატონი — 29 წლის თურქი შერიფე (მარჯვნივ)

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალი
უბის წიგნაკიდან:

ნალობის საკუთარ მეთოდს მემკვიდრეებს გადასცემენ. 1812 წლის კახეთის აჯანყების დროს დაჭრილი პოეტის, ალექსანდრე ჭავჭავაძის სამკურნალოდ ქუთაისიდან ერთ-ერთი თურმანიძე მიიწვიეს. P.S. არსებობს ცნობა, რომ მძიმედ დაჭრილი ჯუზეპე გარიბალდი ფეხის ამპუტაციისგან, საქართველოდან იტალიაში საგანგებოდ მიწვეულმა ერთ-ერთმა თურმანიძემ იხსნა.

15. ყველა რომაულ ლეგიონს ჰქონდა თავისი სახელწოდება, „დროშა“ (ჯოხზე დამაგრებული ვერცხლის არწივი) და ნომერი. კეისრის არმიაში X ლეგიონი ყველაზე გამორჩეული იყო.

16. ამერიკელი მეცნიერები — ალენ ოუგარდი და ჯეინ პოტსი მსოფლიოს ყველა კუთხიდან აგროვებენ ძველებურ კომპასებს, ტელესკოპებს, ჭოგრიტებს, ჭურჭელს ჩაძირული გემებიდან და ღილებსაც კი. ისინი ისტორიკოსები არიან და ჰაერის ისტორიას სწავლობენ.

17. ძველ რომში არსებობდა მამაკაცების ორი ასაკობრივი ჯგუფი: 46-დან 60 წლამდე ასაკის კაცებს სენიორებს ეძახდნენ, ხოლო 17-დან 46 წლამდე ასაკისას — იუნიორებს.

18. განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის სიკვდილმისჯილს ჩინეთში უძილობით კლავდნენ. ლუდოვიკო მეთოთხმეტის მოკვლის მცდელობისთვისაც ასე დაისაჯა თავდამსხმელი.

19. „ჩემსა და გიჟს შორის ის განსხვავებაა, რომ მე გიჟი არა ვარ“, — ამბობდა სალვადორ დალი.

20. კუნძულ ტენერიფეზე მდებარე, ესპანეთის ყველაზე მაღალი მთა — ვულკანი ტეიდე — დღითი დღე დაბლდება, რადგან იქიდან ტურისტები გამუდმებით ეზიდებიან კენჭებს.

21. ინგლისურ ენაში არ არის სიტყვა „მილიარდერი“. ამ სიტყვის ნაცვლად ისინი „მულტიმილიონერს“ ხმარობენ.

22. ქალაქ სან-დიეგოში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე საღამოს 11 საათის შემდეგ აკრძალულია სანთლების ანთება. საქმე ის გახლავთ, რომ სან-დიეგოს მახლობლად ობსერვატორია მდებარეობს.

23. კოვბოები სინამდვილეში ძალიან ცუდი მსროლელები იყვნენ: ტყვიები იმდენად ძვირი ღირდა, რომ მათ არ ჰქონდათ სროლაში დაოსტატების საშუალება.

24. ფრანგ სკულპტორ ოგიუსტ როდენს ჰკითხეს, როგორ ქმნიდა იგი თავის ნაწარმოებებს? — უბრალოდ — უპასუხა როდენმა, — ვიღებ მარმარილოს ლოდს და ვაცილებ მას ყველაფერს, რაც ზედმეტია. ■

რამდენს უხდიან კაცს, რომელმაც პრეზიდენტისკენ გასროლილ ტყვიას მკერდი უნდა შეუშვიროს!..

წლების წინ, პრეზიდენტ შევარდნაძეზე განხორციელებული ტერაქტების შემდეგ, ქვეყნის პირველი პირის დაცვის ზომები საგრძნობლად გამკაცრდა. მარშრუტს, რომელსაც პრეზიდენტის ესკორტი ყოველდღე, კრწანისის სამთავრობო რეზიდენციიდან სახელმწიფო კანცელარიამდე გადის, ასობით სამთავრობო დაცვის თანამშრომელი იცავს. ესკორტის გადაადგილების დროს, შესაბამის ტერიტორიაზე იკრძალება საავტომობილო მოძრაობა, ფეხით მოსიარულეთათვის კი — ქუჩის გადაკვეთა; დაუშვებელია, მიმდებარე შენობების ფანჯრებში რაიმე ნივთის, განსაკუთრებით — ლითონის საგნების მკვეთრად ამოძრავება. დაუმორჩილებლობა მყისიერად დაისჯება... საპრეზიდენტო დაცვა საზოგადოების დიდი ინტერესის სფეროს განეკუთვნება, ამიტომ შევეცადეთ, დავკავშირებოდით ამ იდუმალებით მოცული სამსახურის ერთ-ერთ წევრს, რომელსაც, გასაგები მიზეზების გამო, არ დავასახელებთ და პირობითად დათოდ მოვიხსენიებთ. დათომ სიფრთხილე გამოიჩინა და თავისი ასაკიც კი არ გაგვიმხილა, თუმცა გვითხრა, რომ ოთხი წელია, რაც მიიღო ფიცი, ერთგულად ემსახუროს ქვეყნის პრეზიდენტს და როგორც თავად ამბობს, საკუთარი საქმის პროფესიონალია.

ემა გელოვანი

— ურთულესი ფიზიკური წვრთნა გავიარე, სანამ სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის წევრი გავხდებოდი. იქ რომ მოხვდე, თავისუფლად უნდა შეგეძლოს: საკმაოდ დიდი მანძილის სირბილით ან სიარულით დაფარვა, შვეულმფრენიდან თოკით დაშვება, რასაც ჩვენ თავისუფალ ვარდნას ვეძახით; აბარებ აგრეთვე ურთულეს გამოცდას: ოთახში შეუშვებენ ,,სი-ეს-''ის ტიპის გაზს, რომელიც მომწამვლელი არ არის, მაგრამ გახრჩობს, თვალები გეწვის, სუნთქვა გიჭირს, პანიკაში ვარდები, ამ დროს კი, სხვადასხვა კითხვას გისვამენ, რომელსაც უნდა უპასუხო. კიდევ გადიხარ ხანგრძლივ ფსიქოლოგიურ მომზადებას, სწავლობ საქართველოს კონსტიტუციას და ა.შ. ცხადია, სპეციალური სამსახური დაწვრილებით შეისწავლის შენს პიროვნებას და ყველანაირ ინფორმაციას აგროვებს.

— პრეზიდენტის გარდა, კიდევ ვის იცავთ?

— საგანგებო ვითარებაში გვევალება პარლამენტის თავმჯდომარის, სახელმწიფო მინისტრის, გენერალური პროკურორისა და მაღალი რანგის სხვა პირების დაცვა. მოსალოდნელი საფრთხის შემთხვევაში, პრეზიდენტის ოჯახის წევრებსაც დავიცავთ.

— გახმაურებული ტერაქტების შემდეგ, თუ ყოფილა შემთხვევები, როდესაც პრეზიდენტს სერიოზული საფრთხე ემუქრებოდა?

— ძალიან ბევრჯერ შემოსულა ინფორმაცია მოსალოდნელი საფრთხის შესახებ. ჩვენი უპირველესი მოვალეობაა, საკუთარ თავზე მივიღოთ ცეცხლი, ამიტომ ხშირ შემთხვევაში, საფრთხის ნეიტრალიზება ისე ხდება, რომ თავად პრეზიდენტიც ვერაფერს გებულობს.

— ალბათ შემუშავებული გაქვთ სტრატეგიული გეგმა, თუ როგორ უნდა დაიცვათ პრეზიდენტი პოტენციური კილერისგან?

— საფუძვლიანად მუშავდება საეჭვო პერიმეტრი, ამიტომ რისკის ფაქტორი მინიმუმამდეა დაყვანილი. იყო ერთი ასეთი შემთხვევა, როდესაც პრეზიდენტი პირისპირ უნდა შეხვედროდა მაღალი თანამდებობის პირს. საუბრის თემა მკაცრად იყო გასაიდუმლოებული და ამ შეხვედრაზე უცხო პირის დასწრება დაუშვებელი იყო. არადა, ჩვენი ინფორმაციით, სტუმარს პრეზიდენტის განადგურება ჰქონდა განზრახული. ისიც ვიცოდით, რომ შეიარაღებული იყო, მაგრამ უფლება არა გვაქვს, ასეთი რანგის მოხელეს განიარაღება მოვთხოვოთ. იძულებულნი გავხდით, მოგვეთხოვა, რომ დაცვის ერთ-ერთი თანამშრომელი დასწრებოდა შეხვედრას. მართალია, ის საიდუმლო საუბრის მოწმე გახდა, მაგრამ პრეზიდენტს შესაძლო საფრთხე ავარიდეთ... იყო კიდევ ერთი შემთხვევა, როდესაც პრეზიდენტი დასავლეთ საქართველოში ერთ-ერთი ხიდის გახსნას ესწრებოდა. მოულოდნელად, უცხო შეიარაღებულ პირთა ჯგუფი გამოჩნდა. მოგვიანებით გავარკვიეთ, რომ ისინი შინაგანი ჯარების წარმომადგენლები და რუსი სამშვიდობოები იყვნენ. ასეთ შემთხვევაში, გარკვევის და ფიქრის დრო თითქმის არა გვაქვს, ამიტომ ისე განვაიარაღეთ, რომ დაცვის თანამშრომლების გარდა, არავის შეუნიშნავს. ჩვენ ვალდებულები ვართ, სწრაფად ვიაზროვნოთ და მყისიერი რეაგირება მოვახდინოთ.

— როგორ ხდება, პრეზიდენტის ესკორტის მიერ გასავლელი მარშრუტის „გაწმენდა"?

— პერიმეტრი, რომლითაც პრეზიდენტის ესკორტი ყოველდღე მოძრაობს, გაძლიერებული დაცვითაა უზრუნველყოფილი. ფარულად მუშაობენ ოპერატიული სამმართველოს თანამშრომლები. სამოქალაქო სამოსში არიან ჩაცმულნი და მათ ჩვეულებრივი მოქალაქეებისგან ვერ განასხვავებთ. სათანადო სამსახურების მიერ შესწავლილია, ამ პერიმეტრზე მცხოვრები თითოეული მოსახლე, გაანალიზებულია, თუ რა საფრთხეს შეიძლება წარმოადგენდეს რომელიმე მათგანი და ოპერატიულად ხდება მისი ლოკალიზება. იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტი ,,უცხო'' ობიექტზე მიემგზავრება, მოწმდება ამ ობიექტთან ახლოს მდებარე ყველა შენობა. იმ შემთხვევაში, თუ შენობაში რაიმე დაწესებულებაა განთავსებული, ოთახები დროებით თავისუფლდება, ილუქება და დალუქვის წუთიდან, ოთახის კართან რჩება, როგორც სამთავრობო დაცვის, ასევე პირადი დაცვის წინასწარი ჯგუფის თითო წარმომადგენელი. თუ შენობა საცხოვრებელ სახლს წარმოადგენს, თითოეული ოჯახი მუდმივ კონტროლზე გვყავს აყვანილი მანამდე, სანამ პრეზიდენტი არ დატოვებს აღნიშნულ ობიექტს.

როცა პრეზიდენტი რეგიონში მიემგზავრება, გაცილებით ადრე იწყება ამ რეგიონის შესწავლა, ინფორმაციის შეგროვება მოსახლეობის შესახებ და თითქმის ყოველთვის, წინასწარ ვიცით მოსალოდნელი საფრთხის შესახებ.

— რა შემთხვევაში გაქვთ უფლება, მოახდინოთ საეჭვო ობიექტის ლიკვიდაცია?

— ძალიან ხშირად არის შემთხვევა, როდესაც ადამიანები არაფრის გამო საფრთხეში იგდებენ საკუთარ თავს. პრეზიდენტის ესკორტის გადაადგილების დროს, მოქალაქე ვალდებულია, დაემორჩილოს სახელმწიფო დაცვის თანამშრომლის მოთხოვნებს: შეწყვიტოს ან გააგრძელოს მოძრაობა ავტომობილით, თუ ფეხით მოსიარულეა, არ გადაკვეთოს ქუჩა და ა.შ. დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, სნაიპერსა თუ უბრალოდ სპეცსამსახურის თანამშრომელს სრული უფლება აქვს, ობიექტის იძულებით შეჩერება მოახდინოს. ერთი ღონისძიების დროს, ჩვეულებისამებრ, დამუშავებულ იქნა მონაკვეთი, სადაც პრეზიდენტი უნდა მიბრძანებულიყო, მაგრამ საეჭვო ვერაფერი აღმოაჩინეს. როგორც წესი, სნაიპერები ახლომდებარე შენობების სახურავებზე განლაგდნენ და ყველაფერი კონტროლის ქვეშ იქნა აყვანილი. მოულოდნელად, სნაიპერმა შენიშნა, რომ ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლის სარკმლიდან, ვიღაც დროდადრო გამოყოფდა ჯოხისმაგვარ რაღაც შავ საგანს, რომელიც ძალიან ჰგავდა იარაღის ლულას. ეს მოძრაობა რამდენჯერმე გამეორდა. ასეთ შემთხვევაში, სნაიპერს სრული უფლება აქვს, უხმაუროდ მოახდინოს საეჭვო ობიექტის ლიკვიდაცია. მაგრამ მას რატომღაც გაუჭირდა ეჭვი, რომ ეს უბრალოდ, ხუმრობა იყო. ოპერატიულმა სამსახურმა გადაამოწმა აღნიშნული საცხოვრებელი ბინა და აღმოჩნდა, რომ სარკმელთან იდგა ბავშვი, რომელიც პრეზიდენტის დაცვის შეშინებას ცდილობდა... ასეა — ჩვენს სამსახურში ერთი მარტივი წესი მოქმედებს: გაისვრი — ვაი, არ გაისვრი — უი!..

— პრეზიდენტის ესკორტი საკმაოდ სწრაფად მოძრაობს ხოლმე. არ გეშინიათ, თბილისის გზებმა რომ გიმუხთლოთ?

— სწრაფი გადაადგილება უსაფრთხოების ერთ-ერთი გარანტიაა. ესკორტისთვის განკუთვნილი მანქანები აბსოლუტურად გამართულია და მათი მდგომარეობა მუდმივად მოწმდება. მძღოლებს რაც შეეხებათ — თითოეული მათგანი პროფესიონალი ავტომრბოლელია.

— ხშირად შემინიშნავს, რომ ესკორტის შემადგენლობაში, ორი შავი „მერსედესია“; წესით, ერთ-ერთში პრეზიდენტი უნდა იჯდეს, მაგრამ მისი მსგავსი მამაკაცი ორივე მანქანაში ერთდროულად მგზავრობს. ეს — პოტენციური კილერისგან დასაცავი, აუცილებელი „მასკიროვკაა“?

— რა თქმა უნდა, მაგრამ პრეზიდენტი შეიძლება სულ არ მგზავრობდეს „მერსედესით“ — ზოგჯერ ის დაცვის თანამშრომლებთან ერთად სხვა მანქანაში იმყოფება...

— პრეზიდენტის ესკორტის გადაადგილებისას, მიმდებარე ტერიტორიაზე ტელერადიოგადაცემების ჩახშობა ხდება...

— ეს არის იმ თანამედროვე მოწყობილობის მოქმედების შედეგი, რომელიც დამონტაჟებულია ავტომანქანებში და გამოსხივების ფართო დიაპაზონით გამოირჩევა. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მონაკვეთი დანაღმული აღმოჩნდება, ის მოწყობილობა მანამდე ააფეთქებს მას, სანამ პრეზიდენტის ესკორტი მიუახლოვდება.

— პრეზიდენტი თუ აკონტროლებს საკუთარი დაცვის წევრთანასა და აღჭურვას?

— პრეზიდენტი ხშირად მობრძანდება ხოლმე საწვრთნელ ბაზაზე და თვალს ადევნებს წვრთნის პროცესს. აუცილებელია, რომ პრეზიდენტსა და მის დაცვას შორის ნდობა ჩამოყალიბდეს. წვრთნისას, ჩვენ ხშირად ვამუშავებთ ისეთ სიტუაციას, როცა უნდა მოვახდინოთ შენობიდან პრეზიდენტის ევაკუაცია, ამიტომ ერთ-ერთი ჩვენგანი ყოველთვის პრეზიდენტის როლს ასრულებს.

— ქალბატონები თუ გყავთ დაცვის სამსახურში?

— პირადი დაცვის სამსახურში სამი ქალბატონი მსახურობს.

— ჟურნალისტებთან თუ გქონიათ ურთიერთობა ან პირადად თქვენ, ტელერეპორტიორების ობიექტივში თუ მოხვედრილხართ?

— ჟურნალისტები არ მიყვარს და დღევანდელ შემთხვევას თუ არ ჩავთვლით, მათთან ურთიერთობა არ მქონია. მათ არა აქვთ უფლება, ჩვენ ტელეკამერით დაგვაფიქსირონ, მაშინაც კი, როდესაც პრეზიდენტის გადაღება ოფიციალურად წინასწარ არის შეთანხმებული. ფოტო თუ ტელეკამერები პელენგატორით საგულდაგულოდ მოწმდება. მახსენდება ერთი შემთხვევა, როდესაც სურათი გადაუღო ეკა ხოფერიამ (მაშინ ის ჯერ კიდევ პრესაში მუშაობდა) დაცვის მძინარე თანამშრომელს. დაცვამ ფირის კონფისკაცია მოახდინა.

— ოჯახი თუ გყავთ და რა იციან თქვენმა ახლობლებმა თქვენი სამსახურის თაობაზე?

— ახლა ისეთი დროა, რომ ოღონდ ოჯახის რჩენა შეგეძლოს და ვინ კითხულობს, სად მუშაობ და რას აკეთებ...

— ეი. ხელფასით ოჯახს არჩენთ?

— ხელფასი იმდენად მათხოვრული გვაქვს, რომ უმჯობესია, ნუ მკითხავთ. სწორედ ამ მიზეზის გამო, ჩვენთან გაწვრთნილი ბიჭების საკმაოდ დიდი ნაწილი მსხვილი ბიზნესმენების პირად დაცვაში გადავიდა სამუშაოდ. მათი ხელფასი თითქმის ხუთჯერ აღემატება ჩვენსას. შეიძლება ითქვას, რომ ენთუზიაზმზე ვმუშაობთ.

— ხვალ რომ უმუშევარი დარჩეთ, როგორ მოიქცევით?

— მე იმხელა გამოცდილება მაქვს, რომ ჩემგან იშვიათი კილერი გამოვიდოდა... ღმერთმა დაიფაროს, რომ საქართველოში მდგომარეობა არასტაბილური გახდეს, მაშინ მთელი ეს, საუკეთესოდ გაწვრთნილი ბიჭების ჯარი ყაჩაღების ხროვად გადაიქცევა.

— რამდენად შეესაბამება ეს ინტერვიუ თქვენ მიერ მიცემულ ფიცს?

— ჩვენ ფიცს არასოდეს დავარღვევთ. ფიცის გატეხა ჩემი თანამშრომლების, ჩემი მეგობრების გაწირვას ნიშნავს. ჩვენი სამსახურიდან ბევრი ადამიანი წასულა, მაგრამ ფიცი ჯერ არავის გაუტეხია.

■

როდესაც ჩვეულებრივი ცხოვრება არაჩვეულებრივი ხდება

მამაკაცებო, დაამარცხეთ პროსტატიტი



პროსტატიტი არის დაავადება, რომელიც მამაკაცთა უმეტეს ნაწილს სხვადასხვა ასაკში აღენიშნება. იგი შეიძლება იყოს როგორც ინფექციური, ასევე არაინფექციური წარმოშობის. მისი მკურნალობის მრავალი ტრადიციული და არატრადიციული მეთოდი არსებობს. ჩვენ გთავაზობთ ერთ-ერთ ალტერნატივას – პრეპარატი პროსტა–სტრონგი, რომელიც მცენარეულ საწყისებზეა შექმნილი და აქვს მრავალწლიანი გამოცდილება.

რა ახასიათებს პროსტატიტს?

მამაკაცებს, რომელთაც აქვთ პროსტატიტი, აღენიშნებათ დისკომფორტი მუცლის ქვედა ნაწილში, ტკივილი შარდვის დროს. ამას გარდა, შესაძლებელია აღენიშნოთ ტემპერატურის მომატება, ტკივილი სახსრებსა და კუნთებში, სისხლიანი შარდვა.

რას შეიცავს პროსტა–სტრონგი?

თუთიის პიკოლინატი – ხელს უწყობს ზრდასა და რეპროდუქციას. ამ მინერალის მიმართ მოთხოვნილება სხვა ორგანოებთან შედარებით პროსტატის ჯირკვალს ყველაზე მაღალი აქვს.

Saw Palmetto – ექსტრაქტი, ეს მცენარე შეიცავს ბეტა სისტეროლს, რომელიც ხელს უწყობს პროსტატის ნორმალური ზომის შენარჩუნებას. ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ 4-6 კვირის მანძილზე 90% ტესტირებულ მამაკაცებში ზომა დაუბრუნდა ნორმას.

Quercetin – ეს არის ბიოფლავოიდი, რომელსაც იღებენ ციტრუსოვანი ხილიდან. იცავს ჯირკვალს ტოქსინებისაგან და არის ანტიოქსიდანტი. ამის გამო იგი ახდენს სიმსივნის პროფილაქტიკას.

Pugeum Afrikanum – ექსტრაქტი, აუმჯობესებს შარდის გამოყოფას. ხელს უშლის პროსტატის ჰიპერპლაზიას.

Licopene – მნიშვნელოვანი კაროტენოიდია, აუცილებელია პროსტატის მკურნალობისათვის. **Bbifido bactrimi** – ბიფიდუმი შეიცავს ადამიანის ორგანიზმისთვის საჭირო ნორმალურ არაპათოგენურ ფლორას. **Betaglukani** – აძლიერებს იმუნურ სისტემას.

როგორ მივიღოთ პროსტა–სტრონგი?

მიიღეთ 4 კაფსულა დღეში, ჭამის დროს. შეიძლება მიღება ერთ ჯერზე ან გაყავით რამდენიმე მიღებაზე. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, არ გააჩნია არანაირი გვერდითი მოვლენები.

ძვირფასო მამაკაცებო, იცხოვრეთ მშვიდად
პროსტა–სტრონგის დახმარებით.

„ნუტრიმენტ ჰაუს“-ში თქვენ გელით ექიმების გულისხმიერება და მზრუნველობა. კვალიფიციური ექიმები დაგეხმარებიან პრეპარატების სწორად შერჩევასა და დანიშვნაში.

ნუტრიმენტ ჰაუსი
NUTRIMENT HOUSE

მის: დ. აღმაშენებლის 150
ტელ: 95-65-03; 96-06-67
სამუშაო საათები:
ყოველდღე კვირის გარდა
10.30 - 18.00,
www.shopge.com

ქირვეული ყაცის მირჯულება

ავთო მარგველაშვილი

— კარგი არსებაა ქალი. იმდენად მიზიდავს, რომ ცოლადაც ქალი მოვიყვანე, — ამაყი ღიმილით ხუმრობდა გაზის სამმართველოს რიგითი ინკასატორი, რომელსაც ყველა, „ქალების რისხვად“ იცნობდა. ტრაბახის საფუძველიც ჰქონდა, რადგან საკმაოდ სიმპათიური გარეგნობა ჰქონდა და რომ იტყვიან, „გარეთ მტერს უბრძავებდა თვალებს, შინ მოყვარეს...“

ცოლიც შესანიშნავი ჰყავდა, ლამაზი, საქმიანი — დილით ქვაბებში იყო თავით ჩამძვრალი, საღამოს — სარეცხ მანქანაში. ღამით კი ამაოდ ელოდა ქმრის ალერსს, რომელიც „სამსახურიდან“ ისეთი დაღლილი მოდიოდა, რომ საწოლამდე ძლივს აღწევდა. სამსახური მართლაც დამღლელი ჰქონდა, რადგან მთელი მიკრორაიონის აბონენტ ქალთა სოლიდური ნაწილი მისი საყვარელი იყო და მოუთმენლად ელოდა დღეს, როცა კაზანოვა-ინკასატორი მივიდოდა „ქვითრის გამოსაწერად“. ამიტომაც, ხშირად ისმოდა კორპუსებში მეზობლების გადაძახილ-გადმოძახილი ბუნებრივი აირის თემაზე:

— მანანა-ა-ა!.. გაზის კაცი იყო მოსული?

— კი, როგორ არა! გუშინ მოვიდა შებინდებულზე.

— დაგიყენა „ტრუბა“?

— კი, „ტრუბაც“ დამიყენა და ნახვრეტიც გამიკეთა.

— რამდენი?

— რამდენი და ერთი. მე მეორეც მინდოდა — ცოტა ზევით, მაგრამ მომკლავდა ჩემი ქმარი: ბევრს დაწერსო...

— რეზინა თუ წამოაცვა?

— რა თქმა უნდა, გოგო. ასე თქვა, რეზინით უფრო უსაფრთხოაო...

მოკლედ, კაცი ვერ გაიგებდა, გაზზე იყო საუბარი თუ სექსზე. ალბათ ორივეზე, რადგან კაცი მართლა ენერგიისაგან დაცლილი ბრუნდებოდა შინ და ცოლისკენ გახედვის თავიც არ ჰქონდა. ცოლმაც შეამჩნია, რომ ქმრის პერანგს ყოველდღე, სხვადასხვა ფერის პომადა ეცხო და სუნამოს არომატიც ხშირად იცვლებოდა. როგორ არ ეცადა, რომ ქმარი ოჯახისაკენ შემოებრუნებინა, მაგრამ ვერაფერი მოუხერხა. ბოლოს, გამოსავალიც იპოვა, ქმარს ცოტა ფული გამოართვა და უთხრა: ბავშვებიანად დედაჩემთან წავალ რაიონში ერთი თვითო... კაცს ისე გაუხარდა, რომ რაც ფული ჰქონდა, სულ მისცა და მეორე დილით, სიდედრთან ცხელი კოცნა და თბილი სალამიც გაატანა.

ცოლმა მართლა ჩაიყვანა შვილები დედასთან და იქ დატოვა. თვითონ კი, იმ დღესვე დაბრუნდა თბილისში, მეგობარს დაკეტილი ბინის გასაღები გამოართვა და იქ დასახლდა. ბინა იმ უბანშივე მდებარეობდა, რომელიც ქმრის აბონენტთა სიაში ეწერა. მოხერხებულმა ქალმა ფული და ერთი კვირა საკუთარი გარეგნობის შეცვლას მოახმარა: თმა შეიჭრა და პარიკი მოირგო, სოლარიუმშიც კარგად გაირუჯა, მაკიაჟი გაიკეთა და ახალ „ზმანებში“ ინკასატორს დაელოდა. ერთი კვირის შემდეგ, გაიგონა თუ არა მეზობელი ქალების ძახილი — გაზის კაცი მოდისო! — კარი გააღო და საღარბაზოს დაგვა დაიწყო...

... და აი, კიბეზე ქმრის ფეხის ხმაც გაისმა.

— გამარჯობათ, ეს ბინა დაკეტილად მეწერა უწყისში...

— ჰოდა, ახლა ღიაა და თქვენთვის ყოველთვის ღია იქნება — ისე ვნებიანად უთხრა ქალმა, რომ კაცს ქამარმა მოუჭირა...

— შეიძლება, მრიცხველის ჩვენება ჩავიწერო? — ჰკითხა ბოლოს.

— და არა მარტო მრიცხველის ჩვენება... — გაუღიმა ქალმა, შინ შეიპატიჟა და ყავის მოდულებას შეუდგა. ყავას შოკოლადი მოჰყვა, შოკოლადს — კონიაკი და კაციც ისე „დაება“, რომ მეორე დილით პროდუქტითა და შამპანურის ბოთლებით დატვირთულმა ცხვირითდა შეძლო ზარის ღილაკზე მიჭერა. შესანიშნავი დრო გაატარეს, ცოტა იცეკვეს კიდეც, გეგმებზეც ილაპარაკეს და „პრემიერაზე“ მეორე დღისთვის შეთანხმდნენ. ქალმა ისე „გადაუხსნა“ კაცს გული და ხალათის ღილები, რომ საკუთარი პრობლემებიც გაანდო, რომელთა მოგვარებას სულ რამდენიმე ასეული დოლარი ეყოფოდა...

— რა პრობლემაა? — ჩაიცინა ქმარმა და მეორე დღისთვის თანხის „გაჩენასაც“ შეჰპირდა.

მეორე დღეს, „პრემიერაც“ შედგა. კაცი აღფრთოვანებას ვერ ფარავდა ქალის სილამაზის გამო და იფიცებოდა, რომ მსგავსი მშვენიერება არასოდეს ენახა.

— ცოლიც გყოლია, როგორც მეზობლებმა მითხრეს... — შეაპარა ცოლმა. — ის რა, არ გეფერება ხოლმე?

— ჰო, კი, კარგი გოგოა, მაგრამ შენამდე აბა, სად მოვა, ჩემო დედოფალო?!. ახლა, დედამისთანაა წასული სოფელში. ჩამოვა თუ არა, ვეტყვი, რომ უნდა გავეყარო: მე უშენოდ აღარ შემიძლია...

მოკლედ, ის ერთი თვე ასე, „საყვარლობაში“ გაატარა კანონიერმა ცოლ-ქმარმა. ქალი მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ მის მექალთანე ქმარს საკმაოდ ფულიანი სამსახური ჰქონია, მაგრამ ყველაფერს ქალებში ხარჯავდა და ოჯახი ნახევრად მშიერი ჰყავდა... ამასობაში, თბილისში ცოლის დაბრუნების დღეც დადგა. ქმარს აშკარად ეტყობოდა, რომ რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ ვერ ბედავდა. ორიოდე დღის შემდეგ, მან რაღაც მოიმიზეზა და ცოლს უთხრა, რომ ღამით შინ არ მივიდოდა. ქალიც გაიქცა და მეორე სახლში, საყვარლად დახვდა ქმარს.

ძალიან უჭირდა ცოლისთვის განზრახვის გამხელა, მაგრამ ბოლოს, მაინც გაბედა და ყველაფერი უთხრა. ცოლი ისე მშვიდად შეხვდა ქმრის გადაწყვეტილებას, რომ კაცმა იფიქრა — ვერ გაიგოო და გაამეორებინა თავისი ნათქვამი.

— როგორც გინდა, ძვირფასო. მე დღესვე წავალ დედაჩემთან. თქვენ კი, აქ იცხოვრეთ — ბინა ხომ შენია... — და „წავიდა ქალი სოფელში“...

ქმარმა კი ინანა, რომ ასეთი ერთგული ცოლი გაანაწყენა. იქნებოდა კი, ის ახალი ასეთივე მეოჯახე? მაგრამ რაღა ექნა? — რა ლამაზი იყო, რა ტანი, რა ფეხი ჰქონდა!.. მოკლედ, ის „ტანი და ფეხი“ კაცთან გადმოვიდა საცხოვრებლად. ერთ საღამოს, სამსახურიდან მოსულმა ქმარმა საბაზანოში შეიხედა და დაინახა, როგორ რეცხავდა ახალი ცოლი სარეცხს. თითქოს მოეჩვენა, რომ ის ძველი იყო და გული მოეწურა. მგონი, მოენატრა კიდეც.

— შხაპს გადავივლებ და ახლავე გამოვალ, — უთხრა ქალმა და საბაზანოში ჩაიკეტა. პარიკი მოიძრო, ხელოვნური წამწამები მოიცილა, მაკიაჟი ჩამოიბანა და ქმარს პირველ ცოლად წარუდგა...

ისეთ წვრილმანებზე, რასაც მიკროინფარქტი და ერთმანეთში არეული სიცილ-ტირილი ჰქვია, აღარაფერს ვწერ. ერთი კი ცხადია, რომ იმ დღიდან, კაცს, ცოლზე ლამაზი ქალი არა მარტო თავის, არამედ სხვა ინკასატორების აბონენტთა სიაშიც კი აღარ ეგულება... ■

ზაზა ურუშაძე: ჯანმთელი ფანტაზიორები ან ვაკეთებ „ცხელ ძაღლებს“

სასახელო ტრადიციებით მდიდარ ქართულ კინოს მძიმე ხანა უდგას. მით უფრო მნიშვნელოვანია თითოეული ახალი ფილმის გამოსვლა, თუნდაც ეს უფრო მოკრძალებული ჟანრი — ტელეფილმი ან ტელესერიალი იყოს. ამ მხრივ, ქართულ ეკრანზე აშკარა გამოცოცხლება შეიმჩნევა. რაც შეეხება „დიდ კინოს“ — მისი რეანიმაციის მიზნით ცოტა ხნის წინ ჩამოყალიბდა „ქართული კინოს ეროვნული ცენტრი“, რომელმაც უნდა განსაზღვროს, თუ რომელი პროექტია სახელმწიფო დაფინანსების ღირსი. საინტერესოა, რომ მისი დირექტორი, კინორეჟისორი ზაზა ურუშაძე გახლავთ, რომელიც თავის კოლეგასთან — ერეკლე ბადურაშვილთან ერთად ტელეკომპანია „იმედის“ პირველი სერიალის დამდგმელად მოგვევლინა.

ზაზას სრულმეტრაჟიანი ფილმი აქვს გადაღებული — „აქ თენდება“, რომელიც 1999 წელს ამერიკის კინოაკადემიის მიერ შერჩეული იქნა „ოსკარის“ ნომინაციაზე წარსადგენ 45 უცხოენოვან სურათს შორის. გარდა ამისა, სურათი რამდენიმე საერთაშორისო კინოფესტივალის პრიზითაც აღინიშნა.

ეკა ლომიძე

— ჩვენში ლამის ტრადიციად იქცა პოლიტიკისა და თანამდებობისკენ ლტოლვა, რაც ხშირად შემოქმედებთანაც შეიმჩნევა ხოლმე. თქვენც ხომ არ აჰყვევით ამ ცდუნებას?

— რომელიმე სამინისტროში რომ შემოეთავაზებინათ თანამდებობა, ნამდვილად არ დავთანხმდებოდი, მაგრამ ჩემთვის სასიამოვნო ფაქტია, რომ „ქართული კინოს ეროვნული ცენტრის“ დირექტორი ვარ. ცენტრი იმისთვის შეიქმნა, რომ ქართული კინო განვითარდეს და თუ ამ საქმეში წვლილს შევიტან, ჩემთვის საამაყო იქნება. ახლა ქართულ კინომატოგრაფში მდგომარეობის გამოსწორების, საქმის კეთების დრო დადგა. ვგრძნობ, რომ მართლა შემიძლია რაღაცის გაკეთება და ამიტომაც დავთანხმდი ჩინოსნობაზე.

ზურაბ ბეგალიშვილი ფილმში „აქ თენდება“

— ბოლო დროს, რამდენიმე ახალი ფილმის პრემიერა გაიმართა. რა წვლილი მიუძღვის ამ ფილმების შექმნაში კინოცენტრს?

— საუბარია 9 სრულმეტრაჟიან და 2 ანიმაციურ ფილმზე, რომელიც კინოცენტრის მეშვეობით დასრულდა. ეს ფილმები წარმოებაში ჩაეშვა ჯერ კიდევ 90-იანი წლების დასაწყისში სააქციო საზოგადოება „ქართულ ფილმში“ და სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა. როცა ეს დაფინანსება შეწყდა, ფილმების გადაღებაც შეჩერდა და ჰაერში გამოკიდებულივით დარჩა წლების მანძილზე. როცა ეროვნული ცენტრი ჩამოყალიბდა, მან სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხებით მოახერხა ამ ფილმების დასრულება. მორჩენილი თანხებით რამდენიმე სადებიუტო ფილმიც დავაფინანსეთ და კიდევ ბევრი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება გვაქვს მიზნად დასახული.

— ეი. ის შეხედულება, რომ ქართული კინო მოკვდა, მცდარია?

— რასაკვირველია. კინო, ხელოვნების სხვა დარგებისაგან განსხვავებით, უზარმაზარ თანხებს მოითხოვს და თუ დაუფინანსებლობის გამო წარმოებაში პრობლემები არსებობდა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ქართული კინო მოკვდა. ქვეყანაში კრიზისი მძვინვარებდა და ეს კინოსაც შეეხო, რომლის გადაღება მთლიანად არც შეწყვეტილა — წელიწადში 10 ფილმს არა, მაგრამ ერთ ფილმს მაინც ყოველთვის იღებდნენ.

— როგორი პრინციპებით მოქმედებთ? კინოცენტრი მთლიანად დააფინანსებს ახალი ფილმების გადაღებას?

— კინოცენტრი გამარჯვებულ კინოპროექტს აფინანსებს 75%-ით, 25% კი ფილმის პროდიუსერმა უნდა იშოვოს. შარშან, როდესაც გამოვაცხადეთ კონკურსი კინოპროექტზე — „პირველი სიყვარული“, „ტელე-იმედმა“ გამარჯვებულთა ნახევრის დაფინანსების სურვილი გამოთქვა. მართლაც, 10 კინოპროექტიდან ხუთის გადასაღებად გამოყო თანხები. სასიამოვნოა, რომ კინოს წარმოებაში ინვესტიციის ჩადებით კერძო კომპანიებიც ინტერესდებიან.

— ტელესერიალების შესახებ რას იტყვით? ქართულ კინოინდუსტრიაში ამ ჟანრის განვითარებას პერსპექტიულად მიიჩნევთ?

— ვფიქრობ, ეს ჟანრი ძალზე მნიშვნელოვანია ქართული კინოსთვის, რადგან ქართული ტელესერიალები არ ჰგავს „საპნის ოპერებს“ — ისინი მრავალსერიიან მხატვრულ ფილმებს უფრო ჰგავს.

— „ცხელი ძაღლი“, რომელსაც თქვენ და ერეკლე ბადურაშვილი იღებდით, დამთავრდა?

— ახლახან განახლდა გადაღებები, რომელიც 4 თვეს გასტანს და დეკემბრიდან კვლავ იხილავთ 12 სერიას, ამჯერად — მხოლოდ ჩემი რეჟისორობით.

— ზაზა, ბევრმა ალბათ არ იცის, რომ თავის დროზე სახელგანთქმული ფეხბურთელის — თბილისის „დინამოსა“ და საბ-



მყავს ორი ქალიშვილი – 12 წლის ანა და 9 წლის მართა

ჭოთა კავშირის ნაკრების მეკარის რამაზ ურუშაძის ვაჟი ბრძანდებით. კინორეჟისორობა რამ გადაგაწყვეტინათ?

– 16 წლისამ დავამთავრე სკოლა და მისაღები გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ, თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტის სტუდენტი გავხდი. ბავშვობაში ჯერ ასტრონომობა მინდოდა, მერე – ხან ადვოკატობა, ხან მხატვრობა და ბოლოს, რეჟისორობაზე შევჩერდი. რაც შეეხება მამაჩემის ფეხბურთელობას – შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ ფეხბურთი არ მიყვარს. ეტყობა, რაღაც პროტესტი გამიჩნდა იმის გამო, რომ ლამის მთელი ბავშვობა „დინამოს“ დიღმის საწვრთნელ ბაზაზე მაქვს გატარებული. მამაჩემს არ ესმის, როგორ შეიძლება ფეხბურთს არ ვუყურო, მაგრამ რა ვქნა – ჩვენი ინტერესები განსხვავდება ერთმანეთისგან. თუმცა, დედაჩემს, ნანა იმნაძეს, რომელიც პროფესიით ქიმიკოსია, თავის დროზე ძალიან ნდომებია რეჟისორობა და ბაბუას არ მიუცია ВГИК-ში (კინემატოგრაფიის ინსტიტუტში) ჩაბარების უფლება. როცა დედ-მამას ჩემი არჩევანის შესახებ ვამცნე, არ გაჰკვირვებიათ.

— სარეჟისორო ფაკულტეტზე მეტისმეტად ნორჩი ხომ არ მოსჩვენებიხართ საგამოცდო კომისიას?

– გეთანხმებით, რომ 16 წლის ასაკში ადამიანს თვალები ახალი ახელილი აქვს, მაგრამ ჩემს დროს, 7 წელიწადში ერთხელ ცხადდებოდა მიღება ამ ფაკულტეტზე, თანაც – სულ 5 კაცს იღებდნენ, ასე რომ, დიდხანს მომიწევდა ლოდინი... ჩვენს დროს, სხვა პასუხისმგებლობა იყო. ახლა კი სრულიად საპირისპირო და ძალზე გაურკვეველი მდგომარეობაა: ყოველ წელს უამრავი მომავალი რეჟისორი ჯდება უმაღლესი სასწავლებლის მერხთან, ფასიანმა სწავლებამ სულ გააფუჭა საქმე... რაღაც სელექცია ხომ უნდა ხდებოდეს?! რაც შეეხება საგამოცდო კომისიას, ალბათ დაინახეს რაღაც. სხვათა შორის, ჩემ მიერ წარმოდგენილ ყველა ნაშრომს „მარტოობა“ ერქვა. 16 წლის მარტოსული მგონი, საინტერესო უნდა იყოს...

— პირველი ფილმი როდის გადაიღეთ და საერთოდ, რა გაქვთ „სარეჟისორო ანგარიშზე“?

– 18 წლისამ გადავიღე საკურსო ნამუშევარი – 20-წუთიანი ფილმი. ამას მოჰყვა სადიპლომო, 40-წუთიანი სურათი. კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ სამი მოკლემეტრაჟიანი ფილმი გადავიღე, ჯერ კიდევ ინსტიტუტის დამთავრებამდე, შემდეგ კი – ერთი მოკლემეტრაჟიანი და ერთიც – სრულმეტრაჟიანი – „აქ თენდება“.

— ...რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ ვერ მოხვდა „ოსკარის“ ნომინანტთა შორის, მაინც არ აღმოჩნდა უიღბლო და მნიშვნელოვანი საერთაშორისო პრიზებითაც აღინიშნა. ძალიან საინტერესო სახე შექმნა ზურა ბეგალიშვილმა. ბევრი სინჯის შემდეგ შეაჩერეთ მასზე არჩევანი?

– თავიდან, როცა სცენარზე ვმუშაობდი, მთავარ გმირად ვერ წარმომედგინა ზურა. მაგრამ ერთხელ, უცებ სულ სხვა თვალით შევხედე და აღმოვაჩინე, რომ ის სწორედ იმ თვისებებით გამოირჩეოდა, რომელიც მე მქონდა ჩაფიქრებული. საერთოდ, შეგრძნებებს ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ, სულ მგონია – წინასწარი გათვლით რომ მემოქმედა და ისე შემერჩია ამ როლის შემსრულებელი, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების საერთაშორისო კინოფესტივალზე პრიზს მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის ვერ ავიღებდით. სხვათა შორის, გადასაღებ მოედანზეც მიყვარს იმპროვიზაცია...

— გამიგონია, რომ ძალზე შრომისმოყვარე ხართ...

– მართალია. დაღლას ვერ ვგრძნობ ხოლმე და მგონია, რომ სხვებიც ჩემსავით არიან. ჩემთვის მთავარი მაინც თვით შექმნის პროცესია და არა დასრულებული პროდუქცია. გადასაღები მოედანი განუზომელ სიამოვნებას მანიჭებს. როცა ჩანაფიქრს, იდეას ხორცი ესხმება, აუხსნელი გრძნობა მეუფლება ხოლმე.

— თქვენს ფილმში — „აქ თენდება“ მამაშვილობის გრძნობა უჩვეულოდ, მძაფრი ფორმითაა წარმოდგენილი. თქვენ თავად, თუ მეგობრობთ შვილებთან, თუ მკაცრი მამა ხართ და მათთან დისტანციას იცავთ?

– არა, მკაცრი ნამდვილად არ ვარ. მყავს ორი ქალიშვილი – 12 წლის ანა და 9 წლის მართა. მამების უმრავლესობის მსგავსად, ძალიან მიხარია, რომ ქალიშვილები მყავს და საერთოდ, მიჭირს მათთვის რაიმეზე უარის თქმა. ისე, ძალიან ცელქები არიან და ჩემ გარდა, არავის უჯერებენ. მამაჩემი გიჟდება ხოლმე მათ ანცობაზე და მე მიხმობს საშველად.

— როცა სცენარზე მუშაობთ, თუ ითვალისწინებთ ხოლმე ოჯახის წევრების, — დედის, მეუღლის — ან მეგობრების რჩევებს?

– რჩევებს ყურს ვუგდებ – ყველას შეუძლია გამოთქვას საკუთარი აზრი. ჩემი მეუღლე – თამუნა ბოგვერაძე პროფესიით ფსიქოლოგი, სარგებლობს ხოლმე ამ უფლებით და თავის შეხედულებებს მიზიარებს. მაგრამ ჩემს საქმეში ვერავინ ჩაერევა. შემიძლია მხოლოდ მოვისმინო ახლობლების აზრი, მაგრამ გადაწყვეტილებებს თავად ვიღებ. ■

„ცხელი ძაღლის“ მორიგი სერიების გადასაღებ მოედანზე

თავისი ცხოვრების მანძილზე ადამიანი ბევრ პრაქტიკულ და თეორიულ ცოდნას იძენს, მაგრამ სამწუხაროდ, მას იშვიათად ასწავლიან სწორ კვებას. მაშინ, როცა არასწორი კვება უამრავი დაავადების მიზეზი შეიძლება გახდეს. გვესაუბრება თბილისის სამედიცინო აკადემიის დოცენტი, ექიმი ნუტრიციოლოგი (კვების ექიმი), ქალბატონი ნანა ფილია.

დიეტა

ყველას ინდივიდუალურად უნდა დაენიშნოს!

ლელა ჭანკოტაძე

— რას ნიშნავს სწორი კვება?

— ადამიანის დღიური საკვები უნდა შეიცავდეს, როგორც ცხოველური (თევზი, ხორცეული, რძის ნაწარმი, კვერცხი, კარაქი, ერბო), ასევე მცენარეული წარმოშობის პროდუქტებს (ბოსტნეული, ხილი და კენკრა, მცენარეული ზეთები და სხვა). ცნობილია, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ერთფეროვანი საკვების მიღება, როგორი მაღალი კვებითი ღირებულებისაც არ უნდა იყოს იგი, ხშირად დაავადების მიზეზი ხდება. იაპონელი მეცნიერები შაქრიანი დიაბეტის გამომწვევ ერთ-ერთ მიზეზად კვების ერთფეროვნებას მიიჩნევენ. ადამიანის სიცოცხლისთვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ვიტამინები, მინერალური მარილები, რომლის მნიშვნელოვანი წყაროა ხილი და ბოსტნეული. ძალიან ბევრი რამ დამოკიდებულია დიასახლისზე. გემრიელი კერძის მომზადების გარდა, მან უნდა დაიცვას ბალანსირებული კვების პრინციპები. ძალიან მნიშვნელოვანია საკვები პროდუქტების სწორი გამოყენება. მაგალითად, ბოსტნეული უნდა მოვხარშოთ ორთქლზე ან ცხელ მარილიან წყალში (გარდა ჭარხლისა და მუხუდოსი). თბური დამუშავებისას, ვიტამინებს ორგანიზმი იოლად ითვისებს. მაგალითად, კაროტინი (პროვიტამინი) ნედლი სტაფილოდან ორგანიზმში თითქმის არ შეიწოვება, მოხარშულიდან კი, კაროტინის 60% გადადის ორგანიზმში. თუ მოსახარშად კარტოფილს ცივ წყალში ჩაყრით, იკარგება C ვიტამინის 40%, ცხელ წყალში კი მხოლოდ 10%.

— როგორ უნდა მოვამზადოთ ხორცი, მისი თვისებები რომ შევინარჩუნოთ?

— ცნობილია, რომ ხორცის ხარშვისას ხდება მასში შემავალი ცილების დენატურაცია — დაშლა ამინომჟავებად. 2-2,5 საათზე მეტხანს ხარშვა იწვევს ცილის მეორად დენატურაციას, ეს კი ხელს უწყობს ხორცის მოსანელებელი თვისებების შემცირებას. ხორცის ხარშვისას მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ტემპერატურული რეჟიმის დაცვასაც. თუ ხორცს მოვხარშავთ წყლის ადუღების შემდეგ 80-85 გრადუსზე, ე.ი. შედარებით დაბალ ტემპერატურაზე, გაცილებით ნაკლებად დავკარგავთ მასში შემავალ ექსტრაქტულ ნივთიერებებს და შევუნარჩუნებთ ხორცს თავის გემოს. ამიტომ სასურველია, ხორცი ვხარშოთ შედარებით დაბალ ტემპერატურაზე. წყლის დულილი ოდნავ უნდა შეიმჩნეოდეს. როცა საჭმელს გაყინული ხორცისგან ვამზადებთ, საჭიროა დავიცვათ მისი გალღობის რეჟიმი. ხორცის ნაჭრები უნდა მოვათავსოთ ლანგარზე, ოთახის ტემპერატურა 18-20 გრადუსს არ უნდა აღემატებოდეს. ხორცისგან განსხვავებით, გაყინული თევზი შეიძლება წყალში მოვათავსოთ და ამ გზით გავალღოთ.

— როგორ უნდა შევინახოთ კერძი?

— არასწორად შენახული პროდუქტებისგან მომზადებული კერძებით შეიძლება ოჯახის წევრებს არათუ სარგებლობა, არამედ დიდი ზიანიც მივაყენოთ. მაგალითად: ხორცეული უნდა შევინახოთ 0 გრადუს ტემპერატურაზე, ხორცის შენახვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს რამდენიმე დღეს. ხორცისგან მომზადებული ნახევარფაბრიკატები დაკეპილი სახით შეიძლება შევინახოთ მაცივარში არა უმეტეს 6 საათისა, ხოლო კარტოფილით ან ხახვით შეზავებული კატლეტი — 12 საათი. საერთოდ, სასურველია ახალ-ახალი კერძი მივირთვათ. მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში უნდა გავაცივოთ კერძი და მაცივარში შევინახოთ; ბოსტნეულისგან მომზადებული კერძები შენახვისას შესქელებას იწყებს და გემოს კარგავს, გარდა ამისა, ცხელ კერძებში შენახვისას იშლება C ვიტამინი და მისი ხელახალი გაცხელება იწვევს მის დამატებით დაკარგვას დახლოებით 15-30%-მდე. ამიტომ ბოსტნეულისგან მომზადებული ცხელი კერძები მინიმალური დროით უნდა შევინახოთ. კერძი სპილენძის ან ალუმინის ქვაბში არ უნდა გავაცივოთ. ის მომინანქრებულ ჭურჭელში უნდა გადავიტანოთ. ეს კვების ჰიგიენის ელემენტარული პრინციპებია.

— ხორცი ძნელად თუ იხარშება, მას სოდას უმატებენ. სოდაც ხომ არ უკარგავს ხორცს თვისებებს?

— საკვებ სოდას დიასახლისები ფხალეულსაც კი უმატებენ ხასხასა მწვანე ფერის შესანარჩუნებლად. ამითი ისინი მხოლოდ გარეგნულ ეფექტს აღწევენ და ავიწყდებათ, სოდის დამატებით ნახარშში ტუტე არე რომ იქმნება. ტუტე არეში კი ვიტამინები (განსაკუთრებით C ვიტამინი) უფრო სწრაფად იშლება და საკვების ღირებულება ქვეითდება.

— როგორ უნდა მივირთვათ ბოსტნეული?

— ცოცხალი ბოსტნეული და ხილი ყოველთვის სასარგებლო საკვებად ითვლებოდა, მაგრამ ინგლისელი მეცნიერების ბოლო გამოკვლევებმა სულ სხვა რამ გვიჩვენა: თითოეული ბოსტნეული და ხილი თავისებურად უნდა დამუშავდეს. ორგანიზმზე დადებითად მოქმედებს მხოლოდ მოხარშული ან

უდაბნო სამხრეთ აფრიკაში	ბეთჰოვენს ეკუთვნის „მთვარის ...“	„... ვნახე თხა, მგელმა ჭამა თხაო“	ადამიანი, რომელსაც წერილს უგზავნიან	საბჭოთა ორკარიანი ავტომობილი	ადამიანის თავის უკანა ნაწილი	ძ
						
მეტალი	ამერიკელი მსახიობი ... ფორდი	ხილი	„იმისი თეთრი ბუმბული ... გაჰქონდა ნიავსა“	გამის ნოგო	ბამბის ატლასური ქსოვილი	თბილისის უბანი	რისამ ღირებულ

მოშუშული პამიდორი. პამიდორი შეიცავს ლიკოპინს, რომელიც ხელს უშლის კიბოს განვითარებას. როცა პამიდორს უმად მირთმევთ, ლიკოპინი ვერ შეიწოვება, თერმული დამუშავებისას კი — პირიქით... დიდ გულმოდგინებას ნუ გამოიჩენთ კომბოსტოს ხარშვისას. მასში შემავალი ყველა სასარგებლო ნივთიერებების შესანარჩუნებლად საჭიროა, კომბოსტო სულ რამდენიმე წუთით ჩადოთ მდულარე წყალში. თუ კომბოსტო დარბილდა, ე.ი. მან დაკარგა C ვიტამინის ნახევარი. სასურველია, სტაფილოც მოვხარშოთ, რადგან უმი სტაფილოს მიღებისას მხოლოდ 3-4% კაროტინს ვითვისებთ. ხახვი, როგორც იცით, ნებისმიერი სახითაა სასარგებლო. კარტოფილს ბევრი ხარშვა არ უხდება, თორემ ვერ შეინარჩუნებს C ვიტამინს. თუმცა, არც მისი უმი სახით მირთმევაა სასარგებლო, ე.ი. საჭიროა მივაგნოთ ოქროს შუალედს. დიასახლისებისთვის აუცილებელია იმის ცოდნა, რომ ტკბილი წიწაკა უნდა მოწალონ. თუ წიწაკა ოდნავ ხრატუნა დარჩა, ადამიანი დიდი რაოდენობით C ვიტამინს მიიღებს, ხოლო თუ დარბილდა — კაროტინის დიდ რაოდენობას.

— ვაშლი ალბათ, მოშუშვას ან მოხარშვას არ საჭიროებს, არა?

— ვაშლი ნაკლები რაოდენობით შეიცავს C ვიტამინს. სამაგიეროდ, სავსეა ანტიოქსიდებით, რომელიც თავიდან აგაცილებთ გულის დაავადებებს, ვაშლში C ვიტამინის რაოდენობა გაიზრდება, თუ მას ცოტა ხნით ქურაში მოათავსებთ, ხოლო თუ კარგად შეწვავთ, მიიღებთ შესანიშნავ ხალხურ საშუალებას კუჭის აშლილობის წინააღმდეგ. თუ შებერილობა და ბოყინი გაწუხებთ, დღეში რამდენიმე სუფრის კოვზი გახეხილი ვაშლი მიირთვით.

— მოხდა ისე, რომ სიდუხჭირისა და არეულობის წლებში ხალხმა თავი ლობიოს წყალობით გადაირჩინა. თუ შეიცავს ლობიო ვიტამინებს?

— ლობიო რეკომენდებულია დაქვეითებული მჟავიანობის, გასტრიტების დროს. ლობიოში ბევრი კალიუმია. ამიტომ მას უნიშნავენ ათეროსკლეროზისა და გულის რიტმის დარღვევისას. იგი შეიცავს ინსულინის მსგავს ნივთიერებას — არგინინს, რის გამოც შაქრის დამწევი თვისებით გამოირჩევა. ქრონიკული რევმატიზმისა და ნიკრისის ქარის დროს, ლობიოსგან შეგიძლიათ უებარი წამალი მოამზადოთ. 12-20 გ დანაყულ ლობიოს მარცვლის ქერქს დაასხით 1 ლ წყალი და ხარშეთ ნელ ცეცხლზე 2-3 საათის განმავლობაში. შემდეგ გააცივეთ, გაწურეთ და მიღებული სითხე დალიეთ ნახევარი ჭიქა დღეში 4-5-ჯერ. ლობიო გამოირჩევა აგრეთვე შაქრის დამწევი და შარდმდენი თვისებით. 4 ს/კ ლობიოს ქერქს დაასხით 3 ჩ/ჭ მდულარე წყალი. გააჩერეთ დახურულ მომინანქრებულ ჭურჭელში 15 წუთის განმავლობაში, შემდეგ ეს ჭურჭელი ჩადგით ცხელი წყლით სავსე ქვაბში 45 წუთით; აღნიშნული დროის გასვლის შემდეგ, მიღებული სითხე გაწურეთ მარლის 2-3 ფენაში და მიიღეთ 3-4 ჩ/ჭ 3-ჯერ დღეში, ჭამის დროს.

— თვითმკურნალობის მიზნით ადამიანები ხშირად ჭამენ მრავალძარღვას. თუ შეიძლება მრავალძარღვას საკვებად გამოყენება?

— მრავალძარღვას არა მარტო ფოთლები, არამედ თესლიც შეგიძლიათ გამოიყენოთ. ფოთლები მშრალ ამინდში უნდა შეაგროვოთ, თანაც, ნაშუადღევს მთელი ზაფხულის განმავლობაში. სამკურნალოა როგორც ნედლი, ისე გამხმარი ფოთლებიც. იგი კარგია კუჭის წყლულის, თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის, კატარის, კოლიტის დროს. ასევე საუკეთესო ამოსახველებელი საშუალებაა. მრავალძარღვა აძლიერებს კუჭის სეკრეციას.

— რომელ პროდუქტს გამოყოფდით, სარგებლობით გამორჩეულს?

— დღემდე არ გამოჩენილა რძეზე სასარგებლო პროდუქტი. რძე თავისი შემადგენლობით უნიკალურია. ჯანსაღმა ადამიანმა დღეში 400 მლლ რძე უნდა მიიღოს. ბავშვებისთვის საკმარისია 250 მლლ. თავისი თვისებებით უნიკალურია ჩაი. ავსტრალიის თავზე გაჩენილმა ოზონის ხვრელმა ამ ქვეყნის მეცნიერები აიძულა, კანის კიბოს საწინააღმდეგო საშუალებები გამოენახათ. თაგვებზე ჩატარებული ცდებით დადგინდა, რომ ასეთი საშუალებაა შავი ჩაი, რომელიც ორჯერ ამცირებს ულტრაიისფერი გამოსხივებით გამოწვეულ დაავადებათა რიცხვს.

— ძალიან მოდური გახდა დიეტის დაცვა. ნორმალურია, როცა ადამიანი თვეში 16-20 კგ-ს იკლებს?

— ეს არ შეიძლება. მაგალითად, ბევრი მიმართავს რუსი მომღერლის — დოლინას დიეტას. ეს საშინელებაა, რადგან დიეტა ყველა ადამიანს ინდივიდუალურად უნდა დაენიშნოს. დიეტით ადამიანმა შეიძლება ორგანიზმი დაიავადმყოფოს, რადგან ყველა დიეტა შიმშილია, რაც სრულიად დაუშვებელია. ყველა დიეტოლოგმა იცის, რომ ერთი ლიტრი ვაშლის წვენი (კანიანად გაწურული) ყველა დიეტაზე უკეთესია. ასევე ძალიან კარგია ჩაშუშული კომბოსტოს ჭამა. ინტერნეტით უკვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ მთელ რიგ ქვეყნებში დიეტას სისხლის ჯგუფის მიხედვით ადგენენ. არასწორად დანიშნულ დიეტას ადამიანისთვის ძალზე დიდი ზიანის მოტანა შეუძლია. აუცილებელია გაითვალისწინოთ, თუ რა საკვებთან ერთად რა არ იჭმევა. მაგალითად, კატლეტთან, ასევე კვერცხთან ერთად არ შეიძლება პურის ჭამა. ამ აკრძალვებისა და სხვა რჩევების შესახებ შემდეგ ნომერში ვისაუბრებთ.

■

...ნდის სასელ-ეცა	ირმებშეგმული მარხილი	თხელი საგალანტერიო ტყავი	პატარა არსი	ნიკოს როლით განთქმული ამერიკელი მსახიობი	... ცოცხი კარგად გვის	ერთი ფუთი ღვინე	მოდელებული შაქარი
[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
შეძახილი ჭვთისმსახურებაში	ძროხის ბარკლის ქვედა ნაწილი	ჩეხური წარმოების ავტომობილი	სამწყვდევი ფრინველისათვის	ნოხი	წებოვანი გამონაყონი მერქნისგ	შეფიცრული დიდი გობი	

რა შემთხვევაში ჩაგვეთვლება ცოდვად პირჯვრის გადასახვა?

განვაგრძობთ „გზის“ წინა ნომერში დაწყებულ საუბარს პირჯვართან დაკავშირებით. გვესაუბრება ახალციხის საკათედრო ტაძრის წინამძღვარი, მღვდელმონაზონი ლუკა კონჩაკოვი.

შორენა მერკვილაძე

— **რატომ ვსახავთ ტრაპეზს ჯვარს?**

— ჩვენ არ ვიცით, სად შეიძლება იყოს ჩასაფრებული ბოროტი ძალა. იყო შემთხვევა, როდესაც ერთ-ერთმა მონაზონმა საკვები ჯვარგადაუსახავად მიიღო, მასზე ბოროტი იმყოფებოდა და საკვების მიღების დროს ბოროტი ძალა მასში შევიდა. ამიტომ საკვების მიღებამდე ტრაპეზს უნდა გადავსახოთ ჯვარი, რათა შესაძლო განსაცდელისგან თავი დავიცვათ, რამეთუ როგორც აღვნიშნეთ, ჯვარი საკმაოდ ძლიერი იარაღია ბოროტ ძალთა წინააღმდეგ საბრძოლველად; ჯვრის გადასახვით ყველაფერი განქარდება, ვნებასაც ავცდებით და საკვებს არა მხოლოდ ხორცის საზრდოდ, არამედ სულიერ საზრდოდაც მივიღებთ.

— **ჯვრის გადასახვა საჭიროა წირვა-ლოცვაზე ყოფნის დროსაც, მაგრამ საჭიროა ვიცოდეთ, როდის გადავიწეროთ პირჯვარი. როდის არის აუცილებელი ჯვრის გადასახვა, წირვა-ლოცვის მიმდინარეობის დროს?**

— წირვა-ლოცვის მიმდინარეობის დროს, ჯვრის გადასახვა აუცილებელია წმინდა სამების ხსენების დროს, ანუ როდესაც განდიდდება წმინდა სამება: „კურთხეულ არს მეუფება მამისა და ძისა და წმიდისა სულისა“; გარდა ამისა, პირჯვრის გადასახვა საჭიროა „საღმრთო წერილის“ დასაწყისსა და დასასრულს; ტროპარის ან ფსალმუნების კითხვისას. თუ გალობის დასაწყისში; ექვსფსალმუნების შუაში „ალილუიას“ — დროს; ცისკრის დაწყებისას, როდესაც მღვდელი ამბობს: „კურთხეულ არს ღმერთი“...; სარწმუნოების სიმბოლოს — „მრწამსის“ კითხვისას თუ გალობისას: სიტყვებზე — „მრწამს“ „და ერთი უფალი იესო ქრისტე“ „და სულიწმიდა“; ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხსენებისას; „ღირსარსის“ ლოცვისას; დღის წმინდანების მოხსენიებისას; დიაკვნის ვედრებისას: „აცხოვნე უფალო“... და საკვანძო მომენტების დროს, მაგალითად, ასამაღლებლისას — „შენნი შენთაგან“... და ა.შ. მაგრამ ისევ ვიმეორებ, ყველაზე აუცილებელი ჯვრის გადასახვა მაშინაა საჭირო, როდესაც განდიდდება წმინდა სამება.

— **რამდენად მიზანშეწონილია პირჯვრის გადასახვა, როდესაც ტრანსპორტში ვზივართ?**

— ადამიანს პირჯვრის გადასახვა არ ეკრძალება იმ დროსაც, როდესაც ტრანსპორტში ზის. სასურველია, თუ ადამიანი ტრანსპორტში ჩაჯდომამდე თვითონაც გადაისახავს პირჯვარს და ტრანსპორტსაც გადასახავს, რათა მგზავრობის დროს, განსაცდელს განვერიდოთ, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ პირჯვარი უპირველესად რწმენით უნდა გადავისახოთ და გამოვხატოთ სასოება და კრძალვა ჯვრისა და ჯვარცმულის მიმართ.

— **აქვს თუ არა უფლება ავადმყოფ ადამიანს, პირჯვარი დაწოლილმა გადაისახოს?**

— როდესაც ადამიანი ფიზიკური უძლურების გამო ვერ ახერხებს ფეხზე წამოდგომას, ჯვრის გადასახვის უფლება დაწოლილსაც აქვს, მაგრამ თუ ადამიანი ჯანმრთელია და არანაირი უძლურება არ აწუხებს, უმჯობესია, ჯვარი ფეხზე მდგომმა გადაისახოს.

— **ზოგიერთ ადამიანს ჯვრის გადასახვა შინაგანად ეუხერხულება, განსაკუთრებით, თუ ამის გაკეთება უცხო ადამიანების წინაშე უწევს. რა უნდა გავითვალისწინოთ მსგავს შემთხვევაში?**

— როდესაც ქრისტიანს პირჯვრის გადასახვა ეუხერხულება, ეს მის შინაგან ამპარტავნებაზე მეტყველებს, რაც ეშმაკისგანაა შთაგონებული, მაგრამ არის მეორე მომენტიც: ადამიანი შესაძლოა მოხვდეს ურწმუნოთა საზოგადოებაში, ამ დროს, სხვა რომ არ დააბრკოლოს და საკუთარ თავსაც არ შეუქმნას პრობლემა, პირჯვრის გადასახვა შესაძლოა თვალით, სულის შებერვით ან იმ ქმედებით, როგორი ქმედებითაც მოვახერხებთ.

— **აუცილებელია თუ არა პირჯვრის გადასახვა სიწმინდეებთან მიახლებისას?**

— პირჯვრის გადასახვა არ არის საჭირო ბარძიმის წინ, რათა მოულოდნელად ხელი არ მოგვიხვდეს და მასში მოთავსებული სიწმინდე არ დავღვაროთ. ჯვარი შესაძლოა, ბარძიმისგან მოშორებით გადავისახოთ. უშუალოდ ბარძიმთან მიახლების დროს, ხელები გულზე უნდა გვქონდეს დაკრეფილი ჯვარედინად — მარჯვენა ხელი მარცხენის ზემოთ. რაც შეეხება წმინდა ხატებს, წმინდა ნაწილებს თუ სხვა სიწმინდეებს, ჯვრის ძალით განწმენდილნი უნდა მივეახლოთ.

— **რამდენად აქვს ძალა და მადლი, ჯვრის გადასახვას ადამიანისთვის, რომელიც მოუნათლავი ან სხვა სარწმუნოების წარმომადგენელია?**

— ჯვრის გადასახვას მცირედი ძალა და მადლი ასეთ შემთხვევაშიც აქვს, მაგრამ ეს იგივეა, რაც სადილი მარილის გარეშე.

— **რა ასაკიდან უნდა მივაჩვიოთ ბავშვი ჯვრის გადასახვას და როგორ შეიძლება ავუხსნათ ბავშვს პირჯვრის გადასახვის მნიშვნელობა?**

— ბავშვი თუ ჩვილ ასაკში არ მოინათლა, ნათლობის შემდეგ უნდა ვეცადოთ, რომ მივაჩვიოთ ქრისტიანულ ცხოვრებას, რაც პირჯვრის გადასახვასაც გულისხმობს. რაც შეეხება ჯვრის გადასახვის მნიშვნელობის ახსნას, თუ ბავშვი მცირე ასაკისაა, ის პირჯვრის გადასახვის მნიშვნელობას ვერ ჩასწვდება, მაგრამ სამაგიეროდ, იგრძნობს ჯვრის გადასახვის ძალას, რადგან ბავშვი სუფთაა და მასში არ ბუდობს მზაკვრობა. ხოლო თუ ბავშვი ცოტა მოზრდილი ასაკისაა, შესაძლოა, წავუკითხოთ სპეციალური რელიგიური ლიტერატურა, სადაც ჯვრის მნიშვნელობა თუ სხვა ქრისტიანული საკითხები ბავშვისთვის გასაგები ენითაა გადმოცემული.

— **რა შემთხვევაში შეიძლება ჩაგვეთვალოს ცოდვად ჯვრის გადასახვა?**

— უნდა გვახსოვდეს, რომ ჯვრის გადასახვისას უმთავრესი სულიერი ძალები: ნების, გონებისა და გრძნობის თავმოყრითა და გაძლიერებით, ჩვენსა და ღმერთს შორის უხილავად ვლინდება ჯვრის სახე და ჩვენზე ღვთიური მადლი გადმოედინება. მაგრამ თუ ადამიანი ჯვრის გადასახვის დამოწმებით ცდილობს, დაადასტუროს სიცრუე, ფლიდობა და სხვა არაწმინდა საქმე, პირჯვრის გადასახვა ცოდვადაც ჩაეთვლება და საკუთარ თავზე მსჯავრსაც მოიწვევს. პირჯვრის გადასახვა ცოდვად ჩაგვეთვლება იმ შემთხვევაშიც, თუ პირჯვარს ფარისეველურად — სხვის დასანახად გადავისახავთ. ■



პავლე შავიძე ძალიან პატარა იყო, როცა დედამ ქაშუეთის ეკლესიაში მიიყვანა და მას შემდეგ ყველაზე მეტ დროს სწორედ ეკლესიაში ატარებს. 7 წლის იყო, როცა სტიქარით შემოსეს. „იმ პერიოდში, ასეთ პატარებს სტიქარით არ მოსავდნენ. მე კი რატომღაც შემმოსეს — ალბათ ღვთის ნება იყო“... — ამბობს პავლე. იმავე წელს, მან წირვის მომასწავებელი ზარი დარეკა. „ალბათ ბოლომდე ვერ ვაცნობიერებდი — რას ვაკეთებდი, თუმცა, სიხარული და გულის ფანცქალი აუცილებლად მექნებოდა — ზუსტად არ მახსოვს. იქიდან მოყოლებული, 15-16 წელია, ამ საქმეს ვემსახურები. მთელი ამ წლების მანძილზე, მამა ხვთისოს მორჩილი ვარ.“ — ამბობს იგი.

24 წლის მნათე მღვდლობისთვის ემზადება

ნათია თეთიეშვილი

— ზარების რეკვა ვინ გასწავლა?

— წირვა-ლოცვის დროს, ძირითადად, დიდი ზარი ირეკება. წირვის დაწყების მაუწყებელი ზარის დარეკვა მე თვითონ ვისწავლე. შევხედე, დავაკვირდი და ვისწავლე. ბევრი ახსნა-განმარტება არ სჭირდება. ცხრაჯერ უნდა დარეკო, ცოტა ნელი ტემპით და მერე, სამჯერ ზედიზედ მიყოლებით. წირვის დროს, ზარი ორჯერ ირეკება: პირველად — დაწყების მაუწყებელი და მეორედ — როცა სეფისკვერი და ღვინო სისხლად და ხორცად გადაიქცევა. მაშინ, როცა ან მეუფე, ან პატრიარქი მოდის, სამეუფო ზარები ირეკება. დიდ და პატარა ზარებს მონაცვლეობით ვრეკავთ. ეს ცოტა რთულია. მარტყოფში ღვთაების მონასტერში ვიყავი ცოტა ხანს და იქ მასწავლეს.

— მონასტერში შენი სურვილით წახვედი?

— კი, პატარაობისას მე და ჩემი და სიონის სამრევლო სკოლაში დავდიოდით გალობაზე ია სალაყაიასთან. მაშინაც დავყავდით ხოლმე მონასტერში. ორი კვირა ვიყავი სამეგრელოში — თეკლათის მონასტერში, ორი კვირა — ყაზბეგში და ა.შ.

— რამდენს იწონის ზარი? ალბათ ძალიან მძიმეა, არა?

— ზუსტად არ ვიცი, რამდენს იწონის, მაგრამ ერთხელ ზარის ენა ჩამოვარდა და მხარში მომხვდა. რამდენიმე დღე ძალიან მტკიოდა. ენა ძალიან მძიმე იყო და ზარი, წარმომიდგენია, რამსიმძიმე იქნება.

— ზარს ორივე ხელით რეკავ თუ ერთით?

— არა აქვს მნიშვნელობა, მაგრამ მე ორივე ხელით ვრეკავ. ცალი ხელით უბრალოდ, არ გამოვა კარგად — შეიძლება, სუსტად მოხვდეს და ა.შ. მე მაშინ იმიტომ ჩამომივარდა ენა, რომ ძალიან მაგრად ვურტყამდი.

— ხელები არ გტკივა ხოლმე?

— ტკივილით არ მტკივა — თავიდან, ცოტა თოკი მიხეხავდა თითებს, მაგრამ ახლა მივეჩვიე და არაფერი მემართება.

— ოდესმე თუ შეგშლია რაიმე ზარის რეკვის დროს?

— კი, შემეშალა რამდენჯერმე: ადრე უფრო ნელი დარტყმა გამომდიოდა და ტაძარში ხმა კარგად ვერ აღწევდა.

— საყვედური გითხრეს?

— არა, საყვედური არავის უთქვამს. უბრალოდ, მე დამრჩა გულში ხინჯად.

— ზამთარში იქ, ზემოთ არ ცივა?

— ცივა, მაგრამ დაახლოებით ხუთი წუთი გიწევს იქ ყოფნა და ეს არ არის ისეთი დრო, რომ ვერ გაძლო.

— ზარის ხმა ტაძარში ძალიან კარგად ისმის. წარმომიდგენია, იქ როგორი სიძლიერე ექნება. სადღაც წამიკითხავს, რომ ზარების რეკვის დროს ყურებში ბამბებს იდებენ...

— არა, არასდროს ჩამიდვია ყურებში ბამბა. შეიძლება, ვინმეს ეშინია და იკეთებს საცობებს, მაგრამ მე არასდროს გამიკეთებია. ადრე, სანამ სამრეკლო აშენდებოდა, ზარები სამლოცველოს გვერდით, ძალიან დაბლა ეკიდა. ზედმეტად ახლოს ვიყავი ზართან, თითქმის ყუნწზე ვკიდებდი ხელს — მაშინ ძალიან ძნელი იყო. ახლა თოკი გრძელია და ისე მკვეთრად აღარ ისმის. როგორც არ უნდა იყოს, ეს ადამიანს არ დააყრუებს და დააზიანებს — ამაში დარწმუნებული ვარ.

— როცა მაღლა ხარ და ზარს რეკავ, რაზე ფიქრობ ხოლმე?

— ვლოცულობ, ხან 50-ე ფსალმუნს ვკითხულობ გულში, ხან — 90-ეს. თუმცა, ყოფილა შემთხვევა, რომ არ მილოცია, მაგრამ ეს არ არის დანაშაული.

— როცა არ ლოცულობ, მაშინ რაზე ფიქრობ?

— არაფერზე. ისე ვიყურები ხოლმე და ხალხს ვათვალიერებ. ზემოდან კარგად ჩანს ყველაფერი...

— შენ თქვი — ჩემს დროს პატარებს სტიქარით არ მოსავდნენო. დღეს ბევრი მოზარდია სტიქაროსანი?

— კი და იმათაც ვასწავლით ზარის რეკვას, რომ საჭიროების შემთხვევაში, შეგვცვალონ. ახლა ძალიან ბევრი პატარაა ქაშუეთში და ეს კარგია. მაშინ, მე

„ახლა, მხოლოდ ჩემთვის ვგალობ ხოლმე ხანდახან“

რომ სტიქარით შემმოსეს, სულ რამდენიმე ვიყავით მთელ თბილისში. ჩემი 11 წლის ძმა კი, 5 წლის ასაკში გახდა სტიქარო-სანი.

— გალობაზე დავდიოდიო, — თქვი. ახლაც გალობ?

— ბავშვობაში, კათოლიკოს-პატრიარქის წირვა-ლოცვაზეც მგალობებდნენ. ახლა, მხოლოდ ჩემთვის ვგალობ ხოლმე ხანდახან.

— როცა ეკლესიაში არა ხარ, რას აკეთებ ხოლმე?

— შარშან დავამთავრე სასულიერო სემინარია. საპატრიარქოშიც ვმუშაობ — სეფისკვერებს ვაცხობ. როცა ეკლესიაში არა ვარ, მაშინ ან ვწერ, ან ვკითხულობ, ან მუსიკას ვუსმენ.

— რა მუსიკას უსმენ ხოლმე?

— ჯაზს და როკს — არა, უმეტესად — კლასიკას და თანამედროვე მუსიკას. ზოგ მომღერალს პირადადაც ვიცნობ და მათ კონცერტებზეც დავდივარ ხოლმე, ოღონდ, მარხვის პერიოდში — არა..

— არასდროს გიფიქრია, რაიმე სხვა გზა აგერჩია?

— მე სამხედრო სასწავლებელი — კადეტთა კორპუსი დავამთავრე. მომწონდა სამხედრო საქმე. მერე ბათუმში წავედი, საზღვაო აკადემიაში ვაპირებდი ჩაბარებას. ახლა რომ ვფიქრობ, იქ წასვლა შეცდომა იყო... ისე, ფსიქოლოგიაც ძალიან მაინტერესებს. ვაპირებდი კიდეც უნივერსიტეტში ჩაბარებას, მაგრამ მერე გადავიფიქრე. ჩემმა მეგობარმა გამაცნო ერთი ახალგაზრდა ფსიქოლოგი, რამდენჯერმე ვიყავი მასთან კონსულტაციისთვის. მე სასულიერო პირობას — მღვდლობას ვაპირებ და მინდა, ფსიქოლოგიაც ვიცოდე — ეს აუცილებლად დამჭირდება. ახლაც ვაკვირდები ბევრ მოძღვარს და მათგან ვსწავლობ ბევრ რამეს.

— ე.ი. სასურველია, რომ მოძღვარმა ფსიქოლოგია იცოდეს?

— როცა ადამიანს უჭირს, განსაცდელშია ჩავარდნილი, ის მიდის მოძღვართან და მისგან შველას ითხოვს. თუ არ იცი, რა კუთხით მიუდგე და როგორ ესაუბრო, ის შენგან კმაყოფილი ვერ წავა. მე ვლაპარაკობ ადამიანებთან ურთიერთობებზე, თორემ ისე, ფსიქოლოგიაში ბევრი რამ გადამეტებულიც კია...

— ე.ი. მღვდლობისთვის ემზადები?

— კი, 25 წლიდან, უკვე შეიძლება გავხდე მღვდელი, მაგრამ მანამდე, მეუღლე უნდა მყავდეს: მას შემდეგ, როცა მღვდელი გახდები, არ შეიძლება ცოლის მოყვანა, ამიტომ, მანამდე უნდა დავქორწინდე.

— მერე საცოლე არჩეული გყავს?

— კი, მიყვარს ერთი გოგონა.

— მან იცის ამის შესახებ?

— არ იცის, მაგრამ გაიგებს...

ეს მითხრა პავლემ და შემდეგ, ქაშუეთის სამრეკლოს კარი გააღო, ძალიან ვიწრო, დახვეული კიბით მაღლა ავიდა და ლოცვის მაუწყებელი ზარი დარეკა. ჯერ ცხრაჯერ — ნელი ტემპით, მერე სამჯერ — ზედიზედ. პავლე ქვემოთ არ იხედებოდა და ხალხს არ ათვალიერებდა. მომეჩვენა, რომ ის ლოცულობდა... ■

„ბუიად სვანს“ უწოდებდნენ, მაგრამ მის ბუნებაში იშვიათი ხასიათი ქარბობდა...“

დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობის მქონე, პოეტი რევაზ მარგიანი მშვიდი ცხოვრებით ცხოვრობდა და უხმაუროდ იღვწოდა. მისი ასობით ლექსის მიღმა მყოფი შემოქმედის ცხოვრებისეული დეტალები მხოლოდ ვიწრო წრისათვის იყო ცნობილი. საკუთარ თავზე საუბარს მუდამ ერიდებოდა. დღეს მის შესახებ ქალიშვილი — ქალბატონი თამარ მარგიანი მოგვითხრობს.

დედასთან ერთად, 1966 წ.

ნათია ფსუტური

— მოგონებას ბაბუაჩემით დავიწყებ. აკაკი მარგიანი განათლებული პიროვნება იყო. მას თბილისის სემინარია ჰქონდა დამთავრებული. სასწავლებელში ბაბუა გალაკტიონ ტაბიძესთან ერთად სწავლობდა და მასთან მეგობრობდა კიდეც. მას ძლიერ უყვარდა სიტყვაკაზმული ქართული მწერლობა და თავადაც კარგად უჭრიდა კალამი. ერთხანს, აკაკი სვანის ფსევდონიმით აქვეყნებდა თავის ნაწარმოებებს, მაგრამ შემდგომში, იძულებული გახდა, თავი დაენებებინა სამწერლო მოღვაწეობისათვის და ოჯახის რჩენაზე ეზრუნა. აკაკი ბაბუა ეთნოგრაფიით იყო გატაცებული. როდესაც ფოლკლორული მასალის შესაგროვებლად ჩვენმა მეცნიერებმა სვანეთს მიაშურეს, მათ ბაბუა ხშირად აწვდიდა მონაცემებს. ერთხელ, მამაჩემმა აკაკი შანიძესთან გამატანა წიგნები. გამოჩენილი მეცნიერი დიდი სიყვარულით იხსენებდა სვანეთში, ბაბუის ოჯახში გატარებულ დღეებს... ბებია — ნინო დევდარიანი სპეციალობით ბებიაქალი გახლდათ. მისი შემწეობით არაერთი ახალი სიცოცხლე მოვლენია ქვეყნიერებას. მამა მშობლების ერთადერთი შვილი იყო. თბილისის VIII სკოლის მოსწავლე ყოფილა, როცა მოსწავლეებს ლეო ქიაჩელის „ტარიელ გოლუა“ დაუდგამთ. სპექტაკლი სკოლის კლუბში რამდენჯერმე წარმოუდგენიათ, შემდეგ კი, მოზარდმაყურებელთა თეატრის სცენაზეც უჩვენებიათ. ნამდვილი თეატრის სცენაზე გამოსვლა ბავშვებისთვის დიდი გამოცდა აღმოჩნდა. მამას ამ სპექტაკლში ეპიზოდური როლი ჰქონია — ის თურმე მუნჯ ბაჩუას ასახიერებდა. როგორც ამბობენ, მამა დიდი მოწადინებით შესდგომია საქმეს, მუნჯი ადამიანის ჟესტიკულაციით ცდილობდა, დამაჯერებლად წარმოედგინა თავისი გმირი. თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა. პატარა მსახ-

ნინო და რევაზ მარგიანები

იობები დამსწრე საზოგადოებას მხურვალე ტაშით დაუჯილდოებია, მაგრამ სწორედ ამ ტაშს წაუხდენია საქმე. მამა დაინტერესებულა – მაყურებელი მოწონების ნიშნად მიძღვნის აპლოდისმენტებს თუ დამცინისო? როლის თამაშისათვის თავი დაუნებებია და მთელი ყურადღება მაყურებელთა დარბაზისაკენ მიუპყრია. სპექტაკლი კარგა ხნით შეჩერებულა. სცენაზე დაბრუნება მამასთვის რეჟისორს შეუხსენებია... ეს ამბავი მამის ბავშვობის მეგობარმა ვახტანგ ჭელიძემ მომიყვა.

— **როგორი იყო ბატონი რეზო, როგორც მამა და ოჯახის უფროსი?**

– შვილების აღზრდასა და საოჯახო საქმეებში ნაკლებად ერეოდა. მისთვის რომ გეკითხათ, მე და ჩემი და რომელ კლასში ვაწავლობდით, უსათუოდ დაფიქრდებოდა. ბავშვების აღზრდა ძირითადად, დედისა და ბებიის საზრუნავი იყო. ჩემი და ადრე გათხოვდა და მშობლების ოჯახიდან წავიდა. მე და მამა ძალიან ვმეგობრობდით. როდესაც ის ახალ ლექსს ან რაიმე წერილს დაწერდა, პირველს მე წამიკითხავდა ხოლმე. მას განსაკუთრებით უყვარდა გოგლა ლეონიძის შემოქმედება, ხშირად მისი ლექსების კითხვაში თავზე დაგვთენებია... ზოგჯერ მამას „ზვიად სვანს“ უწოდებდნენ, მაგრამ ეს სიმართლეს არ შეეფერება. ის პატიოსანი, მოსიყვარულე, მოყვასის თანამდგომი და ერთგული ადამიანი იყო. დედა იმერელი ჰყავდა და მის ბუნებაში იმერული ხასიათი ჭარბობდა. ადვილად იცოდა გაბრაზება, მაგრამ წყენასაც მალე ივიწყებდა. ბავშვივით ადვილად მოადგებოდა თვალზე ცრემლი – მგრძნობიარე და რბილი ბუნების კაცი იყო...

— **ბატონი რეზოს სამეგობრო წრეზე რას იტყვით?**

– მამას დიდი სამეგობრო წრე ჰქონდა. მისი მეგობრები იყვნენ: ლადო ასათიანი, ალექსანდრე საჯაია, ვახტანგ ჭელიძე, ნოდარ დუმბაძე, გრიგოლ აბაშიძე, ლადო სულაბერიძე... მამების ურთიერთობა შვილებზე გადმოვიდა – ახლა ჩვენ ვმეგობრობთ ერთმანეთთან ოჯახებით. სამამულო ომის დროს ჩვენი ოჯახი სვანეთში გადავიდა საცხოვრებლად. მამას ძველი მეგობრის – ალექსანდრე საჯაიას ნახვა დაუგვიანდა. ბატონმა ალექსანდრემ სვანეთში ჩამოაკითხა. მოულოდნელად სტუმარი შეუძლოდ შეიქნა. პოეტს ტუბერკულოზური მენინგიტი აღმოაჩნდა. მან ორი კვირა იავადმყოფა. დედა და ბებია მოვლას არ აკლებდნენ, მაგრამ ძალზე მძიმე პერიოდი იყო, მედიკამენტების შოვნა იოლი არ გახლდათ. საჯაიას ავადმყოფობის ამბავი მამამ თბილისელ მეგობრებს აცნობა. სიმონ ჩიქოვანმა წამლები გაუგზავნა სვანეთში, მაგრამ საუბედუროდ, პოეტს ვერაფერმა უშველა. ალექსანდრე გარდაიცვალა. მისი დაკარგვა მამისთვის მოუშუშებელი იარა იყო და მეგობრის სიკვდილით გამოწვეული ტკივილი მას მუდამ აწუხებდა.

— **ვინ იყო რევაზ მარგიანის შემოქმედებითი ნათლია?**

– ივანე ჯავახიშვილი. სწორედ მან დაულოცა მამას გზა ქართულ მწერლობაში, მისი პირველი გამოქვეყნებული ლექსი, „მირანგულა“ იყო.

— **ნათქვამია: პოეზია პოეტის სულიერი სარკეაო. იქნებ, გაიხსენოთ თქვენთვის ყველაზე ძვირფასი ლექსი, რომელშიც ბატონი რევაზის პირადი თავგადასავალი აისახა.**

– მამის ყოველი ლექსი მისი სულის ნაწილს შეიცავს. ყოველ ნაწარმოებს რევაზ მარგიანის მიერ ნანახი და განცდილი ამბავი უდევს საფუძვლად. ჩემთვის ერთ-ერთი უსაყვარლესი ლექსია – „მე უბით ვატარებ პატარა ბარათს“. ეს ნაწარმოები მამამ დედას მიუძღვნა. საქმე ის გახლავთ, რომ ჩემი მშობლების დაქორწინებიდან სულ მოკლე ხანში, დაიწყო სამამულო ომი. მამა მოხალისეთა რიგებში ჩაეწერა და ფრონტზე წავიდა, ამ ლექსში მან მეუღლისადმი სიყვარული და მასთან განშორებით გამოწვეული სევდა გამოხატა.

— **ალბათ დაჰკვირვებიხართ მამის მუშაობის პროცესს. რა შეგიძლიათ გაიხსენოთ ამის შესახებ?**

– როდესაც რამეზე მუშაობდა, მის ოთახში არავინ შედიოდა. ამ დროს, მამა განსაკუთრებით ბევრ სიგარეტს ეწეოდა და როდესაც სამუშაო ოთახის კარს გააღებდა, უეცრად კვამლი გამოვარდებოდა – ეს იმის ნიშანი იყო, რომ იმ დღისთვის დაგეგმილი სამუშაო დასრულებული ჰქონდა. შემდეგ მამაც გამოჩნდებოდა და დაღლილობის მიუხედავად, მაინც გაგვიღიმებდა...

— **რა შეგიძლიათ გვითხრათ რევაზ მარგიანის ცხოვრების ბოლო პერიოდის შესახებ?**

– ბოლო ხანებში, ხშირად ავადმყოფობდა. მას დიაბეტის მძიმე ფორმა ჰქონდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მისი გამოჯანმრთელების იმედს არ ვკარგავდით. გარდაცვალების წინადღეს, პოეტ ლადო ასათიანის მეუღლე ანიკო ვაჩნაძე გვესტუმრა. მამა მისმა მოსვლამ ძალიან გაახარა. ძველი მეგობრები დიდხანს საუბრობდნენ, მამა მხიარული ჩანდა – არადა, თურმე სიცოცხლის უკანასკნელ საათებს ატარებდა... 1984 წლის 9 ივლისს გარდაიცვალა. ■

ცოლ-შვილთან და შვილიშვილებთან ერთად (მარცხნივ – თამარ მარგიანი)

ცხვირიდან თმის მოსაცილებელი აპარატი - NOSE TRIMMER

NOSE TRIMMER იდეალურია ცხვირიდან და ყურებიდან არასასურველი თმის მოსაცილებლად და ასევე წარბების კორექციისათვის. ბევრად უფრო ეფექტური, უსაფრთხო და მოსახერხებელია ვიდრე მაკრატელი. იგი თხელი, მსუბუქი და მგზავრობისას ადვილი სატარებელია. აქვს მბრუნავი ტიპის თხელი „ბრიტვა“, მუშაობს ჩვეულებრივ **1.5V AA** ტიპის ელემენტებზე.

NOSE TRIMMER საშუალებას მოგცემთ ყოველთვის მოწესრიგებულად და კომფორტულად იგრძნოთ თავი საზოგადოებაში.

ფასი: 58 ლარი

სხეულის ცხიმიანობის ანალიზატორი - BODY FAT ANALYZER

როდესაც საუბარია ადამიანის სიმსუქნეზე, ხშირად გვავიწყდება, რომ ამ დროს შეფასების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმია ორგანიზმში ცხიმიანობის შემცველობა. პოპულარულ ფორმულას - „სიმაღლე - 110 = იდეალური წონა" - უკვე დიდი ხანია აღარ ენდობიან დასავლეთში, რადგან თითოეულ ჩვენგანს აქვს განსხვავებული: ქსოვილის სიმკვრივე, კუნთების მასა, ორგანიზმში წყლის შემცველობა, და რაც მთავარია, ცხიმიანობის პროცენტი.

სხეულის ცხიმიანობის ანალიზატორი არის ძალზე კომპაქტური, სწრაფი და ზუსტი მოწყობილობა, რომელიც სუსტი ელექტრონული იმპულსების საშუალებით დაგეხმარებათ თქვენი სხეულის ცხიმიანობის პროცენტის დადგენაში. მისი უნიკალური ფუნქციების წყალობით შესაძლებელია ზუსტად განსაზღვროთ ცხიმიანობის კოეფიციენტი თქვენს სიმაღლესთან, წონასთან, ასაკთან და სქესთან შესაბამისობაში და განსაზღვროთ თქვენთვის ინდივიდუალური, იდეალური ცხიმიანობის კოეფიციენტი, რომლის დროსაც თქვენს ჯანმრთელობას უკვე აღარ ემუქრება წონის მომატებასთან დაკავშირებული სხვადასხვა დაავადება.

ფასი: 58 ლარი

ელექტრონული ჭადრაკი „SABER IV"

ელექტრონული ჭადრაკი "SABER IV" უახლესი გამოგონებაა სათამაშო ჭადრაკებში, რომელიც გათვალისწინებულია ნებისმიერი ასაკისათვის. სპეციალური პროგრამა **state-of-the-art** საშუალებას იძლევა ეთამაშოთ კომპიუტერს როგორც ადამიანს. თქვენ აღარ გჭირდებათ მოთამაშე პარტნიორი - თქვენ ეთამაშებით ელექტრონულ ჭადრაკს, რომელსაც გააჩნია მაგნიტურ-სენსორული დაფა და თვითონ აადგილებს ფიგურებს. ელექტრონული ჭადრაკი საშუალებას გაძლევთ აირჩიოთ თამაშის თქვენთვის სასურველი სირთულის დონე. მას გააჩნია სირთულის 73 დონე, როგორც დამწყები, ისე პროფესიონალი მოთამაშეებისათვის. ამ თვალსაზრისით ელექტრონული ჭადრაკი წარმოადგენს იდეალურ მასწავლებელს და მეგობარს თქვენი ბავშვისათვის. მას გააჩნია დაპროგრამებული სვლების უნიკალური მოკარნახე, რომელიც აადვილებს სწავლების პროცესს და საშუალებას აძლევს ბავშვს აითვისოს ჭადრაკი და დახვეწოს თამაშის ტექნიკა. ზომები: 210 x 188 x 22 მმ. კვება: 3x"AAA"1,5 V

ფასი: 125 ლარი

იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტთ შეძენას, დაგვიკავშირდით ☎ (995 32) 33 30 63; (995 32) 36 49 45 ან შეგვიკვეთეთ ინტერნეტ მაღაზია - **www.shopge.com**-ის საშუალებით და ჩვენი კურიერი მოგაწვდით შეკვეთას თქვენთვის სასურველ მისამართზე თბილისში. კურიერის მომსახურება უფასოა. ®

შენონ დოერტის ვარსკვლავური ბიოგრაფია ფაქტობრივად, ტელესერიალში — Beverly Hills 90210-ში განსახიერებული ბრენდა უოლშით იწყება. სწორედ ამ როლმა მოუტანა მას უდიდესი პოპულარობა ამერიკაში, ამ სერიალიდან წასვლა კი, იმდენად სკანდალურ ვითარებაში მოხდა, რომ დღემდე ახსოვთ არა მარტო კინოს სამყაროს წარმომადგენლებს, არამედ მილიონობით მაყურებელსაც...

შენონ დოერტის ქმრის სიშმაგე ჰგვრის ბედნიერებას

1971 წელს დაბადებული შენონი პატარაობიდანვე, ძალზე კარჩაკეტილი იყო. განმარტოება უყვარდა, თანატოლებს არ ეკარებოდა. „მარტო თამაში უფრო მიყვარდა, ვიდრე სხვა ბავშვებთან ერთად“, — იხსენებს დოერტი.

7 წლის რომ იყო, მისი ოჯახი ტენესის შტატის ქალაქ მემფისიდან ლოსანჯელესში გადავიდა საცხოვრებლად. შენონი მალე დაინტერესდა სამსახიობო საქმით და მთელი ორი წელი ცდილობდა დაერწმუნებინა დედ-მამა, რომ სერიოზული განზრახვა ჰქონდა. „ვეუბნებოდი: თქვენ ფეხბურთის თამაშსაც კი არ მიშლით, მაშ რატომ არ გინდათ, რომ მსახიობი გავხდე?“ ბედმა მალე გაუღიმა გოგონას. პირველი როლი მან სრულიად შემთხვევით მიიღო: სერიალის — „მამა მერფი“ — პროდიუსერმა თამამი მოზარდი გოგონას როლის შემსრულებლის საპოვნელად უამრავი სკოლა მოიარა და მისთვის შესაფერისად სწორედ დოერტი მიიჩნია. პროდიუსერიცა და გადამღები ჯგუფის ბევრი წევრიც ძლიერ ნანობდა ამ არჩევანს: რამდენიმე ეპიზოდის გადაღებისას, შენონმა სისხლი გაუშრო მათ.

გავიდა ცოტა ხანი და გოგონამ განაცხადა: „როცა ფილმი — „პატარა სახლი პრუსიაში“ ვნახე, უმალ ვიფიქრე: სიამოვნებით ვიმუშავებდი მაიკლ ლენდონთან ერთად“. ამას ბევრი სხვა გოგონაც ნატრობდა, მაგრამ როგორც ჩანს, შენონი განსაკუთრებით იღბლიანი იყო: ლენდონმა თვალი მოჰკრა 12 წლის დოერტის „მამა მერფიში“ და თავისი

სერიალის — „პატარა სახლი: ახალი დასაწყისი“ ბოლო სერიებში სათამაშოდ მიიწვია. ეს უკვე მოზრდილი როლი იყო. სერიალი ტელეეკრანზე კვირაში სამჯერ გადიოდა და დიდი წარმატება ხვდა წილად.

შემდეგ, 15 წლის დოერტი კიდევ ერთ სერიალში — „ჩვენი სახლი“, კრის უიტერსპუნის მუდმივ როლზე მიიწვიეს. 1986 წელს, აღნიშნულ სამუშაოსთან ერთად, შენონი გადაიღეს ფილმში „გოგონებს მხოლოდ გართობა სურთ“, სადაც მის გვერდით ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა სარა ჯესიკა პარკერი და ჰელენ ჰანტი თამაშობდნენ. 1989 წელს კი, ფილმში — „ვრესკი“ — მას პირველად მოუხდა ისეთი აღიარებული ვარსკვლავების პარტნიორობა, როგორებიც არიან: კრისტიან სლეიტერი და უაინონა რაიდერი.

და მაინც, დოერტის ყველაზე დიდ წარმატებად „ბევერლი-ჰილზში“ განსახიერებულ ბრენდა უოლშს მიიჩნევენ. ეს სატელევიზიო დრამა ათასობით მოზარდის საყვარელ ფილმად იქცა. შენონიც თანდათან დადინჯდა და თავის „გაპრიალებულ“ გმირს დაემსგავსა. ამას მის მხრებზე დაწოლილი პასუხისმგებლობაც დაემატა: თავიანთ ახალ კერპს ათასობით მოზარდი გოგონა უგზავნიდა წერილს და საქმე იქამდე მივიდა, ფოსტის გარჩევა სტუდიის რამდენიმე ათეულ თანამშრომელს დაავალეს. ბრენდას თავის მილიონობით რესპონდენტისთვის მეგობრის, მრჩევლისა და ჭკუის დამრიგებლის როლის შესრულება მოუხდა. ეს როლი, ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი მაქსიმალისტი გოგონასთვის საკმაოდ მძიმე გამოცდა აღმოჩნდა. თანაც, მას ერთი წუთით მოსვენებას არ აძლევდა პრესა, რომელიც ბრენდა-შენონს ათასგვარ ფანტასტიკურ თავგადასავალს მიაწერდა (თუმცა, ზოგი რამ მოგვიანებით, სიმართლე აღმოჩნდა).

და მაინც, ქარიშხალი სრულიად მოულოდნელად ამოვარდა და ისევ — თავად შენონის ხასიათის გამო. 1996 წლის თებერვალში, ჰოლივუდურ „ჭორიკანად“ მონათლულ ჟურნალ Variety-ში გამოქვეყნდა შენონ დოერტის ინტერვიუ, რომელმაც ბომბის აფეთქების ეფექტი მოახდინა და წლის სკანდალადაც კი აღიარეს. ამ ინტერვიუდან საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა „ბევერლი-ჰილზის“ გადაღების თანმდევი ბინძური ამბები, კერძოდ: შენონმა მკითხველს უამბო, თუ ვის მიუშვირა შიშველი უკანალი ჯეისონ პრისლიმ, რატომ მიაჩნდა შენონს ფარულ ჰომოსექსუალად ლიუკ პერი და უმწიფარ მეძავად — გაბრიელა კარტერისი. ამასთანავე, დოერტიმ პედოფილი უწოდა ფილმის გენერალურ პროდიუსერს აარონ სპელინგს და ამით, ფაქტობრივად, განაჩენი გამოუტანა საკუთარ თავს.

თუმცა წერილი, რომელშიც შენონ დოერტის ყველა პარტნიორი სერიალიდან მისი დათხოვნის სურვილს გამოთქვამდა, დაგვიანებული აღმოჩნდა: იმ დროსთვის, სკანდალისტი მსახიობი უკვე საკუთარი ინიციატივით გახდა უმუშევარი. მიუხედავად იმისა, რომ ბრენდას როლმა შავგვრემან გოგონას დიდი სახელი მოუტანა, თავად შენონი ამბობს, რომ ბოლო 2 წელი ეს სამუშაო მხოლოდ

საზიანო იყო მისთვის. „მეორე სეზონში, სერიალის ფაბულა სრულიად მოულოდნელად განვითარდა. უკვე მაშინ, ძალზე უკმაყოფილო ვიყავი ჩემი ნამუშევრით, და წასვლა მინდოდა, მაგრამ არ გამიშვეს. მეოთხე სეზონში კი, პირადი პრობლემები დამეწყო და ამ პრობლემების გადასაჭრელად დრო მჭირდებოდა. ამასთანავე, სრულიად აღარ მიტაცებდა სამუშაო, რომელსაც ვასრულებდი. მადლობა სპელინგს, რომელმაც, ბოლოს და ბოლოს, გამიგო და სერიალიდან გამიშვა“.

„ბევერლი-ჰილზის“ გამო ატეხილი სკანდალის შემდეგ, ის პროდიუსერთა შავ სიაში მოხდა. ასეთ საქციელს მეორე დღესვე როდი ივიწყებენ. შენონ დოერტისაც ყველაფრის თავიდან დაწყება მოუხდა. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ მსახიობი კინოში ისევ აარონ სპელინგმა მიიწვია, რომელმაც ჩადენილი დიდსულოვნად მიუტევა და რამდენჯერმე, „ბევერლი-ჰილზში“ დაბრუნება შესთავაზა, მაგრამ შენონს საბოლოოდ ჰქონდა გადაწყვეტილი, ბრენდას სახესთან განშორება, ამიტომ ბოლო წინადადებაც, რომელიც მან პროდიუსერისგან 1998 წელს მიიღო, უყოყმანოდ უარყო. სპელინგმა, რომელსაც არ სურდა ნიჭიერ მსახიობთან კავშირის გაწყვეტა, დოერტის ახალი სამუშაო შესთავაზა. ეს იყო ახალი სერიალი – Charmed – რომელიც აშშ-ის ეკრანებზე იმავე წლის სექტემბერში გამოვიდა. შენონ დოერტი, ალიშა მილანო და ჰოლი მერი კომბსი, მასში სამი ჯადოქარი დის სხვადასხვა ამბავს გადმოსცემენ ეკრანზე. მსახიობები, რომლებიც თურმე საუცხოოდ შეთამაშდნენ ერთმანეთთან, ცხოვრებაშიც მეგობრობენ. რაც შეეხება სერიალს – ის თანამედროვე, „საშუალო სტატისტიკური“ მაყურებლის ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს – მასში უხვადაა: გამოცანა, საშინელება, სპეცეფექტი, მონსტრი, სასიყვარულო თავგადასავალი, სასაცილო სიტუაცია.

ამრიგად, ხანგრძლივი შესვენების შემდეგ, დოერტი საეკრანო ოლიმპზე დაბრუნდა. განვლილ წლებში, მან ბობოქარი პირადი ცხოვრებითაც იცხოვრა. მის „აქტივში“ რამდენიმე მამაკაცია: ფოტოსტუდიის მეპატრონე დინ ფექტორი (1990 წ. დაშორდნენ 1991 წელს); უძრავი ქონებით მოვაჭრე კრის ფოუფასი (1991-92 წწ), მსახიობ ჯორჯ ჰამილტონის შვილი ეშლი, რომელიც გაცნობიდან 2 კვირაში – 1993 წლის 14 სექტემბერს მისი ქმარი გახდა, მაგრამ ერთად მათ მხოლოდ 5 თვე – 1994-ის აპრილამდე იცხოვრეს. მსახიობ ჯუდ ნელსონს შენონი 1994 წელს, ფილმის – „თვალახვეული“ გადაღებისას შეხვდა, მაგრამ ეს კავშირიც არ აღმოჩნდა ხანგრძლივი. მას მოჰყვა ასევე მსახიობი რომ ვაისი, რომელთან შეხვედრაც, პრესის განსაზღვრებით, ჭეშმარიტად ჰოლივუდური განშორებით დასრულდა; წყვილი მეორედ შეიყარა, ამჯერად დაინიშნა კიდეც, მაგრამ ისევ გაიყარა – 1996 წლის აპრილში. მოარული ხმებით, შენონ დოერტის სასიყვარულო ურთიერთობა ჰქონდა აგრეთვე ჯეისონ პრისტლისთან, მოგვიანებით კი – ლიუკ პერისა და ჯულიან მაკმენთან.

დოერტი მიზანსწრაფული გოგონაა და დაქალებისთანავე, ბევრი „საჭირო ადამიანის“ მოხიბვლა მოახერხა... რაც შეეხება მის ოჯახს – შენონისგან განსხვავებით, მისი დედმამა ერთგულებით გამოირჩევა და უკვე 34 წელია, ერთად ცხოვრობს. ტომ დოერტი ბანკირია, მისი ცოლი როზა – სილამაზის სალონის მეპატრონე. შენონს ჰყავს აგრეთვე ძმა – მასზე 4 წლით უფროსი შინო, რომელსაც, მსახიობის თქმით, ის სრულიად ენდობა.

მოცალეობის ჟამს, ვარსკვლავი მოგზაურობით იქცევს თავს. მას ძალიან უყვარს ცხენები, წიგნის კითხვა და ხატვა. ჰყავს 3 ძაღლი. ის ადამიანთა იმ კატეგორიას მიეკუთვნება, რომელიც შინ დაბრუნებისთანავე უმალ, ახალი მოგზაურობისთვის იწყებს მზადებას. მას მუდმივი საცხოვრებელიც კი არა აქვს. „საკუთარი სახლი არ გამაჩნია. სახლებს იჯარით ვიღებ ხოლმე. ამაზე უამრავ ფულს ვხარჯავ, იმიტომ, რომ ბოშას ვგავარ. Hollywood Hills-ში მდებარე სახლში ყველაზე მეტი დრო მაქვს გატარებული – აქ უკვე 2 წელია ვცხოვრობ“.

შენონ დოერტი არ არის კოსმეტიკის მოყვარული. გადაღებაზე გაკეთებული „მძიმე კოსმეტიკის“ შემდეგ, ის საზოგადოებაში ჩვეულებრივ, au naturel-ის „ფორმაში“ გამოდის ხოლმე. შინ უმეტესად, ჯინსი და მაისური აცვია. აი, წვეულებაზე ან საზოგადოების თავშეყრის ადგილებში გასვლისას კი, ზედმიწევნით ქალურად გამოეწყობა ხოლმე და საუცხოო გემოვნებასაც ამჟღავნებს. მას Calvin Klein-ის, Donna Karan-ის, Chanel-ის, Giorgo Armani-ისა და Moschino-ის ნაწარმი უყვარს. მსახიობი სპორტის სხვადასხვა სახეობასაც მისდევს – ჩოგბურთს, თხილამურებით სრიალსა და ფრენბურთს. როგორც თავად ამბობს, მის ცხოვრებაში წარსულს ჩაჰბარდა სკანდალები, პრობლემები და სიყმაწვილისთვის დამახასიათებელი სიშმაგე. მის სულში სიმშვიდემ დაისადგურა, მით უმეტეს, რომ ჰყავს კარგი მეგობრები, საუცხოო მშობლები. ცოტა ხნის წინ კი, კვლავ გათხოვდა რიკ სოლომონზე, რომელიც ზოგჯერ, შენონისთვის ესოდენ გასაგებ სისულელეს სჩადის და ამით კიდევ უფრო უმძაფრებს ხოლმე ბედნიერების შეგრძნებას... ■

დრიუ მერიმორი სიყმაწვილის დროინდელ საიდუმლოს ამჟღავნებს

28 წლის მსახიობმა გერმანული ჟურნალის – „ინსტაილისთვის“ მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ ფილმის – „ჩარლის ანგელოზები: სრული სვლით!“ გადაღებისას, იმიტომ გაუჭირდა გაშიშვლება, რომ მას უსიამოვნო მოგონებებს ჰგვრიდა შორეულ წარსულში მომხდარი, სტრიპტიზის პირველი შემთხვევა... ვარსკვლავის თქმით, ეს მოხდა მაშინ, როცა ეკრანებზე გამოვიდა ცნობილი ეროტიკული ფილმი – „ცხრა-ნახევარი კვირა“ და დრიუს, მისმა კბილა მეგობარმა ბიჭმა სთხოვა, ეკრანზე ნანახის მსგავსი წარმოდგენა მოეწყო მის თვალწინ. „ყველაფერი ზედმიწევნით კარგად შევუსრულე, მაგრამ ამ დროს, საშინლად ვგრძნობდი თავს და დავიფიცე, რომ მსგავს რამეს არასოდეს გავიმეორებდი. მაგრამ ახალი ფილმის გადაღებისას, ამ შიშის დაძლევა მოვახერხე“, – აღნიშნა ინტერვიუში მსახიობმა და ხუმრობით დასძინა: „იმედია, ამის შემდეგ, სტრიპტიზიორი ქალის ეკრანზე განსასახიერებლად უამრავი წინადადებით მომმართავენ...“ ■



სელმა ჰაიეკს ჯეის დაკარგვა სწყენიათ...

მსახიობმა სელმა ჰაიეკმა უარი თქვა სარეჟისორო დებიუტზე, რომელზეც თავიდან, სერიოზულად ფიქრობდა. „ფრიდაში“ შესრულებული, გახმაურებული სახის შექმნამდე, მისთვის, საკაბელო ტელევიზიისთვის განკუთვნილი ფილმის – The Maldonado Miracle გადაღება შეუთავაზებიათ. „ამ წინადადებამ ძალზე გამახარა, მაგრამ მაინც უარი ვთქვი, – აღნიშნა კინოვარსკვლავმა. – შემდეგ, შევუდექი მუშაობას ფილმზე „ფრიდა“, ხოლო როდესაც აღნიშნულ პროექტს დავუბრუნდი და სცენარი წავიკითხე – მასში არაფერი აღარ მომეწონა და საკუთარ თავს ვუთხარი: ისეთი რამ მჭირდება, რაც ჭკუას დამაკარგვინებს...“ ■

კრისტინა აგილერა MTV–ის ცენზურამ გაანაწყენა

მუსიკალური არხის მესვეურებს მომღერლის ახალი კლიპიდან ყველაზე „ცხელი“ ეპიზოდები ამოუჭრიათ. მათი აზრით, სინგლის – Can't Hold Us Down ზოგიერთი ფრაგმენტი არხის აუდიტორიისთვის მეტისმეტად გულახდილი იქნებოდა. ამის გამო აღშფოთებული აგილერა კითხულობს: თუ მამაკაცი-რეპერები ნახევრად შიშველ ლამაზმანებს იღებენ და ამ კლიპებს ეთერში უპრობლემოდ უშვებენ, მაშ, მე რატომ მეკრძალებაო? და საკუთარ კითხვაზე თავადვე პასუხობს: ეს სქესობრივი დისკრიმინაციის გამოვლინებაა. „სასაცილოა, – თქვა კრისტინამ, – ჩვენ გარშემო სექსუალური შინაარსის მქონე, უამრავი ჰიპ-ჰოპ-კლიპი ტრიალებს და ყველა ამას ნორმალურად მიიჩნევს. მაგრამ როცა რაღაც ამგვარს ქალი გადაიღებს, ეს რატომღაც შოკის მომგვრელი ხდება. ყველაზე მეტად ის მაოცებს, რომ მათ დაავიწყდათ – ეს ყველაფერი წარსულში უკვე იყო. მაგალითად, მადონამ მსგავსი რაღაცები უკვე კარგა ხანია, გაიარა. ქალის სახე, რომელსაც გაცნობიერებული აქვს საკუთარი სექსუალობა და ამაყობს საკუთარი სხეულით, სულაც არ არის ახალი...“ ■

ალ პაჩინომ შვილებთან შეხვედრის უფლება მოიპოვა

სახელგანთქმულ ჰოლივუდელ მსახიობს, კოლეგასთან – ბევერლი დ'ანჯელოსთან ე.წ. სამოქალაქო ქორწინების შედეგად ორი შვილი გაუჩნდა. წყვილი 5 წლის მანძილზე ცხოვრობდა ერთად, მაგრამ გაყრის შემდეგ, ბევერლი უარს ეუბნებოდა ალს ტყუპ და-ძმა – ოლივია როუზსა და ანტონ ჯეიმსთან შეხვედრაზე. პაჩინო იძულებული გახდა, ამის მისაღწევად სასამართლოსთვის მიემართა. მისი სარჩელის თანახმად, მსახიობი მამობრივი უფლებების რეალიზებას

მოითხოვდა და მზად იყო, საერთოდ თავისთან წაეყვანა შვილები. ზოგიერთ ინტერვიუში, როდესაც ის საკმაოდ თავშეკავებულად ლაპარაკობდა დ'ანჯელოსთან საკუთარი ურთიერთობის შესახებ, პაჩინო აღნიშნავდა, რომ შვილების გაჩენამ რადიკალურად შეცვალა მისი ცხოვრება და მას სურდა, მთელი თავისუფალი დრო მათთვის დაეთმო... სასამართლო პროცესის დაწყებამდე, რომელიც მიმდინარეთვის შუა რიცხვებში გაიმართა, მოსამართლემ მხარეებს მორიგება შესთავაზა. დახურულ კარს მიღმა გამართული მოლაპარაკების შემდეგ, მსახიობების ადვოკატებმა რაღაც შეთანხმებას მოაწერეს ხელი, რომლის შინაარსი საიდუმლოდ დარჩა. თუმცა, ის ფაქტი, რომ სასამართლო გარჩევა არ ჩატარდა, ნათლად მეტყველებს: ალ პაჩინომ მაინც მოახერხა თავისი ყოფილი მეგობრის დაყოლიება იმაზე, რომ შვილებთან ურთიერთობის საშუალება მისცეს. ■

დასაწყისი იხ. „გზა“ №13-29

დაგვიანებული რეისი მოსკოვი-თბილისი

რუსუდან ბერიძე

მომავალ ჟურნალისტ დეა ავალიანს კანონიერი ქურდი გიგოლა თითქმის ძალით ჩაიგდებს ხელში, რასაც მკვლელობის ბრალდებით გასამართლებული მისი ძმა — თემოც უწყობს ხელს... დეა ბედს ბოლომდე ვერ ურიგდება და გიგოლასგან თავის დაღწევას მაინც ყველანაირად ცდილობს, მაგრამ ამ საქმეში ერთადერთი მეკავშირის — დედის სიკვდილის შემდეგ, ეს თითქმის შეუძლებელი ხდება.

გიგოლა არაერთ ბნელ საქმეში, მათ შორის ნარკოტიკების რეალიზაციაშია შემჩნეული. მისი წყალობით, სამართალდამცავები დეაზეც მიიტანენ ეჭვს. გიგოლა იძულებულია, დეა სასწრაფოდ მოსკოვში, თავის ძველ საყვარელ ელასთან გახიზნოს.

ელას, დეას თანატოლი ვაჟი — დიმა ჰყავს. ახალგაზრდებს ერთმანეთი მოეწონებათ, რასაც ელაც ყველანაირად უწყობს ხელს. მაგრამ საქმეში გიგოლა ჩაერევა. ის მოსკოვში ჩასვლისთანავე, ელას სახლში გაჩნდება და მარტო დარჩენილ დეას ისევ დაიმორჩილებს...

გახელებული გიგოლა ჟინს ვეღარაფრით იკლავდა. ის დეას ხან თავიდან ფეხებამდე გაშმაგებული კოცნიდა და ველურივით დაუნდობლად ეუფლებოდა, ხანაც ნაზად ეფერებოდა, გულში ჰატარა ბავშვივით იკრავდა და ათასნაირ საალერსო სიტყვას ეჩურჩულებოდა.

თავიდან, დეა ყველანაირად უძალიანდებოდა, მაგრამ მერე, საერთოდ მოეშვა და გიგოლას ყოველ მორიგ შემოტევას ქანდაკებასავით უტყვი და გაშეშებული ხვდებოდა. ბოლოს კი, როცა ლამის ისიც დაიჯერა, რომ დრო საერთოდ გაჩერდა და ეს სექსუალური ძალადობაც აღარასოდეს დამთავრდებოდა, გიგოლამ ხელი უშვა, ლოგინზე გულაღმა გაიშოტა და დაბოღმილმა ჩაიბურღღუნა:

— ვერ გავიგე, — ასე მაინც, რამ გაგაქვავა?..

ჭერში ერთ წერტილს მიშტერებულ დეას, ხმა არც ამჯერად ამოუღია. ცოტა ხნის შემდეგ კი, ლოგინიდან ნელ-ნელა წამოდგა, იატაკზე მიყრილ-მოყრილ ტანსაცმელში თავისი ხალათი მოძებნა, სახელოებში ხელები რის ვაივაგლახით გაუყარა და ლასლასით გავიდა საბაზანოში...

ცხელი წყლის ჭავლმა თავიდან, გონება დაუბინდა, მაგრამ მალევე გამოერკვა და ტანის დაბანაც ისე გაშმაგებით დაიწყო, თითქოს რაღაც ძალიან ბინძურის მოშორებას ცდილობსო...

საბაზანოდან გამოსულ დეას გიგოლა ჩაცმული დახვდა. მას უკვე ლოგინის ალაგება და გაშლილი ტახტის აკეცვაც კი მოესწრო. ასე რომ, ცოტა ხნის წინ გადატანილისაგან დარჩენილი, ტვინის გამბურღავი შეგრძნებები რომ არა, დეა, ალბათ იმასაც სიხარულით დაიჯერებდა, რომ მის თავს საერთოდაც არაფერი მომხდარა.

— მოდი აქ, ჩემ პირდაპირ დაჯექი და კარგად მომისმინე, — შუა ოთახში მდგარ მაგიდას მიუჯდა მოღუშული გიგოლა.

თითქმის მბრძანებლური კილოთი ნათქვამი სიტყვები დეამ არად ჩააგდო და იქვე, კედელთან მიდგმულ სავარძელში გადაწყვიტა ჩაჯდომა. მაგრამ გიგოლამ მაგიდას ისეთი ძალით დაჰკრა მუშტი, რომ ადგილზე გააშეშა.

— ხომ გითხარი, ჩემ პირდაპირ-მეთქი! — კბილებში გამოცრა მან.

— მაშინ, ჯერ ჩავიცვამ... — უპასუხა დეამ და საძინებელში გავიდა, საიდანაც, რამდენიმე წუთში, შემოტმასნილ ჯინსის შარვალსა და შავ სვიტერში გამოწყობილი დაბრუნდა.

დეამ მაგიდასთან მიდგმული, მაღალზურგიანი სკამი ხმაურით გამოსწია, მაგიდას მოხერხებულად მიუჯდა და გიგოლას თვალი თვალში აშკარა ზიზღით გაუყარა:

— გისმენ.

— ძალიან კარგი, რომ მისმენ. მოდი, ასე ვქნათ...

— პირდაპირ მითხარი, რა გინდა, რას ითხოვ ჩემგან?

— სიტყვის დამთავრება არ აცალა დეამ.

— ჯერაც ვერ მიხვდი?

— ვერა.

— მაშინ, ერთხელ კიდევ აგიხსნი და იცოდე, კარგად დაიმახსოვრე...

— ჯერ მეხსიერება ნამდვილად არ მღალატობს.

— მით უკეთესი: ეი. გამეორება აღარასოდეს დამჭირდება.

— გამეორება ცოდნის დედაა, არ გაგიგონია? — ირონიულად გაეღიმა დეას.

— შენი დედაც, მამაც, ძმაც და ყველა ახლობელიც ამიერიდან, მე ვარ. ამიტომ, რაც უფრო ნაკლებად წაიმწარებ ენას, მით უკეთესი... — ხმას აუწია გიგოლამ.

— მემუქრები კიდეც?! — წარბი არ შეუხრია დეას.

— არა, ჯერ, უბრალოდ, გაფრთხილებ...

უცბად დეა ფეხზე წამოხტა, ოთახიდან გავარდა და შემოსასვლელ კარს ეცა.

— რას შვრები?! — ორ ნაბიჯში მის გვერდით გაჩნდა გიგოლაც და საკეტის გადატრიალება აღარ დაანება.

— მივდივარ, — საკეტს ხელი მაინც არ გაუშვა დეამ.

— საინტერესოა, მაინც, სად? — აგდებულად ჰკითხა გიგოლამ.

— სულერთია... სადმე... შენგან, რაც შეიძლება, შორს...

— ჩემგან შენ ვეღარასოდეს წახვალ! — საკეტზე ხელი ძალით გააშვებინა გიგოლამ და თავისკენ მიიზიდა.

— გამიშვი! მძულხარ, მეზიზღები! — აკივლდა დეა, შემდეგ, თავისუფალი ხელი გამეტებით მოიქნია და გიგოლას პირდაპირ სახეში სთხლიშა.

გიგოლა წამით გაშეშდა და დეას გაოგნებულმა შეხედა. შემდეგ თმაში ხელი წაავლო და ის იყო, მთელი ძალითაც უნდა მოექაჩა, რომ კარზე ზარის ხმა გაისმა.

გიგოლამ დეას ხელი ისე სწრაფად უშვა, რომ ეს უკანასკნელი კინაღამ კედელს მიენარცხა.

— Кто там — იკითხა გიგოლამ და საჭვრეტში გაიხედა.

— გიგი, მე ვარ, ხვიჩა ვარ... — მოისმა კარს იქიდან მამაკაცის ჩახლეჩილი ხმა.

— ხვიჩა?!. — უცბად ვერ მიხვდა გიგოლა? — რომელი ხვიჩა?

— ონიანი...

ამ გვარის გაგონებაზე, გიგოლამ საკეტი სწრაფად გადაატრიალა და კარი ისე გამეტებით გამოაღო, თითქოს ჩარჩოდან ამოგდებას უპირებსო. ზღურბლზე წვერმოშვებული ახალგაზრდა კაცი გამოჩნდა:

— რა იყო, გიგი, ვერ მიცანი? — უშნოდ გაიღრიჭა ის — ისიც კი ვიფიქრე...

— გიცანი, — გააწყვეტინა გიგოლამ, — მაგრამ მე შენ აქ არ დამიბარებიხარ. რისთვის მოხვედი?

— ბადრიმ გამომგზავნა, — კრეჭას განაგრძობდა ხვიჩა.

— ბადრიმ?.. — დაეჭვებით ჰკითხა გიგოლამ. — კარგი, შემოდი.

ხვიჩამ მაშინვე შემოაბოტა, მაგრამ დეას დანახვაზე ისევ უკან დაიხია:

— ხელი ხომ არ შეგიშალეთ?

— რაში? — აგდებულად ჰკითხა გიგოლამ.

— რა ვიცი, აბა... — დაიბნა ხვიჩა.

— შემოდი, შემოდი, — მხარზე ხელი მოუტყაპუნა გიგოლამ, შემდეგ კარი ნელნელა მიხურა და დეას მიუბრუნდა: — მიდი ერთი, ყავა მოგვიდუღე...

— არა, ყავის დასალევად ნამდვილად არ მცალია, — სასწრაფოდ იუარა ხვიჩამ, — ბადრიმ შემოგითვალა, ტოლიკას ამბავი გავარკვიე და რვაზე ჩემს ახალ ოფისში გელოდებიო.

— ახლა რომელია? — ჰკითხა გიგოლამ.

— ორი ხდება.

— მერე მთელი ექვსი საათით ადრე რას გაგზავნიდა?.. ანდა, ბოლოს და ბოლოს, დაერეკა...

— რა ვიცი, აბა... — მხრები აიჩეჩა ხვიჩამ, თან, ხელი ქურთუკის შიდაჯიბისკენ წაიღო და პატარა ვერცხლისფერი მობილური ტელეფონი გამოაძვრინა: — ბადრიმ მითხრა, გიგის თავისი მობილური თბილისში დარჩენია და ეს მიუტანე, თან უთხარი, სასწრაფოდ დამირეკოსო...

გიგოლას სახე მოელუშა, მაგრამ ხვიჩას ტელეფონი მაინც გამოართვა:

— როდის აქეთ დაიწყო პატარიძემ ეგეთი ბრძანებების გაცემა?

— რა ვიცი, აბა... — ისევ მხრების აჩეჩით დაკმაყოფილდა ხვიჩა. — მე რაც დამაბარა, ის გადმოგეცი.

— კარგი. შეიძლება დავურეკო. ახლა, ერთი, ის მითხარი, მანქანა სად გააჩერე?

— დაბლა, „პადიეზდთან“ მიყენია.

— ძალიან დაკავებული ხარ?

— ძალიან.

— ჩემთვის ხომ მოიცლი?

— შენთვის?.. — დაიბნა ხვიჩა, მაგრამ მაშინვე დაუმატა: — რაზეა ბაზარი?..

— მაშინ ჩადი და მანქანაში დამელოდე.

— როგორც იტყვი... — მაშინვე კარისკენ შებრუნდა ხვიჩა...

ხვიჩას გასვლისთანავე, გიგოლამ კარი მჭიდროდ მიხურა და შემდეგ, კედელზე ძველებურად აკრულ დეას აგდებულად გადაულაპარაკა:

— ეგრე არ დარჩე...

— ნუ ღელავ, არ დავრჩები... — ბრაზიანად მიუგო დეამ, კედელს მოსცილდა, სასტუმრო ოთახში შევიდა და სავარძელში მოწყვეტით ჩაეშვა.

გიგოლაც მაშინვე უკან მიჰყვა, მის ფეხებთან მოირთხა, ნიკაპი მუხლებზე ჩამოაყრდნო და უთხრა:

— მოდი, აღარ ვიჩხუბოთ, კარგი?..

დეას ხმა არ ამოუღია, ამიტომ ისევ გიგოლამ განაგრძო:

— ახლა ცოტა ხნით ქალაქში გავალ, მაგრამ მალევე მოვბრუნდები და ერთ ძალიან ლამაზ რესტორანში წაგიყვან. ჩვენი შეხვედრა აღვნიშნოთ...

— მე შენთან ერთად არსად აღარ წამოვალ... — როგორც იქნა, ხმა ამოიღო დეამ.

— წამოხვალ, აბა, რას იზამ?! — ფეხზე წამოიწია გიგოლამ და დეაც თან აიყოლა. შემდეგ ნიკაპი დაუჭირა, თავი ძალით გადაუწია და ტუჩებზე დაეკონა.

დეა აღარ გასძალიანებია...

— ასე არ ჯობია?! — შეაქო დეა კმაყოფილმა გიგოლამ და შემდეგ გულში ჩაიკრა. — ჩემო პატარა, სულელო გოგო, იცი, როგორ მიყვარხარ?..

— ვიცი... — გიგოლას მკლავებიდან თავის დაღწევა სცადა დეამ. — წელან რომ იმ ვიღაცას ზარი დროზე არ დაერეკა, ალბათ მთელ შენს სიყვარულს ერთიანად დამიმტკიცებდი...

— მაინცდამაინც, წელან რატომ?.. ა-ა, წელან?.. — ალიყურის ამბავი გაახსენდა გიგოლას და ლოყაზე ხელი მოისვა. — შენი ბედი, რომ ხვიჩა მართლა დროზე გამოჩნდა, თორემ, კაი გასილაქება ნამდვილად არ აგცდებოდა... კარგი, წავედი... დანარჩენზე მერე ვილაპარაკოთ...

ჰოლში გასულმა გიგოლამ საკიდრიდან თავისი ქურთუკი ჩამოხსნა, სწრაფად ჩაიცვა და კარი გამოაღო.

— ჰო, მართლა. — მიუბრუნდა იგი დეას, — გასაღები გაქვს?

— რისი გასაღები?

— ამ ბინის.

— არა. რატომ მეკითხები?..

— ისე, უბრალოდ... ერთ საათში აქა ვარ... — თავისთვის ჩაილაპარაკა გიგოლამ და კარი გაიხურა...

როგორც კი კარს იქით გიგოლას ფეხის ხმა მიწყდა, დეამ მაშინვე კარის გამოღება გადაწყვიტა, მაგრამ უცბად, ფეხის ხმა ისევ მოახლოვდა, შემდეგ ვიღაცამ ერთ-ერთ საკეტს გასაღებიც მოარგო და ორჯერ გადაატრიალა...

— დამპალი, ღორი, არაკაცი! მგონი, გარედან ჩამკეტა... — ციებიანივით აჩურჩულდა დეა და როცა გიგოლას ფეხის ხმა საბოლოოდ მიწყდა, მაშინვე კარს ეცა, მაგრამ ვერ გააღო.

გამწარებულმა დეამ კარს ჯერ მუშტების უმწეო ბრაგუნი აუტეხა, შემდეგ ოთახში შევარდა, ნაცემი ბავშვივით მიეგდო ტახტზე და ატირდა: — დედიკო, დედა, აღარ შემიძლია, წამიყვანე, რა, შენთან... მალე წამიყვანე... ცოტა ხანში კი, საბოლოოდ არაქათგამოცლილს, მკვდარივით ჩაეძინა და სიზმარში დედა ნახა.

... ელენე ულამაზეს ბაღში იჯდა და კალთა ნაირ-ნაირი ყვავილით ჰქონდა სავსე. ასეთი ყვავილები მანამდე, დეას არსად ენახა. ელენე მათ სათითაოდ იღებდა ხელში, გულმოდგინედ ათვალიერებდა და კმაყოფილი, ხასხასა მოლზე აწყობდა. დეა ყვავილების თვალიერებით გართულ ელენეს ფეხაკრეფით უახლოვდებოდა. მაგრამ უცბად, ელენემ თავი ასწია და დეა რომ დაინახა, მაშინვე შუბლი შეიკრა:

— შენ აქ რა გინდა? ვინ გამოგგზავნა? — მკაცრად ჰკითხა მან შვილს.

— არავინაც არ გამომგზავნა, — ელენეს წინ, მოლზე ჩაიჩოქა დეამ და მაშინვე გულში ჩაეკრა, — ჩემით მოვედი.

— რატომ? — ისევ მკაცრად ჰკითხა

ელენემ, თუმცა თავზე ხელი მაინც ალერსიანად გადაუსვა.

— ძალიან მომენატრე და იმიტომ.

— მეც მომენატრე, ჩემო პატარა გოგოვ, უსაშველოდ მომენატრე... — ხმა აუკანკალდა ელენეს და შვილს ისიც სიყვარულით ჩაეხუტა.

— ჰოდა, ძალიან კარგი! — გამხიარულდა დეა. — ამის შემდეგ, სულ ერთად ვიქნებით. აქედან არსად აღარ წავალ...

— არც იფიქრო! — ხმა ისევ გაუმკაცრდა ელენეს და შვილს ხელი ჰკრა. — შენი ადგილი აქ ნამდვილად არ არის!

— ვითომ რატომაო? — ირგვლივ კმაყოფილი მზერა მოავლო დეამ. — ასეთი ლამაზი ბაღი ცხოვრებაში არ მინახავს... შენი სახლი სადღაა?

— აქ, — მშვიდად მიუგო ელენემ.

— სად აქ? — ახლა უკვე გაოცებით მიმოიხედა დეამ.

— აქ, თუნდაც, აი, ამ ხის ძირში... — იქვე მდგარ, ულამაზეს ხეზე ანიშნა ელენემ.

— კი, მაგრამ... — ბავშვივით დაიბნა დეა. — რომ გაწვიმდეს?.. ანდა, ზამთარში, თოვლი რომ მოვიდეს, მერე?

— აქ ზამთარი არ იცის, შვილო...

— როგორ?.. — გაოცდა დეა. — აბა, სულ ზაფხულია?..

— კი, სულ ზაფხულია..

— შეიძლება, მართლაც ეგრეა, — უნდოდ შეხედა დეამ ელენეს, — მაგრამ სახლი მაინც გექნება. უბრალოდ, არ გინდა, რომ მაჩვენო... რატომ არ გინდა, რატომ?.. — ტირილს აღარაფერი უკლდა დეას.

— კარგი. რაკი აღარ იშლი, წამომყევი, — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა ელენემ, კალთაში დარჩენილი ყვავილებიც მოლზე დააწყო, ფეხზე წამოდგა და დეას ბაღის სიღრმისკენ გაუძღვა.

გახარებული დეა კუნტრუშით აედევნა დედას, ცოტა ხანში ხეების ჩრდილში შემალული, პატარა, კოპწია სახლი გამოჩნდა.

— რა ლამაზია! ყოველთვის ასეთ სახლში ცხოვრებაზე ვოცნებობდი! — სიხარულით ტაში შემოჰკრა დეამ, მაგრამ სახლს მიუახლოვდა თუ არა, მაშინვე შედგა და დაბნეული მიუბრუნდა დედას: — კი, მაგრამ კარი სადღა აქვს?..

— რომელი კარი? — მშვიდად ჰკითხა ელენემ.

— როგორ თუ რომელი?.. შესასვლელი კარი...

— ამ სახლს შენთვის ჯერ შესასვლელი ნამდვილად არა აქვს, შვილო... — ალერსით უთხრა ელენემ.

— მარტო ჩემთვის? — შეცბა დეა.

— ჰო, მარტო შენთვის.

— რატომ?

— იმიტომ, რომ შენთვის აქ დარჩენა ჯერ ძალიან ადრეა...

— დე-ე, გეხვეწები, რაღაცებს ნუ იგონებ... — ასლუკუნდა დეა. — ვიცი შენი ტყუილების ამბავი... დაგავიწყდა, ბავშვობაში რომ მარწმუნებდი, ბამბის ნაყინს ნამდვილი ბამბისგან აკეთებენ და აბა, რად გინდა, ბამბა როგორ უნდა ჭამოო?!.

— ახლა ნამდვილად არ გატყუებ, შვილო... — სევდიანად გაეღიმა ელენეს.

— ახლა მატყუებ, თუ მატყუებ... როგორ შეიძლება, სახლს კარი არ ჰქონდეს... აბა, შენ როგორღა შედიხარ ხოლმე?

— როგორ და აი, ასე, — მშვიდად მიუგო ელენემ, სახლს მიუახლოვდა და კედელში შევიდა...

მარტოდ დარჩენილმა დეამ ჯერ გაოცებისგან პირი დააღო, შემდეგ კედელს თავადაც ზუსტად იმ ადგილზე ეცა, სადაც წუთის წინ ელენე გაუჩინარდა და მტკიცედ ჩაშენებულ მოზრდილ ქვებს გამეტებით დაუშინა მუშტები:

— დედიკო, დე-ე, რატომ მიმატოვე?!!

... დეას აქოშინებულს გამოეღვიძა და თვალები მაშინვე გაოცებით დააჭყიტა, რადგან თავზე გულხელდაკრეფილი დიმა წამოსდგომოდა და თავს აქეთ-იქით უკმაყოფილოდ იქნევდა:

— ვინ გასწავლა, ტახტზე ასე მიწოლა? რამე მაინც გადაგეფარებინა... ხომ შეიძლება, გამიცივდე...

— შე-ენ?! — ძლივს გამოერკვა დეა. — აქ საიდან გაჩნდი?

— ციდან ჩამოვფრინდი, — გაეღიმა დიმას და ფეხებთან ჩამოუჯდა, მაგრამ დეა ტახტიდან სასწრაფოდ წამოხტა.

— მკვდარივით მეძინა, არაფერი გამიგია... — თავისთვის ჩაილაპარაკა მან.

— მართალი ხარ... — კვერი დაუკრა დიმამ. — იცი, რამდენი ვაბრახუნე და მაინც ვერ გაგაგონე? მერე კი, იძულებული გავხდი, კარი გასაღებით გამეღო.

— რომც გამეგონა, მაინც ვერ გაგიღებდი.

— რატომ ვერ გამიღებდი?

— იმიტომ, რომ გიგოლამ გარედან ჩამკეტა... — ხმა აუკანკალდა დეას.

— რას ჰქვია, ჩაგკეტა?! — თვალები გაუფართოვდა დიმას. — ვინ მისცა ამის უფლება?!

— რა ვიცი, აბა... — ცრემლები ღაპაღუპით წამოუვიდა დეას.

— არა, ძმაო... ამ კაცმა, მგონი, საბოლოოდ გაუბერა... — ფეხზე წამოხტა და ოთახში ნერვიულ სიარულს მოჰყვა დიმა. — დილას კი დედაჩემმა გამაგიჟა: დამირეკა და მეუბნება — სანამ გიგოლა მოსკოვშია, ჩემს სახლში არ გამოჩნდე, უსიამოვნება არ მჭირდებაო... ვერ გავიგე, რა უსიამოვნებას გულისხმობდა?.. ბოლოს და ბოლოს, ვინ არის ეს კაცი შენთვის?.. ან რა უფლებით გეპატრონება?

— მეპატრონება და რა ვქნა?! — თავი ხელებში ჩარგო დეამ და აქვითინდა.

დიმა მაშინვე დეასთან გაჩნდა და გულში ჩაიკრა:

— წამო, გინდა, მოსკოვიდან საერთოდ გავიპაროთ?..

— სად? — ცრემლიანი თვალები შეანათა დეამ. — გიგოლა ხომ მაინც ყველგან გვიპოვის.

— გვიპოვოს რა... ფეხებსაც ვეღარ მოგვჭამს...

— არა, შენ გიგოლას არ იცნობ... — ამოიოხრა დეამ.

— მე-ე? — მწარედ გაეღიმა დიმას. — მაგას მე ვიცნობ, თუ ვიცნობ... ისე, მართლა დიდი დაუნდობელი ვინმეა, მაგრამ მე და შენ ალბათ მაინც ვერ გაგვიმეტებს... მოიცა, შენ ჯერ ის მითხარი, — მართლა ოფიციალური საქმრო გყავს?

— ვინ გითხრა?

— ვინ მეტყოდა? — დედაჩემმა.

— ჰო, მყავს... — თავი უმწეოდ ჩაქინდრა დეამ.

— ქართველია?

— ქართველია...

— თბილისელი?

— ჰო...

— გიგოლას ახლობელია?

— კი, ძალიან ახლობელი...

— მდა-ა, — ოთახში დაბნეულმა მიმოიხედა დიმამ, — გიყვარს?

— ვინ? — კითხვა უცბად ვერ გაიგო დეამ.

— შენი საქმრო, ვინ?..

— ა-ა... არა, მე არ მიყვარს...

— მე? — სახე გაუნათდა დიმას. — მე თუ გიყვარვარ?..

— შე-ენ?— დაიბნა დეა. — ჯერ არ ვიცი...

— რომ გაიგებ, აუცილებლად მითხარი... — გამხიარულდა დიმა. — ახლა კი წამო, სადმე ჩავსხდეთ და ცოტა გული გადავაყოლოთ.

— მაინც სად?

— სადმე... რომელიმე ბარში ან კაფეში...

— მერე გიგოლა?..

— გიგოლა რა შუაშია?

— აქ რომ არ დავხვდები, გაცოფდება და...

— ფეხები არ მოგვჭამოს...

— გეტყობა, შენი გრძელი ფეხების დიდი იმედი გაქვს, ასე ხშირად რომ იმეტებ

მოსაჭმელად... – ცრემლები მოიწმინდა დეამ.

– ადე, ადე, წავიდეთ. – ააჩქარა დიმამ, – თორემ, გიგოლას ამბავი რომ ვიცი, მართლა მოგვისწრებს და ყველაფერს ჩაგვაშხამებს...

სადარბაზოდან გამოსულმა დეამ ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი და ირგვლივ გალიიდან ახალგამოშვებული ჩიტივით დამფრთხალმა მიმოიხედა.

– ნუ გეშინია, – მხარზე ხელი გადახვია დიმამ, – გიგოლა ახლა თავის „პადელნიკებთან" არჩევს საქმეებს და ჩვენთვის ნამდვილად არ სცალია...

დიმამ ერთ პატარა მყუდრო კაფეში მიიყვანა დეა და კარში დაბარებულივით მდგარ კოხტა ოფიციანტ გოგონას ყურში რაღაც უჩურჩულა.

– Нет проблем... – მხიარულად მიუგო ოფიციანტმა და მეორე სართულზე ამავალ, ვიწრო კიბეზე ანიშნა: – Поднимитесь, второй столик слева, ваш...

– Ай, спасибо, Ксюша, в жизни не забуду... – შინაურულად მხარზე ხელი მოუთათუნა ოფიციანტს დიმამ და მეორე სართულზე აუძღვა დეას...

როცა ოფიციანტმა სუფრა გააწყო, დეას მაშინღა გაახსენდა, რომ დილიდან, პირში ლუკმა არ ჩასვლოდა.

– იცი, რომ დილიდან მშიერი ვარ?.. – თითქოს, ფიქრს მიუხვდაო, მაშინვე წამოიძახა დიმამაც, შემდეგ სასალათეს დასწვდა და კოვზი მოიმარჯვა: – გადმოგიღო?..

– მე თვითონ, რა... – კოვზი გამოართვა დეამ...

როგორც კი ცოტა დანაყრდნენ და დიმამ სიგარეტიც გააბოლა, პირველ სართულზე მუსიკის ხმა გაისმა.

– წამო, რა, დაბლა ჩავიდეთ და ვიცეკვოთ, – მაშინვე ხელში ხელი წაავლო დიმამ დეას.

– სად უნდა ვიცეკვოთ? – გაუკვირდა დეას. – დაბლა ისეთი სივიწროვეა, რომ თავვი კუდს ვერ მოიქნევს.

– საცეკვაო დარბაზი ცალკე აქვთ, – არ მოეშვა დიმა და დეა კიბეზე თითქმის ძალით ჩაარბენინა.

კაფეს, მართლაც, საკმაოდ მოზრდილი საცეკვაო დარბაზი ჰქონდა, სადაც ერთმანეთს ჩაკონებული წყვილები ტრიალებდნენ. დიმამ შუა დარბაზში გაიყვანა დეა და წელზე ხელი ვნებიანად შემოაჭდო. დიმას მკლავებს მინებებულ დეას ცოტა ხნით ყველაფერი დაავიწყდა....

თავიანთ მაგიდასთან მოგვიანებით მიბრუნებულმა დეამ და დიმამ გაოცებისაგან პირი დააღეს: ვიღაცას სუფრა სრულიად გაეახლებინა და თანაც ნაირ-ნაირი დელიკატესითა და სხვადასხვა ძვირფასი სასმლით აევსო. დიმამ მაშინვე ის ოფიციანტი გოგონა მოძებნა და ხელით მოიხმო:

– Скажи, милая, кто здесь в моё отсутствие распорядился?

_ Какой-то грузин, – უპასუხა ოფიციანტმა და დასძინა, – Кстати, очень симпатичный...

_ Симпатичнее меня? – ჰკითხა დიმამ და თან, შემცბარ დეას თვალი ჩაუკრა.

– Но ты же не грузин.. – თვალები ეშმაკურად მოწკურა ოფიციანტმა.

– И где же твой красавец? – დაინტერესდა დიმა.

– Сказал, что скоро вернётся, – უპასუხა ოფიციანტმა და მაგიდას ტანის მოხდენილი რხევით გასცილდა.

დიმა და დეა სუფრას დამფრთხალი ბავშვებივით მიუსხდნენ და კარგა ხანს, ხმა არც ერთს არ ამოუღია.

– გიგოლა იქნებოდა... – ბოლოს, როგორც იქნა, დუმილი დაარღვია დეამ.

– ჰო, – ამოიოხრა დიმამ, – უყვარს ასეთი სიურპრიზების მოწყობა. ალბათ, თვითონაც სადმე მოფარებულ ადგილასაა მიმჯდარი და გვითვალთვალებს...

მაგრამ გიგოლა კაფეში არ აღმოჩნდა.

– ერთი მაგისიც... – ხელი ჩაქნია დიმამ და შამპანურის ბოთლს დასწვდა. – წინასწარ ხასიათი რატომ გავიფუჭოთ? მოვა და ჩვენც აქ დავხვდებით. მანამდე კი, მოდი, დავლიოთ...

აშკარად ნირწამხდარი დიმა ჭიქას ჭიქაზე ცლიდა. ერთი ჭიქა შამპანური დეამაც დალია და გულზე ცოტა მოეშვა.

– მოდი, ახლა, იცი, ვინ ვადღეგრძელოთ?.. – უკვე მერამდენედ ასწია ჭიქა დიმამ.

– ვინ? – სევდიანად ჰკითხა დეამ.

– დედა... დედაჩემი... დედაშენი... ყველა დედის სადღეგრძელო იყოს, კარგი?

– კარგი, – მაშინვე ჭიქა ასწია დეამაც და ის იყო, დიმასთვის უნდა მიეჭახუნებინა, რომ მხარზე ვიღაცის მძიმე ხელის შეხება იგრძნო და გაშეშდა.

– კამპანიას გაუმარჯოს! – მოესმა ზურგს უკან მდგარი გიგოლას ხმა და შამპანურიანი ჭიქა ხელიდან რომ არ გავარდნოდა, სასწრაფოდ მაგიდაზე დადგა.

გიგოლას დანახვაზე, დიმა პატარა ბავშვივით წამოხტა ფეხზე:

– ა-ა, გიგი, შენა ხარ?.. ასე ჩუმად როგორ მოგვეპარე, რომ ვერაფერი გავიგეთ?..

– ზუსტად ისე, როგორც თქვენ გამომეპარეთ... – ჩაიღმუილა გიგოლამ.

– კი არ გამოგეპარეთ – უბრალოდ, წამოვედით... – ხმა გაებზარა დიმას.

გიგოლას ხმა აღარ ამოუღია, მაგიდას მიუჯდა, დეას თვალი თვალში ბოროტად გაუყარა და თან, დიმას გასაღებების ასხმულა გადაუგდო:

– აიღე ერთი ეს გასაღები და დაბლა ჩაირბინე... მანქანა ცოტა უშნოდ გავაჩერე და უფრო მოხერხებულ ადგილზე გადააყენე.

დიმამ მაგიდაზე დაგდებული გასაღების ასხმულა უხმოდ აიღო და კიბეზე, დატუქსული ბავშვივით თავჩაქინდრული ჩავიდა. გიგოლამ მას ბრაზიანი მზერა გააყოლა და შემდეგ დეას მიუბრუნდა:

– გინდა, რომ ამ ლაწირაკმა იცოცხლოს?

– რა-ა? – თვალები გაუფართოვდა დეას.

– კითხვა გაგიმეორო? – კბილებში გამოცრა გიგოლამ.

– არა, გავიგე... – ძლივსღა წაიჩურჩულა დეამ.

– თუ გაიგე, მიპასუხე – გინდა თუ არა?

– მინდა...

– მაშინ მის გვერდით გავლილი აღარ დაგინახო...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

«მანჩესტერ იუნაიტედი» – გზა NEWTON HEATH-იდან სერ ალექსის იმპერიამდე


„ოლდ ტრაფორდი“

„მანჩესტერ იუნაიტედი“ იმ სუპერკლუბთა რიგს მიეკუთვნება, რომელსაც მთელი პლანეტის მასშტაბით მილიონობით ქომაგი ჰყავს. გარდა იმისა, რომ „მანჩესტერი“ ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი გუნდია არა მარტო ბრიტანეთში, არამედ მთელ მსოფლიოშიც, იგი საფეხბურთო სამყაროში უმდიდრეს კლუბადაც ითვლება. წელს, „მანჩესტერი“ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალურ ეტაპზე, ორმატჩიან დაძაბულ და თვალისმომჭრელ პაექრობაში მადრიდის „რეალთან“ დამარცხდა, თუმცა გუნდმა ინგლისის ჩემპიონატში გამარჯვებით შეძლო თავისი გულშემატკივრების გახარება. გავიდა სულ ცოტა ხანი და „მანჩესტერის“ ფანებს კიდევ ერთხელ წაუხდათ გუნება-განწყობილება — კლუბი კულტად ქცეულმა მოთამაშემ, დევიდ ბექჰემმა დატოვა. თუმცა ცხოვრება გრძელდება და ცხადია, სუპერპოპულარული ბექჰემის „რეალში“ გადასვლის გამო არსებობა არც „მანჩესტერ იუნაიტედს“ შეუწყვეტია.

ალექსი რეხვიაშვილი

ალექს ფერგიუსონი და კომპანია ახალი საფეხბურთო სეზონისთვის ემზადებიან, ხოლო კლუბის ხელმძღვანელობა დევიდის წასვლის გამო დანაკლისის შევსებასა და გუნდის ფანების გულის მოგებას ცდილობს. ის ფრანგული პსვ-სგან რონალდინიოს შეძენას აპირებდა. ახალგაზრდა ბრაზილიელი ვარსკვლავიც უკვე დიდი ხანია, ინგლისურ გრანდში თამაშზე ოცნებობდა. მაგრამ საბოლოოდ, „ბარსელონის“ კუთვნილება გახდა...

ცხადია, „მანჩესტერის“ მსგავსი დიდი კლუბის შესახებ ერთ საჟურნალო წერილში ამომწურავი ინფორმაციის ჩატევა, ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნება, მაგრამ მაინც ვეცდებით, თუნდაც ზოგადი წარმოდგენა შეგიქმნათ ინგლისური ფეხბურთის ამ გრანდზე. თხრობას კი, იმ ვითარებაზე საუბრით დავიწყებთ, რომელიც გუნდიდან დევიდ ბექჰემის წასვლამ გამოიწვია.

უნდა ითქვას, რომ დევიდსა და ალექს ფერგიუსონს ერთმანეთში მაინცდამაინც შეხმატკბილებული ურთიერთობა არასოდეს ჰქონიათ. სიტუაცია კი განსაკუთრებულად მას შემდეგ დაიძაბა, რაც ბექჰემმა „სპაის გერლზის“ ყოფილი წევრი, ვიქტორია ადამსი შეირთო ცოლად. ფეხბურთელის პირად ცხოვრებაში მომხდარი ამ უმნიშვნელოვანესი მოვლენის შემდეგ, „ყვითელი პრესა“ ხშირად წერდა იმის შესახებ, რომ ვიქტორიას გადამკიდე, დევიდი ვარჯიშებზე აგვიანებდა, რის გამოც აღშფოთებას ვერ ფარავდა სერ ალექს ფერგიუსონი. მოთამაშესა და მწვრთნელს შორის ურთიერთობის გამწვავებამ რამდენიმე თვის წინ მიაღწია კულმინაციას, როდესაც „მანჩესტერის“ თამაშით უკმაყოფილო შოტლანდიელმა სპეციალისტმა ყველას ჯავრი დევიდზე იყარა და ამ უკანასკნელს ბუცით წარბი გაუხეთქა, რის გამოც ვიქტორიაც სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაიკიდა. ამ ინციდენტის შემდეგ, ფერგიუსონი ირწმუნებოდა – ეს სამწუხარო შემთხვევითობა იყო და ჩემსა და ფეხბურთელს შორის კვლავაც ჯანსაღი ურთიერთობააო, მაგრამ შოტლანდიელის სიტყვებისა უკვე აღარავის სჯეროდა. გავიდა კიდევ მცირე დრო და „მანჩესტერ იუნაიტედის“ ხელმძღვანელობა ხმამაღლა ალაპარაკდა დევიდ ბექჰემის გაყიდვის შესახებ.

სერ ალექს ფერგიუსონი

დევიდ ბექჰემი

ერთი სიტყვით, რამდენიმე კვირის წინ, დევიდ ბექჰემიც მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავებით გაუმაძღარი „გველეშაპის“ – მადრიდის „რეალის“ „ხახაში“ აღმოჩნდა. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ესპანურ და ინგლისურ კლუბებს შორის განხორციელებული ტრანსფერი მეტისმეტად უსიამოვნო ფაქტი გახლდათ „მანჩესტერის“ ფანებისთვის, თუმცა, „უსიამოვნო“, ცოტა არ იყოს, რბილად ნათქვამი სიტყვაა, რადგან ამის გამო, რამდენიმე მათგანმა თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. „მანჩესტერ-

ის“ „მტრებმა“ კი გაიხარეს – გუნდი შესუსტდება და მომავალ სეზონში, ჩვენ გამარჯვების უფრო კარგი შესაძლებლობა მოგვეცემაო. ვინც ბოლო წლებში ინგლისის პრემიერლიგაში მიმდინარე პროცესებს ადევნებს თვალს, კარგად ეცოდინება, რომ ქვეყნის ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლაში ერთიმეორის უმთავრეს კონკურენტებად „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „არსენალი“ ითვლებიან. მაგრამ ინგლისის წლევანდელი ჩემპიონის შესუსტებაც, უპირველეს ყოვლისა, ლონდონურ კლუბსა და მის მწვრთნელს აძლევს ხელს. „მანჩესტერ იუნაიტედის“ სიძლიერე ამ ექვსეულით განისაზღვრებოდა. ბექჰემის გარეშე გუნდის თამაში სულ სხვაგვარი იქნება. ხოლო თუ კლუბიდან გიგზიც წავა, „მანჩესტერი“ ჩვეულებრივ, საშუალო დონის გუნდად იქცევა“, – უთქვამს „არსენალის“ მწვრთნელს, არსენ ვენგერს მას შემდეგ, რაც ალექს ფერგიუსონის ბანაკიდან რაიან გიგზის წასვლის შესახებაც გავრცელებულა ინფორმაცია. „ექვსეულში“ კი, ფეხბურთის ფრანგი სპეციალისტი გულისხმობდა ნიკი ბატს, გარი, ფილ ნევილებს, პოლ სქოულზს, რაიან გიგზსა და დევიდ ბექჰემს, რომლებიც გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებიდან, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ბირთვად ითვლებიან.

შეიძლება ითქვას, რომ ეს ფეხბურთელები ბავშვობიდან, განუყრელნი არიან არა მარტო მოედანზე, არამედ ცხოვრებაშიც. ექვსივე მათგანი „მანჩესტერ იუნაიტედის“ საბავშვო-საფეხბურთო სკოლის აღზრდილია. პირველად ისინი ერთად 1991 წელს გავიდნენ მინდორზე, კლუბის ძირითად და ახალგაზრდულ გუნდებს შორის შეხვედრაში. „ოქროს თაობა! – აღმოხდენია „წითელი ეშმაკუნების“ მაშინდელ კაპიტანს, ბრაიან რობსონს, – „მანჩესტერ იუნაიტედი“ საიმედო ხელშია. ეს ეშმაკუნები მსოფლიოს შეძრავენ! მალე მე ფეხბურთიდან წავალ – მათთან ჭიდილი ხომ უაზრობაა“. „მანჩესტერელთა“ იმდროინდელი კაპიტანი არ შემცდარა. მალე, „შესანიშნავმა ექვსეულმა“ მართლაც, მთელი მსოფლიო აალაპარაკა, „იუნაიტედს“ კი „ოქროს ხანა“ დაუდგა, თუმცა კლუბმა მე-20 საუკუნის 90-იან წლებამდე რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე გზა განვლო.

„მანჩესტერ იუნაიტედი“ 1878 წელს, ლანკაშირისა და იორკშირის რკინიგზის თანამშრომლებმა დააარსეს. თავდაპირველად გუნდს Newton Heath ერქვა. უკვე შვიდი წლის შემდეგ, „ნიუტონ ჰიტი“ პროფესიონალურ კლუბად ჩამოყალიბდა, ხოლო 1892 წელს, საფეხბურთო ლიგის პირველ დივიზიონში ჩაირიცხა და ინგლისის ჩემპიონატში გასვლით მატჩში პირველი გამარჯვებაც იზეიმა. იმ მატჩში მომავალმა „წითელმა ეშმაკუნებმა“ „ბლექბერნი“ ანგარიშით 4:3 დაამარცხეს. 10 წლის შემდეგ კი, „ნიუტონ ჰიტი“ გაკოტრდა და მის ბაზაზე „მანჩესტერ იუნაიტედი“ შეიქმნა. აღსანიშნავია, რომ დღესდღეობით, პლანეტის ყველაზე მდიდარი საფეხბურთო კლუბი, მე-20 საუკუნის დასაწყისში ძალიან ღარიბი ყოფილა, რის გამოც მისი ხელმძღვანელობა, სახსრების დაზოგვის მიზნით, თათბირებს სანთლის შუქზე ატარებდა და ელექტროენერგიით არ სარგებლობდა.

პირველ წარმატებას „მანჩესტერ იუნაიტედმა“ 1906 წელს მიაღწია, როდესაც მეორე დივიზიონში გაიმარჯვა, რის შედეგადაც პირველში გადაინაცვლა, სადაც 1894 წლის შემდეგ აღარ გამოსულა. ორი წლის შემდეგ კი, ჩემპიონატში პირველ გამარჯვებასაც მიაღწია, როდესაც პირველობის ფინიშზე „ასტონ ვილა“ 9 ქულით ჩამოიტოვა. მეოცე საუკუნის პირველ დეკადაში, „მანჩესტერმა“ ინგლისის თასის მოპოვებაც შეძლო. ეს 1909 წელს მოხდა, როდესაც „წითელმა ეშმაკუნებმა“ ფინალში ანგარიშით 1:0 დაამარცხეს „ბრისტოლ სიტი“.

1911 წელს, „მანჩესტერ იუნაიტედმა“ კვლავ გაიმარჯვა ინგლისის ჩემპიონატში და ბრძოლა ისევ „ასტონ ვილასთან“ უხდებოდა, თუმცა ამჯერად, ქულათა სხვაობა უფრო მოკრძალებული იყო. „იუნაიტედმა“ თავის უახლოეს მდევარს მხოლოდ ერთი ქულით გაუსწრო. ამის შემდეგ, მთელი 41 წლის მანძილზე, „მანჩესტერს“ ინგლისის ჩემპიონატში გამარჯვებისთვის აღარ მიუღწევია. უფრო მეტიც: 1922 წელს, გუნდი მეორე დივიზიონში აღმოჩნდა და კვლავ დაწინაურება მხოლოდ ოთხი წლის შემდეგ მოახერხა.

1927-28 წლების სეზონში, კლუბმა „სტოკპორტ ქაუნთისგან“ ჰიუი მაკლენაჰანი შეიძინა, რაც გაზეთების სალაღობო თემად იქცა. მაგალითად, „თაიმსი“ წერდა – „მანჩესტერის“ მესვეურებმა ფეხბურთელში ნაყინით სავსე სამი მაცივარი გაცვალესო...

20-იანი წლების მიწურულსა და 30-იანი წლების დასაწყისში, „მანჩესტერი“ ძალიან სუსტი გუნდი ყოფილა. 1931 წელს, მან კვლავ მეორე დივიზიონში გადაინაცვლა, თანაც, გათამაშებაში ბოლო ადგილი დაიკავა და ბოლოდან მეორე ადგილზე მყოფ გუნდს 11 ქულით ჩამორჩა. იმ პერიოდში, „მანჩესტერელთა“ დაცვა კატასტროფულად სუსტად გამოიყურებოდა, რაზეც ერთ საფეხბურთო სეზონში გაშვებული გოლების რაოდენობაც მეტყველებს: მოწინააღმდეგეებმა „წითელი ეშმაკუნების“ კარში 115 გოლის გატანა შეძლეს. გარდა ამისა, „იუნაიტედმა“ სამჯერ წააგო შეხვედრა გამანადგურებელი ანგარიშით 0:7.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, „მანჩესტერ იუნაიტედს“ ლეგენდარული მეტ ბასბი ჩაუდგა სათავეში. მან მთლიანად შეცვალა გუნდი, თუმცა ფეხბურთელების შესაძენად თანხები არ გააჩნდა, ამიტომ აქცენტს კლუბის ახალგაზრდა მოთამაშეებზე აკეთებდა. ასე გამოჩნდა „იუნაიტედში“ „ბასბის ბავშვებად“ წოდებული თაობა, დევიდ პეგის, დანკან ედვარდსის, როჯერ ბირნის, დენის ვაიოლეტისა და სხვათა სახით. 1956 წელს, გუნდმა თავის უახლოეს მდევრებს 11 ქულით გაუსწრო და კვლავ გაიმარჯვა ინგლისის ჩემპიონატში, თანაც, საკუთარ მოედანზე არც ერთი შეხვედრა არ წაუგია. ამავე წელს, მეტ ბასბიმ ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა, თუმცა ინგლისური ფეხბურთის მესვეურები ამის წინააღმდეგნი იყვნენ. საქმე ისაა, რომ ალბიონელებს იმ პერიოდში, ევროპული ტურნირები საერთოდ არ აინტერესებდათ. ბასბიმ კი, თავისი გაიტანა და „მანჩესტერმა“ პირველად მიიღო მონაწილეობა ევროტურნირში. ყველას გასაოცრად, „წითელი ეშმაკუნები“ ნახევარფინალამდე მივიდნენ, თუმცა ბილბაოს „ატლეტიკის“ ბარიერი ვეღარ გადალახეს. სწორედ იმ სეზონში, „მანჩესტერმა“ თავის ისტორიაში ყველაზე დიდი ანგარიშით გაიმარჯვა, როდესაც ბელგიის „ანდერლეხტის“ კარში 10 უპასუხო გოლი გაიტანა.

ჟურნალ „გზის“ ერთ-ერთ ბოლო ნომერში ჩვენს მკითხველს უკვე ვაუწყეთ, რომ 1957-58 წლების საფეხბურთო სეზონი „მანჩესტერ იუნაიტედისთვის“ ყველაზე ტრაგიკული იყო. 1958 წლის 6 თებერვალს, ცუდი ამინდის გამო კატას-

ტროფა განიცადა თვითმფრინავმა, რომელშიც „იუნაიტედის“ შემადგენლობა იმყოფებოდა. დაიღუპა 23 მგზავრი, მათ შორის 8 „მანჩესტერელი“. მეტ ბასბის კი, ხანგრძლივი დრო დასჭირდა იმისთვის, რათა მიღებული ტრავმები მოეშუშებინა. ამის შემდეგ, ბასბი იძულებული იყო, ფაქტობრივად ახალი გუნდი ჩამოეყალიბებინა. 1963 წელს, მისმა გარჯამ ნაყოფი გამოიღო და გუნდმა ინგლისის თასის გათამაშების ფინალში ანგარიშით 3:1 დაამარცხა „ლესტერი“. 1965 წელს კი, „წითელმა ეშმაკუნებმა“ მეექვსედ გაიმარჯვეს ქვეყნის ჩემპიონატში.

სწორედ იმ სეზონში გამოჩნდა „მანჩესტერელთა“ რიგებში ჯორჯ ბესტი, რომელმაც არა მარტო ბრწყინვალე თამაშით, არამედ ბოჰემური ცხოვრებითაც გაითქვა სახელი. იგი წლების განმავლობაში, ალკოჰოლიზმით იყო შეპყრობილი და არაერთხელ გახვეულა დიდ სკანდალში. სხვათა შორის, შარშან, ლეგენდარულ ფეხბურთელს ღვიძლის ტრანსპლანტაციის ოპერაცია გაუკეთეს. ამის შემდეგ მან განაცხადა, რომ ახალი ცხოვრების დაწყება სურდა, მაგრამ ამას წინათ კვლავ მოექცა ბულვარული პრესის ყურადღების ცენტრში. 57 წლის ბესტი და მისი 31 წლის კომპანიონი, მოქალაქეზე თავდასხმის ბრალდებით მიიყვანეს პოლიციის განყოფილებაში, თუმცა მალევე გაათავისუფლეს გამოსასყიდის გარეშე.

1968 წელს, „მანჩესტერ იუნაიტედმა“, რომლის რიგებშიც ჯორჯ ბესტი და ბობი ჩარლტონი ბრწყინავდნენ, პირველად იზეიმა ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში გამარჯვება. 29 მაისს, ლონდონის „უემბლის“ სტადიონზე 100000 მაყურებლის თვალწინ ბასბის გუნდმა ლეგენდარული „बენფიკა“ დაამარცხა, რომლის ღირსებასაც იმხანად, ეუსებიო იცავდა. პირველი გოლი პორტუგალიელთა კარში მეორე ტაიმის დასაწყისში ბობი ჩარლტონმა გაიტანა, თუმცა შეხვედრის მიწურულს, „बენფიკამ“ გრასას აქტიურობის წყალობით, ანგარიშის გათანაბრება შეძლო. ამის გამო, დამატებით დროში თამაში გახდა საჭირო, რომლის პირველ ნახევარშივე „წითელმა ეშმაკუნებმა“ გააცამტვერეს მეტოქე. თავი ჯერ ბესტმა გამოიჩინა, შემდეგ კიდცმა, ხოლო წერტილი ბობი ჩარლტონმა დასვა. მომდევნო წელს, „მანჩესტერმა“ ვეღარ შეძლო ტიტულის დაცვა და ნახევარფინალში „მილანთან“ დამარცხდა. 1969 წელს კი, მეტ ბასბიმ გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვა და დირექტორისა და გენერალური მენეჯერის თანამდებობა დაიკავა.

ამის შემდეგ, „მანჩესტერ იუნაიტედს“ კრიზისის პერიოდი დაუდგა, ვიდრე გასული საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში, გუნდი შოტლანდიელმა ალექს ფერგიუსონმა არ ჩაიბარა. სერ ალექსმა „წითელ ეშმაკუნებთან“ ერთად არნახულ წარმატებებს მიაღწია. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია 1999 წელი, როდესაც კლუბმა ჰეთ-თრიკი შეასრულა და ერთდროულად გაიმარჯვა ინგლისის ჩემპიონატში, ქვეყნის თასისა და ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებებში.

სულ „მანჩესტერ იუნაიტედი“ 15-ჯერ გახლდათ ინგლისის ჩემპიონი, 10-ჯერ – ქვეყნის თასის, ორჯერ – ჩემპიონთა თასის, თითოჯერაც – თასების მფლობელთა თასისა და სუპერთასის მფლობელი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სხვადასხვა პერიოდში კლუბის ღირსებას იცავდნენ ისეთი ლეგენდარული ფეხბურთელები, როგორებიც იყვნენ: ჯორჯ ბესტი, სერ ბობი ჩარლტონი, დანკან ედვარდსი (რომელიც 1958 წლის ავიაკატასტროფაში დაიღუპა). გარდა ამისა, მე-20 საუკუნის 90-იან წლებში, „წითელი ეშმაკუნების“ რიგებში თამაშობდა ბრწყინვლე ოსტატი, ერიკ კანტონა, რომელმაც გუნდთან ერთად ოთხჯერ გაიმარჯვა ინგლისის ჩემპიონატში. აღსანიშნავია, რომ „იუნაიტედი“ ერთადერთი კლუბია, რომლის სამი წარმომადგენელი – მეტ ბასბი, ბობი ჩარლტონი და ალექს ფერგიუსონი – სერის წოდებას ფლობს.

„მანჩესტერ იუნაიტედი“ საშინაო მატჩებს საქვეყნოდ ცნობილ Old Trafford-ზე ატარებს, რომელიც 80 ათას მაყურებელს იტევს. ისევე, როგორც თვით გუნდმა, „ოლდ ტრაფორდმაც“ საკმაოდ გრძელი გზა განვლო, ვიდრე იმ სახეს მიიღებდა, რომლითაც მას ფეხბურთის მილიონობით გულშემატკივარი იცნობს. „ნიუტონ ჰიტის“ პირველი სტადიონი ნორტ-როუდზე ყოფილა


ჯორჯ ბესტი

განთავსებული. იგი სამრეწველო ობიექტებით იყო გარშემორტყმული. როდესაც 1892 წელს, გუნდმა საფეხბურთო ლიგაში შეაბიჯა, სტადიონის მოედანი ერთ-ერთი ყველაზე უხარისხო იყო ინგლისის ჩემპიონატში. 1909 წელს, ვინმე დევისმა იმ დროისათვის ასტრონომიული თანხა – 60 ათასი გირვანქა სტერლინგი გაიღო, როდესაც გუნდი ტრეფორდ-პარკზე ნაკვეთის შესაძენად და სტადიონის ასაშენებლად დაასპონსორა. 1910 წლისთვის, „ოლდ ტრაფორდი“ უკვე მზად იყო. იმავე წელს, „მანჩესტერმა“ ახალ მოედანზე თავისი პირველი მატჩიც გამართა, თუმცა გუნდისდა სამწუხაროდ, 45 ათასი ქომაგის თანდასწრებით „ლივერპულთან“ დამარცხდა. მას შემდეგ, სტადიონს არაერთხელ ჩაუტარდა რეკონსტრუქცია. ყველაზე ძლიერ „ოლდ ტრაფორდი“ მეორე მსოფლიო ომის დროს ფაშისტური გერმანიის მიერ წარმოებულმა საჰაერო დაბომბვებმა დააზიანა.

1994 წლის შემდეგ, „იუნაიტედმა“ „ოლდ ტრაფორდის“ რეკონსტრუქციისთვის 43 მილიონი გირვანქა სტერლინგი დახარჯა, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ „მანჩესტერი“ მსოფლიოს უმდიდრესი საფეხბურთო კლუბია, რომლის შემოსავალმა მხოლოდ 2002 წლის ივლისიდან დეკემბრამდე 148,2 მილიონი დოლარი შეადგინა (თანაც კლუბმა 49,8 მილიონის სუფთა მოგება ნახა), ეს თანხა ასტრონომიულად აღარ უნდა მოგვეჩვენოს.

საერთოდ, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფინანსური პოლიტიკა ცალკე საუბრის თემაა, რაც ცხადია, შორს წაგვიყვანდა. იმ დროს, როდესაც ევროპის წამყვანი საფეხბურთო ქვეყნების არაერთი ცნობილი კლუბი ფინანსურ კრიზისს განიცდის (ზოგიერთი მათგანი კი, გაკოტრების ზღვარზე იმყოფება), „მანჩესტერი“ დღითი დღე მდიდრდება. „ჩვენ არასოდეს ვხარჯავთ იმ ფულს, რომელსაც არ გამოვიმუშავებთ“, – ეს „მანჩესტერის“ მესვეურების საფინანსო ლოზუნგია, რომელიც პრაქტიკაშიც ხორციელდება. მიუხედავად იმისა, რომ კლუბი ფინანსურ აღმავლობას განიცდის, იგი ყოველთვის ცდილობს, მინიმალურ ფასებში შეიძინოს ფეხბურთელები. „მანჩესტერ

მეტ ბასბის ქანდაკება მანჩესტერში

იუნაიტედში“ წუწურაქები მუშაობენო, – უთქვამს თავისი საფეხბურთო კარიერის „ოქროს პერიოდში“ გაბრიელ ბატისტუტას, მას შემდეგ, რაც ეს უკანასკნელი, ინგლისური კლუბის ხელმძღვანელობასთან ფინანსურ საკითხებზე ვერ შეთანხმებულა. სწორედ ამის გამო, იტალიიდან ნისლიან ალბიონზე მისი ტრანსფერი ჩაშლილა. გთავაზობთ ერთ საინტერესო მონაცემს, რომელიც ბატიგოლის გამონათქვამს მართლაც საფუძვლიანს ხდის: 2002 წელს, „იუნაიტედის“ მოთამაშეთა საერთო ხელფასის დონე კლუბის შემოსავლის 43%-ს არ ასცილებია, მაშინ, როდესაც სხვა ევროპულ გრანდებში ეს მაჩვენებელი 70-90%-ს აღწევს.

ერთი სიტყვით, გარდა იმისა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი“ დიდებული საფეხბურთო კლუბია, იგი წარმატებული ბიზნესკომპანიაცაა, რომელიც თავის ბიუჯეტს ათასგვარი საქმიანობით ავსებს – დაწყებული მსოფლიოს ამა თუ იმ კუთხეში მოქმედი კაფე-რესტორნებით, დამთავრებული სხვადასხვა ფირმის რეკლამირებით. გარდა ამისა, მრავალ ქვეყანაში გუნდის სახელით გამოშვებული ათასგვარი ნივთი და მასობრივი მოხმარების ნაწარმი იყიდება, რომ აღარაფერი ვთქვათ მაისურებზე, ქუდებსა თუ სხვა სპორტულ ინვენტარზე. „კლუბი სპონსორებთან და ინვესტორებთან მიმართებაში ჩინებულ პოლიტიკას ატარებს. მას, ვინც ფულს „წითლებზე“ დებს, შეუძლია, მშვიდად იყოს და თავისი გადაწყვეტილების ეფექტურობაში ეჭვი არ შეეპაროს“, – ეს სიტყვებიც „მანჩესტერის“ ერთ-ერთ ჩინოსანს ეკუთვნის. „ოლდ ტრაფორდზე“ ჩატარებული ყოველი საშინაო შეხვედრა კი, კლუბს 2,4 მილიონი დოლარის მოგებას აძლევს, თუნდაც იმ მატჩში „იუნაიტედი“, „ვესტ ბრომვიჩის“ მსგავს, უსახურ გუნდს ხვდებოდეს.

აი, კიდევ ერთი თავშესაქცევი ფაქტი „მანჩესტერ იუნაიტედის“ უახლესი ისტორიიდან: როგორც გაირკვა, მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი და უმდიდრესი კლუბი, ყველაზე შეუხედავი ფეხბურთელებით ყოფილა დაკომპლექტებული. და ეს მაშინ, როდესაც სულ ცოტა ხნის წინ, ინგლისური სუპერგუნდიდან „რეალში“ გადაბარგებული დევიდ ბექჰემი მილიონობით ქალბატონის ოცნების მამაკაცად ითვლება. 2002 წელს, ერთ-ერთ ინტერნეტსაიტს ჩაუტარებია სპეციალური გამოკითხვა ინგლისის ჩემპიონატში მონაწილე გუნდების ყველაზე შეუხედავი მოთამაშეების გამოსავლენად. აღმოჩნდა, რომ „მანჩესტერი“ ამ მხრივაც არავის უთმობს პირველობას: თურმე მის შემადგენლობაში სამი „გონჯი“ ფეხბურთელი ირიცხება – ძმები ნევილები და ლუკ ჩედვიკი...

■

„ლეიკერსის“ მესვეურები შოკში არიან...

ბრაიანტსა და პეიტონს ცოხე ემუქრებათ

ჟურნალ „გზის“ წინა ნომერში უკვე გაუწყეთ, რომ „ლოს-ანჯელეს ლეიკერსის“ ერთ-ერთ ლიდერს, კობი ბრაიანტს 19 წლის გოგონას გაუპატიურებაში ედება ბრალი. მაგრამ ერთი კვირის წინ, ვერავინ იფიქრებდა, რომ ეს სკანდალი კიდევ უფრო გამწვავდებოდა. გასულ პარასკევს, იგლს ქაუნთის ოლქის მოსამართლემ, მარკ ჰელბერტმა კობის ოფიციალურად წაუყენა გაუპატიურების ბრალდება. 24 წლის კალათბურთელის საქმეს 6 აგვისტოს განიხილავს სასამართლო, მანამდე კი, ბრაიანტი გამოსასყიდის სახით, 25 ათასი დოლარის გადახდის შემდეგ გაათავისუფლეს. შეგახსენებთ, რომ იგლს ქაუნთის პოლიციამ კობი ბრაიანტი მას შემდეგ დააკავა, რაც სამართალდამცავ ორგანოებს ერთ-ერთი ადგილობრივი სასტუმროს თანამშრომელმა გოგონამ მიმართა განცხადებით, რომ იგი კალათბურთელმა გააუპატიურა. მესამე კლასის სექსუალური ძალადობისთვის (სწორედ ასე მოიხსენიება ამერიკული კანონმდებლობის ტერმინოლოგიით აღნიშნული ინციდენტი) კოლორადოს შტატის სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4 წლიდან, სამუდამო პატიმრობამდე. ხოლო თუ სამუდამო პატიმრობამისჯილი ციხეში სანიმუშოდ მოიქცევა, შეიძლება მას 20 წლამდე შეუმცირონ თავისუფლების აღკვეთის ვადა, რაც, რა თქმა უნდა, „ლეიკერსის“ ვარსკვლავისათვის ვერაფერი ნუგეშია.

„მე იგი არ მიიძულებია, რომ რაიმე ისეთი გაეკეთებინა, რაც თავად არ სურდა, – აღნიშნა კობიმ. – უდანაშაულო ვარ. ვაღიარებ, რომ ვიმრუშე, მაგრამ არავინ გამიუპატიურებია“. კალათბურთელის ადვოკატის, პამელა მაკეის თქმით, იგი სწორედ ამ გარემოებაზე დაყრდნობით ეცდება თავისი კლიენტის დაცვას სასამართლოზე.

კობი ბრაიანტს თავისი მომავალი ცოლი, ვანესა ლენი ჯერ კიდევ მაშინ შეჰყვარებია, როდესაც გოგონა სკოლაში სწავლობდა. 2001 წელს, კობიმ და ვანესამ იქორწინეს, ხოლო 2003 წლის იანვარში, ქალიშვილიც შეეძინათ, რომელსაც ნატალი დაარქვეს.

დაბოლოს, იმასაც გაცნობებთ, რომ „ლოს-ანჯელეს ლეიკერსის“ შემადგენლობასთან დაკავშირებული უსიამოვნება მხოლოდ ამ სკანდალით არ ამოწურულა. კალათბურთის მოყვარულთათვის კარგად არის ცნობილი ის, რომ NBA-ში „ლეიკერსის“ სამწლიან ბატონობას წელს, „სან-ანტონიომ“ დაუსვა წერტილი. სწორედ ამის გამო, „ლოს-ანჯელეს ლეიკერსის“ მესვეურებმა გუნდის გაძლიერება გადაწყვიტეს და ორი ვარსკვლავი – კარლ მელოუნი და გარი პეიტონი შეიძინეს. ჰოდა, სწორედ პეიტონი შეიძლება აღმოჩნდეს ციხეში უახლოეს მომავალში. იგი „მილოუკი ბაქსელ“ ყოფილ თანაგუნდელებთან, სემ კასელთან (ამჟამად, უკვე „მინესოტას“ მოთამაშეა) და ჯეისონ კეფთან ერთად, 11 აპრილს, ტორონტოს ერთ-ერთ ბარში ორ მამაკაცსა და ორ ქალს დასხმია თავს. „მილოუკი ბაქსი“ ტორონტოში გასვლითი მატჩის ჩასატარებლად იმყოფებოდა. ცოტა მოგვიანებით, ერთ-ერთმა დაზარალებულმა მამაკაცმა პოლიციას განუცხადა, რომ კალათბურთელებმა მას სხეულის დაზიანებები მიაყენეს. პეიტონის ადვოკატის, ედვარდ გრინსპენის თქმით, მის კლიენტს აღნიშნული დანაშაულისთვის შეიძლება 24-თვიანი პატიმრობა მიუსაჯონ.

■

Bentley-მ ლე-მანი დაიპყრო

ავტომობილმა – Bentley Speed 8-მ ლე-მანში ჩატარებულ 24-საათიან ავტორბოლაში გაიმარჯვა. მანქანის საჭეს ცნობილი დანიელი ავტომრბოლელი ტომ კრისტენსენი ეჯდა. ის ერთადერთი პილოტია, რომელმაც ლე-მანის პრესტიჟული რბოლების 81-წლიან ისტორიაში ზედიზედ მეოთხედ მოახერხა პირველ ადგილზე გასვლა. კრისტენსენის გარდა, Bentley-ს მონაცვლეობით მართავდნენ რინალდო კაპელო და გაი სმიტი. მათ საერთო ჯამში, 377 წრე (5146,05 კმ) გაიარეს და ორი წრით გაუსწრეს უახლოეს მეტოქეებს, ასევე „ბენტლის“ გუნდის წევრებს: ჯონი ჰერბერტს, დევიდ ბრებჰემსა და მარკ ბლანდელს. ჯერ კიდევ საკვალიფიკაციო შეჯიბრში კრისტენსენმა გამარჯვების სერიოზული განაცხადი გააკეთა, როდესაც 4 წმ-ით გაუსწრო უახლოეს მეტოქეს – Audi-ს ავტომობილს. სხვათა შორის, ეს ლე-მანის რბოლაში „ბენტლის“ მანქანის პირველი ტრიუმფია 1930 წლიდან. მანამდე, ინგლისური მანქანა ხუთჯერ იმარჯვებდა. ბრიტანელებისთვის ეს წარმატება ძალზედ მნიშვნელოვანი იყო. გერმანულმა კონცერნმა „ფოლკსვაგენმა“, რომელსაც ამჟამად, „ბენტლის“ მარკა ეკუთვნის, გუნდის 3-წლიანი დაფინანსება იკისრა. მანქანა ლე-მანზე 70-წლიანი შესვენების შემდეგ, მხოლოდ 2000 წელს დაბრუნდა. ■

Peugeot: გნებავთ – ბენზინი, გნებავთ – გაზი

მსუბუქი ფურგონები – Peugeot Boxer და Peugeot Partner დიდი პოპულარობით სარგებლობს მცირე ბიზნესის ევროპელ წარმომადგენლებში. ამის მიზეზი, ავტომობილის საიმედოობა და ფუნქციურობაა. ცოტა ხნის წინ, მწარმოებელმა ფირმამ აღნიშნული კლასის მანქანების პალიტრის გაფართოების შესახებ ამცნო მომხმარებლებს. სიახლე იმაში მდგომარეობს, რომ ამიერიდან, Boxter 2-ლიტრიანი, 110 ცხ.ძ-იანი ბენზინის ძრავათი გამოვა, ხოლო Partner დამატებით, 1,4 ლ-იანი 75-ძალიანი აგრეგატითაც აღჭურვება. ამას დაემატება ავტომატურ გადაცემათა კოლოფი, რომლითაც 2,8 ლ-იანი დიზელის ძრავათი აღჭურვილი Boxter გამოვა. იმ მომხმარებლებს კი, რომლებიც მეტი მომჭირნეობით გამოირჩევიან, შესთავაზებენ ორივე მარკის ისეთ ავტომობილს, რომელიც გაზი-ბენზინის გადამყვანით იქნება აღჭურვილი. აპარატურას ქარხანაშივე დაამონტაჟებენ. გაზის ბალონები იატაკქვეშ განთავსდება. Boxter-ზე გაზი-ბენზინის დანადგარის დაყენება, მსურველს 4.500, Partner-ზე კი – 2.500 ევრო დაუჯდება. მიუხედავად იმისა, რომ ორივე მანქანა კომერციული ავტომობილების კლასს განეკუთვნება, მათ შეიძლება დაერთოს სტერეოსისტემა და უკანა ხედის სარკის შემცვლელი, ვიდეოკამერაც კი. ■

Skoda საგანგებოდ ტაქსისთვის შემუშავებული მოდელს უშვებს

„ფოლკსვაგენის“ ჯგუფში შემავალმა, ჩეხურმა კომპანია – „შკოდამ“ ევროპულ ბაზარზე, საგანგებოდ ტაქსისთვის გამოშვებული, ბიზნეს-კლასის მოდელის – Superb-ის გაყიდვა დაიწყო. ეს არის 2 ლ მოცულობის, 115 ცხ.ძ-ის მქონე ბენზინისძრავიანი და 1,9 ლ მოცულობის, 100 ცხ.ძ-იანი ვარიანტები. ორივე მათგანი ქარხანაში საგანგებოდ ტაქსისთვის საჭირო ელემენტებით აღჭურვეს: მათ გაზრდილი მოცულობის აკუმულატორები, სახურავზე მოკიაფე ტრაფარეტები, ტაქსომეტრები და რაცია აქვთ. Skoda Superb-ის ტაქსის მთავარ ბაზარს, ჩეხიის მეზობელი – გერმანია წარმოადგენს, სადაც აღნიშნული მანქანები დიდი პოპულარობით სარგებლობს. გერმანელ ტაქსის მძღოლებს დიზელის ძრავები ურჩევნიათ, რადგან ისინი საიმედოობითა და ეკონომიურობით გამოირჩევა. Skoda Superb 1.9 TDI ყოველ 100 კმ-ზე საშუალოდ, 5,5 ლ საწვავს ხარჯავს და 189 კმ/სთ მაქსიმალურ სიჩქარეს ავითარებს. ტაქსისთვის განკუთვნილი, 100 ცხ.ძ-იანი დიზელის „შკოდა“ 24.475 ევრო, ხოლო 2-ლიანი, ბენზინისძრავიანი იგივე ავტომობილი – 23.775 ევრო ღირს. ■

ბიძია ჯო – არაორდინარული პატიმარი ანუ ისევ ამერიკის ციხეში...

ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ ოდესმე პატიმართა უფლებებზე დავიწყებდი ფიქრს, მით უმეტეს, თუ თავადაც მოვხვდებოდი საპატიმროში და რაც ყველაზე დაუჯერებელია, ამერიკული ციხის „ბინადარი“ გავხდებოდი... დიახ, ცხოვრება სავსეა მოულოდნელობებით და მე ახლა ამ მოულოდნელობების ტყვე გახლდით. უფრო სწორად, ერთი ამერიკელი ნარკოდილერის „წყალობით“, რომელმაც შეუმჩნევლად ჩამიდო მანქანის კაბინაში ნარკოტიკი, ახლა ვზივარ კომფორტულ საკანში და ვარსკვლავების ხილვაზე ვოცნებობ...

ციხეში ათასი ჯურის ხალხს შეხვდები, ისიც ხომ ფაქტია, რომ უმეტესობა მართლა დამნაშავეა, უდანაშაულონი (ჩემი ჩათვლით), შეიძლება, თითზე ჩამოსათვლელნი იყვნენ, მაგრამ ყველას, დამნაშავესაც და უდანაშაულოსაც, ერთი რამ აერთიანებს — თავისუფლების სურვილი და კიდევ — უსაშველო მონატრების გრძნობა. ციხეში ყველა და ყველაფერი გენატრება, რაც გარეთაა, რაც შენგან შორსაა და მიუწვდომელი გეჩვენება...

აკაკი გეგენავა

ზოგჯერ ისე ხდება – კარგად იცი, თუ რა საშინელი დანაშაულის ჩამდენია რომელიმე პატიმარი, მაგრამ როცა მის მოკუნტულ სხეულს, ჩამქრალ, უსიცოცხლო თვალებს უყურებ, შენც თითქოს მისი თანაგრძნობის სურვილი გიპყრობს. გინდა მიუახლოვდე და შესძახო:

– ეი, შენ, მეგობარო! რა ცხვირ-პირი ჩამოგტირის? მხრებში გასწორდი! ცხოვრება ჯერ კიდევ წინაა. იფიქრე თავისუფლებაზე, იცხოვრე იმ დღეებით, რომელიც აქედან გასულს გელოდება! გაიღიმე, ძმობილო! ცხოვრება არცთუ ისე საშინელია!..

გამოგიტყდებით, ყველაზე მეტად ახლა მე მჭირდებოდა ასეთი შეძახება... მაგრამ ვინ იყო პატრონი?! ვიჯექი ოთხ კედელს შუა და „ვტკბებოდი“ „ციხის საჩუქრით“. დიახ, „ციხის საჩუქარი“ გახლდათ ის, რომ ადამიანი იცლის ფიქრისა და განსჯისთვის. ამავე დროს, ეცნობა უამრავ ახალ ადამიანს და თავის ცხოვრებისეულ გამოცდილებას ავჯერებს ნანახს...

ბიძია ჯო – BEB-ი ანუ სხვის ზურგს უკან მდგომი პატიმარი

ორი წელი დავყავი ამერიკაში, დღითი დღე იზრდებოდა ჩემი ნაცნობების წრე. ათასი ჯურის ადამიანს შევხვედრივარ, ბევრს დავუმეგობრდი კიდეც, მაგრამ ჩემი თანასაკნელი მოხუცი ზანგი პატიმარი ყველასგან გამორჩეული იყო.

ჯოს დიდი განათლება არ ჰქონია მიღებული, მაგრამ ნამდვილი ცხოვრებისეული აკადემია გაევლო... იმდენჯერ ჩაუგდია თურმე თავი საფრთხეში, იმდენჯერ გახლართულა ცხოვრებისეულ ლაბირინთში, რომ მიკვირს, 75 წლამდე როგორ მიაღწია. თანაც ამ 75 წლიდან, 40 ციხეში ჰქონდა გატარებული. ციხე ჯოს სახლი უფრო იყო, ვიდრე საპყრობილე – იქ ყოველ კუთხე-კუნჭულს იცნობდა. ვინ იცის, რამდენი ციხის უფროსი შეიცვალა „მის ხელში“, რამდენი მკვლელი და გარეწარი დასვეს ელექტროსკამზე, რამდენი ზედამხედველი „მოარჯულეს“ და რამდენი უდანაშაულო იხსნეს განსაცდელისგან... როცა მას ვუსმენდი, მეც იმედი მიჩნდებოდა – იმის იმედი, რომ როგორმე ჩემს უდანაშაულობას დავამტკიცებდი და აქედან გავაღწევდი...

დიახ, საკმაოდ არაორდინარული პატიმარი გახლდათ ბიძია ჯო. რვაჯერ იყო ნასამართლევი და ერთი ამდენჯერ, თავდებით გამოშვებული. ამის შესახებ თავდაპირველად რომ მითხრა, ყურადღება არ მივაქციე, კეთილ მიუნჰაუზენად ჩავთვალე, მაგრამ მერე უკვე დავრწმუნდი, რომ მოხუც ზანგს ტყუილების თქმა არ უყვარდა! ისიც ჰყოფნიდა, რომ სწორედ პროფესიონალური მატყუარობისთვის იჯდა...

და როცა კიდევ ერთხელ დაიწყო თავისი ნასამართლეობის ჩამოთვლა, ცოტა არ იყოს, სულელური გამომეტყველებით ავათვალიერე. ჯოს გულიანად გაეცინა და მკითხა:

– გაგიკვირდა, არა? ჩემნაირი ბოროტმოქმედი ვინ იცის, ალბათ კინოშიც არ გინახავს...

– არ გეწყინოს, ბიძია ჯო, მაგრამ ამდენი ნასამართლეობა რა ამბავია? – ვერ დავმალე განცვიფრება.

– ჩემო კაკო, შენ ასე ნუკი მიყურებ – მე პროფესიონალი BEB-ი ვარ. ისე მოხდა, რომ ასეთი ცხოვრებისეული გზა ავირჩიე.

– რა ხართ, ბიძია ჯო? ვერ გავიგე!.. – ჩავეკითხე მოხუცს.

– რა ვარ და BEB-ი – კაცი, რომელიც სხვისი გულისთვის ჯდება ციხეში.

– კი, მაგრამ კაცი თუ ნორმალური ხარ, სხვისი გულისთვის ციხეში როგორ უნდა ჩაჯდე?! – ახლა კი, მართლა ვეღარ დავფარე აღშფოთება.

– შენ ან მართლა იდიოტი ხარ, ან კიდევ თავს ისულელებ... – უცერემონიოდ გამომლანძღა მოხუცმა ზანგმა. სახეზე აშკარად შეეტყო გაღიზიანება. მეც არ ვიყავი უკეთეს დღეში, მეწყინა მისგან აბუჩად აგდება და საერთოდ დავკარგე ლაპარაკის ხალისი... უხერხული სიჩუმე ისევ ზანგმა დაარღვია.

– კარგი, ახლა, კაკო – ჰო, უხეშად გამომივიდა... დიდი ბუტია ვინმე ყოფილხარ. შენ რომ გეფერები, ამდენს ჩემს ქალიშვილებსაც არ მოვფერებივარ... შენ კიდევ რა ცხვირი ჩამოუშვი?! მომისმინე

და ვეცდები აგიხსნა, რას ნიშნავს BEB-ობა...

თან ცნობისმოყვარეობამ, თან მოხუცისადმი მოკრძალების გრძნობამ იძალა ჩემში, ჯოსკენ შევბრუნდი და სმენად ვიქეცი. მოხუცმაც განაგრძო:

— ამქვეყნად ისეთი ადამიანებიც არიან, თანაც არა ერთეულები, რომლებიც ფულის საშოვნელად ათასგვარ კომბინაციას იგონებენ. თითოეული კომბინაცია, ბუნებრივია, რისკთან არის დაკავშირებული, რასაც შეიძლება დაპატიმრებაც კი მოჰყვეს. ჰოდა, ციხეს და საკნების ხეხვას რომ აარიდონ თავი, ამისათვის მათ სჭირდებათ სანდო კაცი, რომელიც ყველა დანაშაულს საკუთარ თავზე აიღებს... თუ კომბინაცია წარმატებით დამთავრდა, ხომ კარგი, თუ არა და, ის კაცი (ანუ BEB-ი), ვინც საკუთარ თავზე აიღო ყველაფერი, მიდის ციხეში. სამაგიეროდ, მის ოჯახს ნამდვილი დამნაშავე (ანუ მაქინატორი) უზრუნველყოფს. თანაც, საქმე ისე კეთდება, რომ კომბინატორი არსად ფიგურირებს — ყველა საქმიან დოკუმენტზე ჩემი ხელმოწერაა და მას ვერავინ ვერაფერში შეედავება... ხოლო ჩემნაირი ადამიანები ანუ BEB-ები (BEB — ზურგს Behind Body — უკან მდგომი) ციხეში მიდიან... აი, ეს არის მთელი ფილოსოფია!..

ჯოს სიტყვებში ეჭვს მართლაც ვერ შეიტანდი, ისე დამაჯერებლად მიხსნიდა ყველაფერს. ჩემთვის, უბრალოდ, წარმოუდგენელი იყო, რომ ასეთი რამ შეიძლებაოდა მომხდარიყო. ამიტომაც წამოვიყვირე გაოცებულმა: როგორ? ნუთუ შეიძლება, ასეთი რამ მართლა მოხდეს?!

— შეიძლება და მერე როგორ! — მშვიდად დამიდასტურა მოხუცმა პატიმარმა. — მე რომ მიყურებ, მარტო ექვსი უზარმაზარი ფირმის მთავარი მენეჯერი ვიყავი. პატარა კაცს კი არ ელაპარაკები!.. — აქ უკვე ხუმრობის ხასიათზე მოვიდა ჯო.

— მერე ის დაკარგული წლები, ციხეში რომ გაატარე. არ გენანება?

— მენანება და მერე როგორ! მაგრამ რას ვიზამ — ასეთი ყოფილა ჩემი ბედი. ისე, იმასაც გეტყვი, რომ თავიდან ამას დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებდი. რაც მთავარია, იმ მხრივ დამშვიდებული ვიყავი, რომ ჩემი ოჯახი უზრუნველყოფილი იყო და არაფერი აკლდა. პატიოსანი შრომით ასეთ პირობებს, თავიც რომ მომეკლა, ვერ შევუქმნიდი. სამი ქალიშვილი მყავს და სამივემ პრესტიჟული უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრა. წელიწადში თითოეულს 30-50 ათას დოლარს მარტო სწავლისთვის ვუხდიდი (!). ახლა სამივენი შეძლებულად ცხოვრობენ, საკუთარი სახლები აქვთ და მე და ჩემი ცოლიც მშვენიერ ვილაში ვცხოვრობთ.

— აბა, ეგ რა გამოვიდა? თქვენ ხომ სულ აქა ხართ... — თანავუგრძნე მოხუცს.

— ეგ უშენოდაც მშვენივრად ვიცი, მაგრამ ახლა უკვე გვიანია. ხანდახან, როცა განვლილ წლებს ვიხსენებ, ძალიან მენანება აქ გატარებული ყოველი დღეც კი, არა თუ მთელი 40 წელი. არა, არ შეიძლება, კაცმა ფულისა და სასახლეებისთვის ცხოვრებისეული, ადამიანური ღირებულებები გაწიროს. ეტყობა, ჩემში სატანა იყო ჩაბუდებული, რომლის განდევნა ვერა და ვერ მოვახერხე...

ბოლო სიტყვები ისე ნაღვლიანად თქვა, რომ მისი საცოდაობით გული დამეწვა...

— გამოდის, რომ ტრადიციული გაგებით, დანაშაული არასოდეს ჩაგიდენიათ... — ვცადე, პოზიტიური შეფასება მიმეცა ჯოს „მოღვაწეობისთვის“.

— ეჰ, ჩემო კარგო, დანაშაული დანაშაულია! სავალდებულო ხომ არ არის, ვინმეს ყელში დანა გამოუსვა, ან ბანკი გაძარცვო?!. რასაც მე ვაკეთებდი, იმით ვიღაც ხომ მაინც ზარალდებოდა... ზოგჯერ, შეიძლება სასამართლომ დაგინდოს, მაგრამ უზენაესი ხომ მაინც გაგასამართლებს. ბოლოს ხომ მაინც უფალთან მოგიწევს წარდგომა... აი, მაშინ მომეკითხება თუ მომეკითხება ჩემი ცოდვებისთვის... — ჯომ პატარა მაგიდისკენ გაიხედა, რომელზეც „ბიბლია“ იდო. მერე წამოდგა, მაგიდასთან მივიდა, სანთელი აანთო და პირჯვარი გადაიწერა...

— ბიძია ჯო, როგორ გახდით პროფესიონალი BEB-ი, მართლაც ძალიან საინტერესოა. თანაც, რატომ ვერ შეძელით, შეგეწყვიტათ ეს საქმიანობა? სახუმარო ხომ არ არის, მთელი ცხოვრება ციხეში ჯდომა... — კვლავ არ მასვენებდა ცნობისმოყვარეობა და მოუთმენლად ველოდი თანასაკნელის პასუხს.

— აბა, როგორ გითხრა; ბავშვობა ბრუკლინის ყველაზე მიყრუებულ *(არ მეგონა, ამერიკაშიც თუ იყო ასეთი ადგილები. — ავტ.)* უბანში, კანარისში გავატარე. ჩემს მშობლებს, ჩემ გარდა, კიდევ შვიდი შვილი ჰყავდათ. ყოველთვის რაღაც გვაკლდა მე და ჩემს და-ძმებს. წერა-კითხვა ძლივს ვისწავლე ხეირიანად და ცოტაც, ანგარიში. მერე იძულებული გავხდი, სწავლა შემეწყვიტა. 12 წლისა ლუკმაპურის საშოვნელად მამას ხან სად მივყავდი და ხან სად. თავიდან, კეთილსინდისიერად ვმუშაობდი. ზოგჯერ მშენებლებს ვეხმარებოდი, მტვირთავიც ვიყავი, მიწის მთხრელიც და რა ვიცი, რაც რამე მძიმე და აუტანელი სამუშაო იყო ჩვენს რაიონში, სულ მე და ჩემი ოჯახის წევრები ვასრულებდით. ბოლოს, მომბეზრდა უბადრუკი ცენტებისთვის წელის წყვეტა და ქურდბაცაცობას მივყავი ხელი. პირველ ხანებში მიმართლებდა. ერთ მშვენიერ დღეს კი ჩავვარდი. ისის იყო, ბრუკლინის ყველაზე დიდი მაღაზიიდან მოპარული ფეხსაცმლით გამოვედი, რომ დაცვამ ჩამავლო. თექვსმეტი წლის ვიყავი, პირველად რომ შემომაგდეს ციხეში. ორი წელი მომისაჯეს. ამნისტია მომიწია, 6 თვეში თავისუფალი ვიყავი. ერთი-ორი წელი ციხის შიშით თვალი არაფრისკენ გამიპარებია. მერე კი, მერე, მტვირთავად მუშაობით ვერაფერს რომ ვერ გავხდი, ყაჩაღობა დავიწყე. გვიან ღამით ვესხმოდი თავს მსხვერპლს — ზოგს ჩანთას ვტაცებდი, ზოგს სათამაშო რევოლვერით ვაშინებდი და ჯიბეებს ვუცარიელებდი. ისევ ჩამავლეს. მაშინ 20 წლისა ვიყავი. როგორღაც შევძელი მსაჯულთა მოხიბვლა და მხოლოდ ერთი წელი მომისაჯეს. ჰოდა, იქ გავიცანი ერთი შუახნის პატიმარი, რომელიც BEB-ი იყო. ისე დამიმეგობრდა და იმ ერთ წელიწადში ისე შემასწავლა თავისი „პროფესიის“ ყველა საიდუმლო, რომ ნამდვილი BEB-ი გავხდი. პირველი კლიენტიც მან მიშოვა... მას აქეთ თითქმის სულ ციხეში ვარ. მართალია, ჩემი ოჯახი ფუფუნებაში ცხოვრობს, მაგრამ ახლა ვხვდები, რომ ამ ყოფას ისევ სიღარიბე ჯობია... — ისე საინტერესოდ მიყვებოდა ჯო თავისი ცხოვრების ამ მართლაც არაორდინარულ ეპიზოდებს, რომ საკანში ძალზე სევდიანმა ატმოსფერომ დაისადგურა. იმ დღეს, გასასეირნებლადაც კი არ გავსულვართ. ჯო „აღსარების“ ხასიათზე იყო, მეც ყურადღებით და თანაგრძნობით ვუსმენდი...

როგორც იქნა, შევხვდი სტიოპას...

პატიმრის კვალობაზე, საწუწუნო ნამდვილად არაფერი მქონდა. ჩემი და ჯოს დამეგობრებამ სასურველი შედეგი გამოიღო – საკმაოდ თავისუფლად ვგრძნობდი თავს. არც იქაური საპატიმროს ყოფითი პრობლემები მაწუხებდა – გადასახადს არ ვიხდიდი და არც ყოჩები მაწუხებდნენ... ერთადერთი საფიქრალი დამრჩენოდა – როგორმე დამემტკიცებინა ჩემი უდანაშაულობა და ციხიდან თავი დამეღწია. დიდ იმედს ვამყარებდი იმ რუს პატიმარზე, რომელიც ცოტა ხნის წინ შემხვდა (როცა საკანში საუზმე მოიტანა), მერე კი ველარსად ვიპოვე.

როდესაც მორიგი გასეირნებისას ისევ ვერსად მოვკარი თვალი რუს ნაცნობს და საკანში გაღიზიანებული დავბრუნდი, ჯოს არ გამოჰპარვია ჩემი უხასიათობა და მკითხა:

– რაღაც ვერა ხარ ხასიათზე, კაკო, მოხდა რამე?

– ვნერვიულობ, ბიძია ჯო – ჩემიანები არ ჩანან. აქ კიდევ დარეკვის უფლებას არ მაძლევენ. როდემდე უნდა ვიჯდე ციხეში ასეთ გაურკვეველ მდგომარეობაში...

– შენ მაგას ნუ დარდობ, მალე ყველაფერს გაარკვევენ და გაგიშვებენ! – გამამხნევა მოხუცმა. ჩავთვალე, რომ ამ სიტყვებს მხოლოდ ჩემს დასამშვიდებლად ამბობდა.

– რა ვიცი, უკვე ყველა იმედი ამომწურა... – შევჩივლე.

– შენ რომ უდანაშაულო ხარ, ეს აქ ყველამ იცის. ციხის ადმინისტრაციამაც და იმ უბნის შერიფმაც, სადაც ის ნარკოდილერი ცხოვრობდა. თანაც, შეიძლება არც იცოდე, რომ ნარკოტიკების ყველა გამსაღებლის თვალებიდან სატანა იღიმება. შენს თვალებში კი, იმხელა გულუბრყვილობა ჩანს, სასაცილოც კია, რომ ამხელა ცოდვა მოგაწერონ. ნუ ნერვიულობ, აი ნახავ – სულ მალე გაგიშვებენ.

– ეჰ, მე კი აღარაფრით მჯერა. თანაც, აქ ერთი რუსი პატიმრის ნახვა მინდოდა და ისიც ვერ შევძელი... – დავიწყე წუწუნი.

– ვისი, სტიოპასი?.. – მკითხა მოხუცმა.

– სახელი არ ვიცი. ვიცი, რომ რუსი ებრაელია...

– ჰო, ეგ სტიოპაა – მაგის გარდა, აქ სხვა რუსი არა გვყავს. დიდი გარეწარი ვინმეა. ოღონდ ფული არ გადაიხადოს და ყველაფერზე თანახმაა. ახლაც, აქედან ათ მილში წყალგაყვანილობაა დაზიანებული და სამუშაოდ ჰყავთ წაყვანილი. ალბათ ორ დღეში დაბრუნდებიან. შენ რაში გჭირდება ეგ წუწურაქი? ეჭვი მეპარება, რამეში გამოგადგეს!.. – მოკლედ, მან ხომ მთელი ციხის ასავალ-დასავალი იცოდა.

– ვიფიქრე, იქნებ სტიოპა მაინც დაუკავშირდეს ჩემს ახლობლებს-მეთქი...

– შენც ნახე, რა, პრობლემა! ბილს ვეტყვი და მობილურს გათხოვებს. ოღონდ, ღამით უნდა დარეკო. ტელეფონი აკრძალულია ციხეში... – ბოლო სიტყვები რიგიანად აღარც გამიგონია, ისე გამეხარდა. ერთი სული მქონდა, როდის დაღამდებოდა.

სრულიად მოულოდნელად, ვახშმის ჩამოტარებისას, საკანს სტიოპა მოადგა.

– Земляк, შენ კიდევ აქა ხარ?.. – გაუკვირდა.

– ასე გამოდის – ჩემს უდანაშაულობას ვერ ვამტკიცებ... – წავიბუტბუტე.

– მერე აქამდე რას აკეთებ? კისას ვერ გააგებინე? მხარში ამოგიდგება, რაც მაგას ადვოკატი მეგობრები ჰყავს... თანაც, თავისი რესტორანი კიდევ უფრო გააფართოვა. ახლა „Золотое кольцо“ ელიტარულ რესტორნებსაც უტოლდება. კისას კიდევ, შენ ისე უყვარდი, არა მგონია, დახმარებაზე უარი გითხრას... ისე, როგორ შეეჩვიე აქაურობას? – ლაპარაკის ხასიათზე იყო სტიოპა.

– როგორ გითხრა? ვარ რა, ცას გამოკიდებული...

– ეს მურიანები ფულს არ გთხოვენ? – აგდებულად გაიხედა ჯოსკენ.

– კი, მოვილაპარაკეთ... – აღარ დამიწყია იმის ახსნა, რომ ზანგებს დავუმეგობრდი...

– ასი წელი ეგენი ჩემგან ცენტსაც ვერ მიიღებენ. ეგლა მაკლია, ამ მურიანებს დავუჩოქო! მირჩევნია, „ბალანდა“ ვარიგო და ორმოები ვთხარო, ვიდრე ამათ ვათქმევინო – სტიოპას ფულს ვართმევთო... ისეთი ამრეზილი ტონით ლაპარაკობდა (თან ჯოსკენ იყურებოდა), რომ უსიამოვნებისგან ტანში გამცრა. არც მოხუც ზანგს გამოჰპარვია მისი დამოკიდებულება ფერადკანიანების მიმართ... მშვიდად წამოდგა საწოლიდან. თავისი წილი კერძი გამოართვა სტიოპას. მათლაფა გვერდზე გადადო. მერე ტოლჩა მოიმარჯვა და სთხოვა – ცოტა მეტი ჩამისხი „კოკა-კოლაო“. სტიოპამაც უყოყმანოდ აუვსო ჭურჭელი. მოხუცმა დინჯად აიღო, თითქოს პირთან უპირებდა მიტანას, მაგრამ მოულოდნელად, პირდაპირ სახეში შეასხა მთელი სითხე სტიოპას.

– Fuck you!.. – ამერიკული გინებაც მიაყოლა და ისე აუღელვებლად წაიღო თავისი წილი კერძი მაგიდისკენ, ვითომც აქ არაფერი მომხდარაო.

სტიოპას წურწურით ჩამოსდიოდა ცხვირ-პირიდან ტკბილი „კოკა-კოლა“. მოულოდნელობისგან ხმა ვერ ამოეღო...

– აუდე, ახლა აქედან, შე მათხოვარო, თორემ განახვებ, როგორ უნდა ზანგების აბუჩად აგდება!.. – იქით დაემუქრა ჯო და მათლაფას მიუბრუნდა. ასე გემრიელად მგონი, ცხოვრებაში არ უსადილია.

სტიოპას ჩემკენ აღარც გამოუხედავს, უსიტყვოდ მოჰკიდა ურიკას ხელი და გვერდითი საკნისკენ გააგორა.

– მანდ რა ხდება? – მომესმა ქვემოდან ზედამხედველის მკაცრი ხმა. პასუხი არავის გაუცია. მცირე ხნის შემდეგ, საკანთან მოვიდა. იატაკზე დასხმული სითხე რომ დაინახა, ჯერ მოხუც ზანგს შეხედა, მერე სტიოპას დააცქერდა, მრავლისმეტყველად გაიქნია თავი და საკანს მოშორდა...

– ასე რატომ მოექეცი, ბიძია ჯო? რა დაგიშავა? – ვერ მოვითმინე.

– დამპალია და იმიტომ!.. კაი ცხოვრება უნდათ, მაგრამ ციხის კანონებს არ ემორჩილებიან. ვერ ვიტან ვირთხებს! შენ კი გირჩევ, ამნაირი ხალხისგან თავი შორს დაიჭირო. ეგეთები ნებისმიერ დროს გაგყიდიან!.. – აღელვებას ვერ ფარავდა ჯო.

...მერე ჩიბუხი გამოაძვრინა ლეიბიდან, მოსაწევი გაიმზადა და სულ მალე, ნირვანაში ჩაიძირა.

ასე დავრჩი მარტო ჩემს ფიქრებთან...

■

ფრაზები გენიალური

უსწავლელი გონერი ჯაჭვით დაბმული ლომია, ნასწავლი უგუნური კი — თავისუფლად მფრინავი თუთიყუში.

აკაკი წერეთელი

გარუჯვასაც ცოდნა უნდა

ზაფხულის მზე ზენიტშია და ბევრი თქვენგანი უკვე გაეგზავრა მთასა თუ ზღვაზე და მზის მაცოცხლებელ სხივებს მიეფიცხა, მაგრამ იცით კი ის 10 წესი, რომლის გათვალისწინებაც გარუჯვისას აუცილებელია? კარგ ნამზეურს დახარბებულებს ხშირად გვავიწყდება, რომ ულტრაიისფერი სხივი ადამიანის ჯანმრთელობისთვის ძალზე მავნეა. მან შეიძლება გამოიწვიოს არა მარტო პიგმენტური ლაქები, დამწვრობა, ნაოჭები, არამედ გახდეს ყველაზე საშიში დაავადების – კიბოს გაჩენის მიზეზი. ამიტომ, ექიმები გასარუჯად შედარებით უსაფრთხო დროსა და სპეციალური დამცავი ნელსაცხებლების გამოყენებას გვირჩევენ. ამ შემთხვევაში მზისგან მიღებული დასხივება ორგანიზმისთვის ნაკლებად მავნებელი იქნება, ხოლო გარუჯული კანი უფრო ლამაზ ელფერს მიიღებს. როგორც დერმატოლოგი მარიანა ქარჩაული ამბობს, გარუჯვასაც ცოდნა უნდა და თუ თქვენს ცოდნაში ეჭვი გეპარებათ, ისარგებლეთ სპეციალისტის რჩევით.

მარიანა ქარჩაული, *ექიმი-დერმატოლოგი:*

– პირველი და აუცილებელი წესი, რომელიც კარგად უნდა დაიმახსოვროთ, არის ის, რომ მზის აბაზანა მხოლოდ იმ საათებში მიიღოთ, როდესაც სხივები ნაკლებად აქტიურია და შესაბამისად, ადამიანის ჯანმრთელობისათვის ნაკლებად მავნეა: ეს დროა დილის 6-დან 10 საათამდე და საღამოს 5 საათის შემდეგ. 11-დან 17 საათამდე კი, უმჯობესია, მზეს მოერიდოთ. ამასთან ერთად, გახსოვდეთ, რომ მზეზე გატარებული ნახევარი საათი სხვადასხვა ადამიანზე სხვადასხვანაირად მოქმედებს. ამ შემთხვევაში ყველაფერი კანსა და მის ინდივიდუალურ თავისებურებებზეა დამოკიდებული. სხვადასხვა ტიპის კანი ულტრაიისფერი სხივების ზემოქმედებაზე სხვადასხვაგვარად რეაგირებს. ამიტომაც, ქერა ქალბატონებისთვის მზეზე გატარებული ნახევარი საათიც კი შეიძლება, მაღალი ხარისხის დამწვრობით დამთავრდეს. თეთრი კანისთვის, რომელშიც პიგმენტური მელანი ცოტაა, მზის სხივები განსაკუთრებით საშიშია. გარუჯვისას მეტი ყურადღება მართებთ აგრეთვე იმ ადამიანებს, რომელთაც მუქი ფერის ხალები აქვთ. ამ შემთხვევაში არსებობს მელანომის წარმოქმნის საშიშროება.

— ნელსაცხებლებს, რომელიც სპეციალურად გასარუჯდაა განკუთვნილი, აქვს ნიშანი „თზა“, რომელიც განსაზღვრავს ულტრაიისფერი სხივებისგან დაცვის დონეს. რას ნიშნავს მის გვერდით მოთავსებული რიცხვები?

– ეს კოეფიციენტები განსაზღვრავს, თუ რომელი ტიპის კანისთვისაა განკუთვნილი ესა თუ ის საშუალება და რამდენი ხნის განმავლობაში შეგიძლიათ, მისი გამოყენების დროს მზეზე ყოფნა. ნორმალური კანისთვის ოპტიმალური დრო 10 წუთია. „თზა-6“-იანი კოსმეტიკური საშუალების გამოყენების შემთხვევაში, ეს დრო ექვსჯერ მატულობს. აქედან გამომდინარე, „თზა-6“-იანი ნელსაცხებლის გამოყენებისას შეგიძლიათ მზეზე 1 საათი დარჩეთ. აღსანიშნავია, რომ ეს ძირითადად, ევროპული პროდუქციის სტანდარტს შეესაბამება. ამერიკული გასარუჯი საშუალებების მწარმოებლები სხვა სტანდარტებს იყენებენ.

ის, როგორც წესი, ზემოაღნიშნულ სტანდარტზე 30%-ით მაღალია, რაც იმას ნიშნავს, რომ ამერიკული ნელსაცხებელი – „თზა-15“ შეესაბამება ევროპულ საშუალებას, „თზა-6“-ის აღნიშვნით. თუმცა, ახლა ზოგიერთი ამერიკული პროდუქცია, რომელიც ევროპის ბაზრისთვისაა განკუთვნილი, უკვე გადავიდა ევროპულ სტანდარტებზე. ამიტომ, გირჩევთ, ყურადღებით წაიკითხოთ ნელსაცხებელის ეტიკეტზე არსებული ინფორმაცია.

— ალბათ, უმჯობესია, ჯერ მაღალი კოეფიციენტის მქონე დაცვის საშუალების გამოყენება. თუ ჯობს, დაბალი რიცხვებიდან დავიწყოთ?

– პირველ დღეებში უმჯობესია, მაღალი კოეფიციენტის დამცავი საშუალებებით ისარგებლოთ. 2-3 კვირის შემდეგ, კანის ადაპტაციის შესაძლებლობები იზრდება და უკვე საკმარისი იქნება მსუბუქი ნელსაცხებლის გამოყენება. მათ, ვისაც ადვილად უღიზიანდებათ ჯირკვლები და კანი, ვურჩევთ, ნელსაცხებლის ნაცვლად, სპეციალური გელი გამოიყენონ. ხოლო მშრალი კანისთვის კოსმეტიკურ რძეში გაზავებული ნელსაცხებელია რეკომენდებული. ზღვის აბაზანის შემდეგ, აუცილებელია სხეულზე მტკნარი წყლის გადავლება. მარილიანი წვეთები ლინზის ეფექტს ქმნის და კანს წვავს. უნდა გაითვალისწინოთ ისიც, რომ სხვადასხვა ხარისხის ქსოვილი, მზის სხივს სხვადასხვა დონეზე მაინც ატარებს. მაგალითად, ბამბის ქსოვილი სხივების 6%-ს ატარებს, სველ მდგომარეობაში კი – 30%-მდე. ნუ დაგავიწყდებათ ისიც, რომ ზღვაში ყოფნისას, წყლის ზედაპირიდან ნახევარი მეტრის სიღრმეზეც ირუჯებით – ზღვის წყალი მზის სხივების 6-%-ს ატარებს. ამიტომ, ზღვის აბაზანის მიღების პერიოდი აუცილებლად, მზეზე გატარებულ მთლიან დროს უნდა მიათვალოთ.

გარუჯვისას დაუშვებელია დეკორატიული კოსმეტიკის გამოყენება. ნებისმიერი კოსმეტიკური საშუალება შეიძლება, პიგმენტური ლაქების გამომწვევი გახდეს.

— ჩვენ ვისაუბრეთ გასარუჯ ნელსაცხებლებზე, მაგრამ არაფერი გვითქვამს იმ საშუალებებზე, რომელიც გარუჯვის შემდეგ უნდა გამოვიყენოთ.

– ეს საშუალებებიც ისევე აუცილებელია, როგორც გასარუჯად საჭირო ნელსაცხებლები. ლოსიონი და რძე კანს დაარბილებს, გაღიზიანებასა და სიწითლეს მოუხსნის, ხელს შეუწყობს ნამზეურის მდგრადობას და უზრუნველყოფს კანის სინაზესა და სიჯანსაღეს. დასვენება ავვისტოს ბოლოს და

სექტემბერში, ჯანმრთელობის თვალსაზრისით ყველაზე უსაფრთხო და სასარგებლოა. ამ დროს მიღებული ნამზეური ულამაზეს ელფერს იღებს.

ახლა კი, ჩვენს მკითხველს ის ათი წესი ჩამოვუთვალოთ, რომლის დაცვაც აუცილებელია, თუკი გვინდა, ისე გავირუჯოთ, რომ ჩვენს ჯანმრთელობას ზიანი არ მიადგეს.

● ქუდი – პლაჟზე თავშიშველად ყოფნით, შეიძლება, მზის დაკვრა მიიღოთ, რაც სისხლის მიმოქცევის დარღვევას გამოიწვევს. თუ თხელი თმა გაქვთ, შეიძლება, თავის კანის დამწვრობაც მიიღოთ. ასე რომ, აუცილებლად დაიხურეთ ქუდი.

● წითური და ქერა ქალები მზეზე ადვილად იწვებიან. მათ აუცილებლად უნდა გამოიყენონ მზისგან დამცავი, ძლიერმომქმედი ნელსაცხებელი. შავგვრემან ქალებს მზისგან დამწვრობა იშვიათად ემუქრებათ, თუმცა, თავის დაცვა არც მათ უნდა დაივიწყონ.

● გახსოვდეთ, რომ ნელსაცხებელი მოქმედებას იწყებს წასმიდან ნახევარი საათის შემდეგ, ამიტომ, ის დროულად წაისვით. სახლიდან გასვლამდე სახესა და სხეულზე სქელ ფენად გადაისვით. არ დაგავიწყდეთ ტუჩები – მათთვის მზისგან დამცავი სპეციალური ტუჩის საცხი არსებობს.

● პლაჟზე დიდხანს თვალდახუჭული წოლა არ შეიძლება. დამწვრობა თვალის ქუთუთომაც შეიძლება მიიღოს. აუცილებელია ულტრაიისფერი სხივებისგან დამცავი სათვალის ტარება.

● ნელსაცხებელი ტანსაცმლის ქვეშაც უნდა წაისვათ: ბამბის ქსოვილი ხომ, საშიში სხივების 30%-ს ატარებს.

● მზისგან დაცვა გჭირდებათ წყალშიც. ულტრაიისფერი სხივები წყლის ნახევრად მკვდარი ფენის ქვეშაც, 50-75%-ით ინარჩუნებს თავის ძალას. ამიტომაც, მზისგან დამცავი საშუალების შერჩევისას იკითხეთ – მოქმედებს თუ არა იგი წყალშიც.

● 11-დან 3 საათამდე მზე აგრესიული და საკმაოდ საშიშია. ე.წ. ხავერდოვანი სეზონის დროს, მზის სხივის ძალა უკვე შესუსტებულია, ამიტომ პლაჟზე ნებივრობა შეგიძლიათ რამდენიმე საათით გაიხანგრძლივოთ.

● დაიცავით თმა. მზის სხივი და მარილიანი წყალი მასზე უარყოფითად მოქმედებს. თავიდან რომ აირიდოთ თმის გაუხეშება და ბოლოჭამიები, თან იქონიეთ თმისთვის განკუთვნილი ქაფი, ლოსიონი, შამპუნი და გელი.

● კარგია, თუ ზღვაზე დასვენებისას, სპორტსაც მიჰყოფთ ხელს. თუმცა, ეს მხოლოდ დილით და საღამოს უნდა მოხდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სწრაფად დაიღლებით და შეიძლება, ჰაერის უკმარისობაც იგრძნოთ.

● საღამოს აუცილებლად წაისვით კანზე ლოსიონი. თქვენს კანს გარკვეული კვება სჭირდება მაშინაც კი, როდესაც ყველაფერი რიგზეა და ყველა წესისა და რიგის მიხედვით გაირუჯეთ.

როგორ მოვუაროთ კანს ფეხმძიმობისას

ფეხმძიმობის დროს ხშირ შემთხვევაში სახის კანის მდგომარეობა უარესდება და ეს კანონზომიერადაც მიაჩნიათ, რადგან ამ პერიოდში ქალის ორგანიზმში ფიზიკური და ჰორმონალური ცვლილებები მიმდინარეობს. ასე რომ, თუ შენიშნავთ, რომ კანი ზედმეტად გამოგიშრათ, ან ჭარბად ცხიმიანი გახდა, არ შეშინდეთ. თუმცა, გარკვეული ზომების მიღება მაინც გმართებთ, რათა თავიდან აიცილოთ ის უსიამოვნო შეგრძნება, რაც ტალებიანი ან ცხიმისგან გაპრიალებული კანისგან შეიძლება მიიღოთ.

თუ თქვენი კანი მშრალია და ადვილად იქერცლება. ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენი ორგანიზმი ვიტამინის ნაკლებობას განიცდის. ამ შემთხვევაში კარგი იქნება, თუ მიიღებთ რეტინოლის კონცენტრატს (დღეში სამჯერ, 10 წვეთს) ან მიირთმევთ C ვიტამინით მდიდარ საკვებს. ცხიმიანი კანის შემთხვევაში, თქვენი მენიუდან გამორიცხეთ ტკბილეული და ცხოველური ცხიმები (შეცვალეთ ის მცენარეული ზეთებით). ჩირქოვანი გამონაყარის შემთხვევაში, თქვენ დაგეხმარებათ სპირტის და სალბის ან სპირტის და გვირილის ნაყენის ნაზავი. ფეხმძიმობის დროს ქალებისთვის მაინც ყველაზე დიდ პრობლემად პიგმენტური ლაქების გაჩენა რჩება. დადგენილია, რომ ის ორგანიზმში C ვიტამინის დეფიციტის დროს იჩენს ხოლმე თავს. ასევე მოქმედებს მზეზე ხანგრძლივად ყოფნა. ამიტომაცაა, რომ ის ხშირ შემთხვევაში აღენიშნებათ იმ ქალბატონებს, რომელთა ფეხმძიმობის პერიოდი გაზაფხულის, ან ზაფხულის სეზონს ემთხვევა. ასეთ დროს მთავარი პროფილაქტიკური და თერაპიული საშუალებაა, ისევ და ისევ C ვიტამინით მდიდარი საკვები. ცხიმიან, პიგმენტაციისკენ მიდრეკილ კანს კარგ შედეგს მისცემს ნიღაბი, რომელიც შემდეგნაირად მზადდება: ახალი საფუარი გახსენით 3-6% პერეგიდროლის ხსნარში, ან ლიმონის წვენში. დაამატეთ თანაბარი რაოდენობის სიმინდის და კარტოფილის ფქვილი. ნიღბის მოცილების შემდეგ, კანი გაიწმინდეთ კიტრის წვენით. 10-15 წთ-ის შემდეგ კი – ჩამოიბანეთ.

თუთია – საჭირო მინერალი

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ თუთია სიფხიზლის მინერალს წარმოადგენს. იგი შედის განსაკუთრებული ფერმენტის — ალკოჰოლდეჰიდროგენაზის შემადგენლობაში, რომელიც პასუხისმგებელია სპირტის დაშლაზე და ორგანიზმს თრობისაგან იცავს. თუ ორგანიზმი მთლიანადაა უზრუნველყოფილი თუთიის დღიური ნორმით, ფერმენტის ეფექტურობა მატულობს, ხოლო ალკოჰოლიზმის განვითარების საშიშროება მცირდება. ეს არაფერია იმ თვისებებთან შედარებით, რაც ამ მინერალს გააჩნია.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ მიერ მიღებული თუთიის რაოდენობაზეა დამოკიდებული ჩვენი საერთო მდგომარეობა. თუთია აუცილებელი კომპონენტია ცილების წარმოსაქმნელად. ცილა კი ცოცხალი ორგანიზმის საფუძველს წარმოადგენს. მინერალის სერიოზული დეფიციტის დროს, ახალი უჯრედები ვეღარ წარმოიქმნება, ძველი უჯრედები კი ვეღარ აღდგება, ამიტომ მოზრდილებში ჩქარდება დაბერების პროცესი, ბავშვები და მოზარდები კი ცუდად ვითარდებიან, ძნელდება ჭრილობის შეხორცება და ძვლების აღდგენა... ჩვენი იმუნიტეტიც ამ მინერალზეა დამოკიდებული: ეფექტური იმუნური პასუხი ხომ სისხლის თეთრი უჯრედების მასობრივი გადმოსროლით ვლინდება, მაგრამ საიდან გაჩნდება ეს უჯრედები თუ მათი გამრავლება შეფერხებულია? ამიტომაა, რომ თუთიის პრეპარატებს ნიშნავენ ხოლმე C ვიტამინთან ერთად გაცივების და გრიპის დროს, ხოლო გეგმური ოპერაციების დროს რეკომენდებულია, რომ მათი მიღება ქირურგიულ ჩარევამდე რამდენიმე დღით ადრე იქნას დაწყებული.

იმუნურის გარდა ადამიანს აქვს სხვა აქტიურად და სწრაფად მზარდი უჯრედები. მამაკაცებში ეს არის სპერმატოზოიდები, რომელთა მარაგი გამუდმებით უნდა ივსებოდეს. გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ფერტილობის (განაყოფიერების უნარი) დაქვეითების 3-დან 2 შემთხვევა მამაკაცებში თუთიის დეფიციტთანაა დაკავშირებული. თუთიის შემცველი ვიტამინური პრეპარატები პირველ დახმარებას წარმოადგენს მამაკაცური უნაყოფობის დროს.

ალკოჰოლი და კვება უპრობლემოდ

თუთიის უკმარისობა ჩვენ მიერ გარე სამყაროს აღქმაზეც ახდენს გავლენას. კერძოდ – ყნოსვისა და გემოვნების შეგრძნებებზე. თუ თქვენი გრძნობათა ორგანოების მუშაობაში შეფერხებაა, შესაძლოა, ყველაფერი თუთიის დეფიციტთან იყოს დაკავშირებული.

მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ თუთიის დეფიციტის მქონე ვირთხები ისევე იქცეოდნენ, როგორც ანორექსიით (მადის დაკარგვა) და ბულიმიით (პათოლოგიური მადა, ჭამისადმი ჭარბი მიდრეკილება) დაავადებული მოზარდები იქცევიან. რაციონში თუთიის დამატებისას მათი ქცევა ნორმალური ხდებოდა. ამის შემდგომ მეცნიერულად დადასტურდა, რომ თუთიის დეფიციტი წარმოადგენს კვებითი ქცევის პათოლოგიური გადახრების მიზეზს.

მეტად საინტერესოა თუთიისა და ალკოჰოლის ურთიერთდამოკიდებულება. თუთიით მდიდარი საკვები აქვეითებს ადამიანის სწრაფვას სასმლისადმი.

დაბოლოს, თუთიის უკმარისობასთანაა დაკავშირებული ჭარბი წონა, რადგან მისი დეფიციტისას აქტიურობას კარგავს ფერმენტი, რომელიც გლუკოზის ცვლას არეგულირებს. შედეგად კი გლუკოზა იწყებს ჩალაგებას არაესთეტიკურ ნაოჭებში.

ჯანსაღი ღრძილები და მაგარი ძვლები

თუთიის ნაკლებობა თავისთავად არ იწვევს ღრძილების პათოლოგიას, მაგრამ ამ დროს ღრძილები უფრო მგრძნობიარე ხდება ბაქტერიების მიმართ და დაზიანებაც უფრო ადვილად ვითარდება. ამიტომ მიკროელემენტის დამატებითი დოზა ამაგრებს ღრძილებს და ხელს უწყობს დაავადებებთან მათ ბრძოლას.

შესწავლილია თუთიის როლი ძვლების აგებულებაში. იგი საჭიროა იმ ცილოვანი მატრიცის სინთეზისთვის, რომელზეც ლაგდება კალციუმი – ძვლოვანი ქსოვილის მთავარი საშენი მასალა. აი, რატომაა თუთია ასე საჭირო ბავშვებისათვის, ძვლების ზრდის პერიოდში, აგრეთვე მოტეხილობების დროს და მათთვის, ვისაც მომატებული ფიზიკური დატვირთვა აქვს.

დეფიციტი მხოლოდ ღარიბებს როდი აქვთ

თუთიის დეფიციტი ძალიან გავრცელებული მოვლენაა. იგი მაშინ ვითარდება, როცა ამ მინერალს ცოტას ვიღებთ და ბევრს ვკარგავთ. დეფიციტი შეიძლება გამოწვეული იყოს ნიადაგის გამოფიტვით, აგრეთვე ცხოველური ცილების არასაკმარისად მიღებისას და ნახშირწყლების ჭარბად მიღების დროს. თუთია გაძლიერებულად გამოიყოფა ორგანიზმიდან სტრესების დროს. შიმშილობა და არაბალანსირებული დიეტები, ისევე წურავს მის მარაგს მდიდრებში, როგორც არაადეკვატური მწირი საკვები – ღარიბებში.

კალციუმი, რომელსაც ორსულებსა და მოხუცებს უნიშნავენ, აქვეითებს თუთიის ათვისებას 50%-ით. იგი ისედაც ქვეითდება ასაკის მატებასთან ერთად, რადგან კუჭში მცირდება მჟავის გამოყოფა, რაც ამ მინერალის ასათვისებლადაა აუცილებელი.

თუთიის დღიური დოზა დიდი არ არის – სულ 12-15 მგ, მაგრამ მის დასაგროვებლად საჭიროა გონივრულად გავსაზღვროთ ჩვენი კვება. თუთიით მდიდარი პროდუქტები არ არის ფართოდ გამოყენებული ჩვენს სუფრაზე, ამიტომ ბევრი ჩვენგანი გვერდს ვერ აუვლის მინერალის დამატებითი დოზის მიღებას, განსაკუთრებით გაცივების, გრიპის სეზონზე, აგრეთვე სტრესულ პერიოდებში.

თუთიის საუკეთესო წყაროა შემდეგი პროდუქტები

(პროდუქტის 100 გ-ში შედის)

- ლოკოკინას ხორცი 7-8 მგ
- ქათმის ჩაშუშული გული 6 მგ
- ღორის ღვიძლი (შემწვარი) 5,2 მგ
- ძროხის მჭლე ხორცი (ჩაშუშული) 4,6 მგ
- ცხვრის ხორცი (ჩაშუშული) 4,2 მგ
- გოგრის თესლი (1/4 ჭიქა) 4,2 მგ
- ინდაურის არათეთრი ხორცი 3,8 მგ
- ქათმის ღვიძლი 3,7 მგ
- ქათმის არათეთრი ხორცი 2,4 მგ
- მაგარი ყველი (60 გ) 1,8-2,2 მგ
- მზესუმზირა (1/4 ჭიქა) 1,7 მგ
- ინდაურის თეთრი ხორცი 1,7 მგ
- ლობიო (1/2 ჭიქა) 1,5 მგ
- ბარდა (1/2 ჭიქა) 1,25 მგ
- არაქისი (1/4 ჭიქა) 1,2 მგ
- ქათმის თეთრი ხორცი 1,1 მგ.

ექიმი პასუხი

კითხვა: გთხოვთ, მიპასუხოთ, როგორ უნდა ვუმკურნალოთ მზისაგან გამოწვეულ დერმატიტს?

პასუხი: მზით გამოწვეული დერმატიტის (კანის ანთების) სამკურნალოდ გამოიყენება იგივე პრეპარატები, რაც სხვა სახის დერმატიტების დროსაა ნაჩვენები. ასეთია სხვადასხვა ანტიანთებითი ჰორმონული კომპონენტების შემცველი ნელსაცხებლები, მალამები, სხვა პრეპარატებთან ერთად – იმის მიხედვით, თუ რამდენად ვრცელია კანის დაზიანება და არის თუ არა სხვა სახის გართულებები. დერმატიტის დროს უნდა მოერიდოთ მზის სხივების ზემოქმედებას კანზე (დაიფარეთ ტანსაცმლით).

კითხვა: ვარ 25 წლის. ვარ ვეგეტარიანელი (საერთოდ არ მიყვარს ხორცი). ვარ გამხდარი. ალკოჰოლს და სიგარეტს არ ვეტანები. ბოლო ანალიზებით სისხლში აღმომაჩნდა მაღალი ქოლესტერინი. რისი ბრალი შეიძლება იყოს ეს? (მაქვს გაკეთებული ჩიყვის ოპერაცია – ამომკვეთეს ფარისებრი ჯირკვლის ერთი ნაწილი).

პასუხი: თქვენი მონათხრობის მიხედვით სავარაუდოა, მემკვიდრული ჰიპერქოლესტერინემია (ქოლესტერინის მომატება). საინტერესოა, ჰქონდათ თუ არა თქვენს ახლო ნათესავებს მსგავსი ნიშანი. თუმცა სასურველია, გადაამოწმოთ სისხლის ანალიზი, შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს ლაბორატორიულ შეცდომას.

კითხვა: ვარ 32 წლის. ბავშვობიდან მაქვს გახშირებული გულისცემის შეტევები. დღეში 2-ჯერ (ხან მეტჯერაც) მაინც მიჩქარდება პულსი. ეს უფრო ხშირად აქტიურ მოძრაობასთან, სპორტთანაა დაკავშირებული. გული მიფრიალებს. მაქვს უსიამოვნო შეგრძნება. როდესაც შევწყვეტ დატვირთვას, ხან მაშინვე მიწესრიგდება გულისცემა, ხანაც შეტევა 10-15 წთ გრძელდება ხოლმე. თანაც გულის არეში დისკომფორტს ვგრძნობ. კარდიოგრამა ნორმალურია, გავიკეთე გულის ექოსკოპიაც – ისიც თითქოს ცვლილებების გარეშეა. როგორ მოვიქცე?

პასუხი: თქვენ აუცილებლად გესაჭიროებათ ზედმიწევნითი კარდიოლოგიური გამოკვლევა. პირველ რიგში, უნდა ჩაიტაროთ ეკგ-გამოკვლევა ფიზიკური დატვირთვის დროს – ველოერგომეტრიით ან ე.წ. ტრედმილ-ტესტით (სარბენი ბილიკი), რომლის დროსაც პაციენტს აძლევენ საფეხურებრივ ფიზიკურ დატვირთვას მაქსიმალურამდე და ფიქსირდება ეკგ-ცვლილებები.

კითხვა: გთხოვთ, მიპასუხოთ, შესაძლებელია თუ არა 7 წლის გოგონას გაუკეთდეს ცხვირის ოპერაცია ფორმის შეცვლის მიზნით?

პასუხი: ასეთი რამ დაუშვებელია. რინოპლასტიკური ოპერაცია კეთდება მხოლოდ 16 წლის შემდეგ.

კითხვა: ვერცხლისწყლიანი თერმომეტრი შემთხვევით დავარდა იატაკზე და დაიმტვრა ისე, რომ ვერ შევნიშნეთ. მთელი ვერცხლისწყალი იატაკზე დაიღვარა. გატეხილი თერმომეტრი მხოლოდ მეორე დღეს ვიპოვეთ. იმ ღამეს კი სულ იმ ოთახში ვიყავით და იქ გვეძინა. გთხოვთ, მიპასუხოთ, არის თუ არა საშიში თერმომეტრის ვერცხლისწყლის დოზა ადამიანის ჯანმრთელობისათვის და როგორ მოვიქცეთ ასეთ შემთხვევაში?



პასუხი: თერმომეტრში მოთავსებული ვერცხლისწყლის დოზა არ არის ადამიანის სიცოცხლისათვის საშიში. ასეთ დროს საკმარისია, ხელთათმანებით, სველი წესით დაალაგოთ ოთახი.

კითხვა: ჩემს მეუღლეს ბოლო რამდენიმე თვეა, დაუქვეითდა წნევა 90/50-მდე. რა შეიძლება გამოიწვიოს დაბალმა წნევამ და რომელ ექიმს უნდა მივმართოთ?

პასუხი: წნევის ზედმეტად დაქვეითებისას ქვეითდება ქსოვილთა კვება – ვითარდება ჰიპოქსია (ჟანგბადის ნაკლებობა) ორგანიზმში. როდესაც ზედა წნევა 70 მმ ვწყ სვ-ს აღწევს, შესაძლოა კოლაფსი (ტვინის გათიშვა) განვითარდეს. თუმცა გართულება არ მოხდება ყველა ჰიპოტონიის დროს, მაგრამ საჭიროა, დადგინდეს წნევის დაქვეითების მიზეზი. თქვენმა მეუღლემ უნდა მიმართოს თერაპევტს და ჩაიტაროს გამოკვლევები: სისხლის საერთო ანალიზი, შარდის ანალიზი, ელექტროკარდიოგრაფია.

კითხვაა: 2 წლის წინ მენსტრუაცია შემიწყდა 4 თვის განმავლობაში (ორსულად არ ვიყავი). ექიმმა დამინიშნა რომელიღაც ჰორმონის (თუ არ ვცდები, პროგესტერონის) 4 ნემსი და ციკლი აღმიდგა. შემდეგ დამინიშნა „მერსილოონი“ დასალევად. აბებს თითქმის ორი წლის განმავლობაში ვსვამდი, მაგრამ შევწყვიტე, ფეხებში ძლიერი ტკივილის გამო. ამის შემდეგ, რამდენიმე თვე ნორმალურად ვიყავი, მაგრამ მერე ყველაფერი ისევ თავიდან დამეწყო. ახლა მე-3 თვეა, მენსტრუაცია არ მქონია. გავიკეთე ორსულობის ტესტი და პასუხი უარყოფითია. გთხოვთ, მიპასუხოთ, რასთანაა ეს დაკავშირებული?

პასუხი: სავარაუდოა, რომ გაქვთ ჰორმონული ცვლის დარღვევა. უნდა ჩაიტაროთ ჰორმონული გამოკვლევები (ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონების ჩათვლით), ექოსკოპიური კვლევა და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება დაინიშნოს სწორი მკურნალობა.

■

უზბეკური სამზარეულო

დღეს მოდაშია იაპონური და იტალიური სამზარეულო, თუმცა კვლავ პოპულარული რჩება შუააზიური, კერძოდ კი, უზბეკური სამზარეულოც. უზბეკები, ისევე როგორც ჩინელები, განთქმული მზარეულები არიან.

უზბეკი მზარეულისათვის ყველაზე მთავარი კარგი ხორცია, სასურველია იგი ბატკნისა იყოს. არანაკლებ მნიშვნელოვანია ხარისხიანი ბრინჯი. თუ საუბარი ფლავზე გვაქვს, იგი უნდა იყოს მსხვილი, გრძელმარცვლიანი, გაუფცქვნელი, ოდნავ მორუხო ფერის. იაფფასიანი, მრგვალი ბრინჯისაგან გემრიელი ფლავი არ გამოგივათ.

ბევრს ჰგონია, რომ უზბეკები თითქმის არ ჭამენ ბოსტნეულს. სინამდვილეში, უზბეკურ სამზარეულოში ის მრავლადაა, უბრალოდ არ ჩანს. კერძების მოსამზადებლად გამოიყენება ხახვი (რაც მეტი იქნება, მით უკეთესი), სტაფილო, თალგამი, სუნელები, წითელი წიწაკა. თუმცა მათ სამზარეულოში ნაკლებადაა სალათები და ბოსტნეულის წვნიანები. თუ სხვა ქვეყნის მზარეულები ერთ კილოგრამ ხორცზე ერთ თავ ხახვს იყენებენ, უზბეკები – ნახევარ კილოგრამ ცხვრის ხორცზე – ხუთ თავ ხახვსა და ამდენივე სტაფილოს. მომზადებულ კერძს კი მწვანე ჩაისა და გარგარის ჩირს აყოლებენ. ასე რომ, ანტიოქსიდანტების მხრივ ყველაფერი რიგზეა.

უზბეკური ფლავი

მასალა (1 კგ ცხვრის ხორცზე): 1 კგ ბრინჯი, 1 კგ სტაფილო, 7-8 საშუალო ზომის ხახვი, 1 ჩ/კ მარილი, თითო ჩ/კ წითელი წიწაკა, კოწახური და ძირა, 300 გ ცხვრის ქონი ან ზეთი.

შემოდგით ცეცხლზე თუჯის ჭურჭელი, ჩაშუშეთ მასში ცხვრის ქონი, ვიდრე მსუბუქად არ შეიბრაწება. ხორცი დაჭერით პატარა ნაჭრებად და ჩააწყვეთ მოშუშულ ქონში. შემდგომ დაუმატეთ წვრილად დაჭრილი სტაფილო და ცოტა ხანში – ალყა-ალყა დაჭრილი ხახვი. ხორცი და ბოსტნეული არ უნდა მიიწვას ჭურჭლის ძირსა და კედლებზე.

ხახვის დამატებიდან 15 წუთში დაუმატეთ საკაზმი და მარილი. მოასწორეთ მიღებული ნარევის ზედაპირი და ზევიდან დააყარეთ გარეცხილი ბრინჯი. ბრინჯის ზედაპირიც გადაასწორეთ და ძალიან ფრთხილად – ისე, რომ არ აირიოს დაამატეთ წყალი (იმდენი, რომ ფარავდეს ბრინჯის ზედაპირს 1-1,5 სმ-ით). კიდევ მოაყარეთ მარილი, მოუმატეთ ცეცხლის ალი და მიიყვანეთ ადუღებამდე.

ფლავი ხარშეთ თავმოხდილ ჭურჭელში, ვიდრე წყალი მთლიანად არ აორთქლდება, შემდეგ მჭიდროდ დაახურეთ ჭურჭელს, გადმოდგით ცეცხლიდან და გააჩერეთ 20 წთ. სუფრაზე მიტანამდე კარგად აურიეთ და ამოიღეთ თეფშზე. მიიტანეთ ცხელ-ცხელი.

წვნიანი ცხვრის ხორცით

მასალა: 500 გ ცხვრის ხორცი (უმჯობესია გულმკერდის ნაწილი), 500 გ კარტოფილი, 4 ცალი პამიდორი, 4 თავი ხახვი, 2 ცალი ანტონოვკის ჯიშის ვაშლი, 1 ცალი ტკბილი წიწაკა, 100 გ ცხვრის დუმა, 1 კონა ქინძი, 1 კონა კამა, მწარე წიწაკა და დაფნის ფოთოლი გემოვნებით.

ცხვრის დუმა წვრილად დაჭერით, დადნეთ ტაფაზე, მასში მოშუშეთ მცირე ზომის ნაჭრებად დაჭრილი ხორცი. გადაიტანეთ ქვაბში. იმავე ტაფაში მოშუშეთ ხახვი და პამიდორი, დაუმატეთ კუბურებად დაჭრილი კარტოფილი და კიდევ შუშეთ 5 წუთი. ეს ნარევი მოათავსეთ ხორციან ქვაბში, დაასხით 2,5 ლ წყალი, მიიყვანეთ ადუღებამდე, დაუმატეთ მარილი და ხარშეთ ერთი საათის განმავლობაში დაბალ ცეცხლზე. მომზადებამდე 20 წთ-ით ადრე დაუმატეთ წვრილად დაჭრილი ვაშლი, 5 წთ-ით ადრე სანელებლები. გადმოდგით ცეცხლიდან და გააჩერეთ 15 წუთი.

ლაგმანი

ლაგმანისთვის დაგჭირდებათ შინ მომზადებული ატრია.

მასალა ატრიისათვის: 0,5 კგ ფქვილი, კვერცხი, 3/4 ჭიქა წყალი, 1 ჩ/კ მარილი.

დაყარეთ თასზე ფქვილი, შუაგულში ამოაღრმავეთ, მასში ჩაახალეთ კვერცხი, მარილი გახსენით წყალში და ცოტა-ცოტა დაამატეთ ფქვილს. მოზილეთ მკვრივი ცომი, დადეთ იგი სველი ტილოს ქვეშ ცოტა ხნით. შემდეგ გააბრტყელეთ, რაც შეიძლება თხლად, მოაფრქვიეთ ფქვილი და გადაახვიეთ. შემდეგ დაჭერით მჭრელი დანით 1 სმ სისქის განივ ნაჭრებად. მიიღებთ ატრიას, რომელიც შეგიძლიათ ჩამოკიდოთ გასაშრობად ან მაშინვე მოხარშოთ მდუღარე, მარილიან წყალში. მოხარშულ ატრიას გადაავლეთ ცივი წყალი, გადაიტანეთ საწურზე და როცა დაიწურება, მოასხურეთ ზეთი, რათა არ მიეკრას ერთმანეთს.

მასალა ლაგმანისათვის: 500 გ ხორცი, 200 გ ზეთი ან სხვა ცხიმი, 2-3 კარტოფილი, 2 სტაფილო, 1 ბოლოკი, 1 ჭარხალი, 1 ბულგარული წიწაკა, 100 გ კომბოსტო, 4 ხახვი, 4 პამიდორი, ერთი თავი ნიორი, 2-3 კონა ქინძი, თითო ჩ/კ წითელი წიწაკა და შავი პილპილი.

ხორცი დაჭერით პატარა, ოთხკუთხედ ნაჭრებად, ხახვი და კომბოსტო წვრილად დაკეპეთ, დანარჩენი ბოსტნეული კუბურებად დაჭერით. ქვაბში გააცხელეთ ცხიმი, მოშუშეთ ხორცი, დაამატეთ ბოსტნეული, აურიეთ, დაასხით 1,5 ჭიქა წყალი (უმჯობესია ის, რომელშიც ატრია მოხარშეთ) და თავდახურული ხარშეთ ნახევარი საათის განმავლობაში. შეაზავეთ ნივრით, სანელებლებით, მწვანილით, წამოადუღეთ, გადმოდგით ცეცხლიდან და 15 წთ გააჩერეთ თავდახურული. ამ ნარევს ვაჯა ჰქვია.

მომზადებული ატრია შეაცხელეთ, რისთვისაც ერთი წუთით მოათავსეთ მდუღარე წყალში, შემდეგ გადმოიღეთ ფიალებზე, ზემოდან დაასხით ვაჯა, ზემოდან კი ისევ ატრია დაადეთ და არ აურიოთ, ისე მიიტანეთ სუფრასთან. ■

წამალი „მთაწმინდა“

- თმის დაავადებები, ქერტლი, ქავილი, გამონაყარი, ბუდობრივი ცვენა (ამოდის თმა);
- ტილები, წილები, ისპობა 1 საათში;
- კანის და ფრჩხილის სოკო, ოსტეოქონდროზი, სკოლიოზი, ნაოჭების გასწორება, მცენარეული საპნები.

მკურნალობა მარანითით

ვის: ჭავჭავაძის გამზ. 2/2, ჩაის სახლთან, სპოვაგოლოგიურ პოლიკლინიკაში, ვილება ყოველდღე 11-18 სთ-ზე, მეჯიდლიქე, ბეგაშვილი

☎ 30-94-73; 34-35-16 (საღამოს)

ჭაჭოჩენილი ადამიანების ხუმრობები

1978 წელს გამოქვეყნებული, საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის პროექტის თანახმად, ქართული ენა სახელმწიფო ენად აღარ ცხადდებოდა. ამასთან დაკავშირებით, ნოდარ დუმბაძეს უთქვამს: ახლა, ძმა, ერთმანეთს თუ გამოვუყოფთ, თუ არა, ისე ენა აღარაფერში გამოგვადგებაო.

***

ერთხელ, თეთრ სამოსში გამოწყობილი ბესარიონ ჟღენტისთვის (რომელიც, ალბინოსი იყო), კონსტანტინე გამსახურდიას უთქვამს:

— ბესო, შავი ავტოკალამი მაინც ჩაიდე გულის ჯიბეში, თორემ ჰაერივითა ხარ ახლა.

***

მეცნიერი-ლიტერატურისმცოდნე ვანო შადური მუშაობდა თემაზე — „დეკაბრისტები კავკასიაში“. ერთხელ, საუბარში ის ღიმილით გაუფრთხილებია კონსტანტინე გამსახურდიას:

— ვანო, რა თქმა უნდა, კარგად იცი, რომ დეკაბრისტები გადასახლებულნი იყვნენ ციმბირშიც. ისე არ გამოვიდეს, რომ შენც იქ გაგგზავნონ მათი ცხოვრების შესასწავლად.

***

გამოჩენილმა კომპოზიტორმა ვაგნერმა პარიზის „გრანდ-ოპერაში“ თავისი ოპერის პრემიერაზე დაპატიჟა კოლეგა და კონკურენტი მეიერბერი. როცა სპექტაკლი დამთავრდა, ვაგნერმა ჰკითხა მას:

— როგორ მოგეწონათ, მაესტრო, ჩემი ახალი ნაწარმოები?

მეიერბერმა ჩაძინებული მაყურებლისკენ გაახედა და უთხრა:

— თავად განსაჯეთ...

ცოტა ხანში დაიდგა მეიერბერის ოპერა და ახლა მან დაპატიჟა ვაგნერი.

— როგორია თქვენი შთაბეჭდილება? — იკითხა მეიერბერმა.

— როგორც ვხედავ, თქვენი მუსიკაც კარგად აძინებს მსმენელს... — მიუგო ვაგნერმა და მძინარე კაცი დაანახვა.

მეიერბერი არ დაბნეულა:

— ა-ა, ეს? ეს ხომ თქვენი სპექტაკლის დღიდან აქ არის!..

***

ნაბახუსევზე გალაკტიონს უთქვამს — სამიკიტნოს აღარ გავეკარებიო. მეორე დღეს, მართლაც, ისე ჩაუვლია სამიკიტნოსთვის, რომ შიგნით არ შესულა. რამდენიმე ნაბიჯი გადაუდგამს, შეჩერებულა და თავი შეუქია — „მალადეც“, გალაკტიონ! ეს აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ“, — მიბრუნებულა და ძველებურად მოულხენია.

***

გალაკტიონს ჰყვარებია თქმა: „შევიდეთ საწყალი კაცის აფთიაქში — სამიკიტნოში“.

***

1942 წ. ფაშისტური გერმანიის მიერ დაპყრობილ ავსტრიის დედაქალაქ ვენაში რასობრივ-იდეოლოგიური წმენდა ხორციელდებოდა. ის ვენის ოპერის თავზე განთავსებულ კომპოზიტორთა ბიუსტებსაც შეეხო. კომენდანტს აცნობეს, რომ მათ შორის, ებრაელი მენდელსონის ბიუსტიც იყო და პირადად ჩაუდგა სათავეში მისი ლიკვიდაციის ოპერაციას. სახურავზე ასულმა კომენდანტმა ჯარისკაცების თანხლებით შემოიარა ყველა ქანდაკება და, როგორც არიული თეორიის კარგმა მცოდნემ და ფიზიონომისტმა, „ყველაზე არაარიული“ სახე ამოირჩია. მისი ბრძანებით, ბრინჯაოს ბიუსტი პირდაპირ ქუჩაზე გადმოაგდეს, მაგრამ ცოტა ხანში გაირკვა, რომ დამხობილი, მენდელსონი კი არა — ჰიტლერის საყვარელი გერმანელი კომპოზიტორი რიჰარდ ვაგნერი ყოფილა. ამ საბედისწერო შეცდომის გამო, უვიცი კომენდანტი რუსეთის ფრონტზე გაგზავნით დასაჯეს.

■

ანეკდოტები

ებრაელი ცოლი ქმარს წყევლის:

— ეგ დამპალი, ეგა, ახალი ნაყიდი სკამი გაუტეხავს და ვენეციური ჭაღი დაუმტვრევია! ვითომ არ შეეძლო, თავი სხვაგან ჩამოეხრჩო...

***

ნაცემი პარიკმახერის მონოლოგი:

— ... დღეს კლიენტს ყური შემთხვევით მოვაჭერი, პატიება ვთხოვე, მაგრამ უკვე აღარაფერი ესმოდა.

***

აფთიაქთან დიდი რიგი დგას. უცებ, მამაკაცი ყვირილს ატეხს:

— ხალხო, ძალიან გთხოვთ, ურიგოდ გამატარეთ — სახლში ლოგინს მიჯაჭვული ადამიანი მელოდება.

ყველანი რიგს უთმობენ.

— 5 პრეზერვატივი მომეცით!

***

— შენი აზრით, ვისგან ჯობს ფულის სესხება?

— პესიმისტისგან.

— რატომ?

— წინასწარ იცის, რომ არ დაუბრუნებ.

***

დედა ხუთ შვილთან ერთად დიდი სუპერმარკეტის ლიფტში შევიდა და მელიფტეს ეუბნება:

— ბავშვთა განყოფილებაში, თუ შეიძლება!

ერთ-ერთი შვილი ეკითხება:

— დედიკო, ჩვენ ჯერ არა ვართ საკმარისი?

***

ღაზის სექტორი: არაბი გარბის და თან ავტომატიდან ებრაულ ტანკს ესვრის. ცოტა ხანში სროლა შეწყვიტა. ტანკიდან ებრაელი ამოდის:

— რატომ აღარ ისვრი?

— ტყვიები გამითავდა!

— თუ გინდა, მოგყიდი!

***

— ძვირფასო, თუ დავქორწინდებით, უფლებას მოგცემ, მაკოცო იქ, სადაც ჯერ ჩემთვის არავის უკოცნია.

— რა ადგილია ასეთი?

— ეიფელის კოშკთან.

***

კაცმა მეგობარს შესჩივლა:

— ჩემმა ცოლმა სულ აიშვა, აღარ სჯერდება იმას, რომ ცალკე სძინავს, ახლა თავის გვერდით სუფრასთანაც აღარ მსვამს.

— შენ რა, არც ჭამა იცი?..

■

კვირის (28 ივლისი - 3 აგვისტო)

ასტროლოგიური პროგნოზი

ლომი – 23/VII-23/VIII

ქალი: შესაძლოა, კვირის დასაწყისშივე მიიღოთ მიმზიდველი წინადადება ახალ სამსახურთან დაკავშირებით. ღირს, დაინტერესდეთ ამ წინადადებით. შაბათ-კვირა ბავშვების გარემოცვაში გაატარეთ.

მამაკაცი: ყველა გაუგებრობა, რაც თქვენსა და ხელმძღვანელობას შორის არსებობდა, გაირკვევა. ამიტომ ნუ დაკარგავთ დროს ფუჭი ახსნა-განმარტებით და შემოქმედებითი საქმიანობით დაკავდით.

ქალწული – 24/VIII-23/IX

ქალი: აკონტროლეთ ემოციები, რომ ახლობლებთან ურთიერთობა არ გაგირთულდეთ. კოლეგები შეიძლება უსამართლოდაც მოგექცნენ, მაგრამ ჯობს, მოთმინება გამოიჩინოთ.

მამაკაცი: კვირის პირველ ნახევარში მოაგვარეთ ფინანსური პრობლემები. განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდეთ საქმიან ქაღალდებს. არ გირჩევთ ფულის გასესხებას.

სასწორი – 24/IX-23/X

ქალი: ამ კვირაში შექმნილი სიტუაციიდან შეეცადეთ, სარგებელი ნახოთ. ხუთშაბათს თავი შეიკავეთ ცდუნებისგან და უარი თქვით ხალხმრავალ წვეულებაზე წასვლაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება იქ მარტოობის განცდა დაგეუფლოთ.

მამაკაცი: იზრუნეთ თქვენს ჯანმრთელობაზე და იყავით უფრო ყურადღებიანი მეუღლის მიმართ. გაიხსენეთ, როდის მიართვით მას ბოლოს ყვავილები, კიდევ ერთხელ უთხარით თბილი სიტყვები და დაელოდეთ საპასუხო რეაქციას.

ღრიანკალი – 24/X-22/XI

ქალი: დასვენება მეგობრებთან ერთად დაგეგმეთ. გაფრთხილდით, შეეცდებიან ის საიდუმლო გათქმევინონ, რომელიც მეგობარმა გაგანდოთ. კარგი კვირაა ფინანსური საკითხების გადასაწყვეტად.

მამაკაცი: წარმატება გელით კონფიდენციალური საუბრებისას. კვირის მეორე ნახევარში ეცადეთ მოიქცეთ ისე, რომ თქვენი ინტერესების დაკმაყოფილების ხარჯზე ახლობელთა ინტერესები არ დააზარალოთ.

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

ქალი: არ ღირს დასვენების ჟამს სახლის შერემონტებაზე ფიქრი. დაივიწყეთ ყოფითი პრობლემები და ზაფხულის სასიამოვნოდ გატარებაზე იფიქრეთ. კარგი იქნება, თუ მშობლებს თქვენთან ერთად ზღვაზე ან მთაში დასვენებას შესთავაზებთ.

მამაკაცი: კვირის დასაწყისში შეიძლება საზღვარგარეთიდან მიიღოთ შეტყობინება. როგორ ფიქრობთ, ვინმემ მემკვიდრობა ხომ არ დაგიტოვათ? დაპატიჟეთ მეგობარი ლუდზე და გაუზიარეთ თქვენი გეგმები ლამაზ მომავალზე.

თხის რქა – 22/XII-20/I

ქალი: მზად იყავით გაიცნოთ ძლიერი ნებისყოფის მამაკაცი, რომელიც თქვენს პირად ცხოვრებაში ცვლილებებს შეიტანს. კარგი იქნება, თუ უფრო გააქტიურდებით სასურველი მიზნის მისაღწევად.

მამაკაცი: მოგიწევთ კომპრომისზე წასვლა. გარკვეული პერიოდის შემდეგ დარწმუნდებით, რომ სწორად მოიქეცით. ნუ მისცემთ მეგობრებს საბაბს, ცარიელ თავთავს შეგადარონ.

მერწყული – 21/I-19/II

ქალი: ნუ დაიზარებთ ხელი წააშველოთ კოლეგას, რომელსაც თქვენზე მეტი საქმე აქვს. ამ მოქმედებით ხელმძღვანელის ყურადღების ცენტრშიც მოექცევით და ოდესმე კოლეგაც სიკეთით გადაგიხდით. იყავით უფრო კორექტული ახლობლებთან ურთიერთობაში.

მამაკაცი: კარგად ჩამოყალიბდით, რა გინდათ, კონკრეტულად რას მოითხოვთ თქვენი პარტნიორისგან და მერე განაცხადეთ ხმამაღლა ამის შესახებ. მეცნიერულ სფეროში მომუშავეთათვის ოთხშაბათი დიდი აღმოჩენის დღეა.

თევზები – 20/II-20/III

ქალი: მოულოდნელად აღმოჩნდებით ისეთ ადგილას ან ისეთ გარემოცვაში, სადაც არავინ გელით; იმხიარულეთ. ისეთი წარმატებული კვირა გაქვთ, უფლისწულთან წამოწყებული რომანიც კი წარმატებული იქნება.

მამაკაცი: კვირის პირველ ნახევარში მოგიწევთ აზარტული თამაშებისგან თავის შეკავება. წინააღმდეგ შემთხვევაში ფინანსური პრობლემები შეგექმნებათ. კვირის მეორე ნახევარში, სიამოვნებას კარგი მოგზაურობით მიიღებთ.

ვერძი – 21/III-20/IV

ქალი: იყავით გაბედული და წამოიწყეთ ოჯახური ბიზნესი. განსაკუთრებით წარმატებას მიაღწევთ იმ შემთხვევაში თუკი ეს ბიზნესი მიწათმოქმედებასთან იქნება დაკავშირებული.

მამაკაცი: დროა, დასვენებაზეც იფიქროთ. ფლირტისთვისაც ხელსაყრელი პერიოდია. ჩვენი რჩევაა, რამდენიმე ქალს ერთი და იგივე კომპლიმენტი არ უთხრათ. და კიდევ ერთი: ნუ გააპარებთ თვალს იმ ქალისკენ, რომელსაც გვერდით შვარცენეგერის მსგავსი მამაკაცი მიჰყვება.

კურო – 21/IV-21/V

ქალი: კვირის დასაწყისში მოსალოდნელია თქვენს გეგმებში მკვეთრი ცვლილებების შეტანა მოგიხდეთ. შესაძლებელია ახლობლების და მეგობრების თანადგომაც დაგჭირდეთ. კვირის მეორე ნახევარში რომანტიკული სიურპრიზი გელით.

მამაკაცი: ნუ დაიზარებთ თქვენთვის საინტერესო საკითხზე დამატებითი ინფორმაციის მოძიებას. ისეთ რამეს აღმოაჩენთ, მომავალში რომ გამოგადგებათ. ზედმეტად ნუ გაიხსნებით ახალგაცნობილ ადამიანებთან. გულუბრყვილობამ შეიძლება პრობლემები შეგიქმნათ.

მარგალიტი – 22/V-21/VI

ქალი: პირადი ცხოვრება უკეთესობისკენ იცვლება. თამამად თქვით უარი ისეთ ურთიერთობაზე, რომელიც დიდი ხანია სიამოვნებას აღარ განიჭებთ და გაბედულად წამოიწყეთ ახალი რომანი. დიდი დრო დაუთმეთ საკუთარ გარეგნობას.

მამაკაცი: შუა კვირაში შეიძლება, ხელში ფრიად მნიშვნელოვანი ინფორმაცია ჩაგივარდეთ. თუ მას გონივრულად გამოიყენებთ, თქვენ წინაშე ახალი ჰორიზონტი გადაიშლება.

კირჩხიბი – 22/VI-22/VII

ქალი: კარგი დროა ოჯახური ბიზნესის ორგანიზებისათვის. უარს ნუ იტყვით, თუ სტუმრად დაგპატიჟებენ. ეცადეთ, აქტიური იყოთ ყველა საქმეში. თავი აარიდეთ ახლობლებთან ურთიერთობის გარკვევას.

მამაკაცი: წინ კარგი კვირა გელით, თუკი შეძლებთ და მოახერხებთ, საჭირო დროს საჭირო ადგილას გაჩნდეთ. ბიზნესთან დაკავშირებულ ადამიანებს, ვურჩევთ ახალი საქმის წამოწყებას.

„რომეო და ჯულიეტა“, „ჰიმნ“ (კონრეფსორი)
ქართული სამარკო ღვინო
ფანტასტ. წარმოდგენა, ბოდვითი ჩვენებანი
კინოსახე
ინდოეთის დედაქალაქი
ჯოკონდას განუმეორებელი ...
სალვადორ დალის მეუღლე
ნაზი ბეწვი
ლატვიის ვალუტა
ძველი ხელნაწერი
სკარლეტ ო'ჰარა – ვივიენ ...
ლეონარდო ... კაპრიო
მდინარე მოსკოვის შენაკადი
ქვილა ღმერთის სახელზე აგებ. ტაძარი
დედამიწის ზედაპირის შემცირებული ნახატი
„ჟე ვუზე“, „პუასონი“
ქართული გუნდური შეჯიბრება ცხენოსნობაში
ოგივეა, რაც კეგლი
საქართველოს ისტ. მხრე
ინგლისელი მწერალი
კომპიუტერული სურთაშორისო ქსელი
სურათი კედელში
„ტურნდოტი“ (იტალ. დრამატურგი)
წილი საერთო საქმეში
ქვეყნის შეიარაღებულ ძალთა ერთობ.
„ველური ორქიდეა“ (მსახიობი)
ქალაქი, ყოფილი წულუკიძე
ატილას თანამემამულე
შვედი მოჭადრაკე, ... კრამლინგი
ყვავილი
თეატრისა და კინოს ქართველი მსახიობი
ძველბერძნული ქალაქ პელოპონესში
პეტრარკას სატრფო
მფრინავი თეფშის აბრევიატურა
ებრაელთა ბიბლიური სახელწოდება
ნარკოტიკ. ნივთ. საერთო სახელწოდება
კერძი წვრილად დაჭრილი ხორცისგან
შპრიცის ნაწილი
მონაკოს მთავართა დინასტია
მზის ღმერთი ძველ ეგვიპტეში
სუდანის დედაქალაქი
ᲨᲔᲐᲓᲒᲘᲜᲐ ᲠᲐᲛᲐᲖ ᲐᲚᲐᲜᲘᲐᲛ



მე-8 გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-გ; 2-გ; 3-ა; 4-ა.
21-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ბ; 2-ბ; 3ა.

ეს ძალლებს ამოლიანად ეფეკლიათ ამიხლეთ

მართალია, ისინი იშვიათად გაჰყავთ გამოფენებზე, არც განსაკუთრებული წარმომავლობით შეუძლიათ კინოლოგების გაკვირვება, სამაგიეროდ, უდიდესი შრომისუნარიანობით გამოირჩევიან. სხვა ჯიშის ძაღლებისგან განსხვავებით, ლაბრადორს არ უყვარს თბილი პლედის ქვეშ შეძრომა და ტახტზე ნებივრობა. მას სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საქმის გაკეთება — ადამიანების გადარჩენა ძალუძს.

წარმოიდგინეთ ასეთი სურათი: მიწისძვრისა თუ აფეთქებისგან დანგრეული შენობის ნარჩენები — ერთმანეთზე დახვავებული ბეტონის ფილები, ერთ გროვად ქცეული, დამტვრეული ფანჯრის რაფები და კარის ჩარჩოები, ავეჯი და სხვადასხვა საოჯახო ნივთი. და ამ ყველაფერში, ოთხფეხამ უნდა აიღოს ის გეზი, რომელიც მას უკარნახებს, თუ სად უნდა ეძებოს ადამიანის კვალი... სხვადასხვა მაშველ ძაღლს, ადამიანის პოვნის მანიშნებელი, განსხვავებული სიგნალის გადაცემა სჩვევია: ზოგი გააფთრებით იწყებს ყეფას, ზოგი — ფილაზე ჩამოჯდება და ჭკვიანი თვალებით შეაცქერდება პატრონს, ზოგი კიდევ — უბრალოდ, კუდს აქიცინებს. წვრთნის დროსაც, სტიქიური უბედურების იმიტაციისას, პატრონი მოთმინებით აკვირდება ძაღლს და კვალის აღების რთულ ხელოვნებასაც გულმოდგინედ ასწავლის. და რაც უფრო მიმსგავსებულია წვრთნა რეალურ პირობებთან, მით უფრო წარმატებულია ოთხფეხას მოქმედება რეალური უბედურების დროს.

საინტერესოა, რომ ლაბრადორების გარდა, სამაშველო საქმეს საუცხოოდ ართმევენ თავს, დღეს ჩვენში საკმაოდ გავრცელებული სპანიელები. მათი სამსახური განსაკუთრებით საჭირო ხდება მაშინ, როცა გამოსახსნელია ადამიანი, რომელიც ნანგრევებქვეშ ისეთ ადგილას მოექცა, სადაც ძალზე ვიწრო ნაპრალიღაა დარჩენილი და ლაბრადორი ვერაფრით შეაღწევს. სპანიელებს საკმაოდ სარისკო საქმეს ავალებენ. მაგალითად, ყოფილა შემთხვევები, როცა ის შემძვრალა ხვრელში, რომელიც თურმე დიდ სიღრმეს ფარავდა და სხვის დასახსნელად გაგზავნილი ოთხფეხა, თვითონაც ჩავარდნილა თითქმის უიმედო მდგომარეობაში. თუმცა, ასეთ დროს, მისი ადგილსამყოფელი უკვე ცნობილი იყო და ნგრევის მსხვერპლიცა და გაჭირვებაში ჩავარდნილი მისი მშველელიც ერთად დაუხსნიათ ნანგრევებიდან...

■

აგზნებული დელფინი ემცურავე ქალებს ემსვენებას არ აძლევს

ლა-მანშის სრუტის გავლით, დორსეტის საგრაფოს ქალაქ უეიმუტში აგზნებული დელფინი გამოჩნდა, რომელმაც აიძულა ინგლისის პოპულარული კურორტის ადმინისტრაცია, გაეფრთხილებინა მობანავეები, ყურადღებით ყოფილიყვნენ, რათა დელფინის სიახლოვეს არ აღმოჩენილიყვნენ. როგორც სპეციალისტები ამბობენ, დელფინი ადამიანებს პოტენციურ სექსუალურ პარტნიორებად აღიქვამს. „ის ძალზე აგრესიულია, — აღნიშნა საზღვაო ძუძუმწოვართა დარგის ამერიკელმა ექსპერტმა რიკ ო'ბარიმ. — საერთოდ, როცა დელფინები სექსუალურად აგზნებულები არიან, ისინი ცდილობენ, იზოლაციაში მოაქციონ მოცურავეები (უმეტესად — ქალები), მათ გარშემო წრეებს ურტყამენ და ნაპირიდან შორს ერეკებიან“. ო'ბარის თქმით, 180 კგ წონის დელფინი ამ დროს, ძალზე სახიფათოა, რადგან ის უხეში ხდება და ვნების დაკმაყოფილების მცდელობისას, ადამიანის დახრჩობაც კი ძალუძს. ■

ნახევარმილიონიანი ჯარიმა ძაღლის სახელისათვის?

რუმინეთის ქალაქ ბიხორის სასამართლოში უჩვეულო პროცესი დაიწყო. ერთმა ოჯახმა თავის მეზობლებს იმის გამო უჩივლა, რომ მათ თავიანთ ძაღლს სინდი დაარქვეს. საქმე ის გახლავთ, რომ მოსარჩელეთა ქალიშვილსაც ეს სახელი ჰქვია და მათ ნერვები ეშლებათ, როცა სინდის დაძახებაზე, მეზობლის ძაღლიც რეაგირებს, განსაკუთრებით კი, ეს მაშინაა გამაღიზიანებელი, როცა გოგონას სადილად უხმობენ და მათთან, ოთხფეხაც მირბის... შეურაცხყოფილი წყვილი მორალური ზარალის ასანაზღაურებლად, 500.000-დოლარიან კომპენსაციას ითხოვს. როგორც ადგილობრივი პრესა იუწყება, განაწყენებული ოჯახის მეზობლებს, რომლებიც საკმაოდ ხელმოკლედ ცხოვრობენ, ამ თანხის შესაგროვებლად რამდენიმე ასეული წელი დასჭირდებოდათ. ■

რით ჭკვაზე ციყვი ჭკვარს...

მსოფლიოში ერთადერთი ციყვი, რომელიც წყლის თხილამურებზე სრიალის ხელოვნებას ფლობს, ვირჯინიის შტატის ქალაქ შანტილიში ცოტა ხნის წინ, მოწყობილ ნაგების გამოფენაზე წარდგა მაყურებლის წინაშე. უნიკალური ცხოველის პატრონმა, ლუ ენ ბესტმა აღნიშნა, რომ ციყვის გაწვრთნა ძალზე ჰგავს ქმართან ურთიერთობას. „ორივე ითხოვს დიდ სიყვარულს და გამუდმებით იმის დემონსტრირებას, თუ რაოდენ მიჯაჭვული ხარ მასზე, თანაც, ეს გამუდმებით უნდა უმეორო...“ — უთხრა ქალბატონმა ბესტმა ჟურნალისტებს. ■

თქვენ და ტანსაცმელი

საერთოდ, ბევრი პირველად ნანახ ადამიანს ჩაცმულობის და გარეგნობის მიხედვით აფასებს. ამბობენ, რომ ეს თვისება ქალებს უფრო ახასიათებთ. თურმე, ადამიანის ხასიათის ზოგიერთი ნიშნის გამოცნობა ტანსაცმლის მიხედვით მართლაც შესაძლებელი ყოფილა. ქვემოთ მოყვანილი ტესტის მეშვეობით ჯერ იქნებ საკუთარი ხასიათის დაფარული მხარეების გაგება შეძლოთ, შემდეგ კი შეიძლება სხვების ხასიათიც ამოიცნოთ იმის მიხედვით, თუ როგორაა გამოწყობილი ადამიანი.

1) ცდილობთ თუ არა ყოველ ახალ სეზონზე შეიძინოთ ახალი ტანსაცმელი მაშინაც კი, როცა ეს აუცილებელი არ არის?
ა) დიახ, აუცილებლად – 3;
ბ) არა – 0.

2) როგორ ქსოვილებს ანიჭებთ უპირატესობას?
ა) სადას – 3;
ბ) მსხვილნახატიანს – 2;
გ) როდის როგორ – 0.

3) როგორი სტილის ტანსაცმელს ანიჭებთ უპირატესობას?
ა) კლასიკურს – 0;
ბ) სპორტულს – 3;
გ) იმას, რაც მოდურია – 5;
დ) ულტრამოდურს – 7.

4) შეგიძლიათ თუ არა ერთერთი პირველი შეიმოსოთ ულტრამოდური და ხალხის მასისგან მკვეთრად განსხვავებული ტანსაცმლით?
ა) დიახ, თამამად – 5;
ბ) გააჩნია სიტუაციას, სად გიწევთ ამის ჩაცმა – 3;
გ) არა – 0.

5) გიყვართ თუ არა ტანსაცმლის ფერების თამამი და არასტანდარტული შეხამება?
ა) დიახ – 5;
ბ) იშვიათად – 3;
გ) არა – 1.

6) ჩამოთვლილი სამოსიდან რა გიყვართ ყველაზე მეტად?
ა) სპორტული ტიპის მაისურები – 3;
ბ) მკაცრი სტილის პიჯაკები – 2;
გ) მიდი ან მაქსი ქვედაბოლოები – 1.

7) გიყვართ თუ არა ქუსლიანი ფეხსაცმელი?
ა) დიახ – 3;
ბ) არა – 0.

8) გაქვთ თუ არა გარდერობში თქვენივე ხელით შექმნილი ერთი ნივთი მაინც?
ა) დიახ – 3;
ბ) არა – 0.

9) რა არის თქვენი საყვარელი საშინაო სამოსი?
ა) გრძელი, ფართხუნა ქვედაბოლო და დიდი მაისური – 5;
ბ) შარვალი და ჯემპრი – 3;
გ) ხალათი – 2.

10) რომელ აქსესუარს ანიჭებთ უპირატესობას?
ა) მძივებს – 7;
ბ) ბროშს – 5;
გ) კულონს – 3;
დ) უბრალო ყელსაბამს – 2.

11) რომელია ქსოვილზე თქვენი საყვარელი ნახატი?
ა) ყვავილები – 7;
ბ) კოპლები – 5;
გ) ზოლები – 3;
დ) გეომეტრიული ფიგურები – 1.

დაანგარიშეთ ქულები

17 ქულაზე ნაკლები: წინდახედული ადამიანი ხართ, გიყვართ სიმშვიდე და სტაბილურობა. საკუთარ სულში არავის ახედებთ, თუმცა ახლობლებთან ურთიერთობაში გულღია და ზრდილობიანი ხართ. ახალი ადამიანების გაცნობა და მათთან ურთიერთობის დამყარება საკმაოდ გიჭირთ, მაგრამ თუ ვინმემ თქვენი სიმპათია დაიმსახურა — მასზე აზრს დიდხანს არ შეიცვლით და ადვილად ვერც ვერავინ შეგაცვლევინებთ. ოჯახში უყვარხართ და გაფასებენ, სამუშაოზეც კარგი რეპუტაციით სარგებლობთ, იციან, რომ თქვენზე დაკისრებულ საქმეს აუცილებლად კარგად შეასრულებთ.

18-29 ქულა: წინააღმდეგობებით აღსავსე ხასიათი გაქვთ, მხიარული განწყობა ადვილად გეცვლებათ მოწყენილობით და პირიქით. ცდილობთ, მუდმივად მოძრაობაში იყოთ და ხშირად იცვლით შეხედულებებს თქვენი გარშემომყოფების შესახებ. სამუშაოზე უმეტესად სწრაფი და გამჭრიახი ხართ, თუმცა, თუ დეპრესია მოგეძალათ, შეიძლება რამდენიმე დღე სრულ მარტოობაში გაატაროთ და არავინ გაიკაროთ.

30-40 ქულა: „ოქროს შუალედთან“ საკმაოდ ახლოს იმყოფებით. გარშემომყოფებთან კონტაქტში ადვილად შედიხართ და მათაც არ უჭირთ თქვენთან ურთიერთობა. საკუთარი თავის ფლობა კარგად შეგიძლიათ. კეთილგანწყობილი ხართ, თუმცა, თუ საჭიროება მოითხოვს, სწრაფი რეაქციაც გაგაჩნიათ და „ხურდის“ დაბრუნებაც არ გიჭირთ. სამუშაოს ნორმალურად ასრულებთ, თქვენი სახლი კი მეგობრების ნამდვილი ნავსაყუდელია.

41 ქულაზე მეტი: მიუხედავად იმისა, რამდენი წლის ხართ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ახლაც და 20-30 წლის შემდეგაც სულით ახალგაზრდა იქნებით. ძალიან მგრძნობიარე ხართ და განცდების დაფარვას არც ცდილობთ. ცუდი არ იქნებოდა, საკუთარი თავი უკეთ გეკონტროლებინათ, ამით თქვენს თავსაც და ახლობლებსაც ზედმეტ უსიამოვნებებს აიცილებდით თავიდან.

იმპოვიზებული სტრიპტიზი... 9.000 დოლარად

ორი ხნიერი ნორვეგიელი იმდენად გააოგნეს დაუპატიჟებელმა სტუმრებმა, რომ „განძის“ დაკარგვაც კარგა ხანს ვერ შეამჩნიეს. ძმები ტოკვამების (ერთი 80 წლისაა, მეორე – 73-ის) ბინაში ზარის ხმა გაისმა და კარის გაღებისთანავე 30-ოდე წლის ქერათმიანმა მომხიბვლელმა ქალმა შემოსასვლელშივე ტანსაცმლის გახდა დაიწყო. პენსიონერები იმდენად გაოგნდნენ, რომ გზა დაუთმეს და შინ შემოუშვეს მოხალისე სტრიპტიზიორი. მოულოდნელად, მას მეორე – ცოტა უფრო ასაკოვანი ქალი შეუერთდა.

„ის უფრო აღვირახსნილად იქცეოდა. მალე ჩემი ძმის მუხლებზე მოკალათდა და ფეხები ტანზე შემოხვია“ – ჰყვებოდა უმცროსი ტოკვამი. სტრიპტიზი 15 წთ გრძელდებოდა, მაგრამ როგორც შემდგომ გაირკვა, ის სულაც არ ყოფილა უფასო: სანამ მოხუცები ერთობოდნენ, მათ 75.000 კრონი (9.000 დოლარი) მოჰპარეს იმ სეიფთან ერთად, რომელშიც ძმების მიერ წლების მანძილზე ნაგროვები ეს თანხა ინახებოდა. „დიდი თანხა შინ იმიტომ გვქონდა შენახული, რომ რაღაც ნივთების ყიდვას ვგეგმავდით, – დასძინა უფროსმა ტოკვამმა. – მაგრამ არა უშავს – ჩვენ ხომ კარგად ვიმხიარულეთ...“ ■

მილიონ დოლარად ღირებული ხუთცენტიანი მონეტა

მილიონი დოლარი ელოდება ადამიანს, რომელსაც 1913 წელს გამოშვებული 5-ცენტიანი მონეტა აღმოაჩნდება. საქმე ის გახლავთ, რომ ასეთი მონეტა სულ 5 უნდა იყოს. მასზე გამოსახულია თავისუფლების ქანდაკება (სწორედ ამის გამო დაარქვეს „ლიბერტი ჰედ ნიკელ“). ხუთიდან ორი, კერძო კოლექციაშია დაცული, ორი – მუზეუმში და მხოლოდ ერთი „ნიკელის“ ადგილსამყოფელი რჩება გაურკვეველი.

ამ სახის მონეტები მასობრივად, 1883-დან 1912 წლამდე გამოდიოდა, მერე კი ის ე.წ. „ინდიელთა ნიკელმა“ შეცვალა, მაგრამ 1913 წელს, ვიღაცამ უკანონოდ გამოუშვა 5 „ლიბერტი ნიკელი“, რომელიც არც მოხვედრილა ფულად მიმოქცევაში. 1996 წელს, ერთი ასეთი მონეტა 1,4 მლნ დოლარად გაიყიდა. ■

იმპოტენციის წამალი

47 წლის ნიუ-იორკელმა სტივ უილისმა ძლიერი შოკი განიცადა, როცა ერთ-ერთი კერძო კლინიკიდან 16-ათასდოლარიანი ანგარიში მიიღო, მაგრამ თვით ამ ფაქტზე მეტად, მასზე იმან იმოქმედა, რომ ანგარიში თურმე... იმპოტენციისგან განკურნების საფასური ყოფილა. ვინაიდან მას არასოდეს უგრძნია პოტენციის დაქვეითება, სტივმა იფიქრა – ალბათ ჭკუიდან ვიშლებიო... მაგრამ საკითხის გარკვევისას კიდევ ერთ მოულოდნელობას შეეჩეხა: 16 ათას დოლარად ღირებული ოპერაცია თურმე უილისის ცოლის საყვარელს გაუკეთებია. მოღალატე ცოლმა არა მარტო ქმრად წარუდგინა ექიმებს საყვარელი, არამედ სტივის საბანკო ანგარიშიც ჩააწერინა მათ... ■

ხომის პაპმა კომიქსებში „დაიდო ბინა“

ვატიკანის წინამძღოლი მართლაც, კომიქსების გმირი გახდა. ავტორებმა და გამომცემლებმა მიიჩნიეს, რომ იოანე-პავლე მეორე დადებითი სუპერგმირის თვისებებითაა დაჯილდოებული: ბოროტებას ებრძვის, ღარიბებს ეხმარება, თან... გრძელი მოსასხამით დადის... ცოტა ხანში, დღის სინათლეზე გამოვა პირველი წიგნი, რომელშიც იოანე-პავლე მეორის ბავშვობაზე იქნება მოთხრობილი. გამომცემლები ვარაუდობენ, რომ ის უმალ ბესტსელერად იქცევა და წინასწარ იმითაც ტრაბახობენ – ჩვენი პროდუქცია ბავშვებში რელიგიური გრძნობების გაღვივებას შეუწყობს ხელსო. ■

ფოტოკორესპონდენტები





იმიჯმეიკერული კომპანია „რეიტინგ ჯგუფი“ დეკუგაგრების მაქორიგარ კანდიდატებს ნარკვაგებული საარჩევნო კამპანიის ჩასაგარებლად მივაგზავნთ!

b72/28

- ✓ ნინასაარჩევნო კამპანიის ეფექტური სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებას;
- ✓ მედია სტრატეგიის შემუშავებას;

ეფექტური

- საგაზეთო პუბლიკაციებისა და რეკლამის დამზადებასა და განთავსებას;
- ვიდეო და აუდიორგოლების (კლიპების, მათ შორის ანიმაციური) მომზადებას და ეთერში განთავსებას;
- ✓ სრულ პოლიგრაფიულ მომსახურებას;
- ✓ ბუკლეტების, ჟურნალ-გაზეთების, პლაკატების და სხვ. მომზადებას, ბეჭდვას და გავრცელებას.

«რეიტინგ ჯგუფი»

ტელ: 38-68-77
877 46-58-49

თქვენი კარიერის პარტნიორი!